

ქართული ენა და ლიტერატურა

X

ძველი ქართული მწერლობა
მოსწავლის წიგნი
II ნაწილი

DON'T COPY

შინაარსი

II ნაწილი

ძველი ქართული საერო მცირებობა

შესავალი

საერო მცირებობის წარმოშობა 8

I თავი. დიდი წიგნი სიყვარულსა და მეგობრობაზე ლიტერატურა

შოთა რუსთაველი — ვეფხისტყაოსანი 15

მხატვრული ანალიზის ელემენტები

ავტორი 15

ჟანრი 16

ისტორიული სინამდვილის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“ 17

პროლოგი 19

„ვეფხისტყაოსნის“ სალექსო საზომი და ტროპული მეტყველება ... 31

კითხვის სტრატეგია

ავტორის ესთეტიკური მრწამსის გათვალისწინება 19

როგორ წავიკითხოთ ვრცელი ეპიკური პოემა 32

ტექსტის ენა

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული 96

„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია 98

II თავი. ისმინე, სწავლის მძებნელო

ლიტერატურა

სულხან-სახა ორბელიანი — სიბრძნე სიცრუისა 107

დავით გურამიშვილი — დავითიანი 174

მხატვრული ანალიზის ელემენტები

იგავ-არაკი	109
მხატვრული მეთოდი	177

კითხვის სტრატეგიები

ავტორის სათქმელის ამოცნობა	110
სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოცნობა	177

ტექსტის ენა

მწერლის ენის ანალიზი ერთი იგავის მიხედვით	171
პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნაში	172
რომელ — რომე — რომ	173
ძველი ხოლმეობითი სულხან-საბას ენაში	173
ერთი სიტყვის ისტორია	222
ძველი (არქაული) დავით გურამიშვილის ენაში	223
ახალი დავით გურამიშვილის ენაში	224
პროსოდიული ხმოვნები ტაეპების ბოლოს	225
პოეტის ენობრივი თავისუფლება („პოეტური ლიცენცია“)	225

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშანები



იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად



იმუშავეთ ჯგუფურად



წერითი სამუშაო



ზეპირი მეტყველება



მოისმინეთ



მოიძიეთ ინტერნეტში



წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევარი

ნაწილი II

ძეგლი ფორული საერთო შემოქმედა

(XII-XVIII ს.)

„ქართველი ერი ეკუთვნის ჯგუფს იმ ერებისა, რომელ-
-თაც თავის ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულ-
ტურა და დაამუშავეს შინაარსიანი საეკლესიო მწერლობა.
ამავე დროს... ქართველებმა, საეკლესიო მწერლობასთან
ერთად, განავითარეს მდიდარი საერო მხატვრული მწერ-
ლობა, რომელსაც მხედველობაში ჰყავს ჩვეულებრივი
ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების პირობებში, მისი არა
მარტო სულიერი, არამედ მატერიალური, ხორციელი მოთ-
ხოვნილებებითა და მისწრაფებებით. ერთი სიტყვით, ჰუ-
მანიზმი, რომელიც დასავლეთ ევროპის ისტორიაში შე-
დარებით გვიანი მოვლენაა, ჩვენს წარსულში XI-XII საუ-
კუნეებიდან ფაქტია.“

კორნელი კეკელიძე

ნიგნიდან: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“



ყინწვისის ანგელოზი, XIII ს.

საერო მწერლობის წარმოშობა

XI-XII საუკუნეებისთვის ქართველებს შემოქმედებითად ათვისებული პქონ-დათ ქრისტიანული სამყაროს მთელი კულტურული მონაპოვარი. თარგმნილი იყო ბიზანტიური მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი, აგრეთვე — სირიული, კოპტური, სომხური მწერლობის არაერთი ნიმუში.

„XI-XII საუკუნეებში ქართველები ინტერესდებოდნენ იმავე ფილოსოფიურ-თეოლოგიური პრობლემებით, რომლებითაც მოცულნი იყვნენ აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანული სამყაროს დიდი მოაზროვნეები. ოღონდ ქართველები ევროპელებზე ადრე ეხმიანებოდნენ აზროვნების უახლეს მიმდინარეობებს, დიდი რუდუნებით იღვწოდნენ და იმ დროისათვის სანიმუშო ფილოლოგიურ დონეზე შეისწავლიდნენ და განმარტავდნენ უშუალოდ ბერძნულ დედნებს“, — აღნიშნავდა ნიკო მარი.

კულტურათა გზაჯვარედინზე მყოფი საქართველო ეზიარა აღმოსავლურ ტრადიციებსაც. დიდი ივანე ჯავახიშვილის თქმით, ქართველებისათვის სპარსულ-ისლამური



გელათი. დავით აღმაშენებლის ფრესკა

კულტურა უცხო რამ არა ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივს სცემდნენ. ითარგმნა ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ნიზამის „ლეილმაჯნუნიანი“ და „ხოსროვშირინიანი“, ფახრ ედ-დინ გორგანელის „ვისრამიანი“ და სხვ.

დავით აღმაშენებლის მიერ „მეორე იერუსალიმად და სხუად ათინად“ მოვლენილმა გელათის საგანმანათლებლო კერამ დააგვირგვინა შავი მთისა და ათონის მთის სავანეთა დიდი ტრადიციები. დავითმა გელათის აკადემიაში მოიწვია ცნობილი მწიგნობრები და ფილოსოფოსები. მათ შორის იყო იოანე პეტრინი. ქართველები გელათში ეწაფებოდნენ იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს უმაღლესი მოთხოვნების შესაბამის განათლებას. აქ ისწავლებოდა დიალექტიკა ანუ ფილოსოფია, რომელიც ღვთისმეტყველებასაც მოიცავდა, რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და პოეზია. ასწავლიდნენ სამართალსაც.

გელათის აკადემიაში დანერგილი დისციპლინების ათვისებამ ხელი შეუწყო სასულიერო და საერო ცოდნის დაახლოებას, შეზავება-შერწყმას.



გელათი. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა

დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანაში საქართველომ არნახულ წარმატებას მიაღწია. გაფართოვდა ტერიტორიულად, გაძლიერდა პოლიტიკურად, მოღონიერდა ეკონომიკურად. საქართველო იქცა წინა აზის უძლიერეს სახელმწიფოდ. ამას მოჰყვა კულტურული აღმავლობა, აყვავდა ხუროთმოძღვრება, ჭედური ხელოვნება, ფერწერა. გელათისა და იყალთოს აკადემიათა შენობების კომპლექსები ხუროთმოძღვრების იშვიათ ძეგლებად მიიჩნევა; ქართული მონუმენტური ხელოვნების ბრნყინვალე ნიმუშია გელათის მოზაიკა; ამ ეპოქაში შეიქმნა დიდებული ყინწვისის ანგელოზი; განთქმული ოქრომჭედლები — ბექა და ბეშქენ ოპიზრებიც — ამავე დროს მოღვაწეობდნენ.

ეპოქალური ძვრების შესაბამისად ვითარდება საერო მწერლობა, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა სასულიერო მწერლობის წიაღში. საერო მწერლობა ვითარდებოდა და არსებობდა სასულიერო მწერლობის გვერდით.



გელათი. მოზაიკის ფრაგმენტი



ბერთის ოთხთავის ჭედური ყდა,
ოსტატი - ბეჭენ ოპიზარი

და სიკეთის დამკვიდრებისთვის მას, შინაგან ბრძოლასთან ერთად, ამა სოფლად დაბრკოლებათა გადალახვა მართებს.

საღვთო სიყვარული სასულიერო მწერლობისა საერო მწერლობაში გადატანილია სოციალურ ურთიერთობებზეც, სიყვარული აკავშირებს ქალვაჟს, მეფეს და ქვეშევრდომს, პატრონსა და ყმას.

საერო მწერლობის კლასიკურ პერიოდად ითვლება XII საუკუნე და XIII საუკუნის პირველი მეოთხედი. ამ ხანიდან ცნობილია ხუთი ნაწარმოები: „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „თამარიანი“, „ე.ნ. „აბდულმესიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“.

„ამირანდარეჯანიანი“ საგმირო სათავგადასავლო მოთხოვნათა კრებულია. მის ავტორად მოსე ხონელს მიიჩნევენ. ამირან დარეჯანისძე და მისი მეგობრები ილვნიან ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ებრძვიან უსამართლობას; გმირთა იდეალია: „არა ჭაბუკთა წესია უომრობა“.

საერო მწერლობა აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტრადიციებს. სასულიერო მწერლობის მიზანია ღვთისკენ ადამიანის სწრაფვის ასახვა, საერო მწერლობა კი დაინტერესდა ადამიანის ურთიერთობით არა მხოლოდ უზენაეს არსთან, არამედ მეფე-პატრონთანაც, მოყვასთანაც, სატრაფოსთანაც; დაინტერესდა ადამიანის ამქვეყნიური ღვაწლითა და ამქვეყნიური გარემოთი. საერო მწერლობაში გმირის სულიერი თვისებები აისახება და თან გმირი იხატება ყოფით გარემოში. ლიტერატურის თემად იქცა ქალ-ვაჟის ტრაფობა, პატრონისა და ყმის ურთიერთობა, მოყვასის, მეგობრის სიყვარული.

სასულიერო მწერლობის გმირი სულიერ ამაღლებას ეძიებს და ზენა სოფლისკენ ისწრაფვის. საერო მწერლობის გმირის ასპარეზი ამქვეყნიური გარემოა



წყაროსთავის ოთხთავის ჭედური ყდა,
ოსტატი - ბეჭენ ოპიზარი



„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, XVI ს.

„ვისრამიანი“ მდიდარი და დახვენილი ქართულით არის თარგმნილი სპარსულიდან უცნობი მთარგმნელის მიერ. „ვისრამიანში“ ქართველ მკითხველს იზიდავდა სატრფიალო ვნებათაღელვა. „ვისრამიანის“ გმირთა იდეალია: „ვინცა მიჯნური არ არის, არცა კაცია“.

ფეოდალური სამეფოს განმტკიცებამ, ხელისუფალთა ავტორიტეტის არნაულმა ზრდამ ჩვენში შექმნა პირობები სახოტბო პოეზიის აღმოცენებისთვის. სახოტბო პოეზიას საკარო პოეზიასაც უწოდებენ. სამეფო კარის პოეტი ხოტბას შეასხამდა მეფეს, მის პოლიტიკურ გეზს იწონებდა, გვირგვინოსნის გამარჯვებებს აქებდა. ასეთია ჩახრუხაძის „თამარიანი“ (ფიქრობენ, რომ ამგვარივე შინაარსის უნდა ყოფილიყო ე. წ. „აბდულმესიანი“). ეს ოდა განადიდებს თამარ მეფეს და მის სახელმძღვანელოს — დავით სოსლანს. ამ ძეგლს მსჯვალავს იდეა ძლიერი ცენტრალიზებული საქართველოსი, რომელმაც იმხანად დასუსტებული ბიზანტიის ნაცვლად იტვირთა ქრისტიანობის დაცვა ახლო აღმოსავლეთში.

ქართული მწერლობის კლასიკური ხანა დააგვირგვინა შოთა რუსთაველის პოემამ — „ვეფხისტყაოსანმა“.

თავი I

ლილ ნიგნი სიყდოლუსა და შეგობრობის

„ერის ისტორიაში დიდი წიგნის გაჩენა დიდი თავდაცვითი ბრძოლის მოგებას უდრის. უფრო მეტსაც... მერმე იგი მუდამ გამარჯვების საწინდრად და იმედად რჩება.

ხშირად ერის სულიერი სახის შესანახავად და შესამტკიცებლად წიგნი უფრო საჭიროა, ვიდრე მუზარადი!.. მკაფიო სტრიქონი — ვიდრე შუბი! მოწოდებრივი, ფეოქვადი აზრი — ვიდრე გუნდი ლაშქრისა!.. ხოლო წიგნისეული გმირები სამშობლოს დასაცავ ზღვართან ისტორიული გმირების პირველ წყებაში დგანან!“

ლევან გოთუა

„ვეფხის წიგნი და სვეტიცხოვლის სამყარო“



სერგო ქობულაძე – „ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“

შ ი ნ ა ა რ ს ი

I თავი. დიდი წიგნი სიყვარულსა და მეგობრობაზე

ლიტერატურა

შოთა რუსთაველი — ვეფხისტყაოსანი 15

მხატვრული ანალიზის ელემენტები

ავტორი 15

ჟანრი 16

ისტორიული სინამდვილის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“ 17

პროლოგი 19

„ვეფხისტყაოსნის“ სალექსო საზომი და ტროპული მეტყველება ... 31

კითხვის სტრატეგია

ავტორის ესთეტიკური მრწამსის გათვალისწინება 19

როგორ წავიკითხოთ ვრცელი ეპიკური პოემა 32

ტექსტის ენა

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული 96

„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია 98

პოვენაძეთი ფეხსტი

წარმატება

უფხისეულობის - დახმარებელი (პიროვნება)

შოთა რუსთაველი



ქანდაკება
მერაბ ბერძენიშვილისა

ავტორი

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. თამარ მეფის ისტორიკოსებიც კი არაფერს გვაუწყებენ მის შესახებ. ლიტერატურულ წყაროებში „რუსთველი“ მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება.

პოეტი თვითონ გვაცნობს პოემის პროლოგში თავის თავს: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლაცვარ-სობილი“ და „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“. პოემის ეპილოგი, რომელიც პოეტის მიმბაძველის, ვინმე მესხი მელექსის, ნახელავად მიაჩნიათ, ერთგვარად ეხმიანება პროლოგს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისა“.

სახელწოდება „რუსთველი“ უნდა ნიშნავდეს რუსთავის მკვიდრს, ან რუსთავის ციხე-ქალაქის მფლობელს.

იმუამინდელი რამდენიმე რუსთავიდან ტრადიცია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს უკავშირებს მესხეთის რუსთავს, რომელიც იმხანად კულტურის ძლიერი კერა იყო.

რუსთაველს რომ შოთა რქმევია, ამას გვიდასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე პოეტის ფრესკული გამოსახულების წარწერა: „ამისა დამხატვავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“. ამავე მონასტრის საღვთისმსახურო წიგნში შეტანილია მოსახსენებელი „შოთავისი, მეჭურჭლეთუხუცესისად“. რუსთაველს განუახლებია და მოუხატვინებია ჯვრის მონასტერი. ამ დამსახურებისათვის მოგვიანებით დაუხატავთ შოთა რუსთაველი ორი დიდი საეკლესიო მოღვაწის — მაქსიმე ალმასარებლისა და იოანე დამასკელის — წინაშე მუხლმოდრეკილი.

XVI-XVIII საუკუნეების ქართველი პოეტებიც „შოთა რუსთველად“ მოიხსენიებენ პოემის ავტორს, მაგრამ დამკვიდრდა „რუსთაველი“. თამარის კარზე ოთხი დიდვეზირი იყო (მნიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი). მეჭურჭლეთუხუცესობა დიდ პატივს მოასწავებდა. ამ დიდვეზირს სახელმწიფოს საგანძურო ებარა. პოემის ავტორი რომ მართლაც დიდად

წარჩინებული უნდა ყოფილიყო სამეფო კარზე, ამაზე თვით პოემა მეტყველებს. მასში ჩანს სამეფო კარის ცხოვრების წესის ზედმინევნითი ცოდნა.

შოთა რუსთაველი პოემას უძლვნის თამარ მეფეს, თამართან ერთად აქებს მის მეუღლეს, დავით სოსლანს. აშკარაა, რომ პოემა დაწერილია თამარისა და დავით სოსლანის ზეობის (მეფობის) ხანაში, ე.ი. 1189-1207 წლებში.

ჟანრი

„ვეფხისტყაოსანი“ სამიჯნურო-ჰეროიკული პოემაა. ეს ჟანრი ლიტერატურის სამ გვარს (ეპოსი, ლირიკა, დრამა) შორის უძველესს — ეპოსს — მიეკუთვნება.

ეპოსი, რომელიც გარდასულ დღეთა ამბებს მოგვითხრობს, შორეულ წარსულში, საზოგადოების კულტურული ცხოვრების გარიერაჟზე წარმოიშვა. ეპოსის ფაბულა მითიდან და საკულტო წეს-ჩვეულებებიდან იღებს სათავეს.

რუსთაველოლოგიაში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში ცხადად იკითხება სოლარული მითის — გამარჯვებული მზის ბოიგრაფიის — კომპოზიცია. გმირთა თავგადასავალი, რომელიც ზღაპრულ ანუ იგივე მითისურ პრინციპზეა აგებული (დაკარგვა — ძებნა — პოვნა), ქორწინებით გვირგვინდება.

ერთხმად არის აღიარებული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული მოტივების (სამი გმირის მოტივი, მზეთუნახავის ბოროტ ძალთაგან დატყვევების მოტივი, დევებთან და ქაჯებთან ბრძოლის მოტივი და სხვ.) ზღაპრულ-ფოლკლორული წარმომავლობა, მაგრამ როცა საუბარი „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. ყოფით ეპიზოდებს შეეხება, მათ „რეალიზმად“ აღიქვამენ და რაციონალური ლოგიკის ან ეთიკის პოზიციებიდან აფასებენ. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია ხვარაზმელი სასიძოს მკვლელობის ეპიზოდი, რომლის შესახებაც ბევრი დაინერა. მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობს დამაჯერებელი ახსნა (და აქედან გამომდინარე, გამართლება) მოუძებნოს პოემის „იდეალურ გმირთა“, „არაეთიკურ“ საქციელს; მეორე ნაწილი კიამ ეპიზოდში ცოდვათდაცემის მოტივს ხედავს და გმირთა შემდგომ თავგადასავალსაც მონანიებისა და ცოდვის გამოსყიდვის კონტექსტში განიხილავს.

არასასურველი სასიძოს მოკვლა ცნობილი სიუჟეტური მოტივია. ეპიკური ფაბულის მიხედვით, შეყვარებულებმა მრავალი დაბრკოლება უნდა გადალახონ, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა მეტოქე, რომელიც ვაჟმა გზიდან უნდა ჩამოიცილოს. ეს მოტივი უკვე პომეროსის „ოდისეაში“ გვხვდება. მისი წარმომავლობის სათავე, მკვლევართა აზრით, უძველეს საქორწილო რიტუალშია საძიებელი. ამ რიტუალის ერთ-ერთი არსებითი დეტალი იყო სიძის (ახალი წლის) ბრძოლა ცრუ სასიძოსთან (ძველ წელთან), როგორც საგაზაფხული შეჯიბრი მიწის გამომაცოცხლებელ ძალებსა და სიკვდილის ანუ ზამთრის ძალებს შორის. ამ შეჯიბრის სიუჟეტური ინსცენირება იყო სასიძოსა და საპატარძლოს დამალვა-ჩანაცვლების წესი. სიძეს ნამდვილი პატარძლის მაგივრად საქორწილო კაბაში გამოწყობილ დედაბერს შეაპარებდნენ, რომლსაც სიძე ამხელდა და აგდებდა. ასევე გავრცელებული იყო სიძის დამალვის წესი, რომელიც მხოლოდ შუა ქორწილში გამოჩინდებოდა, როგორც ბრძოლაგამოვლილი და გამარჯვებული. ცრუ სასიძო და საპატარძლო ზამთარს განასახიერებდნენ და ჭეშმარიტი სიძე-პატარძალი ანუ გაზაფხულის მეფე-დედოფალი მათთან შეჯიბრში იმარჯვებდა. გაზაფხულის სასიძო (ახალი წელი) ზამთარს (ძველ წელს) ამარცხებს, დამარცხება კი, კა-

ლენდარული მითის ლოგიკით, სიკვდილის მეტაფორაა. სწორედ ამ მეტაფორის რეალიზაციას წარმოადგენს კალენდარულ მითზე აგებულ ლიტერატურულ ფაბულებში არასასურველი სასიძოს მოკვლა. თუმცა ამ ფაბულათა საკულტო წარმომავლობა ლიტერატურული ტრადიციით არის გადაფარული და უძველესი მოტივები ამ ტიპის წარმოებებში ავტორის ნებისაგან დამოუკიდებლად ამოტივტივდებიან ხოლმე. ასეთი უნებლივი ამოტივტივების ნიმუშია სასიძოს მოკვლის აუცილებლობის ნესტანისეული არგუმენტაცია „ვეფხისტყაოსანში“: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ხმელი ხის ნედლად ქცევა, ზამთრის გაზაფხულით შეცვლა ანუ ხვარაზმელი სასიძოს მოკვლა ტარიელის მიერ, მართალი სამართალია კალენდარული მითის ლოგიკით. ვეფხისტყაოსნის ფაბულა კი, რუსთველოლოგიაში მიღებული აზრის თანახმად, სწორედ ამ მითის სიუჟეტური სქემის ხორცებებს წარმოადგენს.

შუა საუკუნეების ეპოსი, განსხვავებით ახალი დროის ლიტერატურისაგან, მიზნად არ ისახავს კონკრეტული სინამდვილის ასახვას, თუმცა მასში ერთგვარად აირეკლება იმუამინდელი რეალობა. ეპოსში ხორცს ისხამს ეპოქის იდეალები. შუა საუკუნეების ეპიკურ ნაწარმოებში ცხოვრებისეული ხასიათები არ იხატება, მისი გმირები მხატვრულ იდეალებს განასახიერებენ. ავტორი ზნეობრივ მაგალითს გვაწვდის და სოციალურ სფეროში იდეალური წესრიგის დამკვიდრებას ცდილობს.

შუა საუკუნეების ეპიკურ პოემაში გადმოცემული ამბავი არ არის შემოზღუდული დროითა და სივრცით. ასეთია ამ ჟანრის თავისებურება. რეალურად არსებული ქვეყნების გვერდით არის გამონაგონი, არარსებული ქვეყნები; რეალური და ფანტასტიკურ-მითოსური ნაკადი ერთმანეთს ეზავება. მოქმედება უკიდეგანო სივრცეშია გაშლილი; გმირები მნათობებს უზიარებენ თავიანთ განცდებს, გმირთა „ზემხედველი“ გონება ზეცას სწვდება.

„ვეფხისტყაოსანში“ დროის გაგებაც შუა საუკუნეების ეპოსის ჟანრის შესაბამისია. მასში გარკვეული დატვირთვა აქვს საკრალურ რიცხვებს (სამი გმირი, შვიდი მნათობი, ცხრა ცა), დროის აღნიშვნას კი რიცხვი „სამი“ შეესაბამება („სამსა ქებნენელინადსა“, „თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“, „წელინადი სამი სამ თვედ მიიყარა“).

რუსთაველის პოემის შესწავლისას ეპოქის ესთეტიკური პრინციპებისა და ჟანრის მხატვრულ თავისებურებათა გათვალისწინება გვმართებს.

ისტორიული სინამდვილის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ მოქმედება უცხო ქვეყნებშია გაშლილი. მათგან ზოგი რეალურად არსებულია, ზოგი — გამონაგონი. პოეტი პროლოგში გვაუწყებს, რომ „ეს ამბავი სპარსული“ გაულექსავს. ეპილოგშიც ნახსენებია „ეს ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“, მაგრამ პოემის შესწავლა ნათელს ხდის, რომ, მართალია, სიუჟეტის გაუცხოების ხერხს მიმართა პოეტმა, მაგრამ მის თხზულებაში მაინც არეკლილია იმუამინდელი საქართველოს ისტორიული სინამდვილე. შუა საუკუნეების ეპიკურ პოემაში უშუალოდ არ იხატება ისტორიული სინამდვილე. ისტორიული რეალობა არ ქმნის დამოუკიდებელ სიუჟეტს, ისტორიული სინამდვილის ანარეკლი ჩაერთვება ხოლმე ტრადიციულ სიუჟეტურ სქემაში. ასეა „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველის მოღვაწეობის ხანაში საქართველო მთელ წინა აზიაში უძლიერესი მონარქია იყო, პოლიტიკურად — მტკიცე და ერთიანი, ეკონომიკურად და კულტურულად — აყვავებული. საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანად“ არის მიჩნეული ეს პერიოდი. სამეფო ტახტზე იჯდა თამარი, რომლის კარზე კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. ისევე, როგორც როსტევანმა — თინათინი, გიორგი III-მ თავისი ასული აიყვანა სამეფო ტახტზე.

ინდოეთში უცხო ქვეყნიდან სასიძოს მოწვევაც ეგებ ისტორიულ სინამდვილეს ეხმიანებოდეს და ერთგვარი გამოძახილი იყოს თამარის საქმროდ რუსეთიდან იური ბოგოლიუბსკის ჩამოყვანისა.

„ვეფხისტყაოსანში“ აშკარად არის გამოკვეთილი წარჩინებულ ქალთა წარმმართველი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალი ხელმწიფეა, ქალი საგმირო საქმეთა შთამაგონებელია. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, — გვითხრა რუსთაველმა.

პოემაში ასახულია პატრონულური ურთიერთობა. ფეოდალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, XII-XIII საუკუნეებში სოციალური ყოფის ეს წესი დამკვიდრებული იყო საქართველოში. პატრონულობა იყო სოციალურ ფენათა ურთიერთობის საკმაოდ დახვეწილი ფორმა. მის საფუძველს ქმნიდა იერარქიის პრინციპი. ქვეყნის სათავეში იმყოფებოდა მეფე — ქვეყნის უზენაესი პატრონი, რომელიც ღვთით მოვლენილად მიიჩნეოდა. ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც“. პოემის მიხედვით, ყოველ ქვეშევრდომს მართებს ერთგული, თავდაუზოგავი მსახურება უზენაესი ხელისუფლისა. თავის მხრივ, იერარქიის მაღალი საფეხურის წარმომადგენელი, „პატრონი“, მოვალეა იზრუნოს თავისი ყმის კეთილდღეობაზე. ყმასაც ჰყავს ქვეშევრდომები, მათ შორისაც ერთგულება და კეთილგანწყობაა.

ქართული სოციალური ურთიერთობის ეს მოდელი, პატრონულობა, პოემაში მისადაგებულია არაბეთის, ინდოეთის ყოფასთან.

ეს საფეხურებრივი სოციალური გარემო ზემდგომისგან ქვედა საფეხურზე მდგომის დათრგუნვას კი არ ემსახურებოდა, ერთგვარ სამართლებრივ ურთიერთობებს ქმნიდა და პიროვნებას იცავდა. საგულისხმოა, რომ თავისზე წარჩინებულს „პატრონს“ უწოდებდნენ და არა „ბატონს“. პოემის პატრონულური გარემო ანარეკლია საქართველოს ისტორიული ყოფისა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ რუსთაველმა სიყვარული დასახა სოციალური ურთიერთობების საფუძლად, სოციალურ სფეროშიც სიყვარული მიიჩნია იდეალად („სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარული“).

გავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

წინა წლებში თქვენ თითქმის ყველა კლასში ეცნობოდით „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტებს, ემზადებოდით დიდ წიგნთან შესახვედრად და ეს დროც დადგა.

მოდით შევაჯამოთ, რა იცოდით აქამდე „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ და რა გაიგეთ ახალი ამ ტექსტის წინმსწრები სტატიებიდან („ავტორი“, „უანრი“ და „ისტორიული სინამდვილის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“)?

რას ელით ამ შეხვედრისგან, რა მოლოდინით იწყებთ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას?

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

პროლოგი. პროლოგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წინასიტყვას, წინათქმას. პროლოგით ავტორი ერთგვარ საფუძველს ქმნის ნაწარმოების აღსაქმელად, მკითხველს შეუძლვება, თითქოს კარს შეაღებინებს ნაწარმოების მხატვრულ სამყაროში.

პროლოგით იწყებოდა სხვადასხვა ერების უძველესი ლიტერატურული ქმნილები. ასევე უძლოდა პროლოგი რუსთაველის ეპოქის აღმოსავლური თუ დასავლური ლიტერატურის ეპიკურ ძეგლებს. შეიქმნა ერთგვარი ლიტერატურული ტრადიცია, გამოიკვეთა საკითხთა წყება, რომელსაც ლამის ყველა შემოქმედი თავისებურად ეხმიანებოდა.

„ვეფხისტყაოსანიც“ პროლოგით იწყება. ეპოქის ლიტერატურული მოთხოვნის შესაბამისად: რუსთაველი ახსენებს სამყაროს შემოქმედს, ღმერთს, და მას სთხოვს შემწეობას; ღვთის ხსენების შემდეგ პროლოგში ქება ეძღვნება მეფე-პატრონებს: თამარ მეფესა და მის „ლომს“ — დავით სოსლანს; შემდეგ პოეტი გვაცნობს პოემის მთავარ გმირს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ-შეშრობილი“. აქვე ახსენებს „სამ გმირ მნათობს“, გვიმხელს თავის ვინაობას და ფაბულის წყაროს შესახებ საუბრობს.

პროლოგში რუსთაველი გამოხატავს ასევე თავის შეხედულებებს პოეზიაზე და პოეზის მთავარ თემაზე — მიჯნურობაზე.

გამოვიყენოთ

კითხვის სტრატეგია

ავტორის ესთეტიკური მრწამსის გათვალისწინება. როგორც ითქვა, პროლოგი მკითხველის შემზადებას, მასში გარკვეული მოლოდინის აღძვრას ემსახურება. პროლოგში გაცხადებულია ავტორის ესთეტიკური მრწამსი, რომლის გათვალისწინების გარეშეც ნაწარმოების აღქმა სრულყოფილი ვერ იქნება. ამიტომ პროლოგი ნაწარმოების ის მონაკვეთია, რომელიც გამოწვლილვით უნდა შეისწავლოთ. გახსოვდეთ, რომ აქ შემთხვევით არაფერია ნათქვამი და პროლოგში დასმული ყველა საკითხი დაკვირვებისა და მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

ეკვთიმიშვილისა

დასაწყისი

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა.

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეპქმნე სახე ყოვლისა ტანისა.
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა.
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ვის ჰშვენის, ლომსა, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა —
მეფისა მზის თამარისა ღაწვ-ბალაშ, თმა-გიშერისა,
მას, არა ვიცი, შევპკადრო შესხმა ხოტბისა შე-რისა.
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მიშერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

რომელმან აქ: ღმერთმა, მამალმერთმა.
სამყარო „ესე ცად არს უძრავი და მყარი
გარეგან სხუათა ცათა“ (საბა); „სამყარო
იმ ცასა ჰქვიან, ზედ რომ სასუფეველია“
(ვახტანგ VI); ზეციური საუფლო.

ძალი აქ: ღვთის სიტყვა, ძე.

ზეგარდმო ზევიდან (ზეციდან).

არსნი პირველარსნი, ზეციური არსებანი.
ყვნა შექმნა.

სული... ზეცითმონაბერია აქ: სულიწმინდა.
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა
მისმიერითა მისგან (ღვთისაგან) არის
მოვლენილი ყველა ხელმწიფე ღვთიური
(ღვთის მსგავსი) ხატით.

ღმერთო ერთო პოემის პირველსავე სტრო-
ფში სამების სამი პირის ხსენების შემდეგ
რუსთაველი მიმართავს სამივე პირს, რო-
გორც ერთ ღმერთს (განუყოფელს, ერთა-
რსებას).

სახე ყოვლისა ტანისა პირველსახე, იდეა
სხეულის მქონე ყოველი არსებისა.

ძლევა მეც ძალა მომეც, გამამარჯვებინე.
სატანა „წინააღმდეგომი, გინა მწვდომი“

(საბა), ეშმაკი.

მიჯნურთა სურვილი „გაშმაგება მუდამ
სასუფევლის ნდომისათვის“ (ვახტანგ VI),
სწრაფვა მიჯნურობის გზით ღვთაებრივი
ამაღლებისაკენ.

სიკვდიდმდე გასატანისა სიკვდილამდე
გასაყოლად.

მუნ თანა წასატანი იქ (საიქიოში) თან წა-
საღები.

ფარ-შიმშერი ფარ-ხმალი.

ბალახში ლალი, პატიოსანი თვალი წითე-
ლი ფერისა.

გიშერი ნახევრად ძვირფასი შავი ქვა.

შერი რჩეული.

მისთა მჭვრეტელთა... მირთმა ხამს მის
მჭვრეტელებს მისთვის მირთმევა მარ-
თებთ.

ყანდი „შაქრის ყინული არს“ (ვახტანგ VI).

მიშერი გოლეული, თაფლი.

ვთქვენი ქებანი ვისნი მე ვისი ქებაც
ვთქვი.

ნა ლერნამი.

მიბრძანეს მათად საქეპრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლპილისა.

ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, —
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ-შეშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი.

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები.
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმან ნები.

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი;
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი!

ბროლ-ბალახში მეტაფორაა: ბაგე-კბილი.
ქვა მაგარი აქ: ალმასი. ალმასი, ჩვეულებ-
რივ, ტყვიის მცირე გრდემლზე ამუშავებ-
დნენ.

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი
ტყვიისა ლპილისა ამ აფორიზმით პოეტი
გვაუწყებს, რომ თამარის მშვენებამ ისევე
დაიმორჩილა, როგორც რბილმა ტყვიამ —
ალმასი.

გული და ხელოვანება გრძნობა და პო-
ეტური ოსტატობა.

შენგნით შეწევა.

მივსცე გონება (მისქენ) წარვმართო ფიქ-
რი, გონება.

მით ამით, ამნაირად.

შევეწივნეთ დავეხმაროთ, შევეწიოთ.

ტურფადცა უნდა ხსენება ლამაზად ხსე-
ნება შეჰერერის.

მონება აქ: სიყვარული, ერთგულება.

მო მოდით!

მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფი-
ლა შობილი მისი მსგავსი მართლაც ვინ
დაიბადება.

ან მარგალიტად წყობილი ამიერიდან ას-

ხმული მარგალიტი (ე.ი. ლექსად გაწყო-
ბილი).

მარგალიტი ობოლი გამორჩეული მარგა-
ლიტი.

ხელის-ხელ საგოგმანები აქ: გასაფრთხი-
ლებელი (წყლის სიღრმიდან ამოლებულმა
მარგალიტმა ფორმა რომ შეიინარჩუნოს,
გამკვრივებამდე ერთი ხელიდან მეორეში
გადააგორებენ, აგოგმანებენ).

საჭოჭმანები საყოფანო.

ნები ხელისგული. ხელისგულის დადება
გამოხატულება იყო თანხმობისა; აქედან:
ნების დართვა.

ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალ-
მან და ლამაზან ნები ლალმა და ლამაზმა
ჩემმა გონების წამლებმა მიბოძოს ნება.

ხელობით გახელებით, სიშმაგით.

ვიქმ საქმესა ამა დარი ჩავდივარ ამგვარ
საქმეს.

ჯარი სპათა ლაშქართა სიმრავლე.

ვხელობ ვშმაგობ.

კვლა ისევ. არსით არსაით, არსაიდან.

მინა სამარი დასამარხი მინა.

ნათარგმანები გარდათქმული.

თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;
აპა, გული გამიჯნურდა, მიჰევდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ! ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა.
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვეღარ მიჰევდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა.
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

თვალთა მისგან უნათლოთა მისგან (თა-
მარის ბრწყინვალებისაგან) დაბრმავებულ
თვალებს.

ენატრამცა ახლად ჩენა მოენატრებათ
ხელახლა ახელა, ჩინის დაბრუნება.

მიჰევდომია წილად ჰევდომია.

ველთარბენა ველადგაჭრა, განმარტოება,
საწუთოსგან გარიდება. „გაჭრა“ შუა სა-
უკუნებში მიჯნურთა წესი იყო და უკავ-
შირდებოდა სულიერ ღირებულებათა ძიე-
ბის გზას.

მიაჯეთ ვინ ვინმემ ითხოვეთ ჩემთვის.

ხორცთა დაწვა კმარის ხორციელი ტა-
ნჯვა კმარა.

სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა
უნდა ვლენა სამი გმირის საქებარი ლექ-
სები უნდა შეიქმნას, შეითხას.

მას უბნობდეს მასზე საუბრობდეს, ეს
იყოს მისი სათქმელი.

მიწყივ მუდამ, განუწყვეტლივ.

გულოვნობდეს მამაცობდეს.

გამოსცნობდეს შეიცნობდეს.

შაირობა პოეზია.

საღმრთო საღმრთოდ გასაგონი (პოეზია)
ღვთაებრივი ბუნებისაა და ისეა გასაგო-
ნი (მოსასმენი, გასაგები), რომ ღვთაებ-
რივისკენ წაგვმართოს.

მარგი სარგებლობის მომტანი.

კვლა აგრეთვე.

აქაც ამქვეყნად.

კაცი ვარგი ვარგისი კაცი, ღირსეული
ადამიანი.

რბევა აქ: ქნება.

მართლად ცემა სწორად, მარჯვედ მოქ-
ნევა.

მართ აგრეთვე სწორედ ასევე.

ხევა უკან დახევა, თავის შეკავება.

რა მისჭირდეს როცა გაუძნელდება.

ქართული აქ: სიტყვა.

რა ვეღარ მიჰევდეს ქართულსა როცა
შემოაკლდეს სიტყვა.

დაუწყოს ლექსმან ძვირობა ლექსის გა-
მართვა გაუჭირდეს.

არა ქმნას სიტყვა-მცირობა არ გააღ-
რიბოს პოეტური ენა.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განალა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის, „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა.
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა-მუსიკობდეს.

ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ყოლა სრულიადაც.
განალა იქნებ, ეგებ.
უმსგავსო და შორი-შორი შეუსაბამო და
შეუწყობელი.
მაგრა იტყვის მაგრამ ამბობს.
უცილობლობს თავისას იჩემებს, ჯიუ-
ტობს.
ცოტაი პატარა, მოკლე.
არ ძალ-უც არ ძალუძთ, არ შეუძლიათ.
ბედითი ცუდი, უვარგისი.
ხელად აქვს ჩვევად აქვთ.
სააშიკოდ სატრფიალოდ.
სათრეველად გასაკენწლად, სახუმაროდ.
რაცა ოდენ თქვან ნათელად რასაც კი
ნათლად იტყვიან.
ვერას იტყვის ვინცა გრძელად ვინც დიდ,
ვრცელ ნაწარმოებს (ეპიკურ თხზულებას)
ვერ შექმნის.
ნაჭირვები შემოქმედებით ტანჯვაში გა-

მოტარებული, შემოქმედების ნაყოფი, ნა-
მუშაკევი.
ცუდად ფუტად, ამაოდ.
არ აბრკმობდეს არ აბრკოლებდეს, აქ: არ
აბნევდეს, არ ფანტავდეს.
უნდეს ჰყავდეს.
ყოვლსა ყოველს, ყველაფერს.
მისგან კიდე ნურა უნდა მის გარდა ნუ-
რავინ უნდა.
ენა-მუსიკობდეს ენამზეობდეს, ენაწყლი-
ანობდეს.
ჩემი ან ცანით ყოველმან ახლა ჩემი ამბა-
ვი შეიტყვეთ ყველაშ.
ესე მიჩნს დიდად სახელად ეს მიმაჩნია
დიდად სასახელოდ.
არ თავიგამიქიქია თავი არ შემირცხვენია.
ჯიქი მოყვითალო, დაწინწკლულბენვიანი
ნადირი, ჩამოჰკვავს ვეფხეს.
ქვემორე ქვემოთ.

ვთქვა მიჯნურობა — პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰევდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვის ესე სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

**ვთქვა მიჯნურობა ჰირველი და ტომი
გვართა ზენათა** ვიტყვი, ვახსენებ დასაბა-
მიერ (ჰირველ), ლვთაებრივ მიჯნურობას,
რომელიც ზეციური წარმომავლობისაა.

საჭირო გამოსაგები ენათა ენით ძნელად
გამოსახატავი.

საქმე საზეო ზეციური, საღვთო საქმე.
ვინცა ეცდების ვინც შეეცდება, ვინც
მიჯნურობის გზას დაადგება.

თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა
მრავალი განსაცდელის დათმენა მოუწევს.
ჭკვიანნი ვერ მიჰევდებიან ჭკვიანნი ვერ
ეზიარებიან.

დაშვრების დაიღლება.

ყურნიცა დავალდებიან ყურები ვალში
დარჩებიან (ვერას შეისმენენ).

ვთქვნე ხელობანი ქვენანი ვისაუბრებ ამ-
ქვეყნიურ სიყვარულზე, გახელებაზე, სიშ-
მაგეზე.

რომელნი ხორცთა ჰხვდებიან რომლებიც
სხეულის ხვედრია.

მართ ნამდვილად.

მასვე ჰბაძვენ მასვე (ლვთაებრივ მიჯნუ-
რობას) ბაძავენ.

სიძვენ მრუშობენ.

შორით ბნდებიან შორიდან იდაგებიან
ტრფობით.

ვერ-მიხვდომისა წყენითა (წადილის) ვერ-
მიღწევის გამო წუხილით.

ზოგსა აქვს საღმრთო სიახლე ზოგი (მიჯ-
ნური) ღმერთთან მიახლოებულია, ზოგს
ლვთაებრივთან სიახლოვე აქვს.

დაშვრების აღმაფრენითა დაუცხრომლად
ისწრაფვის ლვთაებრივისაკენ.

კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა
ზედა ფრფენითა ზოგს კი ამქვეყნიურის-
კენ მიუწევს ბუნება კეკლუცთაოვის თაყ-
ვანებით, ლოლიავით.

მართ ვითა მზეობა სწორედ მზესავით.

სიყმე სიჭაბუკე.

მოცალეობა მოცლა, შესაფერისობა.

ენა აქ: ენამჭევრობა.

გონება გონიერება.

დათმობა მოთმენა.

მძლეთა მებრძოლთა მძლეობა ძლიერი
მტრის დაძლევა, მორევა.

აკლია მიჯნურთ ზნეობა არ არის სრულ-
ყოფილი მიჯნური, (მისი) სამიჯნურო ზნე-
ობა არ არის სრულყოფილი.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰქონდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიპხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმანვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.

არს პირველი მიჯნურობა: არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰპაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;
სიარული, მარტობა ჰშევენის, გაჭრად დაეთვლების;
იგონებდეს, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლების,
არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცთა ეახლების.

ხამს საჭიროა, უნდა.
ხანიერი მტკიცე, ერთგული, ხანგრძლივი.
მოყვარე სატრფო.
გაამრავლოს სულთქმა უში მოუხშიროს
ოხერა-ვაებას.
კუშტი უკმენი.
მიპხვდეს შეხვდეს, ბედმა არგუნოს.
ქუში პირქუში.
უნდეს უნდოდეს.
სთმობდეს გაყრისა თმობასა ეგუებოდეს
მიჯნურთან განშორებას.
მლერა ბედითი უგვანი თამაში.
თავის-წინა იგონებდეს განმარტოებული
(მარტოდმარტო) ფიქრობდეს (სატრფო-
ზე).
ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა მუდამ მარტო
იყოს.

ალვა წვა, ცეცხლის მოდება.
დათმოს წყრომა მოყვრისაგან გაუძლოს
სატრფოს შემონყრომას.
შიში აქ: რიდი.
ხვაშიადი საიდუმლო, გულისნადები.
„ჰპაის“ ზმიდეს ოხრავდეს, ვიშვიშებდეს.
აყივნებდეს არცხვენდეს.
არსით აჩნდეს არაფერში ემჩნეოდეს.
არასადა იფერებდეს არ შეიფეროს.
ტირილსა ემართლების ტირილი მართებს
(კიდეც), შეეფერება.
გაჭრად დაეთვლების გაჭრად (სამიჯნუ-
რო ქცევად) ჩაეთვლება.
იგონებდეს ფიქრობდეს.
მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების მის
(მიჯნურის) გარდა ნურასოდეს ნურაფ-
რისთვის მოიცლის.

ცაკის მიმართულობის დასაწყისში ავტორი

დავით გავაალიზოთ, გავაალიზოთ, გავაფასოთ:

1. ვის მიმართავს პროლოგის დასაწყისში ავტორი? გადმოეცით პირველი ორი სტროფის შინაარსი თქვენი სიტყვებით.
2. ვისთვის მიუძღვნია ავტორს თავისი პოემა? (დაიმოწმეთ ტექსტიდან სა-თანადო ადგილები).
3. რომელ სტროფში მოიხსენიებს ავტორი პოემის მთავარ გმირს? კიდევ ვინ არის ნახსენები ამ სტროფში?
4. როგორ გესმით: „აქამდის ამბად ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი“?
5. როგორ მოიხსენიებს ავტორი თავის თავს? (დაიმოწმეთ ტექსტიდან შესა-ბამისი ადგილები).
6. ჯერ კიდევ VI საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე სასულიერო პო-ეზიის, კერძოდ კი ფსალმუნთა შესახებ, ამბობდა, რომ პოეზია — ეს არის ღმერთსა და კაცს შორის საუბარი. როგორ არის გამოთქმული მსგავსი აზრი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში?
7. რამდენი სახის „ლექს“ (პოეზია) გამოყოფს რუსთაველი და როგორ ახა-სიათებს თითოეულ მათგანს?
8. როგორ დაახასიათებდით რუსთაველის ესთეტიკურ მრნამსს პროლოგის მიხედვით, ანუ:
 - ა) ვინ წარმართავს პოეტის შთაგონებას?
 - ბ) რა არის აუცილებელი პოეტური სიტყვის სრულყოფისათვის?
 - გ) რა სიძნელეები ახლავს შემოქმედებას?
 - დ) რა არის პოეზიის მთავარი თემა?

9. როგორია, პროლოგის მიხედვით, სიყვარულის, ანუ მიჯნურობის, რუსთ-ველისეული გაგება? (დაიმოწმეთ ტექსტიდან სათანადო ადგილები).
10. პოეტი გვესაუბრება სამიჯნურო ზნეობაზე, ერთგვარ სამიჯნურო წესზე, რომელიც ასევე ღვთის დადგენილად მიაჩნია. რა მართებს მიჯნურს ამ წესის თანახმად?

მხატვრული ანალიზის ელემენტები

პროლოგი

11. როგორც უკვე ითქვა, პროლოგით ავტორი ერთგვარ საფუძველს ქმნის ნა-ნარმოების ალსაქმელად, მეითხველს შეუძლვება, თითქოს კარს შეაღები-ნებს ნაწარმოების მხატვრულ სამყაროში. რისი თქმა შეგიძლიათ ნაწარ-მოებზე მისი კარის შეღების (ანუ პროლოგის წაკითხვის) შემდეგ? (ვინ

იქნება ნაწარმოების მთავარი გმირი და რა იქნება ამ ნაწარმოების მთავარი თემა?).

პითევის სტრატეგია

ავტორის ესთეტიკური მრწამსის გათვალისწინება

12. როგორ ფიქრობთ, განსაზღვრა თუ არა ნაწარმოების ჟანრი ავტორის ეს-თეტიკურმა მრწამსმა? (პასუხი დაასაბუთეთ).

ეს საინფერენცია!

პირველი რუსთველოლოგი

სწავლულმა მეფემ, ვახტანგ VI-მ, მის მიერვე დაარსებულ სტამბაში 1712 წელს დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და დაურთო თავისი კომენტარები. ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას, რუსთველოლოგიას.

ვახტანგ VI ქრისტიანული მსოფლადქმის გამოვლენას ხედავდა „ვეფხისტყაოსანში“ და საღვთო სიყვარული მიაჩნდა რუსთველური მიჯნურობის საფუძვლად.

მას აქეთ სამ საუკუნეზე მეტმა ჩაიარა და მთელი ამ დროის განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა და შესწავლა არ შენელებულა.

ფაბულის წყარო

ერთ-ერთი საკითხი, რომლითაც რუსთველოლოგია იმთავითვე დაინტერესდა, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს საკითხია.

პოემის პროლოგში ნათქვამია:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.

სიტყვა „თარგმანება“ ძველ ქართულში ერთი ენიდან მეორეზე გადატანსაც ნიშნავდა, განმარტებასაც და გარდათქმასაც, ანუ გადაკეთებას. პოემის სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ რუსთველთან „ქართულად ნათარგმანები“ არ ნიშნავს სპარსულიდან ქართულად თარგმნას. პოემაში ავტორი რამდენჯერმე ახსენებს ამბის გალექსვას, გარდათქმას, მაგალითად: „ესე ამბავი გავლექსე“; „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“; „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“.


შესაძლებელია, მართლაც არსებობდა რაიმე ამბავი, ფაბულა. რუსთაველამ-დეც და მომდევნო ხანაშიც უცხო ფაბულის სესხება სხვადასხვა მწერლების მიერ ერთი და იმავე ფაბულის წყაროდ გამოყენება საკმაოდ გავრცელებული იყო ალმოსავლურ ლიტერატურაშიც და დასავლურშიც. მაგალითად, ძველი ბერძნული მწერლობის კლასიკოსები (პომეროსი, ჰესიოდე, არისტოფანე, ესქილე, ევრიპიდე, სოფოკლე) თავიანთ ქმნილებებში ხშირად მზა ფაბულებს იყენებდნენ, ზოგჯერ ერთსა და იმავე ფაბულურ მოტივებსაც მიმართავდნენ. ასევეა რუსთაველთან დროით უფრო დაახლოებულ ეპოქაშიც. დანტე, ბოკაჩი, არიოსტო, ვოლფორამ

ფონ ეშენბახი ადრინდელ გადმოცემებს უყრდნობიან. ძველი თქმულებები დაედო საფუძვლად ამავე ეპოქის ბრწყინვალე ნაწარმოებებს („სიმღერა ნიბელუნგებზე“, „ტრისტან და იზოლდა“ და სხვ.). სპარსული ლიტერატურის უმნიშვნელოვანები ძველები (ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, ნიზამის პოემები, ფახრ-ადდინ გურგანის „ვისრამიანი“ და სხვ.) ადრინდელი წყაროებით საზრდოობენ. მოგვიანებით ფაუსტის შესახებ თქმულება არაერთი შემოქმედის წყარო გახდა, მაგრამ გენიალური ქმნილება მხოლოდ გოეთემ შექმნა.

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაში ისეთი მოტივებია წარმმართველი, რომლებიც უშუალოდ ქართულ კულტურულ გარემოსთანაა დაკავშირებული და უცხოა აღმოსავლურ-სპარსული სამყაროსთვის. მაგალითად, — ქალის გამეფება, ქალის მიერ საგმირო საქმეებისკენ სატრფოს წაქეზება, დაძმობილების ტრადიცია, ქალვაჟის მეგობრობა, პატრონული ურთიერთობები და სხვა მრავალი, — ქართული სინამდვილის თავისებურება.

ისიც გავიხსენოთ, რომ მზეთუნახავის დატყვევება ბოროტ ძალთაგან და გმირი ჭაბუკის მიერ მისი დახსნა ფართოდ გავრცელებული მოტივია და ქართული ზღაპრისთვისაც არ არის უცხო.

საგულისხმოა, რომ პირველი რუსთველოლოგი, ვახტანგ VI, საგანგებოდ მიუთითებდა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ორიგინალობაზე, როცა ამბობდა, რომ „სპარსში ესე ამბავი არსად იპოების-“ო.



მინიატურა და მისი მეორე მხარე პროლოგის ტექსტით XVII საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებული და ოქსფორდის უნივერსიტეტში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ნუსხიდან

სამახსოვრო ადგილები:

- „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა“. (სტრ.1)
- „ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა.
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა!“ (სტრ.2)
- „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“. (სტრ.4)
- „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. (სტრ.5-1)
- „ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, —
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება,
მით შევენივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“. (6)
- „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ-შეშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი“. (7)
- „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები...“ (8 — 1,2,3)
- „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არც სხვათა უწუნობდეს“. (11)
- „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“. (12)
- „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა...“ (13 — 1,2,3)

- „მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“. (16)
- „მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. (17)
- „ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩინდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს...“ (18 — 1,2)
- „ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩის დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“. (19)
- „ვთქვა მიჯნურობა — პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა!“ (20)
- „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰევდებიან“. (21 — 1)
- „მინჯურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“. (23)
- „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“ (24)
- „ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“. (27)

პოემის ტექსტი ცანა

ვეფხისტყაოსნი (გიგოძელება)

შოთა რუსთაველი

ყურადღება: „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელების (ანუ დანარჩენი ტექსტის) წაკითხვა თქვენ პოემის სასკოლო, ნოდარ ნათაძისეული, გამოცემიდან მოგიწევთ.

შესაბამისად, ტექსტის წაკითხვამდე დასამუშავებელი მასალა: „მხატვრული ანალიზის ელემენტები“ და „კითხვის სტრატეგია“ პოემის მთელი ტექსტისთვისაა მოცემული და არა მისი ცალკეული მონაკვეთებისათვის.

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

თქვენ უკვე შეისწავლეთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და იცით, რომ ნაწარმოების ეს ნაწილი მკითხველის შემზადებას, მასში გარკვეული მოლოდინის აღძვრას ემსახურება. მიუხედავად ამისა, მკითხველთა გარკვეული ნაწილი პროლოგს მხოლოდ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ეცნობა. როგორ ფიქრობთ, რა მოსაზრება უდევს საფუძვლად ამგვარ ქცევას და რამდენად მართებულია ეს? (პასუხი დაასაბუთეთ).

გავაანალიზოთ

ტექსტის ანალიზის ელემენტები

სალექსო საზომი და ტროპული მეტყველება. „ვეფხისტყაოსნის“ სალექსო საზომის (თექვსმეტმარცვლიან შაირს) და მის სახესხვაობებს თქვენ წინა კლასში უკვე გაეცანით. გავიხსენოთ: პოემაში შაირის ორ სახეობას გამოყოფენ: **მაღალ შაირს და დაბალ შაირს.** მაღალ შაირში ტაეპი პაუზების მეშვეობით 4-მარცვლიან მონაკვეთებად, დაბალ შაირში კი — 5 და 3-მარცვლიან მონაკვეთებად (ანუ მუხლებად) იყოფა. შაირის სახეობის ამოსაცნობად ხმამაღლა, დამარცვლით უნდა წავიკითხოთ ტაეპი (მარცვლების თვლის დროს ზოგჯერ მაგიდაზე თითების რიტმულ კაკუნსაც იშველიერენ ხოლმე). მაღალი შაირის სქემატური გამოსახულებაა: 4/4//4/4; დაბალი შაირის სქემაა: 3/5//3/5 ან — 5/3//5/3.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის კიდევ ერთი არსებითი თავისებურებაა ტროპული მეტყველება. როგორც იცით, ტროპი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ სიტყვას ეწოდება. ტროპებია თქვენთვის ცნობილი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები: **მეტაფორა, გაპიროვნება, შედარება, ეპითეტი.**

„ვეფხისტყაოსნის“ ტროპულ სისტემასაც ისევე, როგორც მის სხვა კომპონენტებს, რუსთაველის ესთეტიკური მრნამსი (მის მიერ დასახული მხატვრული ამოცანა) განაპირობებს. ტროპული მეტყველება ახალი დროის ლიტერატურაში გმირის, საგნისა თუ მოვლენის თავისებურების ცხადად წარმოჩენას ემსახურება და მხატვრული ენის ესთეტიკურ ზემოქმედებას გამომსახველობით საშუალებათა ორიგინალურობადა განუმეორებლობა აძლიერებს (მაგ., „ნისლი ფიქრია მთებისა“, „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“ და ა.შ.), რუსთაველი კი იდეალურ გმირებს ხატავს. კონკრეტული შტრიჩების გამოკვეთა არ არის მისი მიზანი. მზეს, მთვარეს, მნათობებს მოიხმობს იგი თავისი გმირების დასახატავად. იქმნება ამაღლებული ხატი, მაგრამ არა – კონკრეტული პორტრეტი. მაგალითად, „გარდახდა და თაყვანი სცა ლომთა ლომმან მზეთა მზესა“ – შეუძლებელია კონტექსტის გარეშე მიხვდეს მკითხველი, რომ ავთანდილი ეგებება თინათინს, ან კიდევ: „ტან ალვა, ბაგებადახში, სახედავითა შავითა“, ე.ი. იხატება ტანი – ალვის მსგავსი, ლალისფერი ბაგები, შავი თვალები. ეს მეტაფორები შეჰქონის „ვეფხისტყაოსნის“ ყველა იდეალურ გმირს, კონტექსტით კი ნესტანია ნაგულისხმევი.

ხშირად პოემაში გმირთა სულიერი მდგომარეობაც მეტაფორათა საშუალებით ვლინდება; მაგალითად, ტარიელი თავისი განცდების გამო ეტყვის ავთანდილს: „სისხლისა ღვარმან შეღება ნითლად გიშრისა ტევრები“. სისხლის ღვარი აქ ცრემლის აღმნიშვნელი მეტაფორაა, გიშრის ტევრი კი – წამნამების.

მეტაფორული აზროვნება არის რუსთაველის პოეტური ენის განმსაზღვრელი. რუსთაველის პოეტიკის აღმოსავლურ პოეზიასთან, კერძოდ, სპარსულ პოეტურ ტრადიციასთან შეხმიანება ყველაზე მეტად სწორედ ამ სფეროში იგრძნობა.

გამოვიყენოთ კითხვის სტრატეგია

როგორ წავიკითხოთ ვრცელი ეპიკური პოემა. „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ვრცელი ნაწარმოების შესწავლა თქვენ პირველად გიწევთ. შესაბამისად, გარკვეული სტრატეგიის გარეშე ამის გაკეთება ალბათ გაგიჭირდებათ.

როგორ უნდა მოიქცეთ ვრცელი ეპიკური ნაწარმოების შესწავლისას?

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოთ ნაწარმოების **კომპოზიციას** (აგებულებას).

თავებად დაყოფა „ვეფხისტყაოსნის“ ის **კომპოზიციური** თავისებურებაა, რომელიც სრულიად აშკარა და, ცხადია, ტექსტის აღქმას აიოლებს, მაგრამ არსებობს **სილრმისეული** კომპოზიციაც, რომელსაც ნაწარმოების **სიუჟეტური** ხაზი განაპირობებს და ტექსტის სრულყოფილი აღქმისთვის სწორედ ეს სიუჟეტური ხაზი არ უნდა გაგისხლოთ მხედველობიდან. კერძოდ, პოემაში გადმოცემულია ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის ამბავი. ეს ორი სიუჟეტური ხაზი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული და პოემის კომპოზიციურ ღერძს ქმნის. პოემის ერთი ეპიზოდიდან სათავეს იღებს მეორე, მეორედან – მესამე და ა.შ. მაგალითად, თინათინის გამეფებას მოჰყვება მეფის მოულოდნელი დაღრეჯილობა, როსტევანის მოწყენას – შეჯიბრი ნადირობაში, შეჯიბრს – უცხო მოყმის ნახვა და, ამდენად, – ახალი საფიქრალი და საგონებელი, რომელსაც ნათელი უნდა მოეფინოს; სატრაფოს

დავალებით უცხო მოყმის საძებრად ავთანდილის წასვლას მოჰყვება ახალი უფრო და უფრო მძაფრი სიტუაციები; ასე გრძელდება კულმინაციამდე – ქავეთის ციხის აღებამდე. ამას მოჰყვება კვანძის გახსნა და მოქმედების დაგვირგვინება. მთავარ იდეას და ძირითად კომპოზიციურ ლერძს ექვემდებარება პოემის ყველა ეპიზოდი, ყოველი დეტალი.

ნაწარმოების შესწავლას, ცხადია, ხანგრძლივი დრო დასჭირდება, სიუჟეტური ხაზისათვის თვალის მიღებენება და მნიშვნელოვანი დეტალების დამახსოვრება რომ შეძლოთ, ამისთვის სასურველია, ყოველი ვრცელი სიუჟეტური მონაკვეთის (და არა ყოველი თავის) შემდეგ შეავსოთ „სამახსოვრო ფურცელი“, რომლის ნიმუშსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

სამახსოვრო ფურცელი 1

პირობითი სათაური	თინათინის გამეფება
პოემის შესაბამისი თავები და სტროფები	„ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“; „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“. სტროფები: 33-85.
მოქმედი პირები	ჩამოთვალეთ მოქმედი პერსონაჟები.
ფაბულა	რამდენიმე წინადადებით გადმოცით ამ მონაკვეთის შინაარსი.
სამახსოვრო ადგილები	ამოინერეთ ტექსტიდან მნიშვნელოვანი ციტატები.

მასწავლებელთან შეთანხმებული ყოველი ასეთი სიუჟეტური მონაკვეთის დასრულების შემდეგ შეავსეთ „სამახსოვრო ფურცელი“; შეარჩიეთ შესწავლილი მასალიდან თქვენთვის ყველაზე საგულისხმო სამი ციტატა (სამი მნიშვნელოვანი სტროფი) ან სამი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, წარმოადგინეთ ისინი კლასის წინაშე და განმარტეთ, რატომ შეაჩერეთ მათზე ყურადღება.

თინათინის გამეფება

- I თავი. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა.
- II თავი. როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა
(სტროფები: 33-85)

ტექსტის კითხვისას დაკვირდით:

- საიდან იღებს სათავეს პოემის ფაბულა (პოემაში გადმოცემული ამბავი) და რომელი ცნობილი ისტორიული ფაქტის (ცხადია, საქართველოს ისტორიდან) გამოძახილი მოისმის მასში.
- მნიშვნელოვან სახელმწიფო გადაწყვეტილებას მეფე ერთპიროვნულად იღებს, თუ სამეფო კარის უპირველეს წარჩინებულებთან, ვეზირებთან, დათათბირების შემდეგ.
- როგორ აღნერს ავტორი სამეფო კარის ცხოვრებას: მეფედ კურთხევის რიტუალს, საზეიმო ნადიმს, საბოძვარის უხვად გაცემას. ეს ჩვეულებები საქართველოს მეფეთა კარზე ისევე იყო მიღებული, როგორც იმდროინდელ ევროპასა და აღმოსავლეთში.
- რუსთველოლოგის ფუძემდებლის, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემლის, ვახტანგ VI-ის (1675-1737), აზრით, პატრონუმურ საზოგადოებაში მოყვებს (რაინდებს) ომში ვაჟკაცური შემართების გამოჩენა მართებდათ, მშვიდობის უამს კი ომისათვის მზადყოფნა. რომელ სცენაში ჩანს ეს მზადყოფნა მოცემული თავების მიხედვით.
- მეორე თავის პირველი სტროფი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის მინიშნებული ავთანდილის აღნერაში, რომ როსტევან მეფესთან შეჯიბრში სწორედ მან უნდა გაიმარჯვოს.
- პოემის პერსონაჟთა მეტყველებას დარბაისლური ტონი და ამაღლებული ინტონაცია გამსჭვალავს. ისინი თავიანთ სათქმელს ჯერ ალეგორიებით შეამზადებენ და შემდგომ აკონკრეტებენ.
გავიხსენოთ: **ალეგორია** მხატვრული ხერხია, რომლის მეშვეობითაც აბსტრაქტული ცნება ან იდეა კონკრეტული სახეების საშუალებით გამოიხატება.

დავიდრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I თავი

1. რა ეპითეტებით ამკობს ავტორი როსტევან მეფეს?
2. როგორ იხატება თინათინის მშვენიერება? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილები).
3. როგორ შემოჰყავს ავტორს პოემაში ავთანდილი?
4. რომელ სტროფში აისახა როსტევან მეფის ურყევი, მტკიცე ნება, რომელსაც ყველა ქვეშევრდომი უყოფანოდ უნდა დაემორჩილოს?
5. რას მიიჩნევს როსტევანი მეფური დიდების უპირველეს გამოვლინებად?
6. როგორ იჩინა თავი თინათინის თავმდაბლობამ, სიბრძნემ?

7. რა კონტრასტს მიმართა პოეტმა? რამ შეცვალა ნადიმის დროს საერთო მხიარულება, საზეიმო განწყობილება?
8. როდის იჩინა თავი იუმორმა, საღალობო ხუმრობამ?
9. როსტევან მეფემ თავისი სიბერე უკვე მეორედ ახსენა. რით იყო იგი ამჯერად უკმაყოფილო?
10. რა შესთავაზა ავთანდილმა მეფეს?

II თავი

11. რომელი ომახიანი შეძახილით გამოიხატა მონადირეთა საზეიმო განწყობილება?
12. მოიძიეთ შთამბეჭდავი ჰიპერბოლისა და ალიტერაციის მაგალითები ნადირობის დინამიკურ სურათში.

გავიხსენოთ: **ჰიპერბოლა** მხატვრული ხერხია, რომელიც ამძაფრებს და აზვიადებს რეალურ მოვლენებს, **ალიტერაცია** კი ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვნების გამეორებას ეწოდება (მაგ., „დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით...“).

13. როგორ შესვდა როსტევან მეფე თავისი „გაზრდილის“ გამარჯვებას?
14. რა არის აღნერილი მეორე თავის ბოლო სტროფში? რის ფონზე იხატებიან ნადირობის მონაწილენი? რატომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება თორმეტ მონას?

სამახსოვრო ადგილები:

- „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორქმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“. (33)
- „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“. (34 — 1, 2)
- „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურთასა საბალნაროსა“. (36 — 2, 3)
- „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია, ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“. (37 — 3, 4)
- „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია,
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. (40 — 1, 4)
- „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა, საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა, ჯერთ უნვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა. მას თინათინის შვენება, ჰკლვიდის ნამწამთა ჯარისა“. (41)



სერგო ქობულაძე — თინათინის გამეფება

- „არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან;
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“. (44)
- „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“. (48 — 2, 3)
- „ვარდთა და ნეხვთა ვინათვან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი — ზღვათაცა შესდის და გაედინების“. (50)
- „რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია“. (51 — 4)
- „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
.....
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“. (52 — 1, 4)
- „მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“. (53 — 4)
- „დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძონეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“. (74)
- „აჰა, მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!“. (77 — 4)
- „ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს.
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს“. (78 — 1, 2)

უცხო მოყმის ნახვა. მიჯნურის დავალება

- I. ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა
- II. თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად
- III. წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა
(სტრ. 86-181)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ახალი თავის დასაწყისში არაბთა მეფე და მისი მხლებლები წყლის პირას განმარტოებულ უცხო მოყმეს ნახავენ. რა მიანიშნებს იმაზე, რომ ეს პერსონაჟი მკითხველს შეიძლება მალე პოემის მთავარ გმირად მოევლინოს.
- შუა საუკუნეების ევროპაში რაინდს ფარზე შესაფერი გერბი ჰქონდა გამოსახული. შერქმეული სახელი ხშირად აქედან მომდინარეობდა. სერვანტესის ცნობილი რომანის მთავარი გმირი დონ-კიხოტი, თავის ერთგულ საჭურველმტვირთველს, — სანჩო-პანსას ჩამოუთვლის ცნობილ რაინდებს, რომ-

ლებმაც დიდად გაითქვეს სახელი. ასეთნი ყოფილან „ტყის“, „მარტორქის“, „მგზნებარე მახვილის“, „ფენიქსის“, „ფასკუნჯის“ რაინდები. სხვადასხვა სარაინდო წიგნში მოთხრობილია „ოქროს არნივის“, „შროშანის“, „განგმირული გულის“, „შავი ლეოპარდის“, „შავი ლომის“, „თეთრი ვარსკვლავის“ და სხვა რაინდების საგმირო საქმეები. რა სახელს შეარქმევდით წყლის პირას განმარტოებულ რაინდს (დაკვირდით მის ჩაცმულობას).

დავითის და გავაანალიზოთ, ჟავაფასოთ:

I.

1. სად განმეორდა პოემის სათაურის შემდეგ სიტყვა — ვეფხისტყაოსანი?
2. შეადარეთ ერთმანეთს პოემის 74-ე და 86-ე სტროფები. შინაარსის გარდა, რა განწყობილება, რა ფერები განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?
3. თქვენი აზრით, რატომ არის უცხო მოყმის ცხენი შავი ფერის? (გაითვალისწინეთ 74-ე სტროფთან დაკავშირებული წინასწარი შენიშვნა).
4. რაზე მეტყველებს უცხო მოყმის შავი ცხენის მარგალიტებით შემცული მოსართავი, „მკლავის უსხოსი“ მათრახი?
5. წინა თავის ბოლო ექვსი სტროფი (80-85) დაბალი შაირით (5/3/5/3) არის დაწერილი. უცხო მოყმის გამოჩენისთანავე სალექსო საზომის რიტმი შეიცვალა, ახალი თავი მაღალი შაირით (4/4/4/4) დაიწყო. ხომ არ ქმნის ეს მკვეთრი რიტმული ცვლილება სხვა განწყობას და სიახლის მოლოდინს? (პასუხი დაასაბუთეთ).
6. „ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა“ — როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს გამეორების („ნახეს ... ნახვა მოუნდა ...“) პოეტურ ხერხს რუსთაველი? (იმსჯელეთ კლასში).
7. განსაკუთრებით რამ განარისხა როსტევან მეფე?
8. რატომ განერიდა უცხო მოყმე როსტევანს? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

II

1. მეფედ კურთხევის ცერემონიალის დროს თინათინმა როსტევან მეფის ბრძნული შეგონებები მოისმინა. ახლა ვინ უსმენს თინათინის ბრძნულ რჩევას, შეგონებას?
2. თინათინის აზრით, რა არის წუხილზე (უმოქმედობაზე) უმჯობესი? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო შეგონება).
3. ვინ არის „ყოველთათვის ტკბილად მხედი“, „კეთილისა შემოქმედი“? რა აზრი გამოიკვეთა თინათინის მიერ დასმული კითხვებით? შეიძლება თუ არა, ამ აზრის თანახმად, ღვთისგან მომდინარეობდეს ბოროტება?
4. რა რჩევა მისცა თინათინმა მამას?
5. რით დასრულდა უცხო მოყმის ძებნა?
6. მიჯოურთან შეხვედრა ავთანდილს დიდად ახარებს. რომელი ფრაზით განზოგადდა ეს სიხარული?
7. თინათინის მშვენიერების გადმოსაცემად ერთ სტროფში მოხდენილი შედარება და ჰიპერბოლაა გამოყენებული, მომდევნო სტროფში — მისი გარეგნობის, სამოსლის ემოციურად განცდილი აღნერა. მოძებნეთ პოემის ტექსტში ეს სტროფები.

8. რა იყო თინათინის „დალრეჯის“ (წუხილის), „ქუშად ჯდომის“ მიზეზი?
9. რა დაავალა თინათინმა მიჯნურს? როგორ დაასაბუთა მან თავისი გადაწყვეტილება? ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ 134-ე სტროფში მე-2 და მე-3 ტაქტებს შეუნაცვლეს ადგილები („პირველ, ჩემი მიჯნური ხარ...“; „მერმე, ყმა ხარ...“). რა უხერხულობა შეიქმნება პატრონული ეტიკეტის თვალსაზრისით? (იმსჯელეთ კლასში).
10. რით დაადასტურა თინათინმა მიჯნურისთვის მიცემული პირობა?
11. რა ეძნელებოდა ყველაზე მეტად ავთანდილს?
12. რას მიიჩნევს მიჯნური ავთანდილი თავის უპირველეს მოვალეობად? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილი).
13. ფეოდალიზმის ხანაში სამეფო კარზე მომხდარი საზეიმო მოვლენები — ტახტის მემკვიდრის დაბადება, უფლისწულის მეფედ კურთხევა — ხშირად მეზობელ ვასალურ სამფლობელოებზე გალაშქრებით აღინიშნებოდა. როგორ აისახა „ვეფხისტყაოსანში“ ეს ტრადიცია?
14. რისი მფლობელი იყო სპასპეტი ავთანდილი?
15. როსტევან მეფის კარზე თათბირს ვაზირები ესწრებოდნენ. ვის ეთათბირება ავთანდილი?
16. რა სიახლე შეიტყო შერმადინმა ავთანდილისაგან?
17. შეადარეთ ერთმანეთს ორი სტროფი (134, 159). რა მსგავსებები შენიშნეთ მათ შორის? რომელ სტროფში გვხვდება ცნობილი აფორიზმი?
18. „ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად“, — ეუბნება ავთანდილი შერმადინს... რა ევალებოდა პატრონის არყოფნაში ყმას? (გაითვალისწინეთ სტრ. 161, 162, 168).
19. რა მნიშვნელობა აქვს პოემის 167-ე სტროფს ავთანდილის პიროვნების დასახასიათებლად? (იმსჯელეთ კლასში).

III

1. ავთანდილმა როსტევანს წასვლის მიზეზად ვასალებზე გალაშქრება დაუსახელა. რა უთხრა მან თავის ქვეშევრდომებს? რატომ შეცვალა ავთანდილმა ადრე ნათქვამი? (იმსჯელეთ კლასში).
2. რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული უურადღება დატოვებულ წერილში? პირველ ყოვლისა, რაზე უნდა იზრუნონ ავთანდილის ხელქვეითებმა?
3. ავთანდილის არყოფნაში ვინ უნდა უპატრონოს მის სამფლობელოს?

სამახსოვრო აღგილები:

- „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვალომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“. (86)
- „ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა“. (87 — 4)
- „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“. (110 — 4)
- „...ჰე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?

რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ (116 — 2,3,4)

- „ამოა ჭვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!“ (125 — 4)
- „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,
ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი“. (127)
- „ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ წაჭორად;
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“. (134)
- „ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე“. (144 — 4)
- „პირველ ყმა ვარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად,—
ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად,—
მერმე, ცეცხლი დაუვსია, ალარა მწვავს გულსა მურად.
ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“. (159)
- „გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“. (163 — 4)
- „....რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად,
მარგალიტი არვის მიჰევდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად.
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“. (167 — 2,3,4)
- „ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი.
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“. (169 — 1,2)
- „....გემუდარები, ამისთვის ვარ თქვენი შემომხვენელი,
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულენელი“. (172 — 3,4)
- „იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანი-სცა“. (181 — 4)

ეს საინფერენცია!

რატომ ტირიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები?

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ხშირად ლვრიან ცრემლს. განსაკუთრებით ხშირად ტირის მიჯნურის დაკარგვით დამწუხრებული ტარიელი (უცხო მოყმე), რაც დღევანდელ მკითხველს შესაძლოა უჩვეულოდ ეჩვენოს. შუა საუკუნეების კულტურის თავისებურებებს თუ გავითვალისწინებთ, ბევრი რამ წათელი გახდება. აი, რას წერს ცნობილი პოლანდიელი ისტორიკოსი და კულტუროლოგი **იოჟან პოიზინგა** (1875-1945): „შუა საუკუნეებში, როცა სამყარო რამდენიმე საუკუნით წაკლები ხნისა იყო, ცხოვრებისეული მოვლენები უფრო მკვეთრ ფორმებში ვლინდებოდა... წუხილსა და სიხარულს, განსაცდელსა და წარმატებას შორის უფრო დიდი ზღვარი იყო. ადამიანები თავიანთ განცდებს მეტი უმუალობითა და სიმძაფრით გამოხატავდნენ. გასათვალისწინებელია იმუამინდელი ადამიანის

მგრძნობიარე ბუნება და განცდათა ცვალებადობა, მუდამ მზად ყოფნა ცრემლის საღვრელად. სხვაგვარი იყო ცხოვრების წესი, განცდათა მეტი დაძაბულობა და მეტი პათოსი ახლდა შუა საუკუნეების ადამიანთა ყოფას. ცხოვრებას ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი ზღაპრის კოლორიტი“. სწორედ ამიტომაა, რომ ცრემლს ღვრიან რუსთაველის ეპოქის აღმოსავლური თუ დასავლური ეპოსის — ფახრ ედინ გორგანელისა და ნიზამის, კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის გმირები...

უცხო მოყმის კვალდაკვალ

- I. ავთანდილისგან მის ყმის ძებნად წასლვა
- II. ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან
(სტრ. 182-285)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ძველი დროის რელიგიური შინაარსის ტექსტებში **მთას, მთად ასვლას** განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა ენიჭებოდა; ბიბლიაში (ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში) ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მთას უკავშირდება: სინას მთაზე მიიღო მოსე წინასწარმეტყველმა ღვთის ათი მცნება, თაბორის მთაზე მოხდა ქრისტეს ფერისცვალება, ელეონის მთაზე — მისი ამაღლება. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი ვერც შუა საუკუნეების ცნობილი მხატვრული ნაწარმოებები იქნებოდა.
- უშედეგო ძებნის შემდეგ ავთანდილი გზამ მაღალ მთასთან მიიყვანა. დააკვირდით, რა ხდება ამის შემდეგ.
- ასმათი პოემაში ახალი შემოყვანილია, ავთანდილის შესახებ კი მკითხველმა უკვე საკმაოდ ბევრი რამ იცის. ყურადღება მიაქციეთ, რა კუთხით დაგვანახებს მათი პირისპირ შეხვედრა ორივე პერსონაჟს.

დავუძირდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I.

1. შინაგანად რა აბრკოლებდა შორ გზაზე მიმავალ ავთანდილს? (183-188)
2. რით გაიმხევა თავი ავთანდილმა მთაზე ყოფნისას? (186)
3. ვის შეხვდა ავთანდილი მთიდან ჩამოსვლის შემდეგ?
4. როგორ აღნერეს ხატაელმა ძმებმა უცხო მოყმის გარეგნობა?
5. შეადარეთ ერთმანეთს 86-87-ე და 109-ე სტროფები. რა შენიშვნეთ?
6. უჩვეულოდ აღქმული შთაბეჭდილებების გამეორება შემთხვევით ხდება, თუ ამით მკითხველის დაინტერესება იზრდება მკვეთრად?
7. რატომ არ მიეჭრა ავთანდილი წინ მიმავალ უცხო მოყმეს? (220-221)
8. როგორ შემოიყვანა ავტორმა პოემაში ახალი პერსონაჟი — ასმათი?
9. მწუხარების, ცრემლის ღვრის გარდა, რა გარეგნული ნიშნით ემსგავსებიან ერთმანეთს უცხო მოყმე და ასმათი?

II.

1. მკითხველმა ტარიელის სახელი პირველად პროლოგიდან შეიტყო. ვისგან ისმინა ავთანდილმა პირველად ეს სახელი?
2. დააკვირდით ორი პერსონაჟის შეხვედრას. პოეტი ავთანდილს არწივს ადარებს, ასმათს კი — კაკაბს (ორგზის) (236, 237). რას ისახავს მიზნად ეს შედარებები?
3. ავთანდილი მიზნის მისაღწევად ასმათისგან (უცხო მოყმის საიდუმლოს გასაგებად) სხვადასხვა ხერხს მიმართავს.
მოძებნეთ ტექსტში და წაიკითხეთ ის სტროფები, რომელებშიც აისახა ავთანდილის თხოვნა, გაგულისებული მუქარა, ცრემლების ღვრით თავის შეცოდება, მალული თვალთვალი, მიჯნურის ხსენებით საწადლის ასრულება.
4. დააკვირდით, როგორ გააქარწყლა ასმათმა ავთანდილის მუქარა (245). რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
5. რამ შეუცვალა ასმათს აზრი? რომელი მოხდენილი ფრაზით გამოიხატა მისი განწყობილების მკვეთრად შეცვლა?
6. პერსონაჟებმა ცრემლი ამჯერადაც ბევრი ღვარეს. როდის იჩინა თავი იუმორმა, ღიმილის მომგვრელმა განწყობილებამ? რისთვის დასჭირდა ავთანდილს ორმოში ჩავარდნილი კაცის იგავის მოხმობა?
7. ტარიელი გამოქვაბულში დაბრუნდა. მას ასმათი შეეგება. პოემის ტექსტში ვკითხულობთ: „ავთანდილ სარქმლით უჭვრეტდა, ტყვე, საკნით ნააზატები“. როგორ უნდა გავიგოთ ეს ფრაზა? (იმსჯელეთ კლასში).
8. როგორ შეამზადა ასმათმა ტარიელი ავთანდილთან შესახვედრად?
9. რისი პირობა მისცა ტარიელმა ასმათს? რა დაიფიცა მან? (დააკვირდით ფიცის ფორმულას) (285-2).

სამახსოვრო აღგილები:

- „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს. (190-4)
- „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების. (195-4)
- „ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშავია,
ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, მერანი რამე შავია, —
თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია,
ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია. (209)
- „ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ-სიწყნარე გონებისა მოიძულვოს, მოიძაგოს“. (220-3,4)
- „შენ ერთხელ იტყვი, „მითხარო“, მე ასჯერ გითხრობ „ვერასა,“
ვითა სიცილი ტირილსა, ვაგლახი მიჯობს მღერასა“. (240-3,4)
- „ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე-მქმენ ანუ მააზატე,
ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე“. (256-3,4)
- „ან მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი“. (257-4)
- „ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰეგავსო არა სხვასა:

ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭისა,
ზედა მიდგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იზახის ვაგლახ-ვასა.

ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“;
მას ქვეშეთსა გაეცინნეს, გაუკვირდა მეტად კიდე,
შემოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“ (260-261)

- „ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან
დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შეპხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;
დადუმდეს, ცრემლი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან“. (271)

ტარიელი თხრობას იწყებს

- I. შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა
- II. ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო
- III. ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა
- IV. წიგნი წესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი
- V. წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი
- VI. წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა
- VII. წესტანისაგან ტარიელის ხმობა
- VIII. წიგნი ხატაელთა მეფისა ტარიელის წინაშე მიწერილი
- IX. ტარიელისა და წესტანის პირის-პირ შეყრა

(სტრ. 286-425)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ავთანდილმა საწადელი აისრულა, ტარიელს პირისპირ შეხვდა. ორი მოყმის დამეგობრებას და ტარიელის მიერ თავისი თავგადასავლის თხრობას მკითხველი გადაჰყავს ახალ სიუჟეტურ რკალში, რომელშიც უფრო მეტად იჩენს თავს მითოსური და ზღაპრული ელემენტები.
- წესტანის ხილვის შემდეგ ტარიელი სამ დღეს უგონოდ იყო (359-1, 2). წუთისოფლისგან სამდლიანი გარიდება პიროვნების სულიერი განვითარების გზაზე შედგომის მომასწავებელია მრავალ მითოლოგიურ, ფოლკლორულ თუ ადრინდელ ლიტერატურულ ძეგლში (ბიბლიური წინასწარმეტყველი იონა სამ დღეს იყო ვემაპის მუცელში, ბიბლიურმა იოსებმა სამი დღე დაჰყო ჭაში, სამი დღის მკვდარი იყო ლაზარე, სანამ მას მაცხოვარი მკვდრეთით აღადგენდა და ა. შ.).
სამდლიანი უგონოდ ყოფნის შემდეგ იწყება დიდი სიახლე ტარიელის არსებაში. იწყება მიჯნურობის გზა.
- გულდასმით წაიკითხეთ 137-ე, 141-ე, 419-ე, 421-ე სტროფები. ყურადღება მიაქციეთ სამიჯნურო ფიცის ფორმულებს.

დაკვირდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I

- დააკვირდით ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრას. როგორ გგონიათ, რამ განაპირობა პირველი შეხვედრისთანავე მათ შორის ნდობა და სიყვარული?
- რომელი მეტაფორით მიანიშნა პოეტმა, რომ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ტარიელის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა? (290)
- ავთანდილს უხდება უცხო მოყმესთან შეხვედრის გახსენება, რაც მკითხველ-მა წინა თავებიდან უკვე კარგად იცის. ამჯერად რამდენი სტროფი დასჭირდა ადრე ვრცლად მოთხრობილი ამბის მოკლედ გადმოცემას? (მოინიშნეთ სტროფების ნომრები).
- რა გაიხსენა ტარიელმა? რატომ გარიდებია იგი მეფეს?
- როგორ გადმოიცა მოკლე რაინდული მისალმება?
- სახარებაში ნათქვამია: „უფროდისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვისი დადვას მეგობართა თკსთათვს“ (იოანე, 15, 13). ავთანდილის რომელი სიტყვები შეესაბამება სახარების ამ შეგონებას?
- რა მიაჩნია ტარიელს ავთანდილის მეგობრული თავდადების მთავარ მიზეზად? რა „წესი“ ახსენა მან?
- რისი იმედი ჰქონდა ასმათს?
- რატომ დასთანხმდა ტარიელი თავისი თავგადასავლის მბობას? (311).
- დააკვირდით თავის დასასრულს ტარიელის მწარე მოთქმას. როგორ მოიხსენიებს იგი დაკარგულ საყვარელ არსებას?

II

- რა მსგავსება შეინიშნება მეფეების — როსტევანისა და ფარსადანის — დახასიათებაში? (სტრ. 33 და 316)
- ტარიელის მამის, სარიდანის, რა გადაწყვეტილება შეესატყვისება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დადასტურებულ ქვეყნის გაერთიანების ტენდენციას?
- თვალი მიაფევნეთ ტექსტში შემდეგ ადგილებს: 324 — 4; 325 — 2, 3; 332 — 4; 333 — 2, 4; 337 — 3, 4). რა არის მათში გადმოცემული?
- რა უნდა იყოს ტარიელის მიერ თავის მართლების მიზეზი? (შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხის ვარიანტი).
 - ამგვარი თავმომწონეობა ტარიელის მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური თვისებაა.
 - ამას ითხოვს ნაწარმოების ჟანრის სპეციფიკა — მთავარი გმირი იდეალური თვისებებით უნდა წარმოჩნდეს.
- დააკვირდით პოემის 327-ე სტროფს. რა მნიშვნელობას იძენს ფარსადან მეფის ასულის დაბადება? რა ხდებოდა ამ დროს ინდოეთის სამეფოში? როგორ ეხმიანებოდა მეფის ასულის დაბადებას ცა, მზე და მთვარე?
- რა უძლოდა წინ ტარიელის მიერ ნესტანის სახელის ხსენებას? როგორ წარმოჩნდა ამ დროს ტარიელი? (330).
- როგორ იხატება ის ზღაპრულ-ჯადოსნური გარემო, რომელშიც ფარსადან

მეფე თავის მზეთუნახავ ქალიშვილს ამყოფებს? (მოძებნეთ ტექსტში სათა-ნადო ადგილი).

8. ვინ შეურჩია ფარსადანმა ქალიშვილს სიბრძნის მასწავლებლად?
9. რა ებოძა ტარიელს სარიდანის გარდაცვალების შემდეგ?
10. რის მოლოდინს უქმნის მკითხველს ამ თავის დასასრულს ტარიელის მიერ მუხთალი წუთისოფლის გმობა?

III-IX

1. როგორ გაუმიჯნურდა ტარიელი ნესტანს? რა მოჰყვა ფარდაგის წამიერ გადაწევას?
2. რა ისურვა მომჯობინებულმა ტარიელმა?
3. თინათინმა პირველმა გაუმხილა სიყვარული ავთანდილს. ასევე იქცევა ნესტან-დარეჯანიც. რას გვამცნობს ეს ფაქტი ამ პერსონაჟთა ხასიათზე?
4. საგმირო საქმეებით სიყვარულის განმტკიცებას მოითხოვს სამიჯნურო წესი. რა საგმირო დავალება მისცა ნესტანმა ტარიელს?
5. რით უნდა აიხსნას ტარიელის საპასუხო წერილის სიმოკლე? ვის დააბარა მან დანარჩენი სათქმელი?
6. რა როლი დაუკისრებია ნესტანს ასმათისთვის? რისი გამუღავნება არ სურდა ნესტანს?
7. რა არჩია ასმათმა ძღვნად მორთმეულ ძვირფას თვლებს? რაზე მეტყველებს მისი ამგვარი საქციელი?
8. დააკვირდით ტარიელის მიერ ხატაეთში გაგზავნილ წერილს. დაშინება, მუქარა უფრო იგრძნობა მასში თუ ზრდილობიანი ტონი, ეტიკეტის დაცვა? როგორ ფიქრობთ, იგრძნობა თუ არა ტარიელის წერილში რაინდული კოდექსის გამოძახილი?
9. მცირე ხნის განმავლობაში ნესტანი და ტარიელი პირისპირ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ეს ორი შეხვედრა?
10. დააკვირდით, როგორ არის აღწერილი ნესტანის გარეგნობა „მდუმარე დიალოგის“ (ე. ი. პირველი შეხვედრის) დროს. რა ელფერით გაამდიდრა პოეტმა ნესტანის სახე მეორე შეხვედრის აღწერისას?
11. ტარიელის წერილისგან განსხვავებით, როგორი ტონი იგრძნობოდა რამაზ მეფის საპასუხო წერილში?

სამახსოვრო ადგილები:

- „მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპრიდეს,
...
ყელი ყელსა გარდააჭვდეს, ერთმანერთსა აუტირდეს“ (288 — 1, 3)
- „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული“. (290 — 1)
- „ამა დღემან დამავიწყა გული ჩემი ვინ დაბინდა;
...
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“ (304 — 1, 4)

- „....წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების“. (305 — 3)
- „ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იძოს, ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს“. (311 — 1, 2)
- „ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად; მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“. (324 — 3, 4)
- „ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა; სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“. (337 — 3, 4)
- „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია“. (345 — 3)
- „მიმნდონი საწუთოსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან, ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“. (353 — 3)
- „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!“ (383 — 1, 2)
- „წა, შეები ხატალთა, თავი კარგად გამაჩვენე“. (325 — 3)
- „თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით“. (394 — 3)
- „შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა“. (422 — 4)

ეს საინფერენცია!

ტარიელის „დაბნედასა“ და გამომჯობინებას მოსდევს მიჯნურთა შეხვედრის ორი ეპიზოდი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მართალია, ნესტანი ადრე თავად გამოუტყდა სიყვარულში ტარიელს, მაგრამ მასთან პირველი შეხვედრისას კდემისგან სიტყვის დაძვრა ვერ შეძლო. **ილია ჭავჭავაძემ** „გენიოსური კალმის მოსმა“ უწოდა მიჯნურთა ამ „მდუმარე დიალოგს“. „დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია“, — დასძინა მან. რიდი, კრძალვა, სინაზე ახლავს მიჯნურთა მეორე შეხვედრასაც.

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ლიტერატურული ტრადიციის შესაბამისად, მითის, ზღაპრის, ეპოსის არაერთი ქალი პერსონაჟის მსგავსად, ნესტანი საგმირო დავალებას აძლევს მიჯნურს. ეს მოტივი მიჰყვება გარკვეულ ქარგას, მაგრამ ნესტანი ტარიელს გველებაპის ან დევების დამარცხებას კი არ სთხოვს, არამედ სახელმწიფოებრივ მიზანს უსახავს და გაურჩებული ხელქვეითის შემომტკიცებას ავალებს. პატრონული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეალები ფონს უქმნის პოემას და, შესაბამისად, მეფის ასული, ნესტანი, მტერთან შებმას ითხოვს მიჯნურისაგან.

ხატაეთის ომი. თათბირი ინდოთ მეფის სასახლეში

- I. ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი
- II. ნიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა
- III. ნიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი
- IV. ტარიელის ტირილი და დაპნედა
- V. ნიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი
- VI. რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა
- VII. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა
(სტრ. 426-553)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- გამარჯვებული ტარიელი ხატაელთა საჭურჭლიდან ნესტანს ძლვნად ყაბაჩასა და რიდეს შეურჩევს. სამშობლოში დაბრუნებულ მიჯნურს ნესტანი წერილს მისწერს, თავის სამკლავეს გაუგზავნის და საჩუქრად ხატაეთიდან ჩამოტანილ რიდეს სთხოვს. დაიმახსოვრეთ! — სიუჟეტის განვითარებაში რიდესა და სამკლავეს გარკვეული როლი დაეკისრება.
- ნესტანის წერილი ყურადღებას სხვა მხრივაც იქცევს. მასში ჩართულია ორი სტროფი, რომლებშიც მიჯნური ქალის ნატიფი გრძნობა და აღტაცება ძალზე დახვენილი სალექსო ფორმით არის გადმოცემული. პოეტი მიზნის მისაღწევად გამოყენებული აქვს ზუსტი რითმის სახე — **ომონიმური რითმა, რაც ერთ-ნაირი ბეგერნერისა და სხვადასხვა შინაარსის მქონე სიტყვების ან სიტყვათა კომპლექსების გამეორებას გულისხმობს (I სტროფის ომონიმური რითმაა უშენსა, II-ისა კი — არიდენო).**
- არაბეთის სამეფოს მშვიდი ცხოვრებისგან განსხვავებით, ინდოეთს სერი-ოზული პრობლემები ექმნება. გაურჩებული ხატაელების დამორჩილების შემდეგ ქვეყანას სხვა საფრთხე დაემუქრა — სამეფო კარი გადაწყვეტს ნესტანს საქმროდ ხვარაზმელი უფლისწული მოჰკვაროს. ეს ამბავი „ქართლის ცხოვრებაში“ აღნერილი ერთი ფაქტის თავისებურ გამოძახილად მიიჩნევა; როცა თამარს უცხო ქვეყნიდან სასიძოს ჩამოყვანის გადაწყვეტილება გაუგია, დიდებულებისთვის უთქვამს: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე... მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე (სიმრუდე) მისი“. თამარის აზრი არ გაუთვალისწინებიათ და სასიძო რუსეთიდან მაინც ჩამოუყვანიათ. თამარ მეფის შიში გამართლებულა და ამ ქორწინებით საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე დამდგარა. ბოლოს უცხო ქვეყნიდან ჩამოყვანილი სასიძო განსადევნი გამხდარა და მის გამო ქართველთა სამეფო კარს შემდგომაც შექმნია პრობლემები.
- მთვარე ნესტანის მყარი მეტაფორაა. იგი პირველად გვხვდება ტარიელისა და ნესტანის თათბირის ეპიზოდში (526). მომავალში ეს მეტაფორა არაერთხელ გამეორდება და ბოლოს განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას შეიძენს ქაჯეთის ციხის აღებისას.



სერგო ქობულაძე — ომი ხატაელებთან

- „თათბირისა და გამორჩევის“ ეპიზოდში განრისხებული ნესტანის სახეს პირველად მიესადაგა მძვინვარე ვეფხვი (528). სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ვეფხვი, როგორც ნესტანის მეტაფორა, რამდენჯერმე შეგვახსენებს თავს.

დავით გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I

- რა შეიტყო ხატაეთისკენ მიმავალმა ტარიელმა?
- რამაზ მეფის მიერ ინდოეთის ბატონობისგან თავის დაღწევის სურვილი დღევანდელი მკითხველისთვის მიუღებელი შეიძლება არც აღმოჩნდეს, მაგრამ რამდენად არის მოსაწონი რამაზ მეფის განზრახვა, სიცრუით, თვალთმაქცობით აუბნიოს თავგზა ტარიელს?
- რა ტაქტიკური სვლა მოიფიქრა ტარიელმა? ვის დაეთათბირა იგი?
- ინდოეთის ლაშქარმა სრული გამარჯვება მოიპოვა. ომის დასრულებიდან საკმაო ხანია გასული, მაგრამ ტარიელი კვლავ საბრძოლო ჟინით ატანილი უყვება ავთანდილს ხატაელებთან ომის ამბავს.
როგორი ექსპრესით არის გადმოცემული ტარიელის საბრძოლო შემართება? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო სტროფები).
- დააკვირდით 451-ე სტროფს. რა უჩვეულო ენობრივი ფორმების გამოყენება დასჭირდა ავტორს ტარიელის საბრძოლო შემართების გადმოსაცემად?

II-VII

- აღწერეთ ხატაელებზე გამარჯვების ზეიმი ფარსადან მეფის კარზე.
- სიმამაცისა და შეუპოვრობის გარდა, რას მოითხოვდა მოყმისაგან რაინდული ზნეობა? (474, 476 — 1, 2).
- რა განცდა დაეუფლათ პირისპირ მსხდარ ნესტანსა და ტარიელს ნადიმის დროს? ვისი რიდი ჰქონდათ მიჯნურებს? რომელი ფრაზით განაზოგადა ტარიელმა „საყვარლის ჭვრეტით“ მონიჭებული ბედნიერება?
- რა სიხარული ელოდა ტარიელს ნადიმის შემდეგ?
- რა მოითხოვა ნესტანმა მიჯნურისთვის გაგზავნილი სამკლავის სანაცვლოდ?
- ტარიელის ნაამბობს პოემის თითქმის ერთი მეხუთედი (სტრ. 315 -665) აქვს დათმობილი. ტარიელი ამბის თხრობას მხოლოდ ერთხელ შეწყვეტს და მას, როგორც მთხრობელს, ავტორი შეენაცვლება. რამ გამოიწვია ტარიელის დადუმება?
- რამ დააკარგვინა ტარიელს სულიერი სიმშვიდე? რატომ მოპეზრდა მას „სულ-დგმულობა“ (სიცოცხლე)?

VI-VII

- რა მოპყვა გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს? რა უსიამოვნო ამბავი შეიტყო სასახლეში სათათბიროდ მიწვეულმა ტარიელმა?

2. რატომ არ შეენინაალმდეგა ტარიელი ხვარაზმშას ვაუზე ნესტანის გათხოვებას?
3. როგორ გამოხატა ტარიელმა მეფისა და დედოფლის გადაწყვეტილების გამო თავისი განცდები?
4. როგორ ხვდებოდა ასმათი ნესტანთან დაბარებულ ტარიელს? ამჯერად რის ნიშანს იძლევა მისი დუმილი და ცრემლები?
5. გაიხსენეთ მიჯნურების პირველი შეხვედრა. როგორი იყო ნესტანი მაშინ? რა მკვეთრი განსხვავება შენიშვნეთ მის საქციელში ამჯერად?
6. რომელმა მეტაფორამ დაიტია ნესტანის არაჩვეულებრივი შინაგანი ძალა, შეუპოვრობა და მისი არნახული სილამაზე? (528).
7. რა დასდო ბრალად ნესტანმა თავის მიჯნურს?
8. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნესტანს მრავლისმეტყველი დუმილიც ძალუძს და დაუნდობელი რისხვა-მუქარაც? როგორ შეიცვალა ნესტანი მას შემდეგ, რაც ტარიელისგან სარწმუნო თავის მართლება მოისმინა?
9. რა გადაწყვეტილება მიიღეს ნესტანმა და ტარიელმა?
მიჯნურობის გარდა, რა ედო საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას?
ვისგან მომდინარეობდა სამოქმედო გეგმა?

სამასტო ადგილები:

- „კარგი საქმე კაცსა ზედა, აზომ თურე არ წახდების“. (438 — 1)
- „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“. (446 — 3)
- „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰედეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!“ (452 — 3, 4).
- „შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი“... (453 — 1, 2)
- „ორგული და მოლალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!“ (474 — 3, 4)
- „.... ღმერთი ვინათვან შეუნდობს შეცოდებულსა,
უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“. (476 — I, II).
- „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰევანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული“... (528 — 1, 2)
- „ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!“... (534 — 1, 2)
- „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა“. (543 — 4)
- „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“. (546 — 4)
- „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. (548 — 4)

სასიძოს სიკვდილი. ნესტანის გადაკარგვა

- I. ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორნილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა
- II. ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა
- III. ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელს შეეყარა
- IV. შველა ტარიელისაგან ფრიდონისა
- V. ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა
(სტრ. 554-676)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ინდოეთის მეფის კარზე მომხდარ მკვლელობას მოჰყვება ერთმანეთთან დაკავშირებული დრამატიზმით აღსავსე ამბების უწყვეტი ჯაჭვი: ტარიელის განდგომა, ფარსადან მეფისადმი მისი მუქარა, დავარის მიერ ნესტანის დადანაშაულება და დასჯა; შემდეგ — ზღვაში გადაკარგვა, დავარის თვითმკვლელობა, ნესტანის საძეპნელად ტარიელის ზღვა-ზღვა უშედეგო ცურვა, ველად გაჭრა, უკიდურესი სასოწარკვეთა და ა. შ.
- ადრე ნანახსა და განცდილს — ფარდაგის გადაწევას, ნესტანის ხილვას, გამიჯნურებას, სამდლიან უგონოდ ყოფნას ახლა სასიძოს მოკვლა, კიდობნით მზეთუნახავის ზღვაში გადაკარგვა, მისი დატყვევება და ქაჯეთის ციხეში გამომწყვდევა დაემატება. ყველაფერი ეს კომპოზიციური დეტალებია და ამასთან მათ სხვა აზრობრივი დატვირთვაც აქვს; ასე, ფათერაკთა გადალახვით, ეძიებს ზღლაპრის გმირი ჭაბუკი თავისი მზეთუნახავს; მრავალი თავგადასავლის შემდეგ ასე მოიპოვებს ოდისევსი პენელოპეს (პომეროსის „ოდისეა“); ასე ეძიებს მაჯნუნი ლეილს, ხოსროვი — შირინს (ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანი“ და „ხოსროვშირინიანი“). მსგავსი პარალელების მოხმობა მრავლად შეიძლება. როგორც ვხედავთ, რუსთაველი თავისი გრანდიოზული მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად ცნობილ სიმბოლოებსა და მითოლოგებს¹ იყენებს.

დავუიძეთ, გავაანალიზოთ, შევაზასოთ:

I-II

1. ტარიელმა ჯერ დიდი პატივით მიიღო სასიძო — ხვარაზმელი უფლისწული, შემდეგ კი ნესტანის დავალებით მოკლა იგი. რომელი აფორიზმით გაამართლა ნესტანმა თავისი განზრახვის სისწორე? როგორ ფიქრობთ, ამართლებს თუ არა პოემის ავტორი ნესტანის საქციელს (დააკვირდით სიუჟეტის შემდგომ განვითარებას. რა მოჰყვა ამ ამბავს?);
შეიძლება თუ არა, პოემის გმირთა საქციელი ეპიკური ფაბულისათვის დამახასიათებელი უანრული თავისებურებით აიხსნას? (პასუხი დაასაბუთეთ).
2. რა პასუხი გასცა ფარსადან მეფეს ტარიელმა? რა ბედი ეწია დავარს? ვის დაუსჯია ნესტანი?
3. რა გადაწყვეტილება მიიღო ტარიელმა?

1 მითოლოგება – მოვლენა ან გმირის მოქმედება მითში ან მითოლოგიურ ეპოსში.

4. ვინ გაიყოლა ნესტანის საძებრად მიმავალმა ტარიელმა?
5. რით დასრულდა ზღვა-ზღვა ცურვა?

III-V

1. მომდევნო თავში უთუოდ მიიქცევს ყურადღებას 599-ე სტროფი; მასში ფრი-დონის მძიმე სულიერი და ფიზიკური შეჭირვებაა ნაჩვენები.
რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფრიდონს განსაცდელი გადაუტანია?
დააკვირდით გვერდიგვერდ მოხმობილ ზმნებს. რას ემსახურება ეს?
როგორი მოულოდნელი ბგერწერა გამოიყენა ავტორმა ფრიდონის მრისხანების გადმოსაცემად?
2. ადრეითქვა, რომ ავთანდილმა და ტარიელმა ნახვისთანავე ერთმანეთს „უცხო-ობით არ დაპრიდეს“. რას იტყვით ტარიელისა და ფრიდონის შეხვედრაზე?
3. რა იყო ბიძაშვილებთან ფრიდონის უთანხმოების მიზეზი?
4. როგორ არის აღწერილი ფრიდონის სამფლობელო — მულდაზანზარი?
5. რას დაპრიდა ტარიელი ახალგაცნობილ მეგობარს?
6. შეადარეთ ერთმანეთს ფრიდონის ბიძაშვილებთან სამხედრო დაპირისპირებისა (620, 621) და ხატაეთის დიდი ომის (451-454) ეპიზოდები.
რა განასხვავებს ამ ეპიზოდებს ერთმანეთისაგან?
რით ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს? (დააკვირდით იდეალური „ერთისა“ და მხოლოდ დეკორატიული ფუნქციის მქონე უსახური, უსახელო „მრავლის“ და-პირისპირებას. იმთავითვე ვის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი ბრძოლის ბედი?)
7. რისთვის დასჭირდა ავთანდილს ტარიელთან საუბრისას დასწეულებული აქიმის მაგალითის მოშველიება? (667).
8. ტარიელს თავი არ დაუზოგავს, მსხვერპლიც საკმარისად გაიღო, მაგრამ ნესტანის კვალს მაინც ვერ მიაგნო. ნესტანს ვერც ნურადინ-ფრიდონის მიერ გაგზავნილმა კაცებმა მიაკვლიეს. ახლა ძმადნაფიცის სატრფოს საძებნელად წასვლას ავთანდილი აპირებს. სიუჟეტის განვითარების კანონზომიერება, თვით ავთანდილის პიროვნული თვისებები, გამოცდილება (ტარიელი ხომ სწორედ მან იპოვა) ქმნის თუ არა მოლოდინს, რომ ნესტანის ძებნა წარმატებით დასრულდება? (პასუხი დაასაბუთეთ)

სამასტო აღგილები:

- „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაქარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“... (564 — 1, 2)
- „ხვარაზმშა დაპსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“ (571 — 3, 4)
- „დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“. (588 — 4)
- „ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,

.....

მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“. (599 — 1, 4)

- „მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი!

მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი!“ (637 — 3)

- „რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“... (662 — 1, 2)

- „რა აქიმი დასწეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყობარი,

.....

სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“. (667 — 1, 2, 4)

ეს საინცერტოა!

უკვე ითქვა, რომ ვეფხვი, როგორც ნესტანის ბობოქარი გრძნობებისა და მშვენიერების დამტევი მეტაფორა, პოემაში არაერთხელ შეგვახსენებდა თავს. ბუნებრივია, რომ ტარიელი მას თავისი თავგადასავლის დასრულებისას (528) კვლავ მიუბრუნდა:

„რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“.

აქვე არის ნათქვამი, რომ ვეფხვის ტყავით ტარიელი ასმათს შეუმოსავს (პოემაში ერთი-ორჯერ ისიც არის აღნიშნული, რომ გამოქვაბულში ტარიელს ვეფხვის ტყავს ასმათი უფენს).

ამასთანავე, „ვეფხისტყაოსნობას“ აქვს სხვა დატვირთვაც, რაც მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით უახლოვდება მითებში, ზღაპრებში, რუსთაველამდელ თუ რუსთაველისდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებში ვეფხვის (ლეოპარდის, ჯიქის ან სხვა ნადირთა) ტყავით დამოსვის ფართოდ გავრცელებულ მოტივს. ნადირის ტყავი აქვთ წამოსხმული ძველი საბერძნეთის გმირებს — ჰერაკლეს, იაზონს, ფირდოუსის „შაჰნამეს“ ფალავანს — როსტომს და სხვებს — ნიშნად იმისა, რომ ისინი საკუთარი ქვენა ბუნების დათრგუნვისა და სულიერი აღორძინების გზაზე არიან შემდგარნი.

ავთანდილის დაბრუნება არაპეტში

- I. ამბავი ავთანდილისა არაპეტს შექცევისა
- II. დათხოვნა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი
- III. ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი
(სტრ. 677-795)

ტექსტის კითხვისას დაკვირდით:

- „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“ — ასე იწყება ძალზე მნიშვნელოვანი ერთ-ერთი სტროფი (708). ამ ფრაზის გაგრძელება „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციებზე აღზრდილ ქართველ მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს.
ზოგმა შეიძლება დასძინოს: ეს სიტყვები ავთანდილის „ანდერძში“ გვხვდებაო. — იოლად მისატევებელი უზუსტობაა! — მთავარია, რომ მას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წყალობით სკოლაშივე შეუსისხლხორცებია „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული, იცის, ეს სიტყვები რომ ავთანდილის სულისკვეთებას, მის მრნამსს გამოხატავს. ეს კი სრულყოფილად ავთანდილის „ანდერძშია“ გადმოცემული.
 - 779-ე სტროფი პოემის ყველა სხვა სტროფისგან განსხვავდება, მისი ტაეპები 16-ის ნაცვლად 20- მარცვლიანია.
 - ძველი დროისა და შუა საუკუნეების მსოფლიო მწერლობაში გმირის მიერ ფათერაკებიანი გზის დაძლევა მისი სულიერი ამაღლების, სრულყოფის ჩვენებას ემსახურება.
- დააკვირდით, განსაკუთრებული ძალით როდის იჩინა თავი ავთანდილის დიდმა სიბრძნემ, სულიერმა გამოცდილებამ, როგორ განსაზღვრა მან მეგობრის მოვალეობა, რაინდული ზნეობრივი მრნამსი. — ასე თანდათან აახლოებს რუსთაველი მკითხველს პოემის იდეურ მწვერვალთან, რომელსაც ეწოდება „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“.

დავიძირდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რატომ დასჭირდა ავთანდილს გაპარვა?
2. „დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი“ არაერთ ცნობილ აფორიზმს შეიცავს. გამოარჩიეთ ეს აფორიზმები სხვა მოხდენილი გამონათქვამებისგან და იმსჯელეთ მათ შესახებ.

სამასოვალო აღგილები:

- „მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ-ნადევრი,
....
მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი“. (699 — 1, 4)
- „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად,

კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად... (708 — 1, 2, 3).

- „შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
- ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“... (711 — 1, 2).
- „მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო,
შენთა მჭვრეტელთა ნიშატო, ვერ-მჭვრეტთა სავაგლახეო,
ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრად გნახეო“. (731 — 2, 3, 4)
- „თუ ლხინი გვინდა ლმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა!“ (732 — 4)
- „ავად შეჰვერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!“ (733 — 4)
- „ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“. (735 — 64)
- „ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან“. (736 — 3)
- „ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“. (739 — 4)
- „ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,
რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!“ (742 — 3, 4)
- „სჯობს წავიდე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან“. (754 — 3)
- „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. (757 — 3)
- „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს“. (767 — 4)
- „სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა“. (776 — 4)
- „ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“. (781 — 4)
- „რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!“ (784 — 4)
- „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“. (785).
- „პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების“. (788 — 4).
- „ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს“. (793 — 3).
- „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრევ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“. (794 — 1, 2).

ავთანდილის ანდერძი და ლოცვა

- I. ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა
- II. ლოცვა ავთანდილისა
(სტრ. 796-822)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟთაგან ავთანდილი იმითაც არის გამორჩეული, რომ მას ავტორის „ალტერ ეგოდ“ (მეორე „მე“-დ) მიიჩნევენ, რის საფუძველსაც, პირველ ყოვლისა, მისი „ანდერძი“ იძლევა. „ანდერძში“ გამოთ-

ქმულ ზოგად შეხედულებებს ავთანდილი პოემაში საქმით ასხამს ხორცს. „ანდერძის“ სულისკვეთება — სიყვარული, ერთგულება, მოყვასისთვის თავ-დადება — მსჭვალავს მთელ ნაწარმოებს.

დავით გავაანალიზოთ, გავაფასოთ:

1. ავთანდილი იძულებულია მეფის სურვილს არ დაემორჩილოს, რითაც პატ-რონიყვარი ურთიერთობის დადგენილ წესს ეწინააღმდეგება.
მოძებნეთ, „ანდერძის“ ტექსტში ადგილები, სადაც ავთანდილი მეფისგან შენ-დობას, შეწყალებას ითხოვს.
2. როგორ იქცევა ავთანდილი თავის სამართლებლად?
რას ეფუძნება მისი თავის მართლება: ემოციებს თუ ანგარიშგასაანებ, დამა-ჯერებელ არგუმენტებს? (პასუხი დაასაბუთეთ)
3. რა არის ავთანდილისთვის მთავარი?
4. ალნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ღვთისა და საკუთარი თავის მოიმედენი არიან. იგრძნობა თუ არა ეს ავთანდილის ანდერძში? (პასუხი და-ასაბუთეთ ტექსტიდან მოხმობილი ციტატებით).
5. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ორი ფრაგმენტი XIX საუკუნის ქართული პო-ეზიდან:
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის!..
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა წათესავთ გლოვისა წაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!..

(ნიკოლოზ ბარათაშვილი — „მერანი“)

ვაჟაც კი უნდა ეხუროს
ნამუსის ქუდი თავზედა,
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.

(ვაჟა-ფშაველა — „ბახტრიონი“)

- „ანდერძის“ რომელ სტრიქონებს ეხმიანება ეს ფრაგმენტები?
6. „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „თავისუფლება“ ერთხელაც არ არის ნახსენები, მაგრამ გვხვდება ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნური ფორმა. მოძებნეთ ავ-თანდილის „ანდერძში“ ეს ზმნა. რა მნიშვნელობას იძენს ამ ზმნის შემცველი სტროფი? (იმსჯელეთ კლასში).
7. „ანდერძის“ დასასრულს ვინ შეავედრა ავთანდილმა როსტევან მეფეს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ფაქტიდან?
8. ავთანდილის ანდერძის მიხედვით, რა არის ის ძალა, რომელსაც ეფუძნება ყველა და ყველაფერი? რა უნდა წარმართავდეს ადამიანთა ურთიერთობას?
9. როგორ ფიქრობთ, რისთვის შემოაქვს რუსთაველს ანდერძში სიკვდილის თემა?

II

1. როდის აღავლინა ავთანდილმა ღვთისადმი ლოცვა?
2. ვისზეა ყურადღება გადატანილი ამ თავის ბოლოს?

სამასროვრო აღგილები:

- „...კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა; მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. (797 — 2,3,4).
- „...არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. (798 — 3, 4)
- „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“. (801 — 1)
- „წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა“. (803 — 3)
- „არ-დავინყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა, ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“. (806 — 1, 2)
- „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. (807 — 4)
- „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი; მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი; ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. (808)
- „სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“. (809 — 2)
- „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები, მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები: მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. (811)
- „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე, შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე, მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე გამარიდე! თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევნირვიდე“. (821)

ეს საინფორმაცია!

ავთანდილის ანდერძში გვხვდება დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის (ძვ. წ. V-IV სს.), დამოწმება (797).

ინგლისელი მეცნიერი **მორის ბოურა** აღნიშნავდა: „პლატონური ჰანგი უკვე აშკარაა და შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ რა სისაცით შეუთვისებია პლატონური თვალსაზრისი რუსთაველს... ბერძნული პლატონიზმი უთუოდ იყო მისთვის ერთ-ერთი წყაროთაგანი“.

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და მთარგმნელმა ბაჩანა პრეგვაძემ ყურადღება გაამახვილა „ვეფხისტყაოსანში“ პლატონის მოძღვრებიდან მომდინარე არაერთ თვალსაზრისისზე. დღევანდელმა რუსთველოლოგიურმა კვლევამ (ელგუჯა ბინთიბიძე) ნათელყო, რომ რუსთაველი უხვად სარგებლობს არისტოტელეს მოძღვრებით. ეს ყველაფერი პოეტის ულრმეს განსწავლულობაზე, უდიდეს სიბრძნეზე მეტყველებს.

ტარიელის პოვნა. ამბავი ლომ-ვეფხვის დახოცვისა

- I. ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა
- II. წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ
- III. პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა
- IV. მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა
- V. აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა (სტრ. 823-959)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ამ თავის დასაწყისში რუსთაველი ეპიკურ თხრობაში ჩაერთვება. იგი I პირში გვესაუბრება და გვეტყვის: „აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმას არ წავჰყვე წამავალსა“ და ავთანდილის გაპარვის გამო როსტევან მეფის განცდების აღწერას შეუდგება. მომდევნო თავში რუსთაველი ავთანდილის ამბავს აგრძელებს და თხრობაში კვლავ აქტიურად მონაწილეობს: „აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავ-ლობასა“ (თხრობაში პოეტის ასეთი ჩართვა მომავალში რამდენჯერმე სხვა დროსაც მოხდება. ავტორი მკითხველთან ერთად თითქოს თან ახლავს გმირებს და ყოველივეს თანამონაწილეა).
- ადრე, როცა ტარიელმა ნესტანის გადაკარგვის ამბავი შეიტყო, თავს შეუძახა: „გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა“. მაგრამ გამოხდა ხანი და ტარიელს სატრიოს პოვნის იმედი გადაეწურა. ლომ-ვეფხვთან შებმამ მას კიდევ უფრო გაუმძაფრა სამიჯურო განცდები, ტარიელი სიკვდილს მიეახლა. სიყვარულის ძალის ასეთი გამოხატვა, განცდების ასეთი ფსიქოლოგიური სიღრმით ასახვა ჩვენს ლიტერატურაში რუსთაველამდე არ გვხვდება.
- დააკვირდით მეგობრების ხელახალი განშორების ეპიზოდს. უკან დაპრუნების დროდ ერთი წელი, ვარდის სიუხვის ჟამი, გაზაფხული იქნება დათქმული. დაიმახსოვრეთ ეს. დააკვირდით 945-ე სტროფს; ის თავს შეგახსენებთ, როცა პოეტი მეგობრების შეხვედრას დაგვიხატავს.
- 951-ე სტროფით პოეტი კვლავ ერთვება ამბის გადმოცემაში, ოლონდ ამჯერად ახალი დეტალი — მკითხველისადმი მიმართვა — „ლექსთა მკითხველო“ ჩნდება.
- ფრიდონისკენ მიმავალი ავთანდილი ტარიელის რჩევით აღმოსავლეთისკენ წავიდა. შუა საუკუნეებში მიღებული სივრცული ორიენტაციის თანახმად, აღმოსავლეთს წარმატება, იმედი უკავშირდება.



სერგო ქობულაძე — ლომ-ვეფხვთან ბრძოლა

დავითის მონასტრი, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I

1. რას ეძღვნება პოემის ახალი თავი?
2. „მზე ალარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“, — რა შეატყობინა ვაზირმა ამ სიტყვებით როსტევან მეფეს?
რა პოეტურ ხერხს მიმართა რუსთაველმა ამ ტაეპში?
3. როგორ გესმით სიტყვები: „თუ თავი შენი შენ გახლავს, დარიბად არ იხსენები“?
(იმსჯელეთ კლასში).

II

1. როგორ აღწერს პოეტი „მიჯნურობის სენით“ შეპყრობილი ავთანდილის განცდებს?
2. სატრფოს სიშორით დამწუხებულ ავთანდილს რატომ ეამებოდა ვარსკვლავთა ხილვა?
3. ავთანდილის მწვავე სულიერ განცდებს გამოხატავს პოემის შემდეგი ადგილი:
— „რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა,
მის თანა ჰროვიდის ნაკადსა, სისხლისა ცრემლთა ტბისასა“ (849 — 2, 3).
გაიხსენეთ „ნახვა არაბთა მეფისაგან მის მზისა ვეფხისტყაოსნისა“. მოძებნეთ მასში ადგილები, რომელიც ზემოხსენებულ ორ ტაეპს მოგვაგონებს.
4. ფიცის ერთგულება, სიტყვის არგატეხა რაინდის ვალია.
როგორი სიმძაფრით გამოხატა ავთანდილმა თავისი გულისწყრომა, როცა
გამოქვაბულში არ დახვდა ტარიელი? (მოძებნეთ ტექსტში შესაბამისი ადგილები).
5. როგორ ცდილობდა ასმათი ტარიელის გამართლებას?
რომელ ღრმააზროვან სტროფში გამჟღავნდა მისი სიბრძნე?
რომელი ცნობილი აფორიზმი მოიხმო მან?
6. რა უნდა დავასკვნათ ასმათის ნამბობიდან? — გაუტეხია თუ არა ფიცი
ტარიელს? (860, 861).
7. ფსალმუნში ვკითხულობთ: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალ-
თასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, უფალო“ (ფს. 41, 2).
იპოვეთ ამ სიტყვების გამოძახილი ავთანდილის საუბარში ასმათთან.

III

1. რა მდგომარეობაში იყო ტარიელი, როცა იგი ავთანდილმა იპოვა? (გაითვალისწინეთ შემდეგი ადგილები: 877 — 2, 4; 879 — 2; 882 — 3; 890 — 4; 893 — 2;
894 — 2).
2. რა გზა აირჩია ავთანდილმა სასომიხდილი ტარიელის გონზე მოსაყვანად?
(მიაქციეთ ყურადღება 883-ე — 889-ე სტროფებში ჩართულ შეგონებებს, იმსჯელეთ მათ შესახებ კლასში).
3. რატომ უჭირს ტარიელს ავთანდილის რჩევის გაზიარება? რით იმართლებს იგი თავს? (895).
4. როცა სიტყვამ, შეგონებებმა ვერ გაჭრა, გარეგნულად რა მარტივ ხერხს მიმართა ავთანდილმა მეგობრის გონს მოსაყვანად?

5. ყურადღებით წაიკითხეთ სტროფები (904-910). რა ბოლო ნაბიჯი გადადგა ავთანდილმა სიცოცხლისკენ ტარიელის შემოსაბრუნებლად?

IV-V

1. „რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერათ დავამშვიდე...
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე“, (921 — 1,3) — ეუბნება ტარიელი ავთანდილს.
გაიხსენეთ, როდის შემოსწყურა მას სატრფო.
2. ვის იმედად ყოფნა ურჩია ავთანდილმა მეგობარს?
3. ავთანდილის აზრით, მიჯნურობა განსაკუთრებული გრძნობაა, რომელიც მთლიანად გარდაქმნის ადამიანს. როგორ დაასაბუთა ავთანდილმა თავისი თვალსაზრისი?
4. რატომ სწირავს ასმათი ღმერთს მადლობას?
რომელი სიტყვის გამეორება აძლიერებს აღვლენილ ლოცვას?

სამახსოვრო ადგილები:

- მზე ალარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“. (830 — 4)
- „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“. (832 — 1)
- „იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუე, ვით მეცრუა!
ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!“ (854 — 3, 4)
- „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰეთიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდიან“. (857)
- „...სხვა სხვისა ომსა ბრძენია“. (859 — 4)
- „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. (863 — 1, 2)
- „გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“. (864 — 3)
- „...ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“. (884 — 2, 3, 4)
- „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“ (886 — 4)
- „ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად!“
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად,
ოდეს ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირად“. (887)

- „რაცა არ გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“ (889 — 3)
- „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“ (892 — 4)
- „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. (910 — 4)
- „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა პხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (911 — 3, 4)
- „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების!“ (912 — 4)
- „გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“. (913 — 2)
- „სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანავლლებს, მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს; მიჯნურობა საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს, გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს“. (924)
- „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“. (933 — 3).

ეს საინფერზოა!

„წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“ იმითაც არის საინტერესო, რომ მასში გვხვდება სიტყვები, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, ჰყვარებია ნიკო ფიროსმანს.

დიდი მხატვრის ერთ-ერთი ახლო მეგობარი იხსენებდა: „ნიკალას „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა უყვარდა. უფრო ის უყვარდა, როცა სხვის კითხვას უსმენდა... ბევრი ლექსი ზეპირად იცოდა და თავისითვის ღილინებდა. რამდენიმე სტრიქონი მეც დავიმახსოვრე. ყველაზე ხშირად იმეორებდა სიტყვებს:

„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამინყლულა, იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან ალარა გამისრულა“.

ამას რომ წარმოთქვამდა, თვალებიც ცრემლით აევსებოდა და დიდხანს იყო გარინდებული“.

(ნიკა აგიაშვილი — „ფიროსმანის მეგობარი“. წიგნიდან „პირად-პირადი“).



ფიროსმანი —
შოთა რუსთაველი

* * *

გველეშაპთან, ურჩხულთან, მრისხანე ნადირთან ბრძოლის მოტივით ბევრჯერ გამოიხატა მნიშვნელოვანი იდეა მითოსში, ფოლკლორში, ეპოსში (გილგამეშის შერკინება ურჩხულთან, ჰერაკლეს ბრძოლა ნიკეის ლომთან, წმინდა გიორგის ბრძოლა გველეშაპთან და სხვ.). სატრფოს ძიების გზაზე ტარიელის ბრძოლას ლომვეფხთან ეს დატვირთვაც აქვს და, ამასთანავე, იგი ფსიქოლოგიური ნიუანსით და ახლებური მხატვრული ძალით გვიჩვენებს გმირის არსებაში ბობოქარ გრძნობა-თა ჭიდილს.

სატრფოს მაძიებელ გმირს, ტარიელს, ბევრჯერ მოუხდა დაბრკოლებათა გადალახვა: შეებრძოლა როსტევანის მონებს, ხატაელთა მრავალრიცხოვან ლაშქარს, დევებს, ქაჯებს. — მაგრამ ტარიელი მყითხველისთვის მაინც ვეფხვთან მებრძოლი გმირია და შემთხვევითი არ არის, რომ პოემის ილუსტრატორებიც დიდი შთაგონებით ასახავენ ამ ეპიზოდს (მიხაი ზიჩი, სერგო ქობულაძე, ირაკლი თოიძე, ლევან ცუცქირიძე და სხვ.).

ავთანდილის წასვლა ნესტან-დარეჯანის საძებნელად. გულანშარო

- I. წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა
- II. ავთანდილისაგან ფრიდონისას მისლვა, ტარიელს რომ გაეყარა
- III. წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის ძებნად და ქარავანთა შეყრა
- IV. ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისლვისა
- V. ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება
- VI. წიგნი ფატმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო
- VII. წიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მიწერილი
(სტრ. 960-1129)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ახალი თავის პირველსავე, რიგით 960-ე სტროფში, პოეტი წუთისოფლის გაუტანლობას უჩივის. ამასთანავე, მან მყითხველი ავთანდილის მძაფრი განცდებისთვისაც უნდა შეამზადოს. ეს სტროფი ძალზე პოპულარულია; ქართულ მწერლობაში ხშირია მისი ზუსტი ციტირების ან მასთან ერთგვარი შეხმიანების შემთხვევები.
- ცნობილმა მკვლევარმა **გურამ ასათიანმა** ამ სტროფში გამოთქმული თვალსაზრისი კიდევ უფრო განაზოგადა და იგი მომავალი თაობების ისტორიულ ხვედრს დაუკავშირა: „რუსთაველის „სად წაიყვან სადაურსა“-ს მოტივი საბედისწერო წინასწარმეტყველებასავით აუხდათ ქარიშხლიანი ეპოქის¹ შვილებს — თეიმურაზს, არჩილს, ვახტანგ VI-ს, საბას, ბესიკსა და გურამიშვილს — „სამშობლოდან კიდეგანქმნილ“, ქვეყნისა და საკუთარი ბედის ამაო მაძიებელთ“.
- ავთანდილის მღელვარე გრძნობები, ტკივილიანი ფიქრები ამ სოფლის საზღვრებს ვერ დაუტევია და ზეცას სწვდება. იგი მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს შესტირის, შეღალადებს და შემწედ მოუხმობს მათ. ამ ვედრებას ავთანდილი გალობით ამოთქვამს და მის გალობას მთელი სამყარო ყურს უპყრობს.
- მულდაზანზარიდან გამგზავრების წინ ავთანდილს ფრიდონმა ოთხი სანდო ყმა, საჭურველი, იარაღი, ოქრო, ცხენი და ჯორი გაატანა. თვალი მიადევნეთ, შეასრულებენ თუ არა მომავალში რაიმე როლს ფრიდონის ყმები.
- „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სამყაროში სრულიად ახალი სახეა ფატმან ხათუნი. ქართულ მწერლობაში რუსთაველამდე არ ასახულა პერსონაჟი, რომელსაც უარყოფითთან ერთად დადებითი თვისებებიც ექნებოდა.

1 „ქარიშხლიან ეპოქად“ მკვლევარი XVII-XVIII საუკუნეებს მიიჩნევს.

დავშიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I

1. რა ამძაფრებდა ფრიდონთან მიმავალი ავთანდილის განცდებს? თინათინთან განშორებულ ავთანდილს კიდევ ვისთან სიშორე უმძიმებდა მდგომარეობას? (865)
2. 52-ე სტროფში ითქვა: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“. 964-ე სტროფის რომელმა ტაპებმა გაგახსენათ ზემოთ მოყვანილი სიტყვები?
3. რომელ შვიდ ციურ მნათობს მიმართავს ავთანდილი?
4. რა მოსდევს ციური მნათობებისადმი მიმართვას?

II

1. როგორ შეხვდნენ ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს? რაინდთა რომელი შეხვედრები გაგახსენათ ამ ეპიზოდმა?
2. რა არის მოთხრობილი ჩანართში? (1000-1013) ფრიდონთან დაკავშირებული რომელი მოულოდნელი ფრაზაა ჩართული ავთანდილის მოკლე მონათხრობში? (1010).
3. როგორ შეხვდნენ მულდაზანზარელები ტარიელის „ძმად-ფიც“ ავთანდილს?
4. რით გამოიჩინა თავი ავთანდილმა ნადირობისას?
5. როგორ იქცევა წინააღმდეგობების მარტო დაძლევის მოსურნე ავთანდილი ამჯერად? დარჩა თუ არა იგი თავისი პრინციპების ერთგული? — შეეცადეთ მოუძებნოთ ახსნა მის განსხვავებულ საქციელს (იმსჯელეთ კლასში).

III

1. სად შეხვდა ავთანდილი ბალდადელ ვაჭრებს? რა შეიტყო მან ვაჭრებისგან?
2. მოყვითვის მიუღებელი რა თვისება გამოამჟღავნეს ვაჭრებმა?
3. როგორი აზრისაა ავთანდილი ვაჭრების შესახებ?
4. ფსიქოლოგიური ზემოქმედების როგორ ხერხს იყენებენ მეკობრეები?
5. რომელი ომი გაგახსენათ ავთანდილისა და მეკობრეების ბრძოლამ?
6. როგორ მოექცა ავთანდილი დამარცხებულ მონინააღმდეგეს? რა გაგახსენათ მისმა საქციელმა?
7. როცა ვაჭრებმა ავთანდილს მადლობის ნიშნად ძლვენი შესთავაზეს, რა პასუხი მოისმინეს მისგან?
8. რა სთხოვა ავთანდილმა ვაჭრებს?

IV

1. რომელი სამეფოს ქალაქი იყო გულანშარო?
2. რა მოუთხრო ავთანდილს გულანშაროელი ვაჭართუხუცესის მებაღემ (1074-1077)?
თურმე რა განსაზღვრავს ვაჭართა ურთიერთობის წესს?
რით განსხვავდება ვაჭართა ყოფა, დროსტარება დიდგვაროვანთა და რაინდთა მოლხენა-გართობისაგან?
3. რა ხერხი იხმარა გულანშაროში ჩასულმა ავთანდილმა ნდობის მოსაპოვებლად?
4. როგორ იხატება ფატმან ხათუნი?
გაიხსენეთ, როგორ აღწერს პოეტი ნესტანისა და თინათინის გარეგნობას? რა სხვაობა შენიშნეთ? (იმსჯელეთ კლასში).
5. ფატმანის ზნის საჩვენებლად პოეტი ერთგან მსუბუქი იუმორით თავად ჩაერთო თხრობაში?
რომელია ეს ტაეპი?

V-VII

1. ფატმანის სასიყვარულო წერილში გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა: გვხვდება ფართოდ გავრცელებული, მიღებული მიმართვები, მეტაფორა-შედარებები, მეტი დამაჯერებლობისთვის სიყვარულის მოწმედ, ჩვეულებისამებრ, ღმერთია მოხმობილი, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, როგორი შთაბეჭდილება ექმნება მკითხველს? რა უფრო იგრძნობა მასში — სულის ამამაღლებელი განცდა, უშუალობა, სინწყოლე თუ სასიყვარულო თავგადასავლებს შეჩვეული ქალის სულსწრაფობა? (პასუხი დაასაბუთეთ),
2. როგორი იყო ავთანდილის თავდაპირველი რეაქცია?
3. რატომ გადანებიტა მან ფატმანთან ურთიერთობის გაპმა (დააკვირდით 1101-ე და 1102-ე სტროფებს).
როდის იჩინა თავი „ბინდის გვარი სოფლის“ მოტივმა?
4. ფატმანთან ურთიერთობაში რა დამაბრკოლებელი ამბავი შეხვდა ავთანდილს და როგორ დაძლია იგი?

სამახსოვრო აღგილები:

- „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი, სადით ძირსა?! მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“. (960)
- „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. (961 — 4)
- „აპა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან: მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან, მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმედ მყვებიან, მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“. (973)

- „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოთაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“. (976)
- „თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი. (1049 — 1).
- „მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ხოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყურიდა შიგან ზღვასა;
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა;
დაკოდილნი მკვდართა შუა იმალვიან, მალვენ ხმასა“. (1053)
- „ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გაჰმარჯვებოდეს“. (1061 — I)
- „რა გინდ რა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!“ (1064 — 4)
- „დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ;
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“. (1076)
- „ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავგვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი;
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“. (1086)
- „ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდდების,
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“. (1103 — 3, 4)

ეს საინცერტოა!

ერთ-ერთ თავში („წიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მიწერილი“) ჩართულია ეპიზოდი, რომელიც თანამედროვე მკითხველს საფიქრალს უჩენს; კერძოდ, რატომ გაუსწორდა ავთანდილი ასეთი სისასტიკით ჭაშნაგირს? რატომ მოკლა სრულიად უდანაშაულო მისი მცველები? მოწონებას, ცხადია, ვერც ბეჭდიანი თითის მოქრა დაიმსახურებს. ბუნებრივად ჩნდება სხვა კითხვაც: ასეთი ფაქტები ჩრდილს ხომ არ აყენებს პოემის ერთ-ერთ მთავარ გმირს — ავთანდილს?

შუა საუკუნეების ეპიკური პოემების სიუჟეტის განვითარებაში დაშვებული იყო გარკვეული პირობითობები, რომელთა ახსნაც მხოლოდ ეპოქის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება. იმ ხანის აღმოსავლური და დასავლური ეპოსის გმირთა ქმედებაში ბევრი ისეთი რამ იჩენს თავს, რაც გვიანი დროის მკითხველისთვის შეიძლება სრულიად გაუგებარი აღმოჩნდეს. შუა საუკუნეების ეპოსის გმირთა მიერ დიდი მიზნის მიღწევის გზაზე ჩადენილი საჩოთირო ესა თუ ის ქმედება, იმჟამინდელი რწმენა-წარმოდგენებით, არაარსებით, უმნიშვნელო „წვრილმანებად“ მიიჩნეოდა და არა ისეთ საქციელად, რასაც დღეს, ახალი დროის თვალთახედვით ძალზე მკაცრი შეფასება ეძლევა.

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „პასუხისმგებლობის სივრცე“, ანუ ეთიკური ქცევის არეალი, შუა საუკუნეებსა და უფრო ადრეულ ეპოქებში ადამიანისათვის საკუთარი სოციალური ჯგუფით შემოიფარგლებოდა. ყველაზე კეთილშობილ რაინდსაც კი არ მოუვიდოდა აზრად, რომ ზნეობის ნორმები მონასთან, გლეხთან (ანუ უფრო დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთან) ურთიერთობაშიც უნდა დაეცვა, ისევე, როგორც ამას თავისი და უფრო მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებთან იცავდა.

ფატმანის ნამბობი

- I. აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა
- II. ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა
- III. წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი
- IV. წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა
(სტრ. 1130-1300)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- ახალი დროის მსოფლიო და ქართულ პოეზიაში სევდამოძალებული ადამიანი ხშირად ბუნების ჭვრეტაში პოვებს შვებას.
ნახეთ, რა ხდება „ვეფხისტყაოსანში“. რა როლს თამაშობს სევდის უმიზეზო მოძალება პოემის სიუჟეტის განვითარებაში.
- შუა საუკუნეების ეპოსში ერთმანეთს ერწყმის რეალური სინამდვილის ამსახველი სურათები და ფანტასტიკური ელემენტები. თვალი მიადევნეთ, როგორ აისახა ეს ტენდენცია „ვეფხისტყაოსანში“.

დავუძიეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

I

1. როგორ აღინიშნება გულანშაროში ნავროზობის დღესასწაული?
რით განსხვავდება ვაჭრების ზეიმი არაბეთსა და ინდოეთში გამართულ დღესასწაულთაგან?
2. რა იხილა საერთო ლხინიდან განაპირებულმა ფატმანმა?
3. როგორ აღწერს ფატმანი კიდობნიდან ამოყვანილი ქალის მშვენებას? (გაიხსენეთ, რით ჰგავს ეს აღწერა სხვა შემთხვევებს? — მოიძიეთ პოემის ტექსტში სათანადო ადგილები).
4. ნესტანმა ფატმანს არ გაანდო თავისი საიდუმლო. როგორ გგონიათ — რატომ?
5. ფატმანი ავთანდილს უამბობს, რომ მის მიერ დახსნილი ქალი ცრემლს ღვრიდა და არ იცილებდა რიდეს. გაიხსენეთ, რატომ არ იშორებს ნესტანი ამ რიდეს?

6. ვაჭართუხუცესის ცოლის, ფატმანის, ხელში უამრავ საქონელს გაუვლია და მაინც, იგი ნესტანის რიდის გამო გაკვირვებას ვერ მაღავს: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“.
- როგორ გვითაროთ, ხომ არ შეიძლება უსულო საგნის ეს ნიშნები (სილბო და სიმტკიცე) მისი მფლობელის პიროვნულ თვისებებზეც გავრცელდეს?
7. რატომ გაუმხილა ფატმანმა უსენს თავისთან შეფარება ნესტანისა?
8. რა ჩაიდინა უსენმა მეფის, მელიქ-სურხავის, გულის მოსაგებად?
9. რას უწოდებს ფატმანი მოღალატე ქმარს? (1174 — 4; 1175 — 4; 1176 — 1).
10. როგორ შეხვდა ნესტანი ბედის ახალ სიმუხთლეს? (1184)
11. მელიქ-სურხავმა ნესტანის ხილვისას ორი ვარაუდი გამოთქვა: „ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების...“ და „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი“. რა ვერ გაითვალისწინა მან? შეუთავსებელია სიბრძნე და მიჯნურობა?
12. როგორ დაიხსნა ნესტანმა თავი ახალი განსაცდელისაგან?
13. ფატმანს ადრე რა დახმარება ჰქონდა განეული მისთვის? რით დაეხმარა იგი მას ამჯერად?

II-IV

1. რატომ იწყება პოემის ახალი თავი საწუთროს გმობით?
2. როგორ შეიტყო ფატმანმა ნესტანის ქაჯთაგან შეპყრობის ამბავი? ვისი მონათხრობია ჩართული მის ნაამბობში?
3. ვინ გაგზავნა ფატმანმა ქაჯეთში?
4. ხვარაზმეას ძე, ზღვათა მეფის ვაჟი, როსანი — რა ნიშნით შეიძლება ამ სამი უფლისწულის გაერთიანება?
5. როგორ არის აღწერილი ქაჯთა ქალაქი? (1251-1252)
6. რას მოუთხრობს ფატმანი ავთანდილს ქაჯთა შესახებ? (1256, 1257, 1258 — 1, 2)
7. როგორ შეხვდა ფატმანი ავთანდილისგან თავისი ვინაობის გამხელას? რა თქვა სრულიად გარდაქმნილმა ფატმანმა? (1277)
8. ვინ გაგზავნა ფატმანმა ნესტანთან? რას ითხოვდა ფატმანი ნესტანისგან?
9. რა რეაქცია მიმართ ნესტანმა ფატმანს?
10. რა გულითადი თხოვნით მიმართა ნესტანმა ფატმანს?
11. „...ბედისაჩემისა მსგავსად შავია“, — ვინ ამბობს ამ სიტყვებს? რა იგულისხმება ამ სიტყვებით?

სამასოვარო აღგილები:

- „სხვა გიამბო საკვირველი რიდისა და ყაბაჩისა;
-
- სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე — ნაჭედისა“. (1158 — 1, 4)
- „ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, ნყრომა ვერ ვუგრძენითა“. (1168 — 2)
- „მართლად თქმულა: „არა პმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი“. (1175 — 4)

- „...ბედი უბედო ჩემზედა მიწყივ ავისა მქმნელია.
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია“. (1184 — 2, 3, 4)
- „დარჩა მთვარე გველისაგან, გავსებული, ჩაუნთქმელი“. (1207 — 4)
- „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“. (1220 — 2)
- „რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა“. (1239 — 4)
- „თუ ყვავი ვარდსა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია“. (1263 — 4).

ნესტანის წერილი. ქაჯეთის ციხის აღება

- I. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი
- II. წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი
- III. წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა
- IV. ტარიელისა და ავთანდილისაგან წასლვა ფრიდონისასა
- V. თათბირი ნურადინ-ფრიდონისა
- VI. თათბირი ავთანდილისა
- VII. თათბირი ტარიელისა
(სტრ. 1301-1435)

ტექსტის კითხვისას დააკვირდით:

- „ვეფხისტყაოსანში“ ათზე მეტი წერილია ჩართული.
წერილებით ურთიერთობა საზოგადოებაში დამკვიდრებულ დახვეწილ სა-აზროვნო კულტურაზე მეტყველებს. წერილები („წიგნები“) პოემის სიუჟეტური ხაზის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობენ. ერთ-ერთი ასეთი წერილია „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“.
- „შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად“ (1317 - 3) — მიაქციეთ ყურადღება ნესტანის წერილიდან ამ ტაქტს. გახსოვდეთ, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილის შედევრს, „მერანს“, შეისწავლით, ამ ტაქტის გახსენება მოგიწევთ.
- „წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა“ ძალზე მნიშვნელოვანი თავია იმის საჩვენებლად, თუ როგორ უახლოვდებიან პოემის მთვარი გმირები — ტარიელი და ავთანდილი — სანუკვარ მიზანს. ამბის თხრობა ზეაწეული, საზეიმო ტონით წარიმართება, ტარიელის „დაბნედაც“ ხანმოკლე აღმოჩნდება, ავთანდილი მას სწრაფად მოამჯობინებს. მრავალჭირგამოვლილი გმირები სრულად არიან გადასხვაფერებულნი, მალე მათ ფრიდონი თავისი ლაშერით შეუერთდება. კარს მომდგარი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.
- რუსთაველის ეპოქის მწერლობისთვის ბუნების განცდა არ არის დამასასიათებელი (ეს უფრო გვიან იჩენს თავს), მაგრამ ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრით გამოწვეულ უსაზღვრო სიხარულს პოეტი სწორედ ბუნების გამოლვიძების, გაზაფხულის¹, ვარდის ფურცლობის ფონზე გვიხატავს:

1 რუსთაველის ეპოქაში, „ზაფხული“ ეწოდებოდა გაზაფხულს, ისევე როგორც დავით გურამიშვილთან „მხიარული ზაფხული“ ნიშნავს მხიარულ გაზაფხულს.

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა“. (1337 — 1, 2)

დავით გარებაძე, გავაანალიზოთ, შევაჭასოთ:

I

1. გაიხსენეთ, რა გარდახდა თავს ნესტანს, სანამ ტარიელს ქაჯეთის ციხიდან წერილს მისწერდა? შეეპუა თუ არა იგი „უბედო ბედს“?
როდის წარმოთქვა მან ეს სიტყვები — „რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა“?
2. ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ნესტანი რატომ შესთხოვს თავის მიჯნურს, რომ მის დახსნაზე ხელი აიღოს?
3. რა მხატვრული ხერხებით არის გადმოცემული ის აზრი, რომ ნესტანის წერილი მიჯნურთა სულიერი ერთობით არის შთაგონებული?
4. რას ნიშნავს ნესტანის სიტყვები: „ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისა“? (გაიხსენეთ თინათინის სიტყვები. 709 - 3)
5. რა მოვალეობას შეახსენებს სიკვდილის მომლოდინე ნესტანი თავის მიჯნურს?
6. „ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილ წიგნში“ ფატმანი წერდა:
„რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე;
მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რა გაუგზავნე!“ (1283 - 1, 2).
როგორ შეასრულა ნესტანმა ფატმანის თხოვნა? (მოძებნეთ „ნესტანის წერილში“ სათანადო ადგილები).
7. შეადარეთ ერთმანეთს „წიგნი ფატმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო“ და „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“. რა არსებითი განსხვავება შეინიშნება ამ ორ ტექსტს შორის? (იმსჯელეთ კლასში).
8. ნათქვამია: ლირიკა გრძნობების შესახებ კი არ მოგვითხობს, არამედ უშუალოდ მისგან მომდინარეობსო.
თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა „ნესტანის წერილს“ პოემის უმთავრესი ლირიკული აღსარება ეწოდოს?
9. რა შეერწყა 1319-ე სტროფში ტრადიციად ქცეულ მეტაფორას? — როგორ დაიხატა „თავ-მოხდილი“ ნესტანის მშვენიერება?

II

1. როგორ გამოხატა ავთანდილმა ფატმანისადმი მადლიერება?
2. როგორ მოიქცა ფატმან ხათუნი?
განშორების სიძნელის მიუხედავად, როგორ მოთოკა მან თავისი გრძნობები?
რა ურჩია მან ავთანდილს?
3. რა აცნობა ავთანდილმა წერილით ფრიდონს და რისკენ მოუწოდა მას?
4. როგორ გამოეთხოვა გულანშარო ავთანდილს?



სერგო ქობულაძე — ქაჯეთის ციხე

III

1. გაიხსენეთ, შეხვედრის ვადად როდის დაუთქვა ავთანდილმა ტარიელს გაზაფხული?
2. რა მოსდევს საოცარი ძალით აღწერილ გაზაფხულის სურათს? (1337 — 1, 2).
3. როგორ არის აღწერილი პოემაში ავთანდილის ხილვით ტარიელის გახარება? მიჯრით მიწყობილი რომელი ზმნებით გადმოიცა ეს სიხარული? (1343).
4. ავთანდილთან ხელახალი შეხვედრისას რატომ დაბნდა ტარიელი?
5. რა ვერ გაითვალისწინა ავთანდილმა?
6. როგორ მოასულიერა მან მეგობარი?
7. „მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, — ამბობს ავთანდილი,
თუმცა ნესტანი ქაჯეთის ციხიდან ჯერ დახსნილი არ არის.
იფიქრეთ, იმსჯელეთ, რა განაპირობებს ასეთ განწყობას?

IV-VII

1. როგორ შეიცვალა გმირების განწყობილება და ქცევა მას შემდეგ, რაც ნესტანის ადგილ-სამყოფელი გაირკვა?
როგორ ელალობნენ ტარიელი და ავთანდილი ფრიდონს?
2. ქაჯეთის ციხის აღების როგორი გეგმა შესთავაზა ფრიდონმა მეგობრებს?
როგორი იყო ავთანდილის გეგმა? — რა გამოცდილებას ითვალისწინებდნენ ისინი?
3. რატომ არ დაეთანხმა ტარიელი ფრიდონისა და ავთანდილის თათბირს?
4. რა გადაწყვიტა ტარიელმა?
5. როგორი განწყობილება აქვთ გმირებს ქაჯეთის ციხის აღების წინ? (ყურადღება მიაქციეთ სტროფებს: 1414, 1415, 1416).
6. დააკვირდით 1418-ე სტროფს: რუსთაველი ჩაერთვება თხრობაში და გვეტყვის, ბუნების სტიქიის აშლას, ზათქს, ზარს შემდეგ სიმშვიდე მოჰყვებაო.
როგორ ფიქრობთ, რისთვის შეგვამზადა პოეტმა ამით?
7. უთუოდ გემახსოვრებათ, რომ პროლოგში რუსთაველმა ახსენა „სამი გმირი მნათობი“ და მათგან გამოარჩია ტარიელი?
ქაჯეთის ციხის აღებისას კვლავ როგორ გამოარჩია პოეტმა ტარიელი?
8. „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1428 — 2), როგორ გესმით მეტაფორულად გამოხატული ეს აზრი?
გაიხსენეთ ადრე ნათქვამი ორი ფრაზა (1239 — 4; 1207 — 4). მათგან რომელი უფრო უახლოვდება აზრობრივად ზემოხსენებულ ტაეპს?
9. რა უმძიმდა ფრიდონს ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ? „ცალ-კერძ“ რა ახარებდა მას? (1433 — 1, 2)
რა მნიშვნელობას იძენს ფრიდონის ლაშქრის მიერ გაღებული მსხვერპლი? (იმსჯელეთ კლასში. გაითვალისწინეთ პოემის სრული ტექსტი: 1463-ე — 1467-ე სტროფები).
10. საით მიეშურებიან გამარჯვებული მოყმეები? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

სამახსოვრო ადგილები:

- „ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“. (1306 — 3)
- „ღმერთსა შემვედრე წუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მინასა, პაერთა თანა ძრომასა,
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰებუდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“. (1313)
- „თუ სიცოცხლე მნარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“. (1314 — 4)
- „ნადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეინრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპურობელსა“. (1316 — 1, 2)
- „შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად,
ვირე ცოცხალ ვარ, მეყოფი სატირლად და სატკივარად“. (1317 — 3, 4)
- „მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა“. (1337 — 1, 2)
- „თქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. (1353 — 4)
- „ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწადდა, იგი ვქმენით“. (1366 — 3)
- „მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის ალარა პნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. (1370 — 3, 4).
- „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“. (1400 — 4).
- „თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწვდომნია,
მაგრა ტარიას შებმანი, არვისგან მოსანდომნია;
.....
ან იყურებდით, მსმენელნო, გესმნენ ფიცხელნი ომნია!“ (1419 — 1,2,4)
- „მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა“. (1423)
- „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“. (1428 — 2)

დასასრული (ეპილოგი)

(სტრ. 1658-1662)

თექსტის პითევისას დააკვირდით:

- „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისთვის ეპილოგის დართვა საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულმა ლიტერატურულმა ტრადიციამ განაპირობა.
- ეპილოგი ბერძნული სიტყვაა და ბოლოსიტყვას, ბოლოთქმას ნიშნავს. იგი ძალზე მოკლედ მოვითხრობს იმის შესახებ, თუ რა გარდახდათ ნაწარმოების გმირებს ძირითად ტექსტში გადმოცემული ამბების შემდეგ.

ეპიკური პოემის ავტორები ეპილოგს ტექსტს ხშირად ურთავდნენ, შემდგომ კი ის სულ უფრო ნაკლებად გამოიყენებოდა.

- რუსთველოლოგთა დიდი ნაწილი პოემის ეპილოგს რუსთაველს არ მიაკუთვნებს, მაგრამ ტრადიციის ძალით მას ტექსტის პუბლიკაციებს მაინც ურთავენ ხოლმე. ცხადია, ამ დროს ანგარიშს უწევენ ანონიმი მელექსის უდავო პოეტურ განაფულობას და, რაც მთავარია, რამდენიმე ფასეულ ცნობას, რომლებიც ეპილოგში გვხვდება.

დავისირდეთ, გავაანალიზოთ, გავაფასოთ:

- პროლოგისგან განსხვავებით, ეპილოგში თამარ მეფე სახელით არ არის მოხსენიებული*, სამაგიეროდ, ვინ არის ნახსენები ორგზის?
- პოემის პროლოგის რომელ ადგილს ეხმიანება ეპილოგის სიტყვები: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი...“?
- „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არაერთგზის გაცხადებულმა სოფლის, საწუთროს სამდურავმა ბევრი მელექსე ასაზრდოვა. რუსთაველით შთაგონებულ გვიანი ხანის ერთ უცნობ მელექსეს ეკუთვნის ასეთი მშვენიერი სტრიქონები:
„აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დილია,
სიზმრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია,
ბრძენი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან გამოცდილია,
ავი და კარგი სწორად მიჩნს, სიცოცხლე თუ სიკვდილია“.
ეპილოგის რომელ სტროფში აისახება წუთისოფლის სამდურავი?
იგრძნობა თუ არა მასში რუსთაველის ცხოველმყოფელი გავლენა?
(ისაუბრეთ კლასში).
- ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, „ვისრამიანის“ გენიალურ ქართულ თარგმანს ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, სარგის თმოგველს, მიაწერენ.
ეპილოგის მიხედვით, ვინ შეუქია სარგის თმოგველს ჩვენამდე არმოღწეულ ერთ ნაწარმოებში?
დანარჩენი სამი ნაწარმოები ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად არის ცნობილი, რომელია ეს ნაწარმოებები?
- „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის რომელი ნაწილით არის შთაგონებული გალაკტიონ ტაბიძის ეს პოეტური სტრიქონები?

* გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარ მეფის სახელი დაშიფრულადაა წარმოდგენილი ტექსტში: ზარ/თამარ/ებლად.

„გრიგალია თუ სეტყვაა,
არ მეშინია მე სხვისა,
ქართველში გამოხედვაა
იმ ერთი ვინმე მესხისა“.
(„მესხის გამოხედვა“)

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები“.
(„ვწერ ვინმე მესხი მელექსე“)

სამასოვრო აღგილები:

- „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისა. (1658-4)
- „ესე ასეთი სოფელი, არვისგან მოსანდობელი!
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის კარგია, ორისავ იყოს მხლებელი“. (1661)
- „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისა რუსთველსა მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“. (1662)



თმოგვის ციხე

ეს საინფორმაცია!

პოემის სრულ ტექსტში ეპილოგამდე გვხვდება შვიდი თავი, რომელიც გარკვეული მოსაზრების გამო სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს. ტექსტის ამ ნაწილში არის რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია; კერძოდ, ბოროტების ციტადელის, ქაჯეთის ციხის, დამხობას ბუნებრივად ეხმიანება ადრეული შუა საუკუნეების დიდი ღვთისმეტყველის, „ბრძენი დივნოსის“ (დიონისე არეოპაგელის), ნააზრევით შთაგონებული მსჯელობა, რომელშიც ყურადღება ბოროტების უარსობაზე მახვილდება:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაპბადებს.
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.

(სრული ტექსტი. სტრ. 1500)

(გაიხსენეთ! — იგივე აზრი ადრე მოკლედ არის გადმოცემული თინათინის
სიტყვებში — „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“. 116-4).

* * *

ინტერესს იწვევს ეპილოგის წინმსწრები ორი სტროფი (1656, 1657):

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცოდენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყლულდეს,
მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორქმულდეს.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს“.

ამ სიტყვებში გაცხადებულია იდეალი, რომელსაც ძლიერი, მრავალ ბრძოლაში
გამარჯვებული, ზნეობრივი პრინციპების ერთგული სახელმწიფო ესწრაფვის.
დავითისა და თამარის ეპოქის საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანა იყო.



(ქრისტე. სიმტკიცეო ყოველთაო,
ღმერთო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე)

დავით ალმაშენებლის ხელრთვით დამტკიცებული
შიომღვიმის ანდერძი (1124 წ.)



(ქრისტე. მტკიცე ჰყოს ღმერთმან
შეუცვალებლად)

თამარ მეფის ხელრთვით დამტკიცებული
შიომღვიმის სიგელი (1196 წ.)

„ველეის ტეატრენის“ გთლიანი ცეკვის ცალიშვილის გეგმა

დავით გავაანალიზოთ, გავააზასოთ:

1. ვინ არის რუსთველოლოგიის ფუძემდებელი?
2. რას ნიშნავს „შაირი“ და „შაირობა“?
3. რა როლი დაეკისრა ხატაეთიდან წამოღებულ რიდეს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარებაში?
4. ვინ მოისმინა მონადირე ხატაელი ძმების, უცხო მოყმის, ბალდადელი ვაჭრების და ფატმანის ნაამბობი? მათგან რომელმა ნაამბობმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ქაჯეთის ციხის აღებაში?
5. „ბრძენი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია“, — წერს რუსთაველი. რისი დაწუნება იგულისხმება?
6. რომელი პერსონაჟები წარმოთქვამენ ამ სიტყვებს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ და „ვცან სომოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
7. „ვეფხისტყაოსნის“ რომელ გმირს შეიძლება ეწოდოს რუსთაველის „მეორე მე“?
8. პოემის რომელ თავშია გადმოცემული ყველაზე ვრცლად ავტორის შეხედულებები ადამიანის მოვალეობაზე?
9. პირველად როდის არის ნახსენები პოემაში ნესტანის სახელი?
10. როდის აჩქარდა ავთანდილი? რა მძიმე შედეგი იქონია ამ აჩქარებამ?
11. ვისი ხუმრობა განტვირთავს დაძაბულობას ქაჯეთის ციხის აღების წინ?
12. რომელ ბრძოლაში არ მიუღია მონაწილეობა ტარიელს?
 - ა. ხატაელებთან ბრძოლაში;
 - ბ. ფრიდონის ბიძაშვილებთან ბრძოლაში;
 - გ. მეკობრეების დამარცხებაში;
 - დ. ქაჯეთის ციხის აღებაში.
13. გაიხსენეთ ფრიდონის, ავთანდილის და ტარიელის თათბირი ქაჯეთის ციხეზე იერიშის წინ. თითოეული მათგანის თათბირი შეაფასეთ მოკლედ, თითო სიტყვით.
14. რატომ არ უფრთხის ავთანდილი მარტოობას?
15. რით იწყება და რით სრულდება ავთანდილის ანდერძი?
16. „კაცსა ფიცნი გამოსცდიან“, — წერს რუსთაველი. ვინ ვერ გაუძლო ამგვარ გამოცდას? რა შედეგი გამოიღო ფიცის გატეხამ?
17. არის თუ არა პოემაში აღნერილი ასმათისა და შერმადინის გარეგნობა? რა საერთო აქვს ამ ორ პერსონაჟს?
18. პოემაში თხრობა არა პეტრიონისამეფოს ამბით იწყება. როგორ აღმოვჩნდებით ინდოეთში, მულდაზანზარში?
19. როდის წარმოთქვამს ტარიელი ამ სიტყვებს: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?“ როგორ გგონიათ, რატომ მეორდება ამ ფრაზაში ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმე?

- 20.** რა განსხვავებული აზრობრივი დატვირთვა აქვს მარგალიტს ქვემოთ მოყვანილ ტაეპებში?
- „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოფმანები“. (8 — 1, 2, 3)
 - „მარგალიტი არვის მიჰევდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“. (167 — 2)
 - „შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი, მოიხადა გვირგვინიცა გამჭვირვალი, ერთობ ლალი“. (1204 — 1,2)
- 21.** ნესტანის შეპყრობის ამბავს ჰყვება ქაჯთა მეფის მონა და ამბობს: „რა საპრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა“. ამავე მეტაფორების საშუალებით როგორ დახატა პოეტმა ქაჯთა ტყვეობიდან ნესტანის განთავისუფლება?
- 22.** როგორ გგონიათ, რას ნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის „თანამედროვე წაკითხვა“?
- ტექსტი ნებისმიერ ახლებურ თვალსაზრისს უნდა მივუსადაგოთ;
 - ტექსტი მისი ეპოქის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა წავიკითხოთ და ისე ჩავწევდეთ მის სიღრმეს.
- 23.** რით ხიბლავს „ვეფხისტყაოსნი“ XXI საუკუნის ადამიანს?



დამატებითი ამოცანები

ფრაზები და პერსონაჟები

ქვემოთ ათი ფრაზაა ჩამოწერილი.
გაიხსენეთ, ვეფხისტყაოსნის რომელი პერსონაჟები წარმოთქვამენ მათ?
როდის ითქვა ეს ფრაზები?

- ვინ არის თქვენი ხელმწიფე? ჩვენ ზედა რა პატრონია?
- კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?
- ბრძანა: „წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები“. ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?
- სცოტების და სცოტების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად.
- შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
- რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!
- ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია.
- ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი.
- ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან.

პერსონაჟები: ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი, ფრიდონი, ასმათი, ფატმანი, როსტევანი, რამაზ მეფე, სარიდანი.

გამოქანილი

■ როგორ გგონიათ, რამ განაპირობა გალაკტიონის ამ ლექსში ნესტანის ხსენება?

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დალესტანისა,
აიმართნენ კოშკები
ცისა და ნესტანისა.

■ ვაჟა-ფშაველას ამ ორი პოეტური ფრაზიდან რომელი მოგაგონებთ
რუსთაველს მხატვრული სახეებით, რომელი — აზრობრივად?

სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
ლელეს ჩავიდა მწუხარე ვარდი ვარდის წყლით ნაბანი.

■ გადაიკითხეთ „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში შემდეგი სტროფები:
1075, 1658, 200, 201, 1337. ახლა ეს წაიკითხეთ:

მე, ზამთრისაგან ჯაჭვანყვეტილი,
ნაცნობ ბალისკენ მივემართები,
სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი
ზამთარ და ზაფხულ ჰყვავის ვარდები.

(გალაკტიონი, „ვარდები“)

ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა...
მოდი! გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდისფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პაემანისა.

(გიორგი ლეონიძე, „ყივჩალის პაემანი“)

საზანდარმა ლამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა.

(გიორგი ლეონიძე, „ნინოწმინდის ლამე“)

რა ფიქრები აღიძრათ ამ შეხმიანებებმა?

~~~~ გენერალური მუზეუმი

ოთხი ციკლი

დიდი არგენტინელი მწერლისა და მოაზროვნის, XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის სახე ლუის ბორხესის (1899-1986) აზრით, მხატვრულ ლიტერატურაში სულ ოთხი ამბავი ტრიალებს. ერთი, ყველაზე ადრინდელი, — ესაა ამბავი გამაგრებული ქალაქისა, რომელსაც უტევენ და იცავენ გმირები. ყველაზე სახელოვანი მოიერიშე არის აქილევსი, რომელმაც იცის, რომ გამარჯვებამდე მოკვდება.

მეორე ამბავი პირველს უკავშირდება. ესაა დაბრუნება. ათი წლის განმავლობაში ზღვა-ზღვა ხეტიალის შემდეგ ოდისევის ბრუნდება თავის მშობლიურ ითა-კაში...

მესამე ამბავი არის ძიება და უკავშირდება წინა ამბავს, მისი ვარიანტია. ეს არის ოქროს საწმისის მაძიებელი იაზონის თავგადასავალი. ძველად ნებისმიერი ამგვარი ჩანაფიქრი წარმატებით სრულდებოდა.

ბოლო ამბავი არის ღმერთის თავგანწირვა. ფრიგიელთა ღმერთი ატისი თავს იყლავს. ოდინიც* მსხვერპლს გაიღებს, ცხრა ღამის განმავლობაში შუბით არის მიჭედილი ხეს; ქრისტეს ჯვარს აცვამენ რომაელი ლეგიონერები.

ამბავი სულ ოთხია. და, ასე თუ ისე, ჩვენ სულ მათი ხელახალი მოყოლა გვიხდება ხოლმე.

გაითვალისწინეთ მწერლის თვალსაზრისი და უპასუხეთ კითხვას: თქვენი აზრით, აქ ჩამოთვლილი ოთხი ამბიდან რომელი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“? (დასახელეთ მაგალითები)

■ წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ციტატა და შეასრულეთ ჯგუფური სამუშაო:

„დიდი ეპიკური პოემები, როცა ისინი მშვენიერნი არიან, მთელი თავიანთი სიდიდის მიუხედავად, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების, ცალკეული ეპიზოდების წყალობით არიან მშვენიერნი“.

პოლ ვალერი

ჯგუფური სამუშაო



კლასი რამდენიმე ჯგუფად იყოფა. თითოეული ჯგუფის წევრები ირჩევენ „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე ეპიზოდს და ასაბუთებენ, თუ რამ განაპირობა მათი არჩევანი, რით მიიქცია ამ ეპიზოდმა მათი ყურადღება, აქვს თუ არა მას თავისთავადი მნიშვნელობა, ეპიზოდის რომელი ფრაგმენტი მოსწონთ ყველაზე მეტად და რატომ?

წინასწარ შერჩეული ჟიური აფასებს თითოეული ჯგუფის ნამუშევარს.

* ოდინი — ძველ გერმანელთა უზენაესი ღვთაება.



ნაიკითხეთ ქვემოთ მოცემილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება.

ვიქტორ ნოზაძე¹

„ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება

(ნაწყვეტი)

...გონიერისა და ცოდნის მცირე ძალები არ დამიზოგავს, არც შრომა დამიკულია „ვეფხისტყაოსნის“ სიმაღლეს ავ-ნედომოდი, მის სიღრმეს ჩავწვდომოდი, გამეგო მისი სული, გამეგებინებინა იგი მკითხველისათვის და ნათელ მეყო „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება...

„ვეფხისტყაოსანში“ ფერნი გამოყენებული არიან გან-ზრაბული პოეტური მიზნით და თითოეული ფერი თავისი საკუთარი მეტყველებითაა ახმაურებული, თავისი კერძო სიმბოლიზმით გამხელილი და ნაჩვენები.

თვით სიტყვა **ფერი**, ერთი მხრივ, სხეულებრივ-სული-ერ სიმშვიდე-კმაყოფილებას და სისაღე-სიმრთელეს გამო-ხატავს; მეორე მხრივ, ბედნიერებას, სიცოცხლის ლხინს გვიჩვენებს. ეს უსათუოდ დიდად მნიშვნელოვანია, რადგან უფერული, ფერნაკლული არა-სისაღის, არა-სიმრთელის, არა-სილამაზის გამოხატულება არის, ხორციელი და სულიერი თა-ნასწორობის დარღვევაა, სხეულებისა და უბედურების მაჩვენებელია.

ამნაირად, ფერი „ვეფხისტყაოსანში“ განყენებულად არის სიცოცხლის სიმრ-თელისა და სილამაზის ჩვენება.

ფერი „ვეფხისტყაოსანში“ სიცოცხლისა და სილამაზის ყოველმხრივი და სრუ-ლი თანაშეხამება და შეთანხმებაა, სავსებითი თანაშენყობაა.

ფერთა სიმბოლიზმი „ვეფხისტყაოსანში“ საერთოდ მისი თანამედროვე მსოფ-ლიო კულტურის სურათითაა გადმოცემული და ფერთა სიმბოლიზმი მაშინდელი კულტურის სახეს გვიჩვენებს... ოღონდ არ მეგულება არცერთი ისეთი სხვა ნა-ნარმოები, რომელშიც ფერთა სიმბოლიზმი ასეთი მთლიანი სურათით იყოს ნაჩ-ვენები.

„ვეფხისტყაოსანი“ ფერთა გალობაა და ფერთა შექებაა, რომელს ვერც ერთი გალობა ფერზე ვერ შეედრება...



ფერი ესთეტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით

თეთრი ფერი „ვეფხისტყაოსანში“ ხშირადაა მოხსენებული უმთავრესად სი-ლამაზის აღნერისას. თეთრი არის ნათლის, სიხარულის, სულიერი სიმშვიდის, ბედნიერების ფერი.

¹ ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) — უურნალისტი, რუსთველოლოგი, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო ნარმომადგენელი.

შავი არის მწუხარების, სევდის, ჭირის, გლოვის, უბედურების, სიკვდილის ფერი.

ნითელი არის სიხარულის, ლხინის ფერი, ხელისუფლების, ბატონობისა და მეფობის ფერი; **ნითელი** არის სისხლის, ვაების, ომის, სიკვდილის ფერი.

ყვითელი (ხალასი) არის მხიარული, გამამხნევებელი, მშვენიერების, კეთილშობილების, სითბოს, უზრუნველობის, მყუდროების ფერი.

ყვითელი (ცუდი) არის სევდის, მწუხარების, სნეულების, გულწასულობის, ფერმიხდილობის, დაავადების, შუქმკრთალობის ფერი.

ლურჯი არის წუხილის, გრძნობის დაკარგვისა და გლოვის ფერი.

მწვანე არის ახალგაზრდობის, გაღვიძებული სიყვარულის, მისი ერთგულების, იმედის ფერი. მისით აღნიშნულია ბუნების (ველ-მინდვრის) სიმწვანეც.

დავალება: აქ წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპები და სტროფები, რომლებშიც ფერის აღმნიშვნელი სიტყვებია ხაზგასმული. გაითვალისწინეთ გამოჩენილი რუსთველოლოგის, ვიკტორ ნოზაძის, ზემოთ მოყვანილი შეხედულება და, კონტექსტიდან გამომდინარე, იმსჯელეთ, რას გამოხატავს ესა თუ ის ფერი თითოეულ ფრაგმენტში.

თეთრი, შავი

„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ებურა, შვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა **თეთრტაიჭოსანი**.“

(74)

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.“ (86)

„მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი, არ უხშირონი.“

(127 — 4)

„**თეთრთა** კბილთათ გამოჰკრთების **თეთრი** ელვა, ვითა ჭვირი.“

(141 — 4)

„ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა **შავითა**,
ატირდა მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა“. (226 — 2,3)

„მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია,
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,
თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად **შავნია**. (1300 — 2, 3 4)

ნითელი

„მოედანს დავდგი კარვები **ნითლისა** ატლასებისა.“ (558 — 1)

„დაუდგეს ტახტი ოქროსა, **ნითლისა** მაღრიბულისა.“ (1197 — 2)

ყვითელი

„ტარიელს უძლვნა გვირგვინი ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა.“ (1446 — 2,3)

„ქალმან დედასა შესტირა: „ჰაი, მე რა ვქმნა, დედა!
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, ან შაოსანსა გხედაო“ (1631 — 1, 2)
„ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი.“
(1006 — 3)


ლურჯი

„ბროლი და ლალი შევიქმნენ მე ულურჯესი ლილისა.“ (405 — 3)
„ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრთომისა.“
(1355 — 4)

მწვანე

„იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი,
ებურა მოშლით პირ-ოქრო, მე მივეც რიდე რომელი;
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი,
ცრემლისა ღვარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი.“ (527)

„მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა.“ (1337 — 1,2)



ხახულის კარედი (დეტალი)

ეს საინფორმაცია!

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველისა და თამარის ეპოქიდან შემორჩენილი უნიკალური სამონასტრო კომპლექსი ვანის ქვაბები (ისევე, როგორც ვარძია) შუა საუკუნეებში მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრებმა ძლიერ დააზიანა. მათი აღდგენა-გასუფთავება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი არქეოლოგიური ექსპედიციის დროს ნანგრებიდან გასუფთავდა და მნახველის წინაშე წარმოჩნდა ვანის ქვაბების მცირე გუმბათიანი ეკლესია. ვანის ქვაბები, ანუ გამოქვაბულები, ერთმანეთის მიყოლებით სართულებადაა განლაგებული. ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს მხატვარი ავთანდილ ვართაგავა წიგნში — „როგორ ცხოვრობენ ფრესკები“. გთავაზობთ ფრაგმენტს ამ წიგნიდან:

„ვეფხისტყაოსანი“ მე-14 სართულზე

კლდის ყოველ ჩამოქცეულ ლოდს ზოგჯერ ათი დღის მანძილზე ამსხვრევდნენ ენამასწარა, მხიარული და დაკუნთული მესხები. ახალგაზრდა მუშებს, და ზოგჯერ მოხუცებსაც კი, განსაკუთრებით ხიბლავდა უკვე დახეთქილი და თავქვე გადაყრილი ლოდების ცქერა, მეტეორივით რომ გადაეშვებოდნენ ხოლმე წმინდა გიორგის საუფლოდან და ბორიაყისაგან მზესაც კი აბნელებდნენ ცაზე, თითქოს ნაცარს აყრიდნენ თვალებში, და ბოლოს ქვემოთ, მტკვრის მახლობლად უჩინარდებოდნენ.

ასე გრძელდებოდა დიდხანს, ვიდრე კლდეში მერცხლის ბუდესავით შერჩენილი გუმბათის თეთრი ნაწილი, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებამდე ქვა-ლორლით იყო დაფარული, ტრიუმფალური ჯვარივით არ ამაღლდა ცისკენ. მოკლედ, ყველაფერი ადიოდა მაღლა: საპერანგე ქვები, ვარდულები, ლავგარდანები... თითქოს საუკუნეთა მიღმა ზღვაში დაღუპული გემი ამოჰქონდათ წყლის ზედაპირზე...

ვანის ქვაბთა პატარა, ლამის ცეროდენა, გუმბათიანი ეკლესიის გადარჩენა მონასტრის მე-14 სართულზე უფრო იმითაც არის სასიხარულო, რომ ამით ქართულ მწერლობას „ვეფხისტყაოსნის“, „როსტომიანისა“ და ხალხური პოეზიის ცალკეულ ნიმუშთა უძველესი ფრაგმენტები გადაურჩენ.

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მონაზონი ქალები: ანა რჩეულაშვილი, გულქანი, ხვარამზე შტელიშვილი და სხვანი ხსენებულ პოეტურ ქმნილებათა სტრიქონებს ეკლესიის კედელზე ლომების, მტრედებისა და ყვავილთა სტილიზებულ ხაზებში აქსოვდნენ.

■ ვანის ქვაბთა ეკლესიის კედლებზე „ნესტანის წერილის“ ფრაგმენტებიც არის შემორჩენილი. როგორ ფიქრობთ, რომელ ტაეპებს შეარჩევდნენ კედელზე მისაწერად?



ვანის ქვაბები. მცირე ეკლესია (XIV - XVI ს.ს)

ეს საინფერზოა!

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი დასურათებული გამოცემა

1888 წელს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფის ინიციატივით „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა მომზადდა. გამოცემის ინიციატორები იყვნენ რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და ონა მეუნარგია, რომელ-თაც გამოცემის მიზნად დასახეს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის დადგენა ნაბეჭდი (ვახტანგისეული გამოცემის) ტექსტისა და ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე. ამ სამუშაოს შესასრულებლად შეიქმნა კომისია, რომელშიც თითქმის ყველა იმდროინდელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე შედიოდა (მათ შორის: გაბრიელ ქიქოძე, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი და სხვ.). ნიგნის დასასურათებლად მოიწვიეს ცნიბილი უნგრელი მხატვარი **მიხაი ზიჩი** (1827-1906). გამოცემა დააფინანსა მეცენატმა გიორგი ქართველიშვილმა. საგანგებოდ შეუკვეთეს ძვირფასი ქალალდი და შრიფტი. ამ გამოცემამ, რომელიც ქართველიშვილის სახელით არის ცნობილი, დიდი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში, ძვირფასი ქალალდისა და საუცხოო ილუსტრარციების გამო მას ზოგჯერ მდიდრულსაც უწოდებენ.

■ მიხაი ზიჩის ილუსტრაციებში პოემის პერსონაჟთა პროტოტიპები იმდროინდელი ქართული არისტოკრატის წარმომადგენლები არიან. დააკვირდით მათს ფოტოებს და იმსჯელეთ, შეესაბამებიან თუ არა ეს პროტოტიპები „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე თქვენს წარმოდგენას და რატომ აირჩია მხატვარმა ესა თუ ის კონკრეტული პიროვნება „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული პერსონაჟის პროტოტიპად?



დესპინე ფალავა, ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი



მატრონა ქვარიანი-ქუთათელიძისა, თინათინის პროტოტიპი



ქეთევან წერეთელი-დადიანისა,
დავარის პროტოტიპი



მარიამ მირიანაშვილი-თუმანიშ-
ვილისა, ფატმანის პროტოტიპი



ქაიხოსრო ქაჯაია, როსტევან
მეფის პროტოტიპი



ჯამბაკურ გურიელი, ფარსადან
მეფის პროტოტიპი



ეკატერინე ჯაფარიძე-ნაკაში-
ძისა, ასმათის პროტოტიპი



სიმონ მიქელაძე, ტარიელის
პროტოტიპი



ღიარებათურები კარავანები

ქვემოთ წარმოდგენილია შესადარებელი მასალა.

მარცხენა სვეტში მოცემულია წმინდა წიგნებისა და მსოფლიო მწერლობის ცნობილ ნაწარმოებთა ფრაგმენტები, რომლებსაც გასწვრივ, მარჯვენა სვეტში, მიწერილი აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ თავის სათაური.

მარცხენა სვეტში წარმოდგენილ ყოველ ფრაგმენტს „ვეფხისტყაოსნის“ და-სახელებულ თავში უნდა მოეძებნოს პარალელი სტროფების დაზუსტებით.

პარალელების ძებნაში მთელი კლასი მონაწილეობს.

გადაძახილი

„რუსთაველისთვის არაა უცხო დასავლეთის, რომაულ-ბიზანტიური სამყარო, განსაკუთრებით კი აღმოსავლური — არაბულ-ირანული. ის დიდი მცოდნეა თავისი ქვეყნის ლიტერატურისა, სასულიეროსი და საეროსი. ის შეუდარებელი მცოდნეა ამავე დროს აღმოსავლური, ირანული მხატვრული ლიტერატურისაც. იმას უკითხავს ეს ლიტერატურა და საჭირო შემთხვევაში აღუბეჭდავს კიდევაც თავის პოეზიაში მასთან ნაცნობობის კვალი. ეს ბუნებრივია: რუსთაველი ვერ იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი, საკუთარ ნაჭუჭში რომ ჩამწყვდეულიყო და ზურგი შეექცია თავისი მშობლიური და სხვა მეზობელი ქვეყნების საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ტრადიციებისათვის“.

კორნელი კაკელიძე

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთნაირად გასცეკრის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“.

მორის ბოურა

მსოფლიო ლიტერატურა	ვეფხისტყაოსანი
ბიბლია, ძველი ალთქმა, შესაქმის წიგნი: „შექმნა ღმერთმან სამყარო. შთაბერა პირსა შისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად... არ არს ჰელმწიფებაა, გარნა ღმრთისაგან, და რომელი იგი არიან წელმწიფენი, ღმრთისა მიერ განნესებულნი არიან.“	პროლოგი
კრეტიენ დე ტრუა (XII ს.), „ლანცელოტი“ ანუ „ურმის რაინდი“: „ნაწარმოების დაწერა წარჩინებულმა ქალბატონმა, მარია შარპანელმა, მიბრძანა“.	პროლოგი
ნიზამი განჯელი (XII ს.), „ლეილმაჯნუნიანი“: პოეტი ჯერ ღმერთს მიმართავს, შემდეგ მეფეს ახსენებს, შემდეგ თავის ვინაობას გვიმხელს; ამას მოსდევს მსჯელობა მელექსეობასა და მიჯნურობაზე.	პროლოგი

<p>ნიზამი განჯელი, „ლეილმაჯნუნიანი“:</p> <p>„უნდა გაშლილი იყოს ფართოდ სიტყვათა ველი, რომ ზედ მხედარმა მოიპოვოს დიდი სახელი.“</p> <p>დანტე ალიგიერი (XIII-XIV ს.ს.), „ახალი ცხოვ-რება“:</p> <p>პოეტი ცდილობს დაფაროს თავისი ღვთაებრივი სატრონის, ბეატრიჩეს, სახელი, არავის გაუმ-ხილოს მისი ვინაობა.</p>	<p>პროლოგი</p> <p>პროლოგი</p>
<p>მოსე ხონელი (XII ს.), „ამირანდარეჯანიანი“:</p> <p>„იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორქული, განგებიანი... მოიხმო მეფემან დიდებულები თვისნი, დაჯდა და მიუგზავნა ასულსა თვისსა, ვითა: შვილო, მე დაგერებულვარ და შენ ხარ ჩემი შვილი მკვიდრი და არა მივის შენგან კიდე სხვა ძე...“</p> <p>ახალი აღთქმა, მათეს სახარება:</p> <p>„მზე მისი (ღვთისა) აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და სწომის მართალთა ზედა და ცრუთა.“</p> <p>ფახრ ედ-დინ გორგანელი (XI ს.), „ვისრამი-ანი“:</p> <p>„მზესა და ვისის შუა საცილობელი შეიქნა, თუ რომელი რომელიაო.“</p> <p>ნიზამი განჯელი, „ისქანდერ-ნამე“:</p> <p>„რა ძუ და რა ხვადი ლომი ნავარდის დროს.“</p> <p>„ვისრამიანი“:</p> <p>„გაიხარენ, სუი და ჭამე, რომელ სახელი დაგრჩეს.“</p>	<p>ამბავი როსტევან არაბთა მეფისა</p>
<p>ვოლფრამ ფონ ეშენბახი (XII-XIII ს.ს.), „პარ-ციფალი“:</p> <p>დაბნედილ პარციფალს არც სანადიროდ გა-მოსული რაინდების ძახილი ესმის, არც მონა-დირე ძალლების ყეფა. განრისხებული მეფის ვასალები მის შეჰერობას განიზრახავენ. გონს მოსული პარციფალი მათ სასტიკად დაამარ-ცხებს.</p> <p>„ამირანდარეჯანიანი“:</p> <p>„სეფედავლე დარისპანისძემ მათრახით მხე-დარნი ჩამოყარნა.“</p>	<p>ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა</p> <p>ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>„ლმრთისა განგებასა ნუვინ ემკლავების, ამით რომელ მოწევნადსა ვერვინ შეაქცევს.“</p>	<p>ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასლეა</p>

<p>„ამირანდარეჯანიანი“:</p> <p>„მზეჭაბუკმა ორნი ლომნი უჭირველად დახოცა, ვითარცა კატანი ყოფილიყვნენ.“</p> <p>„ლეილმაჯნუნიანი“:</p> <p>უცხო თვალთაგან დასაფარავად, მშობლებს ლეილი კარავში ჰეყავთ დამალული.</p>	<p>ტარიელისგან თავისი ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო</p> <p>ტარიელისგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>„ადგა დიდი ქარი და მოპელიჯა ფარდაგი... გამოჩენდა ვისის პირი; და მისის გამოჩენისაგან დატყუევდა რამინის გული. თუ სთეუა, გრძეულმან მოწამლა რამინი, რომელ ერთითა ნახვითა სული წაუღო.“</p>	<p>ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა</p>
<p>„ამირანდარეჯანიანი“:</p> <p>„ამირანმა ერთი ლომი ხელითა ერთითა აიღო და მეორითა — მეორე, თავი თავსა შეუტაკა...“</p> <p>„ვისრამიანი“:</p> <p>„მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს.“</p> <p>დანტე ალიგიერი:</p> <p>„სიყვარულს ვინც უერთგულებს, მას დიდი ტკივილის დათმენა მოუწევს.“</p>	<p>მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა</p> <p>მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა</p> <p>მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა</p>
<p>ფირდოსი, (X-XI ს.ს.) „შაჰ-ნამე“:</p> <p>როსტომს, უთრუთს და გოსტანს ვეფხის ტყავის სამოსელი აცვიათ და ვეფხის ტყავისვე ქუდებს ატარებენ.</p> <p>„ლეილმაჯნუნიანი“:</p> <p>მაჯნუნს შველი და ირემი თავის სატრფოს აგონებს. სიყვარულით გახელებული ყაისი უდაბნოში გაიჭრება.</p>	<p>მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა</p> <p>ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა</p>
<p>ნიზამი განჯელი, „ხოსროვშირინიანი“:</p> <p>„ექიმი, რაგინდ კარგი შემტყვებარი იყოს მაჯისა, სნეულების დროს სხვას გაუწვდის ხელს მაჯის გასასინჯად.“</p>	

<p>ბიბლია, ძველი ალთქმა, იობის წიგნი:</p> <p>„უკუეთუ კეთილი შევიწყნაროთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი არა მოვითმინოთა?“</p> <p>ბიბლია, ძველი ალთქმა, რიცხუთა:</p> <p>„კაცმან, რომელმან აღუთქუას უფალსა, ანუ ფუცოს ფიცი, არა განაცრუვოს სიტყუა თვისი; ყოველი, რაოდენი გამოხდეს პირისაგან მისისა, ყოს იგი.“</p>	<p>ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა</p> <p>ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>„მიჯნურობის ხის ნაყოფია ველად გაჭრა და გა-ხელება.“</p>	<p>ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი</p>
<p>ბიბლია, ახალი ალთქმა, პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ I:</p> <p>„მეცნიერებად განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს.“</p> <p>ბიბლია, ახალი ალთქმა, მათეს სახარება:</p> <p>„განყიდე მონაგები და მიეც გლახაკთა.“</p> <p>„ვისრამიანი“:</p> <p>„უსარგებლოა ცუდი დალრეჯა.“</p> <p>„ვისრამიანი“:</p> <p>„კაცისათვის უკეთესი საქმე არის სახელისა ძებნა.“</p>	<p>ანდერძი ავთანდილისა როსტევან მე-ფის წინაშე, ოდეს გაიპარა</p>
<p>ბიბლია, ძველი ალთქმა, 41-ე ფსალმუნი</p> <p>„ვითარცა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო.“</p>	<p>წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>„ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, ხელსა ეკალიცა დაესობის. სურელთაგან გუელსა გამოიყვანებენ, შელოც ვითა დაამშვიდებენ.“</p>	<p>პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა</p>

<p>ბიბლია, ძველი ალთქმა, ისო ზირაქი:</p> <p>„სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი — რა სარგებელ არს ორთავე შინა?“</p>	<p>პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>ავტორი მიმართავს მნათობებს: მზეს, მთვარეს, ოტარიდს, ასპიროზს (ზუპრას), მარიხს, მუშ-თარს (ბორჯის). როდესაც რამინი ჩანგზე სიმღერას დაიწყებდა, წყლის ზედაპირზე ქვები ამოდიოდნენ.</p>	<p>წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა</p>
<p>პავსანიასი (II-III სს.), ელადის ალწერა:</p> <p>ბერძნებს სჯერათ, რომ ორფევსს ჯადოსნური სიმღერის ხმაზე ნადირები მიაშურებენ.</p>	<p>წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა</p>
<p>ბიბლია, ძველი ალთქმა, ისო ზირაქი:</p> <p>„შიში დაადგენს გზათა ზედა სიყუარულისათა.“</p> <p>„ამირანდარეჯანიანი“:</p> <p>„დავინახეთ, ხევში დგას ქარავანი ურიცხვი, მოგვეგებენ წინა ყოველნივე და თაყვანისცეს ამირანს და შეგვასხმიდეს ქებასა... ჰკითხა ამირანმა მოქარავნეთუხუცესს: ვინა ხარ შენა, ანუ ვისი არს ესე ქარავანიო? მან მოახსენა: ბასრელნი ვართ, მოვდივართ ინდოეთიდან. აქ იმიტომ გავჩერებულვართ, რომ წინა შეკობრენი გვიმზერებიან და მათი შიშით ვერ დავძრულვართ ადგილიდან. ამირანმა უთხრა: ნუ გეშინიათ, მე არ მიგცემთ მტერთა თქვენთა სავნებად. მათ გაუხარდათ და თაყვანი სცეს მას. გამოჩნდნენ მეკობრენი, შეიქნა ქარავანთა შიგან ტირილი საშინელი; ამირანმა უთხრა: თქვენ, ბასრელნი, არცა კაი ჭაბუკნი ხართ და არცა კაი ჭაბუკნი გინახავთ. ნუ გეშინიათ, უვნებლად გაგასხამთ თქვენსავე ქვეყანასა... ...გვიკილა ბადრი იამანისძმან: ჩაიმალენით ნავთა შიგანო! ჩავიმალენით. მოგვეახლნენ მეკობრენი. ახტა ბადრი იამანისძე და მათ ნავში გადახტა, ჰკრა ხმალი წითურსა თავადსა და მოკლა, სხვანი ლაშქარნი უჩინო იქმნენ...“</p>	<p>წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყვრა</p> <p>წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყვრა</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>შაჲი ვისის ამწყვდევს ციხეში „ეგზომ მაღალსა მთასა ზედა, რომელ იგი ცამდი იყო“.</p>	<p>წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელ-თანა მიწერილი</p>
<p>„ვისრამიანი“:</p> <p>„რა რამინ ვისის ნიშანი (პერანგი და თავსაბურავი) დაინახა, ვითა ცხროიანი ათრთოლდა, დაბნდა, ცნობათა მიჰედა.“</p>	<p>წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა</p>

<p>„ვისრამიანი“: რამინმა თოკზე გაიარა და ისე შევიდა მიუვალ ციხეში.</p>	<p>თათბირი ნურადინ-ფრიდონისა</p>
<p>„ვისრამიანი“ რამინისა და ვისის გამეფების შემდეგ „ყოვლი-სა ქვეყანასა და ავინწყდა პირველი ჭირი და უსა-მართლობა, ყოველი გალხინიანდეს, მთხო-ველი გამდიდრდეს, ცხვარი მგელთა თანა ძოვდეს.“</p>	<p>ქორწილი ტარიელისა და ნესტან-და-რეჯანისა ფრიდონისაგან</p>

წერითი სამუშაო

კომპლექსური დავალება 1. პირადი მოსაზრების გამომხატველი ესეს დაწერა მოცემულ თემაზე.

შოთა რუსთაველის პოემის მინიშნებებზე დაყრდნობით დაწერეთ პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე თემაზე: „სიყვარული (მიჯნურობა) „ვეფხისტყა-ოსანსა“ და ჩვენს დროში“, რომელშიც გადმოსცემთ საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რით განსხვავდება რუსთველისეული სიყვარული (მიჯნურობა) სიყ-ვარულის თანამედროვე გაგებისაგან.

ნაშრომში:

- იმსჯელეთ, რა მიაჩნია რუსთაველს მიჯნურობისა და მიჯნურის დამახა-სიათებელ აუცილებელ თვისებებად პროლოგის მიხედვით;
- რა თვისებებით ხასიათდებიან „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები და რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ავტორის შეხედულებებს მიჯნურობა-სა და მიჯნურებზე;
- ისაუბრეთ, როგორ ეხმარება სიყვარული ადამიანს სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზაზე „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით;
- გამოკვეთეთ თქვენი თვალსაზრისი სიყვარულის თანამედროვე გაგების თაობაზე, რით ჰგავს და რით განსხვავდება იგი რუსთველისეული მიჯნუ-რობისაგან;
- თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით გამ-ყარებული არგუმენტებით როგორც პოემის ტექსტიდან, ასევე ცხოვრე-ბისეული გამოცდილებიდან (წაკითხულის ან ნანახის გათვალისწინებით);
- გაითვალისწინეთ თხზულების სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძი-რითადი ნაწილი, დასკვნა;
- წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნ-ქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- ახსენით, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი პირადი მოსაზრების ამსახველი ესეა;

- შეიცვალა თუ არა ტექსტის თქვენეული გააზრება საკითხის თანამედროვე კონტექსტში წარმოდგენისას (კონკრეტულად რა და რატომ).

კომპლექსური დავალება 2. საინფორმაციო მოხსენების დაწერა მოცემულ თემაზე.

სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე, მოძიებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ დაყრდნობით დაწერეთ საინფორმაციო მოხსენება თემაზე: „XII საუკუნის საქართველო და „ვეფხისტყაოსანი“.

მოხსენებაში:

- ნარმოაჩინეთ ეპოქა, რომელშიც შეიქმნა ნაწარმოები, კერძოდ, რა ისტორიული და კულტურული ვითარება იყო იმ დროს სქართველოში;
- ისაუბრეთ ავტორზე, ნაწარმოების შექმნის დროზე, როგორ და რატომ დაიწერა ეს თხზულება;
- გამოკვეთეთ პოემიდან კონკრეტული დეტალები (პერსონაჟები და რეალიები), რომლებიც მოგვაგონებს ისტორიულ პერსონაჟებსა თუ რეალურად მომხდარ ისტორიულ მოვლენებს;
- მსჯელობისას დაიმოწმეთ ტექსტი და მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურა;
- ნარმოაჩინეთ საკუთარი თვალსაზრისი პოემაში ასახული ისტორიული რეალიების დანიშნულების შესახებ.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი სრულყოფილ შთაბეჭდილებას შეუქმნის მკითხველს/მსმენელს აღნიშნული საკითხის შესახებ;
- რამდენად და როგორ გამოკვეთეთ ისტორიული მოვლენების კვალი „ვეფხისტყაოსანში“ და საკუთარი მოსაზრება მათი ფუნქციის შესახებ პოემაში.

კომპლექსური დავალება 3. არგუმენტირებული ესეს დაწერა შერჩეულ აფორიზმზე დაყრდნობით.

შოთა რუსთაველის პოემიდან შერჩეულ აფორიზმზე დაყრდნობით დაწერეთ არგუმენტირებული ესე, რომელშიც დაადასტურებთ ან უარყოფთ აფორიზმში გადმოცემულ აზრს. ამისათვის:

- თეზისში მკაფიოდ გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია, რომელსაც დაასაბუთებთ ნაშრომში;
- თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო არგუმენტები, გამყარებული კონკრეტული მაგალითებით როგორც შესწავლილი ტექსტიდან, ასევე წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, ნანახი ფილმებიდან და თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან;
- განაზოგადეთ საკითხი და გამოიტანეთ დასკვნა თქვენი წინარე მსჯელობიდან;

- ნათლად გამოკვეთეთ სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

შეფასების კრიტერიუმი

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი არგუმენტირებული ესეა და რატომ შეარჩიეთ სწორედ ეს აფორიზმი თქვენი ნაშრომისათვის;
- რამდენად დასაბუთებული და დამაჯერებელია თქვენი პოზიცია/მოსაზრება სამსჯელო საკითხის შესახებ.

კომპლექსური დავალება 4. ანალიტიკური ესეს დაწერა მოცემულ საკითხზე.

გაითვალისწინეთ ვიკტორ ნოზაძის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე: „რა მნიშვნელობას ანიჭებს რუსთაველი ფერს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა აღწერისას“.

ამისათვის:

- აირჩიეთ „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე პერსონაჟი და გამოკრიბეთ ტექსტიდან ის სტროფები, რომლებშიც ამ პერსონაჟის გარეგნობა, შინაგანი მდგომარეობა ან მოქმედება აღწერილი (ამ სამუშაოს შესრულებაში პოემის ტექსტის კითხვის კვალდაკვალ შევსებული „სამასოვრო ფურცლები“ დაგეხმარებათ). დააკვირდით, ფიგურირებს თუ არა ფერი გამოკრებილ სტროფებში და რა დატვირთვა ენიჭება მას მოცემულ კონტექსტში;
- გაანალიზეთ მოძიებული ინფორმაცია და გამოიტანეთ დასკვნა;
- ნათლად გამოკვეთეთ ნაშრომში სამნაწილიანი სტრუქტურა, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნაშრომი ანალიტიკურია ესეა, რა ნაწილებისაგან შედგება იგი;
- რამდენად დასაბუთებულია თქვენი მოსაზრებები ნაწარმოებიდან მოხმობილი მინიშნებების გათვალისწინებით;
- რამდენად დაგეხმარათ შესრულებული სამუშაო პოემის ტექსტის უკეთ გააზრებაში.

კომპლექსური დავალება 5. საინფორმაციო მოხსენების დაწერა მოცემულ თემაზე.

სახელმძღვანელოში მოცემულ მასალასა („ლიტერატურული პარალელები“, გვ. 88-93) და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დაყრდნობით დაწერეთ საინფორმაციო მოხსენება თემაზე: „ვეფხისტყაოსნი“ და ეპოქის ლიტერატურული ტრადიციები“. ამისათვის:

- გულდასმით შეისწავლეთ „ლიტერატურულ პარალელებში“ მოცემული მასალა და „ვეფხისტყაოსნის ტექსტში მოძიებული შესაბამისი ადგილები“;
- დააჯგუფეთ მასალა თემების მიხედვით. მაგალითად: პროლოგის დანიშნულება და აგებულება; მიჯნურის ქცევის თავისებურება; სიყვარულის განცდა; პერსონაჟთა აღწერის ხერხები; მეფის ასულის აღზრდის ტრადიცია; მიჯნურის პირველი ხილვა; ნადირთან შებმის მოტივი; ნადირის ტყავით შემოსვის მოტივი; მზეთუნახავის კოშკი გამომწყვდევა; ამბის ტრადიციული დასასრული და სხვ.;
- მიუთითეთ, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, კიდევ რომელ ლიტერატურულ ნანარმოებებში გვხვდება იგივე მოტივები და თემები;
- შეაჯამეთ მოძიებული მასალა და გამოიტანეთ დასკვნა;
- დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი სრულყოფილ შთაბეჭდილებას შეუქმნის მკითხველს/მსმენელს აღნიშნული საკითხის შესახებ;
- რამდენად და როგორ გამოკვეთეთ ეპოქის ლიტერატურული ტრადიციების გავლენა პოემის ტექსტზე და დაგეხმარათ თუ არა შესრულებული სამუშაო პოემის ტექსტის უკეთ გააზრებაში.

ცენტრის ენა

გაიმეორეთ წინა კლასში შესწავლილი მასალა — „ვეფხისტყაოსნის ქართული“ და შეასრულეთ დავალება.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურისა და მწერლობის მნვერვალია. ამავე დროს, იგი ძველ და ახალ სალიტერატურო ქართულს შორის გადებული ხიდიც არის. ის არსებითად დასაწყისია, მკვიდრი საფუძველია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რომელმაც დღემდე ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების რთული გზა განვლო. ამავე დროს, პოემის ენამ შემოინახა ძველი ქართული სალიტერატურო ენის არაერთი თვისებაც.

აქ იმ რამდენიმე გრამატიკულ თავისებურებას შევეხოთ, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ ძველი ქართულიდან მემკვიდრეობით გადმოჰყვა:

1. ვითარებითი ბრუნვის ფორმა (-ად დაბოლოებით) ძველ ქართულში შეიცავდა-თვის თანდებულის (ანუ — დანიშნულების, გამიზნულობის) შინაარსს. მაგ.:

- „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად“ (= მტერთა ძლევისათვის).
2. მოთხოვითი ბრუნვის ნიშნად პოემაში ზოგჯერ კვლავ ძველი ფორმა – **მან** გვხვდება:
„მეფეო, ნუთუ წასლვა**მან** თქვენ ჩემ**მან** დაგაჭმუნოსა!“
 3. კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ** ძველ ქართულში იმასაც გამოხატავდა, რასაც ახლანდელი **ვინც** (მიმართებითინაცვალსახელი). ასეა პოემაშიც. მაგ.: „**ვინ** დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად“.
 4. ძველი ქართულის მსგავსად, ნაწილაკი სახელებს ჯერ კიდევ ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების შემდეგ დაერთვის (**იმის-ვე, რას-მე...**). მაგ.: „პირისპირ მარცხვენს, **ორნივე** მივალთ მას საუკუნოსა“ (შდრ. ახალი: ორივენი).
 5. „ვეფხისტყაოსანში“ უმეტესად ძველებური (ნართანიანი) მრავლობითის ფორმები გვხვდება, რომლებიც მხოლოდ სახელების (მსაზღვრელ-საზღვრულის) რიცხვში შეთანხმებას კი არ იწვევს, ზმნაშიც აჩენს მრავლობითის ნიშანს; მაგ.:
„ვერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად“.
„შენ არ ჯერ-ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!“
დააკვირდით — ახალ ქართულში პირდაპირი ობიექტის რიცხვი ზმნაში არ ჩანს: „უსწავლელი კაცნი (კაცები) როგორ დავაჯერო?“
 6. ახალი ქართულისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსანში“ ჯერ კიდევ ხშირია მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი წყობა: ჯერ საზღვრული, მერე მსაზღვრელი; მაგ.:
„**კაცი ჯაბანი** რითა სჯობს ...“
 7. ერთი რიგის გარდაუვალი ზმნების აწმყოს (და მყოფადის) ფორმები III პირში ინარჩუნებს – ს პირის ნიშანს (-ი-ს დაბოლოებას):
„მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია **ხმების**, ვარდი **ჭნების**“ (=ჭკნება).
 8. „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ძალზე იშვიათია ზმნისწინთა ძველი ფორმები: **ალ-**, **ნარ-**, **გარდა-**; მაგ. „მკვდარსა რალა **გარდმეხდევის!**“ უმეტესად კი ეს ზმნისწინები ისეთ შემთხვევებშიც არის გამარტივებული, რომელთაც დღეს ძველი ზმნისწინით ვიყენებთ: „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა **გაზრახულსა**“.

დავალება: გამოკრიბეთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (ან ნებისმიერი თქვენ მიერ შერჩეული თავიდან) ანალოგიური მაგალითები, დაალაგეთ ზემოთ მოყვანილი კომენტარების მიხედვით და დაარქვით „პროლოგის გრამატიკა“ (თუ სხვა თავს შეარჩევთ, ცხადია, ეს დავალების სათაურშიც აისახება).

შეგიძლიათ რვეულში გადახაზოთ და გამოიყენოთ შემდეგ გვერდზე
მოცემული სქემა:

პროლოგის გრამატიკა

პრობენ- ტარი	მაგალითები
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	

ეს საინფერზოა!

„ვეფხისტყაოსნისადმი“ სიმუში

ეს წიგნი 1956 წელს გამოიცა. მან განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ მეცნიერულ გამოცემებში. აკად. აკაკი შანიძის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის სიმუშონია“ დღეს ყველა ქართველი ფილოლოგის სამაგიდო წიგნად არის ქცეული.

აკაკი შანიძე

ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს სიმუშონიას, ე.ი. წიგნს, სადაც თავმოყრილია ყველა სიტყვა, რომლებიც პოემაში გვხვდება, თანაც ისე, რომ აღნუსხული იყოს ყველა შემთხვევა მოხმარებისა სხვა-დასხვა ფორმით...

ამ სტრიქონების დამწერს დიდი ხანია განზრახული პქონდა, შეედგინა და გამოეცა „ვეფხისტყაოსნის სიმუშონია“, მაგრამ, ფაქტობრივად, მხოლოდ ახლა მიეცა საშუალება, ეს განზრახვა სისრულეში მოეყვანა...

სიმფონია მიზნად ისახავს, გამოავლინოს მთელი მრავალფეროვნება პოემის ლექსიკისა... სიმფონია ენათმეცნიერულია, მას თანაბრად აინტერესებს როგორც რომელიმე მნიშვნელოვანი სიტყვა, სახელი ან ზმნა, ისე ე.წ. დამხმარე სიტყვები: თანდებულები, ნაცვალსახელები. ამის გამო სიმფონია სრულია. ყველაფერია მოყვანილი თავ-თავის ალაგას გარკვეული რიგით: სახელები — ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით, ზმნები კი — მწკრივთა, პირთა და რიცხვთა მიხედვით.

ამ სიმფონიის საშუალებით ადვილად მოსაძებნია, გვხვდება თუ არა რომელიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ და თუ გვხვდება, სად, რამდენჯერ და რა და რა ფორმით...

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მწიშვნელობის ლიტერატურული ქმნილებაა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ის არის ქართული ენის დოკუმენტი, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. იგი მეტად საყურადღებოა როგორც ძეგლი, რომელშიც ერთიმეორის გვერდით გვხვდება ძველი და ახალი ფორმები...

(ნაწყვეტი წინასიტყვაობიდან)

ქართული კულტურის უცხოელი მემკონები

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ:

ძველია პოეტური თხზულება „ვეფხისტყაოსანი“, ის იცოცხლებს მარად, როგორც უკვდავი ძეგლი საქართველოს ცხოვრებისა, როგორც სარკე რუსთველის დროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა, როგორც კულტურულ მისწრაფებათა შთაგონების წყარო.

**არტურ ლაისტი (1852-1927) — გერმანელი მწერალი,
მთარგმნელი**

„ვეფხისტყაოსანი“ აინტერესებს არა მარტო ქართველებსა და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს, არამედ ყველას, ვინც შეისწავლის ან უბრალოდ, ვისაც უყვარს ევროპისა და ახლო თუ შუა აღმოსავლეთის შუასაუკუნეთა ლიტერატურა.

რენე ლაფონი (1899-1974) — ფრანგი მეცნიერი

რუსთაველის პოემა ქმნის არა მარტო სამყაროს მრავალფეროვან სურათს ამაღლებებელ ბედთა ორომტრიალში, ეს არის აგრეთვე სიბრძნის წიგნი ადამიანის მართებული ქცევის შესახებ. მის თხზულებაში მიმობნეული მრავალი აფორიზმი, — დღესაც რომ არავითარ შემთხვევაში არ მოძველებულა, — საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ადამიანის ცხოვრებასა და ფიქრებს, ძირითადად ადამიანურს.

**ჰერმან ბუდენზიგი (1893-1976) — გერმანელი მწერალი,
„ვეფხისტყოასნის“ მთარგმნელი**

რუსთაველის პოეტური სამყარო მჭიდროდ ერთვის ყინწვისის მხატვრულ სამყაროს, ხოლო პოემის ენა ისე მძლავრია, რომ მის მომაჯადოებლობას უცხოურ ენებზე მისი თარგმანებიც კი ვერას დაკლებს.

**რომან იაკობსონი (1896-1982) — ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის
პროფესორი**

რუსთაველის შემდგომი ხანის მწერლობა

რუსთაველის ეპოქით დასრულდა ე.წ. „ოქროს ხანა“, უბრძყინვალესი ეპოქა ქართველი ერის ისტორიისა. ფეოდალური ცენტრალიზებული სახელმწიფო XIII-XV საუკუნეებში მონღოლთა სათარეშოდ იქცა. შემდგომ ქართლ-კახეთში ხან სპარსეთი მძლავრობდა, ხან კი — ოსმალეთი. მძიმე იყო მომდევნო საუკუნეებიც. მრავალჭირგამოვლილი ერეკლე II ასე გვიხატავს იმჟამინდელ მდგომარეობას: „ოსმალონი პირაშემულნი ვეშაპისებრ და სპარსი მბრდლვინავ ლომებრ და ლეკნი განძვივნებულ მგლებრ კბილმოღრჭენით“ თავს ესხმოდნენ ჩვენს ქვეყანას. ამას ერთვოდა შინაური ქიშპი, ღალატი, შუღლი, ყოველივე ამან შეაფერხა, ჩაკლა კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი პროცესი.

მხოლოდ XVI საუკუნის დასაწყისიდან იწყება ჩვენში მწერლობის ერთგვარი გამოცოცხლება. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდნენ პოეტური ნიჭით დაჯილდოებული მეფე-პოეტები, სწავლული ბაგრატიონები: თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI.



თეიმურაზ I (1589-1663), კახთა მეფის დავითისა და ქეთევან დედოფლის ძე, ფრიად განსწავლული იყო სპარსულ ენასა და ლიტერატურაში, რამაც დიდი კვალი დაამჩნია მის შემოქმედებას. მან გადმოაკეთა სპარსული სამიჯნურო პოემები: „ვარდულბულიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „შამიფარვანიანი“, „იოსებზილიხანიანი“. თეიმურაზს დიდი სიმწარე აგემა სპარსეთის სამეფო კარმა (შაპ აბასმა ანამა მისი დედა, შვილები), მაგრამ იგი გატაცებული იყო სპარსული პოეზიით, თავადვე ამბობდა: „სპარსთა ენისა სიტყბომან მასურვა მუსიკობანი“. ამ ეპოქაში შენელდა ტრადიციული თემატიკისადმი ინტერესი. „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“, — წერს თეიმურაზი და მკითხველს სთავაზობს თავშესაქცევ სატრაფიალო თემატიკას.

სამიჯნურო პოემების გარდა, თეიმურაზ I-ს ეკუთვნის ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის პოემა „ნამება ქეთევან დედოფლისა“. ამ თემას გამოძახილი მოჰყვა ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში.

თეიმურაზ I-ს ეკუთვნის ლირიკული ლექსები: „თამარის სახე დავით გარეჯას“, „სოფლის სამდურავი“ და სხვ.

მისი პოეზიის გავლენა განიცადა არაერთმა პოეტმა. ქართულ პოეზიაში იმძლავრა სპარსული პოეზიის მხატვრულმა სახეებმა, თემატიკამ, ორნამენტულმა სტილმა.

არჩილ ბაგრატიონი (1647-1713) ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის შვილი იყო. თავისი შემოქმედებით იგი დაუპირისპირდა ჩვენს მნერლობაში ფეხმოკიდებულ სპარსოფილურ ტენდენციას. პოეზიის თემად მიიჩნია არა გამოგონილი სიუჟეტი, არამედ ისტორიული სინამდვილე. უცხოური ფაბულებით გატაცებას არჩილმა დაუპირისპირა ეროვნული თემატიკა. მისი „საქართველოს ზნეობანი“ ასახავს ქართველთა ზნე-ჩვეულებებს, ქცევის წესებს, შეიცავს დარიგებებს, პრაქტიკულ რჩევებს.

მისი უმთავრესი ნაწარმოებია „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. სხვადასხვა ეპოქის ორი მოღვაწის პაექტობის გზით არჩილი აღწერს რუსთაველის ეპოქას, საქართველოს საამაყო წარსულს, თეიმურაზის უმძიმეს ხანას, ქართველთა დაქსაქსულობას, საქვეყნო ინტერესების მივიწყებას, სათავისოდ ზრუნვას. არჩილს ეკუთვნის ლამის ფორმულად ქცეული გამონათქვამი:



ასე სჭირს საქართველოსას
დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან:
— უჩემოდ ვინ იმღერეთა?!

არჩილის დიდაქტიკური შეგონებები ქართველ კაცს მოუწოდებს ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფისაკენ, უღვივებს განათლების წყურვილს.

გაფრთხილებად გაისმა არჩილის სიტყვები: „თუ ამონყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“.

ქვეყნის საშველის ძიებაში არჩილი რუსეთს გაემგზავრა და საბოლოოდ დამკვიდრდა მოსკოვის ახლოს, სოფელ ვსესვიატსკოეში. აქ მან შემოიკრიბა ქართველი სწავლულები, მწიგნობრები, მწერლები. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართული კულტურის პირველ კერას რუსეთში. არჩილი დაუახლოვდა პეტრე I-ს, კავშირი დაამყარა რუსეთში მყოფ უცხოელ სწავლულებთან. იგი ცდილობდა თავისი ეპოქის რუსული და ევროპული აზროვნების მიღწევათა ქართულ ნიადაგზე გადმონერგვას. მან დააარსა სტამბა და ითავა ქართული ბიბლიის გამოცემა.

თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით არჩილ მეფე ახალი, ევროპული განმანათლებლური წარმატების დამწყებად მიიჩნევა.

ვახტანგ VI (1675-1737) მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი სათავეში ჩაუდგა „სწავლულ კაცთა კომისიას“, რომელმაც შეადგინა ქართული მატიანის („ქართლის ცხოვრება“) ახალი რედაქცია. ვახტანგ VI-მ დააარსა პირველი სტამბა თბილისში, თავისი მეტად საგულისხმო კომენტარებით გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, დაწერა ქართული სამართლის წიგნი, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას.

მას წვლილი მიუძღვის ქართული პოეზიის განვითარებაშიც. ვახტანგ VI-ის ლირიკისთვის დამახასიათებელია რელიგიური თემატიკა, საღვთო სიყვარული, წუთისოფლის სამდურავი, დიდაქტიკური მოტივი. ტრადიციულ თემებს მან შემატა ლირიკული ჟღერადობა, პიროვნული ელფერი, რამაც გადაახალისა ქართული ლექსის ინტონაცია, მეტი ინტიმი შესძინა მას. რუსთველური შაირიც კი თავისებურად აუღერდა მის სევდიან ელეგიაში:

„რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და განი, და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი, და
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და
ვაი-ვა, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!“



მეფების — არჩილისა და ვახტანგის — ირგვლივ შემოკრებილი სწავლული ქართველები რუსეთში მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. სწავლულმა ბატონიშვილებმა — ვახუშტიმ, ბაქარმა, პაატამ ხელი შეუწყვეს მეცნიერული აზრის განვითარებას. მოსკოვსა და პეტერბურგში შეიქმნა ევროპულად განსწავლული ქართველი ინტელიგენციის მძლავრი კერძი.

ამ ეპოქას ისტორიულ გზაჯვარედინად მიიჩნევენ. თურქეთისა და სპარსეთის შემოსევათაგან თავის დასაღწევად რუსეთთან კავშირის ძიებას თან მოჰყვა კულტურული ძვრებიც. დიდი ტრადიციების მქონე სპარსული ლიტერატურა XVII — XVIII საუკუნეებში დაცემის

გზაზე იყო. ქართული მწერლობის წინაშე არჩევანი იდგა: უნდა აჲყოლოდა იმჟამად ჩვენში საკმაოდ მომძლავრებულ აღმოსავლურ გავლენას ან უნდა გაეგრძელებინა ტრადიციული კავშირი ქრისტიანულ სამყაროსთან, ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობებით განმტკიცებულ ტრადიციებთან.

ამავე ეპოქის შემოქმედთაგან აღსანიშნავია ბესიკი (ბე-სარიონ გაბაშვილი, 1750-1791), ლირიკოსი პოეტი. ბესიკი გამოირჩევა რითმისა და რიტმის განსაკუთრებული გრძნობით, რაც მის ლექსს მელოდიურს ხდის. გამომსახველობით საშუალებათა სიუხვე, მოჭარბებული მეტაფორა-შედარებები მის პოეზიაში მძაფრი სასიყვარულო ვნებათ-დელვის გამოხატვას ემსახურება.

ამ ეპოქის ქართველ შემოქმედთაგან განსაკუთრებით გამოსარჩევნი არიან სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი.





ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი პირველი ქართული სახარება. 1709 წ.

თავი II

ისმონი, სწავლის მძიებნილობა

„ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს,
და კარგსა და სამადლოსა — დაულევნელი საუკუნემდის.“

სულხან-საბა ორბელიანი
წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“



ვახტანგ VI და სულხან-საბა. XVIII საუკუნის მინიატურა

შ ი ნ ა ა რ ს ი

II თავი. ისმინე, სწავლის მძებნელო

ლიტერატურა

სულხან-საბა ორბელიანი — სიბრძნე სიცრუისა	107
დავით გურამიშვილი — დავითიანი	174

მხატვრული ანალიზის ელემენტები

იგავ-არაკი	110
მხატვრული მეთოდი	177

კითხვის სტრატეგია

ავტორის სათქმელის ამოცნობა	110
სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოცნობა	177

ტექსტის ენა

მწერლის ენის ანალიზი ერთი იგავის მიხედვით	171
პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნაში	172
რომელ — რომე — რომ	173
ძველი ხოლმეობითი სულხან-საბას ენაში	173
ერთი სიტყვის ისტორია	222
ძველი (არქაული) დავით გურამიშვილის ენაში	223
ახალი დავით გურამიშვილის ენაში	224
პროსოდიული ხმოვნები ტაეპების ბოლოს	225
პოეტის ენობრივი თავისუფლება („პოეტური ლიცენცია“)	225

მ თ ე გ ე წ ა ნ დ ი ს ი ფ ე პ ე შ ი ს

ც ა ს ა პ ი ს ხ ა ლ

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ა ვ ტ ი რ ი

„ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ს ქ ე
ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა ლ ხ დ ა ო რ ბ ე ბ ი ს ზ ე .“
ხ ა ლ ხ უ რ ი

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი დ ა ი ბ ა დ ა 1658 წ ე ლ ს ს ო ფ ე ლ ტ ა ნ ძ ი ა შ ი , დ მ ა ნ ი ს ი ს ა ხ ლ ი ს , დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ბ ო ლ ნ ი ს ი ს რ ა ი მ ი ნ შ ი . ი გ ი წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ფ ე რ დ ა ლ უ რ ს ა გ - ვ ა რ ე უ ლ ი ს ე კ უ თ ვ ნ ი დ ა . მ ა მ ა მ ი ს ი , ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ქ ა რ თ ლ ი ს ს ა მ ე ფ ი ს მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი , ა ნ უ მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე თ უ ბ უ ც ე ს ი , დ ი დ ა დ გ ა ნ ს წ ა ნ ა ვ ლ უ ლ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ყ ი ფ ი ლ ა . დ ე დ ა , თ ა მ ა რ ი , დ ი დ ი ფ ე რ დ ა ლ ი ს , ზ ა ა ლ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს , ა ს უ ლ ი ი ყ ი . ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ს ა ხ ლ ი ნ ა თ ე ს ა მ ა ბ ა ა კ ა ვ შ ი რ ე ბ დ ა ქ ა რ თ ლ ი ს ს ა მ ე ფ ი კ ა რ თ ა ნ : მ ა მ ი დ ა მ ი ს ი ქ ა რ თ ლ ი ს მ ე ფ ე ს , ვ ა ხ ტ ა ნ გ V შ ა პ წ ა ვ ა ზ ს , ჰ ყ ა ვ დ ა ც ი რ ლ ა დ . მ წ ი გ ნ ი ბ ა რ ი მ ა მ ა ხ ე ლ მ ძ ლ ვ ა ნ ე ლ ი ბ დ ა ს უ ლ ხ ა ნ ი ს ს წ ა ვ ლ ა - გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ს . მ ი ს ი გ ა ნ ს წ ა ვ ლ ი ს ს ა ქ მ ე შ ი მ წ ი გ ნ ე ლ ი ღ ვ ა ნ ი წ ვ ლ ი ლ ი . ჰ ე კ ი ნ დ ა თ მ ა მ ი დ ა შ ვ ი ლ ე ბ ს , მ ე ფ ი ს წ უ ლ ე ბ ს : გ ი მ ა რ ი ლ ს , ლ ე ვ ა ნ ს , ა მ ა თ გ ა ნ გ ი მ ა რ თ ლ ი ს დ ა ა რ ჩ ი ლ ი კ ა ხ ე თ ი ს მ ე ფ ე ბ ი გ ა ხ დ ნ ე ნ , ლ ე ვ ა ნ ი კ ი მ ა მ ა ი ყ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ VI - ი ს ა . ს ა მ ე ფ ი კ ა რ თ ა ნ მ ჭ ი დ რ ი დ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ს უ ლ ხ ა ნ ი შ ე მ დ ე გ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI - ი ს ა ლ მ ზ რ დ ე ლ ი გ ა ხ დ ა .

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი ს ო ჯ ა ხ ი ი მ ჟ ა მ ა დ დ ი დ ე უ ლ ტ უ რ უ ლ კ ე რ ა ს წ ა რ მ მ ა ბ ა დ გ ე ნ დ ა . ს უ ლ - ხ ა ნ ს 7 ძ მ ა დ ა 3 დ ა ჰ ყ ა ვ დ ა . ი ს ი ნ ი მ ო ლ ვ ა ნ ე ბ დ ნ ე ნ ქ ა რ თ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა ს ი - კ ე თ ი დ . ე რ თ ი ძ მ ა , დ ე მ ე ტ რ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ჰ ო ე ტ ი ი ყ ი ; მ ე ო რ ე , წ ი კ ი ლ ი ზ ტ ფ ი - ლ ე ლ ი ც , ჰ ი ე ტ ი დ ა კ ა ლ ი გ რ ა ფ ი გ ა ხ დ ა ; ს ხ ვ ე ბ მ ა ც მ წ ი გ ნ ე ლ ი ღ ვ ა ნ ლ ი დ ა ს დ ე ს ქ ა რ თ უ ლ მ წ ი გ ნ ი ბ რ ი ბ ა ს .

ს უ ლ ხ ა ნ ს ს წ ა ვ ლ ი ს ა დ მ ი დ ი დ ი გ უ ლ ი ს ხ მ ი ე რ ე ბ ა გ ა მ ო უ ჩ ე ნ ი ა . „ვ ი ყ ა ვ ს წ ა ვ ლ ი ს ა ფ რ ი ა დ მ ო ყ ვ ა რ ე ,“ — გ ვ ა უ წ ყ ე ბ ს ი გ ი . ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა მ ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი ს ა ე რ რ ი დ ა ს ა - ს უ ლ ი ე რ რ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა მ ი ი ღ ღ ი . ჭ ა ბ უ კ ი ბ ი დ ა ნ ვ ე ჩ ა ე რ თ მ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი რ ე ბ რ ი ვ - პ ი ლ ი - ტ ი კ უ რ ს ა ქ მ ი ა ნ ი ბ ა შ ი . გ ი მ ა რ ი ს XI - ი ს ა დ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ VI - ი ს პ ი ლ ი ტ ი კ უ რ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ს ი ზ ი ა რ ე ბ დ ა , უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ო დ ა ი რ ა ნ - ი ს მ ა ლ ე თ ი ს ზ რ ა ხ ვ ე ბ ს . ი რ ა ნ ი ს შ ა პ მ ა რ ი ც ა გ ი მ ა რ ი ს XI - ს ტ ა ხ ტ ი ჩ ა მ ი ა რ თ ვ ა , ს უ ლ ხ ა ნ ი ქ ა რ თ ლ ს გ ა ე ც ა ლ ა . 1698 წ ე ლ ს ბ ე რ ა დ ა ლ ი კ ვ ე ც ა ს ა ბ ა ს ს ა ხ ე ლ ი თ დ ა დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ი ს უ დ ა ბ ნ ი შ ი , ი მ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს - მ ც ე მ ლ ი ს მ ი ნ ა ს ტ ე რ შ ი დ ა ე მ კ ვ ი დ რ ა .

ქ ა რ თ ლ ი ს გ ა ნ მ გ ე ბ ლ ა დ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI - ი ს დ ა ნ ი შ ვ ნ ი ს შ ე მ დ ე გ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა კ ვ ლ ა ვ ჩ ა ე რ თ მ ა ხ ტ რ ე ბ ა შ ი . ი გ ი მ ე ფ ი ს უ ა ხ ლ ი ე ს ი მ რ ჩ ე ვ ე ლ ი დ ა თ ა ნ ა მ ე ბ რ ძ ნ ი ღ ვ ა ნ ბ ა დ ა . 1710 - 1712 წ ლ ე ბ შ ი დ ი პ ი ლ მ ა ტ ი კ უ რ ი მ ი ს ი თ მ ა რ ი ს XI - ი ს ა დ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ VI - ი ს მ ი მ ა რ ი ს შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ს ი მ ო გ ზ ა უ რ ა დ ა ს ა ვ ლ ე თ ე ვ რ ი პ ა შ ი — ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ა დ ა ი ტ ა ლ ი ა შ ი . ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ს დ ი დ ი პ ა ტ ი ვ ი თ დ ა ხ ვ დ ნ ე ნ , მ ა გ რ ა მ

რეალური დახმარება არ გაუნიეს. ევროპა ირან-ოსმალეთს არ დაუპირისპირდა პატარა საქართველოს გამო.

სამშობლოში დაბრუნებულს დახვდა კიდევ უფრო მეტი შინააშლილობა. სულ-ხან-საბა თბილისში დასახლებულა. არტურ ლაისტი, ქართული კულტურის თაყ-ვანისმცემელი და ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი, შენიშნავს: „სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა ცნობა მოგვეპოვება იმ რვა წლის შესახებ, რომლებიც სა-ბამ თბილისში გაატარა მოსკოვში წასვლის წინ.“ მისივე ვარაუდით, სულხან-სა-ბა ამ დროს საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. თავის ცოდნასა და გა-მოცდილებას უზიარებდა თანამემამულეთ. 1724 წელს, როცა ვახტანგ VI რუსეთში გაემგზავრა, საბა მას ახლდა სხვა 1200 წარჩინებულ ქართველთან ერთად.

სულხან-საბა ორბელიანი გარდაიცვალა 1725 წელს მოსკოვში, დაკრძალეს ვესევიატსკოეში, მონასტერში.

სულხანი ჭაბუკობიდანვე ჩაბმულა სამწერლო საქმიანობაში. როგორც გვაუ-წყებენ ხელნაწერები, „უამსა სიჭაბუკისა მისისა“ დაუწერია დიდაქტიკური ხა-სიათის იგავარაკული კრებული „სიბრძნე სიცრუისა“. სულხან-საბა გიორგი XI-ს მიიჩნევდა თავის აღმზრდელად და სულიერ მოძღვრად, თვითონ მას კი, როგორც ითქვა, ტახტის მემკვიდრის, ვახტანგის აღზრდა დაეკისრა. ამიტომ ბუნებრივია აღზრდის პრობლემებით მისი დაინტერესება.

სიჭაბუკეშივე შესდგომია სულხანი „ქართულ ლექსიკონზე“ მუშაობას, რაც 30 წელს გაგრძელებულა.

ქართული დოკუმენტური პროზის, კერძოდ, სამოგზაურო ჟანრის ერთ-ერ-თი ნიმუშია სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც დღიურების სახით აღწერილია საფრანგეთსა და იტალიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. თხზულების პირველი ნაწილი, საფრანგეთის აღწერა, დაკარგულია. სულხან-საბა გადმოგვცემს ყოველივე ნანახსა და განცდილს და თან ფიქრებით თავის სამშობლოსთანაა.

სულხან-საბამ გაასრულა ვახტანგ VI-ის წამოწყებული საქმე, შეასწორა და საბოლოო რედაქცია შექმნა სპარსული იგავარაკული კრებულისა, რომელსაც ეწოდება „ქილილა და დამანა“, საბამ გალექსა ამ კრებულში ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან პროზად გადმოღებული ლექსები და იმ დროს არსებული თითქმის ყველა სალექსო საზომი გამოიყენა.

სულხან-საბამ თავისი წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ქადაგებების კრებული — „სწავლანი“, რომელიც თანამემამულეთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ დარი-გებასა და დამოძღვრას ისახავს მიზნად და „სიბრძნე სიცრუისას“ შეგონებათა სულისკვეთებას ენათესავება.

სულხან-საბამ ქართულ ჰიმნოგრაფიასაც დაატყო კვალი. თანამედროვენი მას მიიჩნევდნენ „ძველთა მოშაირეთა შესადარად“.

დიდად მნიშვნელოვანია საბას როლი ბიბლიის ხელნაწერთა შესწავლა-რე-დაქტიორებაშიც.

„სიბრძნე სიცრუისა“

სულხან-საბას იგავ-არაკთა კრებულის სათაური ხელნაწერებში სხადასხვანაირად არის შემონახული. ზოგი მას უწოდებდა: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, მაშასადამე, მიაჩნდათ, რომ ეს იყო წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა. მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ნათელი გახადა, რომ კრებულს უნდა ეწოდებოდეს „სიბრძნე სიცრუისა“. აი, რას წერს იგი: „მე ხშირად ჩავთიქრებივარ ამ უცნაურ სახელს წიგნისას. მართლაც,

სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთს?.. მე ვფიქრობ, საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალია, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრივ წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა... აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა. ამიტომაც სიცრუე არამატუ ცოდვაა, არამედ მაღლია, რომლითაც ასე გამოჩენილი არიან ეზობე, ლაფონტენი, გრიმები — ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი“.

კომპოზიცია

მეიგავეთა კრებულებს ზოგჯერ აქვს ფაბულური ჩარჩო, რომელიც ერთგვარად თავს უყრის, აერთიანებს კრებულში შესულ იგავ-არაკებს. „სიბრძნე სიცრუისასაც“ აქვს კომპოზიციური ქარგა. ესაა ფინეზ მეფის კარის ამბავი. ეს ქარგა იგავ-არაკთა ადგილსა და თანმიმდევრობას განსაზღვრავს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნაწარმოების იდეურ მიზანდასახულობასაც გამოკვეთს.

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

„ქილილა და დამანას“ ქართულ თარგმანში საბას ერთი ასეთი გალექსილი ტაეპი აქვს: „ბევრ კარგ მარგალიტს იპოვის იგავთა გამომძებნელი“. როგორ განმარტავდით ამ სიტყვებს? (გაითვალისწინეთ საბას იგავ-არაკთა კრებულის სახელწოდების ილიასეული განმარტებაც).

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

იგავ-არაკი. ადამიანის წინაშე ძველთაგანვე წამოიჭრებოდა კითხვები ცხოვების ავ-კარგის შესახებ: როგორ მოიქცეს? როგორ გაართვას თავი ცხოვრების სირთულეს? რა არის მოსაწონი და რა არის საძრახისი? ამ კითხვების საპასუხოდ იქმნებოდა ბრძნული შეგონებებისა და იგავ-არაკების კრებულები.

იგავარაკული უანრი ყოფით საკითხებსაც მოიცავდა, დარიგებასაც, ამასთან, თავის შესაქცევიც იყო. მას შიშველ დარიგება-სენტენციასთან შედარებით, მეტი მხატვრული ეფექტიც ჰქონდა.

იგავ-არაკი მცირე ფორმის დიდაქტიკურ-ალეგორიული ხასიათის ნაწარ-მოებია. არაკები ერთხანს ზეპირი გზით ვრცელდებოდა, შემდეგ იწყება მათი ჩანერა, დგება კრებულები. იგავ-არაკები გვხვდება ძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურაში. მაგრამ ამ ჟანრის მამამთავრად, მაინც ბერძენი ეზოპე არის მიჩნეული და იგავურ ენას „ეზოპეს ენას“ უნოდებენ.

XVII-XVIII საუკუნეებში იგავარაკული ჟანრი კვლავ გამოცოცხლდა. ამ დროს ქმნიდნენ იგავ-არაკებს ლაფონტენი, ლესინგი და სხვანი. ამავე ეპოქის უკრა-ინელმა მეიგავემ და ფილოსოფოსმა სკოვოროდამ იგავ-არაკები გაუგზავნა მე-გობარს და მისწერა: „იმსახურე ჩემი მხეცები და ფრინველები... ესენი ნილბები არიან, საბურველის მსგავსად იფარავენ ჭეშმარიტებას“. ამ პერიოდში იმძლავრა აზრმა, რომ იოლი აღსაქმელია „სიცრუის სამოსში გახვეული სიმართლე“. ეპოქის სულისკვეთებამ და მოთხოვნამ გამოიწვია ამ ჟანრის წინ ნამოწევა.

იგავ-არაკი შედგება თხრობითი ნაწილისა და დამოძღვრისაგან. არაკები მხი-ლებულია არა კონკრეტული პიროვნება და კონკრეტული მოვლენა, არამედ გაკილულია ზოგადად ადამიანური მანკიერებანი, გარჩეულია ავი და კარგი, იგი ზნეობრივ ორიენტირს უსახავს ადამიანს. ამიტომ იგავ-არაკები დაკონკრეტებუ-ლი არ არის მოქმედების დრო, არ არის მითითებული გეოგრაფიული ადგილი. ზოგჯერ თუ ნახსენებია ესა თუ ის ქვეყანა, — ეს ყოველთვის პირობითია და კონკრეტული დატვირთვა არა აქვს. ამბავი ხშირად გადატანილია ცხოველთა სამყაროში. თავისი უნივერსალურობის გამო ერთი და იგივე იგავ-არაკი შეიძლე-ბა შეგხვდეს ბერძენ ეზოპესთან, რომაელ ფედრუსთან, ფრანგ ლაფონტენთან, გერმანელ ლესინგთან და სულხან-საბასთანაც.

ამ ჟანრისათვის დამახასიათებელია კომიზმი, რაც დარღვეული ჰარმონიის შედეგია. ფედრუსი (ძველი რომაელი პოეტი) ამბობდა, რომ „იგავ-არაკი სიცილს გვგვრის და გვასწავლის სწორად ცხოვრებას...“ ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი აზრის, ორი თვალთახედვის შეთანხმება არ ხერხდება, ჰარმონია არ მიიღწევა, რაც ხშირად ქმნის კომიკურ სიტუაციას. შეუსაბამობა იწვევს სიცილს (ყივილითა და ყეფით სოფელი არ აშენდება). იგავ-არაკი მოსახერხებელი ფორმაა დამოძღვრისათვის. პირდაპირი მხილება და დარიგება ზოგჯერ შეუძლებელია. შემოვლითი გზით, იგავურად თქმა ხშირად მეტ მნიშვნელობას და ძალას ანიჭებს სათქმელს.

გამოვიყენოთ

კითხვის სტრატეგია

ავტორის სათქმელის ამოცნობა, იგავ-არაკიდან დასკვნის გამოტანა. თქვენ აქამდე საბას ცალკეულ იგავ-არაკებს ეცნობოდით და ავტორის სათქმელსაც თითოეულ მათგანში მოცემული მორალის საფუძველზე განსაზღვრავდით. ამჯერად კი ის ფაბულური ჩარჩოც უნდა გაითვალისწინოთ, რომელშიც ეს იგავ-არაკებია ჩართული. უნდა დააკვირდეთ, რომელი პერსონაჟი ჰყვება არაკის, რის საილუსტრაციოდ მოჰყავს მას ეს არაკი და, შესაბამისად, როგორ იკვეთება მისი ხასიათი.



სიბრძნე სიკრუისა

იყო ხელმწიფე ერთი, რომლის საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომელსა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შე-ეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა: სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა. სიუხვე მისი ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა.

და იყო სახელი დიდისა მის და მაღლისა მეფისა ფინეზ.

და ჰყვა ვაზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღნევნილ იყო, ჭკუითა ხმელთა სიგრძე და განი სრულად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, ჰა-ერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა; ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ და-ადნობდის და მფრინველთა კაცებრ აუბნებდის.

და იყო სახელი ვაზირისა მის სედრაქ.



რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან რომლის საქმეებსაც ვერავინ მისნებდება გონებით, ვერავინ შეიცნობს.

ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა იმდენი წყალობა, სიკეთე დაეტია გულში.

თავად არ აღირაცხოდა თვითონაც ვერ დაითვლიდა.

სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი სიბრაზით გამოწვეული სისასტიკე და ულმობლობა.

გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა (ხელმწიფეს) ღვთისმოშიშების წყალობით ნიავივით გაეფანტა გულიდან (სისასტიკე და ულმობლობა).

ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად

გაეგრილა ნოტიო ღრუბელზე უფრო გაეგრილებინა.

ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა ადამიანებისთვის საბოძვარი უხვად, წვიმაზე გადამეტებულად, მიეცა.

ხმელი ხმელეთი.

გულის ფიცართა გამოეწერა გულის ფიცარზე დაეწერა, აღებეჭდა, გულისხმა-ეყო, გაეგო.

ტინი „კლდე მაღალი და აღმა ამართული“ (საბა).

ცვილებრ ცვილივით, თაფლის სანთელი-ვით.

კაცებრ ადამიანივით.



დიდად უყვარდა მეფესა ვაზირი იგი. და არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა, გინა შეჭირვება უძეობისა კიდე.

დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის.

და იყო საჭურისი მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი. სეფეთუხუცესი იყო და გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რუქა. და თქვა:

რომელსა მეფეთაგანსა გარდაუგია სალარო ესეოდენი?

თქვა სედრაქ არაკი:



— იყო ერთი მეფე ხორასანსა დიდებული, კეთილგონიერი, უხვი და მოწყალე. დღესა ერთსა გახსნა სამნი სალარონი და უხმო ყოველსა საპრანებელსა, რათა ყოველმან დიდმან და მცირემან, დიდებულმან გინა გლახაკმან ათორმეტსა ჟამსა რაცა ეძლოს, წარიღონ. და წარიღეს ყოველთა და ვერა დაასრულეს სამნი იგი სალარონი.

მას დღესა ნადიმი გარდაიხადა, აფუცა ვაზირთა მისთა, თუცა რომელთა ასმოდეს ანუ იცოდეს მისი მსგავსი მდიდარი და უუხვესი

არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა, გინა შეჭირვება უძეობისა კიდე მეფეს სხვა საზრუნავი და საწუხარი არა ჰქონდა, უძეობის გარდა.

გულჩქარი ფიცხი, სულსწრაფი. სეფეთუხუცესი სამეფო კარის მსახურთა უფროსი.

გარდაუგია სალარო გაუცია საუნჯე. სალარო განძთსაცავი. ათორმეტსა ჟამსა რაცა ეძლოს, წარიღოს, თორმეტ საათში რამდენსაც შეძლებს, წარიღოს. თუცა... ასმოდეს თუ სმენოდეთ.



მეფე. ექვსთა ვაზირთა ფუცეს უსმენელობისათვის მსგავსისა მისისა. და უმცროსსა ვაზირსა გაეცინა.

ჰკითხა მეფემ:

— რის მიზეზისათვის იცინიო?

მან ფიცი სთხოვა მოუკვლელობისათვის. და მეფემან თავისი თავი ფუცა. მას ვაზირსა რა გული შეუჯერდა, მოახსენა:

— ჩინეთის ქვეყანას ერთი ურია არის, მალქოზ ჰქვიან, და მისი მოყმე არის დიდებული ვინმე. მისებრივ უხვი არც უწინარეს ყოფილა და არც დღეის წალმართ იქმნებისო.

ეწყინა მეფესა, მაგრამ ვაზირი იგი ფიცისად ვეღარ მოკლა და პატიმარ ჰყო. და თვით სამეფო სამოსელი განიძარცვა, სხვა შეიმოსა და წარვიდა მის კაცისა ნახვად. მუნ მოვიდა, სადა იგი ესახლა. თურმე წესი იყო კაცისა მის: სადაც ვის უცხოსა ნახევდის, თვისისა მოიყვანის, აპანის, შემოსის, გაასვენის, საბოძვარი მისცის და განუტევის, დღე ერთი ვლიდა ქალაქთა მათ გარემოს და ნახა მეფე ესე სახითა გლახაკისათა. წარიყვანა და რომელთ სხვათთვის წესი იყო, იგი მას უქმნა. რა შემოსა, ნახა — დიდად საპატიო იყო. ჰკითხა სადაურობა და ვინაობა და ყოველივე აამბობინა. ოდეს სცნა მეფობა მისი, დავარდა მინასა ულირსად და დადვა თავი თავისი და ევედრებოდა უცნობობისათვის. აწვია და შეიყვანა სახლსა ერთსა ეგეთსა, რომე მას მეფესა მის სახლის მსგავსი არ ედგა, უცხო და უცხოდ მორთული: ანუ საფენი, ანუ ფარდაგი — ყოველივე სტავრა იყო. ნადიმი გარდაიხადა, ჭურჭელი ყოველივე შეწყობილი თვალი იყო. ყოველივე უძღვნა.

ცხრა დღე განუსვენა, დღე ყოველ უმჯობესსა სახლსა დასმიდის. მჯობი და უძვირფასესი ჭურჭელი მოილის, უმხიარულე ნადიმი დაუდვის და ყოველივე უძღვნის. უკვირდა მეფესა დიდება და უხვობა მის კაცისა.

მეცხრესა დღესა ერთსა ასეთსა სახლსა აწვია, რომე დიდად უცხო იყო, და არცა მისი ქმნულება ითქმის. საფენი და ფარდაგი — საფერი, და ჭურჭელი მთელი თვალი იყო. გამოთლილი ყვავილნი იყვნეს და ხენი თვალისანი, შეფერებულნი მსგავსად, შვენიერნი. და ყოველნივე უძღვნა. სამნი ესეთნი მგოსანნი ქალნი უძღვნნა, ვერც თვალი უკეკლუცესსა ნახევდა და ვერც ყური უამესსა ისმენდა.

წამოვიდა მეფე. არა წამოილო რა განძთაგან: ერთი ალმასის თასი, და ერთი იაგუნდის საწდე, და ერთი ყვავილი თვალისა, და სამნი მგოსანნი ქალნი. მადლი უბრძანა მასპინძელსა:

ფუცეს უსმენელობისათვის დაიფიცეს,
რომ არ სმენიათ.

გული შეუჯერდა დაიჯერა, დამშვიდდა.
დღეის წალმართ დღეიდან, ამიერიდან.
ევედრებოდა უცნობობისათვის ვედრებით პატიებას სთხოვდა, რომ ვერ იცნო.
აწვია მოიწვია.

ანუ ან, თუ.
სტავრა ძვირფასი ნაქსოვი, ფარა.

უმხიარულე უმხიარულესი.
საფერი შესაფერი.
შეფერებული შეზავებული, შეხამებული.
საწდე ღვინის ჩამოსასხმელი ჭურჭელი.



— ღვთის მოწყალებით მეც შემოგზდოო.

წამოვიდა და მოვიდა მისსა ქალაქსა. ვაზირი იგი პატიმარი პატიოსან ჰყო და ილხენდა.

მის კაცისა პატრონი იგი ურია მისანი იყო. სცნა ყოველი იგი ყოფილი, გაწყრა კაცსა მას ზედა, შეიპყრო, აიალაფა, მეხრლმეთ მისცა სიკვდილად.

წაიყვანეს მათ სიკვდილად. ევედრა მკვლელთა მათ მოუკვლეველობისათვის და სამხრესა შინა ჰქონდა თვალი ძვირფასი, მით იყიდა სისხლი თვისი.

მათ კაცთა ეგრე არქვეს:

— პატრონი ჩვენი, თვითვე იცი, მოგვია, და თუცა ხმელთა ვლიდე, სამისანოთა სცნობს და შენ წილ ჩვენ დაგვხოცს. ანე ამას გიზამთ: კიდობანსა ჩაგსვამთ და მკვდრის აკლდამასა შთაგაგდებთო. — და ჩადვეს.

ნახა ურიამან სამისნო მისი: ხმელთა ზედა არა იყო. დაიჯერა მოკლვა მისი.

მას ჟამსა მპარავნი ალდგეს, რომე ალარ დაუტევეს სახლი გინა საფლავი დაუთხრელი. მოიწივნეს, სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი. დათხარეს, ჰპოვეს და გამოიღეს. ნახეს მუნ — შიგ კაცი ჯდა და განუტევეს.

წავიდა კაცი იგი, მოვლო მრავალი ქვეყანა და უცნაურად მოვიდა ქალაქსა მას მეფისასა. მეფე მაღალთა ჩარდახთა ზედა ჯდა ნადიმად და მგოსანნი იგი იმღერდეს. ერთმან მათგანმან იცნა პატრონი მისი ქვე გავლილი, ატირდა და ჩანგი ხელთაგან განვარდა.

ჰკითხა მეფემან:

— რა დაგემთხვიაო?

მან მოახსენა ნახული მისი. მონახეს კაცი იგი და ჰოვეს. აბანეს, შემოსეს, გამოასვენეს. მეორესა კვირასა შეჯდა მეფე, მიუხდა, ურია იგი მოსრა და საბატონო მისი მას მისცა. მას კაცს ესრეთ შეჰზლო.

ეს არაკი ამისთვის მოგახსენე:

— ვერც ასეთს გასაცემს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექმნას, და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს. რუქავ, შენგან მიკვირს ეგეთი საუბარი!

გამოხდეს ხანი და ჟამი რაოდენიმე. შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ქე ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნეობდა. ათხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელსა მისგან ითხოვდა, ვარსკვ-

შემოვზღო მოგიზღავ.

პატიოსან ჰყო პატივი მიაგო.

აიალაფა აიკლო.

მეხრლმე აქ: ჯალათი.

სიკვდილად მოსაკლავად.

იყიდა სისხლი თვისი თავი დაიხსნა.

სამისნოთა სცნობს მისნობით შეიტყობს.

გასაცემს იქმს გასცემს.

გამოხდეს ხანი და ჟამი რაოდენიმე გავიდა კარგა ხანი, გავიდა დრო.

ათხუთმეტისა დღისა მთვარე სავსე, ბადრი, მოვანებული მთვარე.



ლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინა. სახელად ჯუმბერ უწოდეს.

რა მოიზარდა, გამოიყვანა მეფემან, ვაზირსა თვისსა სედრაქს და საპატრონოთა თვისთა აჩვენა. აიყვანა ვაზირმან, დალოცა და მოახსენა:

— მეფეო, ღმერთმან გიცოცხლოს და ბედნიერმცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერითგან უკუნისამდე. და მიეცეს ამას გულისხმიერობა ვირისა, ერთგულობა ძალლისა და ძალი ჯინჭველისა.

ესმა რა ესე რუქა საჭურისსა, აღშფოთდა და უთხრა ვაზირსა:

— რად მიიღე წყევა ძესა ზედა მეფისასა?

სედრაქ რქვა:

— მე ძე მეფისა არ დამიწყევლია. თუცა გინებს, ადრე სცნობ:

ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, რათა დაეფლას. მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს.

ძალლი კაცისა გლახაკისა, მჭლე და დიდად უსუქარი, მიიყვანე და მდიდარსა კაცსა მიაბარე, რათა გაასუქოს. მერმე ორთავე უხმონ. თუცა პირველი, დამამჭლობელი, დაუტეოს და რომელმან გაასუქა, მას გაჰყვეს, ორგულ არს.

ჯინჭველი შეიპარ და ერთსა ჭიქასა ათორმეტი დღე დააყოფინე მშიერსა და მერმე გამოუტევე. თუცა თვისისა ზომისაგან



კამკამება ელვარება, ბრნყინვალება.

შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაემშვენებინა მერცხლის შავი ფრთები (შავი წარბები) ბროლზე (თეთრ შუბლზე) გადაჭიმული შვენოდა.

მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა თვალებს (მელნის გუბენებს) შავი წამნამები (გიშრის ლერწამი) სარებად შემორკალოდა.

ვარდი და ზამბახი აქ: წითელი და თეთრი. ვარდი და ზამბახი ერთმანეთში აეყვავებინა თეთრ-ყირმიზი სახე ჰქონდა.

საპატრონონი ხელქვეითნი. ბეჭნიერმცა არს ბედნიერი იყოს.

რად მიიღე წყევა რად დაწყევლე.

თუცა გინებს თუ გინდა.

ადრე სცნობ მალე გაიგებ.

უყე ტალახი საფლობი ტალახი.

დაეფლას ჩაეფლოს.

გაახმე გააშრე.

უგუნურმცა არს უგუნური იქნება.

დიდად უსუქარი ძალიან გამხდარი, გაძვალტყავებული.

ორთავე უხმონ ორივემ დაუძახოს.

დამამჭლობელი გამახდუნებელი,

დამამშეველი.

დაუტეოს დატოვოს, მიატოვოს.

გამოუტევე გამოუშვი.



ოთხი წილი მეტი არ აიღოს წალებად, უსუსურმცა არს და მე — სიტყვამცდარიო.

მოასხეს სამნივე და ჰყვეს ეგრეთ და ყოველივე თქმულებრიყო. იხარებდა მეფე დიდად ვაზირისა სიტყვასა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა.

ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, პირმწყაზარი, ტანსარო.

უთხრა მეფესა:

— ღმერთმან გიდლეგრძელოს ძე ეგე შენი და თუცა მე არა მომაბარებ, ნება შენდა, ვერვინ გასწვართოს; თუ მეძებო, მპოვო, თუ არა, შენვე ინანდეო.

სახე თვისი, ეტრატსა ზედა გამოწერილი, ხელთა მისცა და უთხრა:

— მეძებე, თავმან შენმანო!

და თვით წავიდა.

გაეღვიძა მეფესა და ნახა, ხელთა ეტრატი ჰქონდა, სხვა არავინ იყო მის თანა. რა იგი ჭაბუკი ვეღარა ნახა, დიდი ურვა შეექმნა.

შევიდა სედრაქ, ნახა მეფე დიდად დალრეჯილი. უბრძანა მეფემან:

— არა სხეული ვარ, სიზმარი მეზმანა და მით დამიღრეჯიაო.

უთხრა ყოველივე და ეტრატი ხელთა მისცა.

გაუკვირდა ვაზირსა სიკეთე სახისა მისისა და ეგრე მოახსენა:

— მეფეო, თუცა ღმერთსა კაცი იგი შენთვის მოუცია, კართავე შენთა მოიყვანს, თვარემ პოვნა ძნელი არის.

თქვა ვაზირმა არაკი:



თუცა თვისსა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წალებად თავისზე ოთხჯერ მეტი თუ არ ზიდოს.

სიტყვამცდარი ცრუ, მტყუანი.

მოასხეს მოიყვანეს (ისანი).

ჰყვეს ეგრეთ ესე მოიქცნენ.

ყოველივე თქმულებრი იყო ყოველივე ნათქვამისამებრ მოხდა.

პირმწყაზარი პირთეთრი, პირმშვენიერი.

ტანსარო ტანად სარო, საროსავით (კვიპაროსივით) ტანადი.

ნება შენდა ნება შენია.

ვერვინ გასწვართოს ვერვინ გაწვრთნის, ვერვინ აღზრდის.

თუ მეძებო, მპოვო თუ მეძებ, მიპოვო.

ინანდე ინანებდე.

ეტრატი „ტყავის ქალალდი“ (საბა).

ეტრატსა ზედა გამოწერილი ეტრატზე გამოსახული, დახატული.

თავმან შენმან!

ფიცის ფორმულა: შენმა კარგად ყოფნამ!

ურვა „მწუხარება დამამძიმებელი“ (საბა).

ურვა შეექმნა დამწუხებდა.



— ერთი დიდვაჭარი იყო. ეგზომი განძი შეყარა, სალაროთა რიცხვი არ იცოდა. სიბერემდე არა სვა, არა ჭამა, არცა რა შეიმოსა. მერმე თქვა:

— ეგოდენი შემიკრებიან, ან დავჯდები, ვილხენ, ვიზარებ, ხარჯვას დაუწყებო!

მოვიდა ერთსა სალაროსა, დაკლეტილი ვერ გააღო; მეორესა და მესამესა — და ყოველივე ნახა და ვერა რომელი გააღო. გაწყრა და გინება დაიწყო.

სალაროდამე ხმა გამოვიდა:

— რომელი აღებ კარსა, რა საქმე გიცსო?

მან მდიდარმან სახელი თვისი უთხრა:

— ჩემია, დახარჯვა მნებავსო.

მუნით ესრე ესმა:

— თუმცა შენი იყო, დღეისამდე არცა შენ იხმარე და არცა ცოლსა და შვილსა ახმარე. ესე ყოველივე ხურო ნაზარისა არისო.

იწყინა მან კაცმან და ეგრე თქვა:

— ესეთსა საქმესა ვიქმ, ჩემთვისა და მისთვის სწორად დავკარგო.

აიღო ვალი, მოაღებინა მრავალი ძელი, გამოახვრეტინა, ყოველი საუნჯე შიგ ჩაყარა და პირი გარდაუჭედა და შადის მდინარესა ჩაყარა, იგი ხურო თურე ბალდადელი იყო, შადი სადაც ჩადის, დილას განთიად ხურო იგი მდინარის კიდესა განვიდა — ნუთუ

შეყარა თავი მოუყარა, დააგროვა.

რიცხვი აქ: რაოდენობა.

ხურო დურგალი.

ჩემთვისა და მისთვის სწორად დავკარგო

ორივეს ერთაირად დაგვეკარგოს.

შადის მდინარე მდ. ტიგროსი.

ნუთუ აქ: ეგებ.



ტივი მოაქვნდეს ვისმეო? ნახა, უამრავი ძელი მდინარესა მოაქვს უკაცურად, მისცა ფასი მცურავთა, შეგზავნა და გამოაზიდვინა, ყველა კარსა ზედა ხუროსა დაახორავეს.

კაცი იგი ნამდიდრევი შეუდგა კვალსა ძელისასა — ვისი ბეჭი იყოს, ვიცნაო. მოვიდა, ნახა კარსა ზედა ხუროსასა. ჰერთხა:

— ვინ ხარო?

მან უთხრა:

— მე ნაზარი ხურო ვარო.

უთხრა ხუროს:

— აიღე ერთი ძელი და შინა სახლსა შეიღეო.

რა შეიდეს, უთხრა:

— ეჩო ჰერა ხესა ამას, რა ძესო!

რა ძელსა შეხეთქა, თვალი პატიოსანი და მარგალიტი გამოს-ცვივდა. შესწრფა ხუროსა და მან კაცმან ეგრე უთხრა:

— ესე რომელსა ჰერავ, ყოველივე ძელი ესრეთ არს, ღმერთმა მე წამართო და შენ მოგცაო.

რქვა ხურომან:

— ღმერთმან შენვე მოგცეს, ეგრევე წარიღეო.

ნამდიდრევმან არ ინება არც ნახევარი და არც წაოთხალი. ერთი და ორი ეუბნა და არც ერთი ფული არ წამოიღო. მერმე ხურომ უთხრა:

— ორიოდ-სამი პურიც არის, წაიღეო!

ნება დართო. შევიდა, ცოლს უთხრა:

— სამი დიდი პური გამოაცხევ და შიგ კარგი და პატიოსანი თვლები ჩადევ. ეგება იმ კაცმან წაიღოს, ცოლ-შვილი მშიერი არ დაეხოცოს.

ადრე უსმინა ცოლმან, პურნი არდაგსა გაუხვივნა, მოსცა და წარიღო კაცმან მან და წავიდა. მიმავალმან ნახა, უდაბნოსა ხარგა ერთი დგა თხისა ბალნისა. მივიდა, გლახაკი არაბთაგანი იყო. ცოლი ყრმასა ზედა დასწოლოდა. სხვა მეზობლები აგარაკთა ადგილითა წარსრულიყვნეს და იგი ვერ გაყოლოდა. არა რა აქვნდათ, არცა ქვეშსაგებელი, არცა ყრმისა შესახვეველი.

მან კაცმან სიგლახაკისათვის შეიწყალნა და პურნი იგი მისცა და უთხრა:

— წარვედ ბალდადად ხურო ნაზარისასა, ეს უძლვენ, იგი კაცი ღვთისმოშიში არის და აკვანსა და სახვეველს მოგცემსო.

ნამდიდრევი იგი წარვიდა და არაბმან პურნი ხუროსვე მიუტანა. მან ყოველივე სათხოვარი მისცა და მოვიდა ხურო ცოლთან და მოართვნა პურნი იგი.

შეიღე შეიყვანე.
შესწრფა დაირცხვინა.
ხარგა კარავი.

ცოლი ყრმასა ზედა დასწოლოდა
ცოლს ემშობიარა.



თქვა რუქამ:

— წვიმა არ არის და თოვლი, კართა ჩვენთა მოვიდეს, კაცი გავგზავნოთ, პოვნას ვეცადნეთ. რომელსა კაცსა ჩასდებია საჭ-მელი უხელოდ, რომელსა შეჰმოსია სამოსელი გაურჯელად?

თქვა რუქამ არაკი:



მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსა. თქვა:

— ღმერთო, მიშველეო!
მეორე ამხანაგმა უთხრა:
— ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქმნებიო!

რქუა რუქამ მეფესა:

— მოვნახოთ და ვპოოთ.
დღესა ერთსა უბრძანა მეფემან ვაზირს:
— უბრძანე სპათა ამხედრება და მეცა აღვჯდე ტაიჭსა. მივიდეთ
ადგილსა კეთილსა და ამოსა, ვინადიროთ და მსგეფსი ერთი მუნ
დავყოთ!

ოდეს სცნეს ჭაბუკთა ნადირობად გასვლა მეფისა, ეგოდენი
ჯარი შეიყარა, მიწასა ემძიმებოდა. და მოხუცებულნი ყრმათაებრ
ხლდებოდენ: გვე-მცა-ლირსაო სიახლესა მეფისასა სლვა. და ყრმანი

აღვჯდე ტაიჭსა შევჯდები ცხენზე.

ამო საამური, სასიამოვნო.

მსგეფსი „ამ დღის მის სწორამდე“ (საბა),
ერთი კვირა.

ოდეს სცნეს როცა შეიტყვეს.

ჯარი აქ: ხალხი.

ხლდებოდნენ ხტოდნენ.

გვე-მცა-ლირსაო გველირსა კიდეცო.

სიახლესა მეფისასა სლვა მეფის სიახლო-
ვეს სვლა.




ხანდაზმულებრ იქცეოდნენ: თუცა მეფისა ბრძანება გვენიოსო. ეს-რეთ შეფრთინვა იყო.

დაყვეს რვანი დღენი. ნადირი ურიცხვი მოსწყვიდეს. შემოიქცა და მოვიდა ადგილსა ერთსა. კვიპაროზი იდგა შვენიერი, ძირს წყარონი დინდეს და კორდნი ყვავილითა შემკულნი. მნახავსა სევდანი გაექცეოდეს.

ხის ჩრდილსა ჭაბუკი მძინარე იყო, თან აკაზმული ცხენი ება. მოუწოდეს ჭაბუკსა მას. მოვიდა და ნახა მეფემან. ფუცა: მსგავსი მის ეტრატისა სახისა არის! ყოველს კაცსა უკვირდა სიკეთე მისი.

წარმოდგა ყრმა იგი. მეფე დალოცა, დიდი ქეპა შეასხა, ხელს აკოცა. მეფემან აღსვა ცხენსა და წაიტანა თანა. ჰკითხა სადაურობა, ვინაობა და სადა მიმავლობა.



მან მოახსენა:

— მე არა ვიცი სადაური ვარ, მეფობისა წინაშე რა ვიკადრო? ეს ვიცი: მე ლეონ მქვიან, მამაჩემი დედისა ჩემისა ჩემზედ ორსულობასა მომკვდარა და დედაჩემი — ჩემსა შობასა და მე აქა-იქ სვლითა გავზრდილვარ.

რქვა რუქამ ლეონს:

— თავმან მეფისამან, დიდად ბედუკე-თური თურე ხარ!

შემოხედა ლეონ და სცნა საჭურისობა მისი. უთხრა:

— მართალსა იტყვი. თუცა ბედკეთილი ვყოფილიყავ, დღეს შენ არა გნახევდიო.

უთხრა ვაზირმან ლეონს:

ხანდაზმულებრ იქცეოდნენ ხანდაზმულებივით (დინჯად, დარბაისლურად) იქცეოდნენ.

თუცა მეფისა ბრძანება გვენიოსო ეგებ მეფის ბრძანება გველირსოსო, ეგებ მეფემ რამე გვიპრძანოსო.

შეფრთინვა აღტაცება.

მოსწყვიდეს გაულიტეს, მოსრეს.

შემოიქცა მობრუნდა (მეფე).

კვიპაროზი ალვის ხე, სარო.

დინდეს დიოდნენ.

კორდი უხნავ-უთესი ბალახიანი მიწა.

სევდანი გაექცეოდეს (გულიდან) სევდა გადაეყრებოდა.

ფუცა დაიფიცა.

ყოველს კაცს უკვირდა სიკეთე მისი ყველას უკვირდა მისი სილამაზე.

აღსვა შესვა.

წაიტანა თანა თან წაიყვანა.

ჰკითხა სადა მიმავალობა ჰკითხა, სად მიდიხხარო.

მეფობისა წინაშე რა ვიკადრო? მეფეს რა ვუთხრა? რა მოვახსენო?

ორსულობასა ორსულობის დროს.

აქა-იქ სვლითა გავზრდილვარ ხეტიალში გავზრდილვარ.

თავმან მეფისამან ფიცის ფორმულაა: მე-ფის კარგად ყოფნამ!

ბედუკეთური ბედუკულმართი, ცუდი ბედისა, უბედური.

თურე თურმე.

სცნა საჭურისობა მისი შეატყო საჭურისობა.

ბედკეთილი ბედნიერი, კარგი ბედისა.



— მოვედ, მეფესა ემსახურე და იყო ვაზირთა და უხუცესი ჩემი,
და მეფემან ძმურად პატივ გცეს.

თქვა ლეონ:

— მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი
სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს და თუცა შორს წავა, ყინვა
დაჰზრავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა
სჭირდეს.

ერთი: რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა
იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორეს თვა-
ლით ბრმისაგან უბრმესი იყოს;

მეორე: აგრევ ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს.

მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ
შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს;

მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს გაგონილი, არა თქვას და რო-
მელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას;

მეხუთე: ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივ სდიოდეს.

თქვა ლეონ არაკი:



მოვედ მოდი!
იყო თავი ვაზირთა გახდები ვეზირთა
უფროსი.
უხუცესი აქ: უფროსი.
სწორია თანაბარია, მსგავსია.
ორი თვალისაგან ორი თვალიდან.
ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს
ას თვალზე მეტს ხედავდეს.
ბრმათაგან უბრმესი ბრმაზე უფრო ბრმა.
აგრევ ასევე.

ცალი ყური ასმინოს ცალი ყურით მოის-
მინოს.
ფუნდუკი მგზავრთა სადგომი, ქარვასლა,
სასტუმრო.
რომელიც არ ვარგიყოს რაც უვარგისი
იყოს.
ჭკუათ საფერი ჭკუის შესაფერი, ჭკვიანუ-
რი.
გამოიღოს გამოარჩიოს.
სამსალა შხამი, საწამლავი.



ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა: წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა ზღვათა შინა იპოვებოდესო!

წავიდა ვეზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა.

უბრძანა კიდევ: წადი, ასეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არ იპოვებოდესო!

წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა.

უბრძანა მეფემან: მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და, ენა მომიტანეო?

მოახსენა ვაზირმან: თავმან შენმან, არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო.

— ან მეფეო, ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ გაუნათლებს; მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ.

უბრძანა მეფემან:

— რაგინდ ბევრი იუბნა, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია. აჲა, ნიშანი შენი, რომელი შენვე მომეც ძილსა შინა!

ნახა სახე თვისი, თაყვანი სცა მეფესა და დამორჩილდა, წამოყვა, წამოვიდენ. მოვიდენ ქალაქსა მეფისასა, დაიდვეს ნადიმი, განისვენეს.

ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლისა ალისა მსგავსისა მზის შუქითა დაიხივა, მისნი ელვარე მოციქულნი ხმელეთსა გამოუგზავნნა, წავიდა მეფესთან ლეონ.

მეფემან მოიყვანა ძე თვისი საყვარელი ჯუმბერ, მოსცა ხელთა და უთხრა: ეგე ორნივე — ღვთისათვის და ეგ შენდა შემომივედრებიაო!

მოახსენა ლეონ:

— დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა. მე ძისა შენისა გაწრთნვა არ ძალმიც.

თქვა ლეონ არაკი:

იუბნა ილაპარაკო.

დაიღვეს ნადიმი ინადიმეს, ნადიმად დასხდენენ.

შავთა უფსკრულთა ფარდაგი მეტაფორაა: ლამე.

მზის შუქითა დაიხივა (ფარდაგი) მზის შუქით დაიხა. მეტაფორაა: გათენდა.

მისნი ელვარე მოციქულნი მეტაფორაა: მისი სხივები.

მოსცა მისცა.

ეგე ორნივე — ღვთისათვის და ეგ შენდა შემომივედრებიაო ორივე (შენ და ჯუმბერი) ღვთისათვის შემივედრებისართ, ეგ კი (ჯუმბერი) — შენთვისო.

ნიშანი წახდენისა ჩემისა ჩემი დალუპვის ნიშანი.



მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა:

— მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აპა, მოვიდა დღე აღსასრული-სა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს, — ვით მკადრეო, — და თუცა ორთვალი, — მომკლავს, — ოდეს არს მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მის-ცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

— აწ ვხედავ, მიზეზი ჩემი ეს არის, აწვე მომკლა, ვინ გიშლის, ანუ ვინ დაგგმობს?

უბრძანა მეფემან:

— არა ნდომითა ჩემითა არის, ბედისაგან მოცემული ხარო.

მოახსენა ლეონ:

— ხელითწერილი მომეც ფიცისა, ვირემ ჩემი სიტყვა არ მოის-მინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო.

მეფე ლავდიკიისა ლაოდიკიის მეფე.

მხატვარი ხელოვანი კარგი მხატვარი.

მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა საბაბს ეძებდა მხატვრის (დასასჯელად).

მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო მინ-და დამხატო (დახატო სახე, რომელიც ჩემი მსგავსი იქნება).

ვით მკადრეო როგორ გამიბედეო.

ორთვალი ორივე თვალის მქონე.

ოდეს არს მსგავსი ჩემიო როდი მგავსო.

მოიპოვა ესე ღონე ეს გამოსავალი ნახა,

ამ ხერხს მიაგნო.

მორჩა გადარჩა.

აწვე ახლავე.

არა ნდომითა ჩემითა არის ჩემს სურვილ-ზე არაა დამოკიდებული.

ხელითწერილი ხელწერილი.

ვირემ ვიდრე, სანამ.

სხვათა ენით არ მომაკვდინო სხვათა ნათქვამით (ენის მიტანით, შესმენით) არ მომკლა.



მისცა მეფემან ხელითნერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა. აღაშენა სახლი სამეფო და ჯდა მუნ. დაუწყო ჯუმბერს წვრთნა და ასწავლიდა დღივ და ღამ. და მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად.

დავიძის გავანალიზოთ, გევაზასოთ:

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა თვისებებით ხასიათდება მეფე ფინეზი:
მოწყალე, სასტიკი, შეუბრალებელი, უხვი, მრისხანე, ფიცხი, კეთილი, ხელგაშლილი, ღვთისმოშიში, ძუნწი?
2. საბას აზრით, რით დაიძლევა სიფიცხე და შეუბრალებლობა?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ აჩერებს მეფე სულსწრაფ, ავსიტყვა და სასტიკ რუქას თავის კარზე?
4. ვეზირი სედრაქის აზრით, რომელი სამი თვისებაა აუცილებელი ადამიანისთვის? სად ჩანს ეს ტექსტში?
5. რა განწყობილება შეიტანა ამბის თხრობაში მეფის სიზმარმა?
6. რამ დაუდო სათავე რუქასა და ლეონს შორის დაპირისპირებას: აზრთა სხვადასხვაობამ თუ ერთმანეთის ხილვით შექმნილმა პირველმა შთაბეჭდილებამ?
7. რა ფუნქცია აქვს იგავ-არაკს „უტკბესი და უმწარესი“ ნაწარმოებში?
8. რომელი იგავ-არაკით ნათელყოფს ლეონი თავის მოსაზრებას მეფეთა სამსახურის შესახებ?
9. დააკვირდით მეფის ვაჟის პორტრეტს. გაიხსენეთ, სად შეგხვდათ ამგვარი მეტაფორები გმირების გარეგნობის აღწერისას?
10. როგორ ფიქრობთ, რატომ ირჩია მეფემ შვილის აღმზრდელად „აქა-იქა სლვითა“ გაზრდილი კაცი და არა თავისი ღირსეული ვეზირი?
11. რა პირობით დასთანხმდა ლეონი მეფეს სამსახურზე?
12. თქვენი აზრით, რატომ მოაშორა ლეონმა ჯუმბერი სასახლეს, რატომ აღარ მიჰყავდა ხშირად მამასთან?

საფიცარი ფიცის წერილი.
დაირჭო თავსა ზედა თავზე დაიმაგრა.
ჯდა აქ: იმყოფებოდა.

დღივ და ღამ დღედალამ.
აღარ მიიყვანის აღარ მიიყვანდა ხოლ-მე.



ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შენუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა. რუქა დიდად მტერი იყო ლეონისა. მან სცნა ესე.

და თქვა რუქამ არაკი:



ერთი მკერვალი იყო და ქურდი, რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის. ლამესა ერთსა ნახა სიზმარი: პირთა ხე ამოსვლოდა და ყოველი ნაპარავი ნაჭერი ზედ ეკიდა რტოთა. რა გაელვიძა, შეშინდა. შვილს უთხრა: როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე მომაგონეო!

ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაჭრევინა. რა პარვა დაიწყო, შვილმან ხე მოაგონა. ეწყინა მკერვალსა და მაკრატელი პირში ჩასცა, ეგრე უთხრა:

- ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა მას ხეზედანო?
- ამისთანა მეფის ძის ზრდა ვის უნახავს და ან ვის ასმია?

წართვით სვა გაბმით სვა, შეუსვენებლად
სვა.
მწდე მერიქიფე, ღვინის დამსხმელი.
უღონო იქმნა ღონე გამოელია.
ქვე დაეცა და შენუხდა წაიქცა და გული
ნაუვიდა.
სცნა შეიტყო.
მკერვალი მკერავი, თერძი.

დია დიდად, ძალიან.
გამოსჭრის გამოჭრიდა ხოლმე.
პირთა პირიდან.
ხმარებასა შიგან ხმარებისას.
ამისთანა მეფის ძის ზრდა მეფის ძის ამ-
ნაირი აღზრდა.
ვის ასმია? ვის სმენია? ვის გაუგონია?
შესმენა აქ: დაჯერება.



შიმშილითა დაბნედილა და ზეზე დგომით ტერფი დახეთქია.

სედრაქ ვეზირმან რქვა:

— რუქა, დიდად მიყვარხარ და თავსა ჩემსა მირჩევნიხარ, მაგრამ საქმენი შენი მიკვირან პატრონისა შენისა უმჯობესსა და საწყენსა რად არ არჩევ?

თქვა რუქამ არაკი:



ერთი მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვევრი, ლილით სავსე, პირლია დარჩომილიყო. სლვასა იქი-აქა შივ თურე ჩავარდა, ამობორტყდა, ამოვიდა. მელი შავად შეღებული შეიქმნა. დაიწყო სიარული.

ერთი მამალი შემოეყარა. ჰკითხა მელსა:

— რა დაგმართებიაო?

მელმან უთხრა:

— ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავალამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ესე სოფელი გავუშვი, ბერად შევდეგ, იერუსალიმს მინდა წავიდეო.

მამალმან უთხრა:

— რადგან ცოდვისაგან ხელი აგილია და ქველის საქმეს იმრავლებ, მეც წამიტანე, მადლი მოგხვდებაო!

პატრონისა შენის უმჯობესი შენი პატრონისთვის უკეთესი.

ცანცარი ცანცალი — „აქა-იქ სლვა დაუდგრომელი“ (საბა).

ლილა „ლურჯი საღებავი“ (საბა).

დარჩომილიყო დარჩენილიყო.

სლვასა იქი-აქა აქეთ-იქით სიარულში.

რა დაგმართებია? რა დაგმართნია?

ეს სოფელი გავუშვი წუთისოფელი დავთმე, მივატოვე.

ცოდვისაგან ხელი აგილია ცოდვაზე ხელი აგილია, ცოდვას დახსნიხარ.

ქველის საქმე კეთილი საქმე.

წამიტანე წამიყვანე.

მადლი მოგხვდებაო მადლიაო.



მელმან წაიტანა და წავიდნენ.

შემოეყარა ძერა. უთხრა მამალსა:

— რას მოუცოთუნებიხარ, ვის მისდევო?

მან უთხრა:

— მელი ბერად შემდგარა, იერუსალიმს მივა და მივსდევო.

მოეწონა ძერას და იგიც გაჰყვა. შემოეყარა ოფოფი, იგიც გაჰყვა.

შეიყარნენ ოთხი ამხანაგნი. მელი სოროსაკენ გაუძლვა, თავისი ხერხიანი ენა ტკბილად აუბნა და ეგრე უთხრა:

— შვილებო, იერუსალიმს უმოძღვრო კაცს არ მიესვლება. ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთ და მონანული წავიდეთო.

იგინი დამორჩილდნენ. სოროში შეასხა, სამოძღვრო სახლიაო, და თვით კარისაკენ დაუჯდა. უთხრა:

— ოროლის ცოდვის შენდობა შემიძლიაო და მესამის კი — ველარაო.

მათ მადლი მოახსენეს:

— თუცა ორს ცოდვას შეგვინდობ, მესამის შენდობას ვინდა ითხოვსო?

მათ თავნი უბრალონი ეგონათ და მელი მიზეზს ეძებდა.

უბრძანა პირველსა მოწაფეს, მამალსა:

— ღმერთმან ქათმის ყივილი გათენებისას ბრძანაო და შენ ვახშამთ უკან რად წაიცდენ ხოლმეო?

მისი შენდობა მოითხოვა და აღარ-ქმნის აღთქმა დადვა. მანც შეუნდო.

მერმე ეს უბრძანა:

— ყოველს კაცს თითო ცოლი ჰყავს და შენ ათს არ დასჯერდები. ვისაც იბრიყვებ შენს ამხანაგს, მასცა წაჰერიო.

მისიც აღთქმა დადვა და მან შეუნდო.

მესამე უთხრა:

— მხედარი არა ხარ და მშვილდოსანი, დეზები რად გაკრავს, შენ ხომ მის უამში ცხენს არ მჯდარხარო?

მამალი მესამე ცოდვაზე რაღას იტყოდა? მოსწყვიტა თავი და წინ დაიდვა.

უბრძანა ძერას:

რას მოუცოთუნებიხარ? რას უცოთუნებიხარ?

ხერხიანი მოხერხებული (აქ: ლაქუცა).

ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთ ცოდვები უნდა აღიაროთ ჩემ წინაშე.

მონანული ის, ვინც ცოდვები მოინანია.

შეასხა შეიყვანა (ისინი).

უბრალო ვისაც ბრალი არ მიუძლვის, უდანაშაულო, უცოდველი.

ქათამი აქ: მამალი.

ვახშამთუკან ვახშმის შემდეგ, ნავახშმევს.

რად წაიცდენ რად წამოგცდება (ყივილი).

მასცა წაჰერიო მასაც (ამხანაგს) წაართმევო (ცოლს).

დეზი „ცხენის საჩხვლეტელი ანუ საწინელი“ (საბა).

მის უამში არასდროს.



— ის, რომ ავი მგალობელი ხარ, არც სტვინვა გივარგა და არც
ძახილი, მუდამ რად ყივიო?

ძერამ აღთქმა დადვა და მან შეუნდო.

მეორე უთხრა:

— ღმერთმან შენ საზრდოდ ხვლიკი და თაგვი მოგცაო. ერთს
ქვრივს სარჩოდ ერთი ქათამი ეგულების, დასვამს, ამაგსა იქმს და
შენ მიხვალ და წინილს რისთვის მოსტაცებო?

ესეც შეუნდო.

მესამე უთხრა:

— ექვს თვეს მამლობ და ექვს თვეს დედლობ, ეგ რა არისო?

მოსწყვიტა თავი და დაიდვა წინა.

სანამდისინ მელი ამ ორისაგან მოიცლიდა, მანამდინ ოფოფმან
ასეთი ხერხი არჩივა, მელს ოსტატობით გარდაამეტა.

ჰკითხა მელმან ოფოფსა:

— სამეფო თომარ-ჯილა ვინ მოგცაო?

ოფოფმან უთხრა:

— სოლომონ ბრძენმან თავისის ხელით დამხურაო.

მელმან უთხრა:

— მონამე ვინ გყავსო?

ოფოფმან უთხრა:

— ერთი მსუქანი ბატი და ერთი მსუქანი იხვიო.

მელს სიხარბით და მსუნაგობით ჭკუა და მცნება დაეფანტა. ასე
თქვა გულში: ეს ოფოფი ერთს ლუკმად არ მეყოფის და ერთი ბატი და
იხვი ერთს კვირასაც მეყოფაო.

ბევრის ნდომა კაცს ასე წაახდენს. მამალიცა და ძერაც იქივ შე-
უჭმელი დარჩა და თან გაჰყვა.

ოფოფმან მელი ერთს ხევში დააწვინა. მონადირე ვინმე დახვდა
ქორითა და მწევრითა და ძაღლებითა.

ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა. აფრინდა. მელს ახ-
ლოს დაუჯდა. მიჰყვნენ მონადირენი. მანამდის ქმნა, იმ ხევში მი-
იყვანა. მეძებრებმა კვალი ნახეს, მელი გაიხტუნეს, მწევრებმან ასე
გახადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს. ძლივ დაჩეჩებილმან სული
გარდაპხვენა.

სტვინვა სტვენა.

დასვამს კრუხად დასვამს, წინილებს და-
აჩეკინებს.

ამაგსა იქმს ამაგს დასდებს.

სანამდისინ ვიდრე, სანამ.

ხერხი არჩივა ხრიკი შეარჩია.

გარდაამეტა გადააჭარბა, აჯობა.

თომარ-ჯილა ძვირფასი ქვებით შემკული
ფრთა, დიდებულთა თავსარჭი.

მონამე მონმე.

ჭკუა და მცნება ჭკუა-გონება.

იქივ იქვე.

სეფქა გრძელი, რკალშემობმული ისარი
გარეულ ფრინველთა შესაპყრობად.

მანამდინ ქმნა იმდენი ქნა.

მელი გაიხტუნეს (მწევრებმა) მელა წინ
გაიგდეს.

ძლივ აქ: ძლიერ.

სული გარდაპხვენა ძლიერ გადარჩა ცოც-
ხალი.



ოფოფმან დაუძახა:

— მელო, მოწამე ვერ გიშოვნეო!

მელმან უთხრა:

— რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც
დაემართება!

ოფოფმან ჯავრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალსა და ძერას აღარა
ეშველა რა.

— ეგ კაცი ის მელი არის და ბევრგან ნავალი. ასეთს საქმესა
იქმს, შენვე თავსა შემოიკრა და აღარა გეშველოს რა!

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნევდა. დღესა ერთსა
წავიდა სანადიროდ. თვით თოხარიკსაცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ხელთ
ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა,
ქორსა და ქორის ნაბულს ადევნა.

მეორეს დღეს მწევრები მისცა ხელთა. მთათა და გორათა არ-
ბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან
დენა დაუწყო.

მესამეს დღეს შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, მალ-მალ
დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა.

ესმა ესეცა რუქასა და შეასმინა მეფესა:


— ჩვენ, დიდნი და პატარანი, ყველანი დავყრუებულვართ, თვა-
რემ რატომ არ გვესმის, ლამის იგი ყრმა მოკლასო?!

უშლიდა ვაზირი, არათქმასა ეტყოდა.

თქვა ვაზირმან არაკი:

რასაც მოძღვარს რომელ მოძღვარსაც.
ასეთ საქმესა იქმს, შენვე თავსა შემო-
იკრა და აღარა გეშველოს რა ისეთ საქმეს
დაგმართებს, თავში ხელის ცემა მოგიწევს
და აღარაფერი გეშველება.
არას ზრუნევდა უზრუნველად იყო.
თოხარიკი „ცხენი კარგმოსიარულე“
(საბა).
ხელო ქორი შეუსვა ხელზე ქორი დაუსვა.
ნაბული „შიშით გაცქნაფული“ (საბა).
ქორის ნაბული ქორის ნადევნი ფრინველი
ან ცხოველი.

ფერხთსაცმელი გასცვივდა ფეხსაცმელი
შემოაცვდა.
მეტად დაშვრა ძალიან დაიღალა.
მალიმალ დაეცემოდის წამდაუწუმ ეცე-
მოდა.
განამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა
სადგომში მისვლამდე ასე არბენინა.
შეასმინა მეფესა დაასმინა მეფესთან.
არათქმასა ეტყოდა ნუ იზამო, ნუ იტყვიო,
— ეუბნებოდა (ვეზირი).



კაცი ვინწე იყო, ზეგანთა ალაგთა მყოფი, რომელსა ნალკოტი არა ენახა.

ჩამოვიდა ბართა ადგილთა, ნალკოტი ნახა. შევიდა შიგან. ყოველივე ნახა: ხეხილი, მწვანვილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლობა მისცა:

— ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადო: ცოტას ბალანისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის სისათვის — ნიგოზიო!

მიიარ-მიიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზე შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცსა შუბლსა დაეცა და გაუტეხა. ალდგა კაცი იგი და თქვა:

— ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!

— ეგება ის კაცი უკეთ იქმოდეს და ისრე სჯობდეს, და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს იტყვი.

თქვა რუქამ არაკი:

ზეგანი „მთაბარობის საშუალი“ (საბა).
ზეგანთა ალაგთა მყოფი მადლობ ადგილას ნაცხოვრები, მთიელი.
დია მოეწონა დიდად მოეწონა.
მადლი მისცა მადლობა შესწირა.
ყველა კარგად გაგირიგებია ყველაფერი

კარგად დაგიწესებია.
ცოტა პატარა.
ამისგან უდიდესი ამაზე უდიდესი.
სრულ სულ.
აუგს იტყვი ცუდს ამბობ.



ერთი ძალლი და ერთი მამალი დაძმობილდენ:

— სოფელი ავაშენოთო!

ძალლმან უთხრა:

— როგორ ავაშენოთო?

მამალმან უთხრა:

— შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.

წავიდნენ ტყეში. ძალლმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა, ყივილი დაიწყო. მელს ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა: მანდ რასა იქმო?

მამალმან უთხრა:

— სოფელს ვაშენებთო.

მელმან უთხრა:

— ჩამოდი, სახლის ალაგი მომიზომეო!

მამალმან უთხრა:

— მამასახლისი მანდა წევს, გააღვიძე, ეგ მოგიზომსო!

მელი მამლის ნდომითა სცდა და ველარა გაიგო რა. ძალლთან მივიდა, მამასახლისობით უხმო:

— ადე, სახლის ალაგი მინდაო.

წამოდგა ძალლი, მელს გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. დაკოდილი წავიდა. გაგლეჯილი, ნათრევი გორაზე წამოდგა და დაუძახა:

მამლის ნდომით მამლის (შეჭმის) სურვილით.

სცდა შეცდა.

მამასახლისობით უხმო მიმართა, როგორც მამასახლისს.

დაკოდილი აქ: დაჭრილ-დასახირებული.



— მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო!

— შენ და მას პირი შეგიკრავსთ, მე წაუხდენელს, ვიცი, არ გამი-შვებთ; თუ მეფის ძე კარგად გაზარდოთ, მე თურე არა ვიცი რაო.

მეფეს ყური მიეგდო და იცინოდა. იცოდა, რომე სედრაქ და რუქა ერთს სიტყვაზე არ იდგნენ და ლეონს ვაზირის სიტყვა შეენეოდა.

დღესა ერთსა ლეონ განყრა ცუდად, შეიპყრო ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰერა და დიდად ჰგვემა. სცნა რუქამან, მოვიდა გა-რისხებული, არაკობა აღარ დაიწყო. მეფეს ეგრე უთხრა:

— ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეც ერთსა ღვთის წყრომით აღვსებულსა კაცსა. შეუპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულს ვერ მიატანს. და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენად პატრონად.

მრავალი ეგევითარი საუბარი წართქვა, ვითა მტერთა წესია: რა დროს დაიცემს, მაშინ ეცდება მტრობასა.

მეფე ერთობ შეაჭირვა და დიდად განარისხა, რომე ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მიჰრიდებდა. მეტის გაშმაგებისაგან ძრნოდა. რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა და მრისხანე მეფემ ვა-ზირი თვისი გააძო. ლეონს კაცი გაუძახა და თრევით მოილეს. მოკ-ვლას ლამოდა. ეგრე კადრა ლეონ:

— ვერ მომკლავ, მეფეო, ვერა! აჲა, საფიცარი შენი, ამ დღი-სათვინ გამოგართვი, ამას ველოდი და ვიცოდი. მე ეს წინ მედვა. ვერ

ჩემი ჭკუისა დამემართაო ჩემი ჭკუის შე-
საფერისად დამემართა, უჭკუობით მომი-
ვიდაო.

წაუხდენელს... არ გამიშვებთ დაუსჯე-
ლად არ დამტოვებთ, ვერ გადაგირჩებით.

მე თურე არა ვიცი რაო მე თურმე არაფერი
მცოდნიაო.

ერთს სიტყვაზე არ იდგნენ ვერ შეთანხ-
მებულიყვნენ.

ვაზირის სიტყვა შეენეოდა (ლეონს ვე-
ზირი) ექიმაგებოდა, მხარს უჭერდა.

განყრა ცუდად უმიზეზოდ განრისხდა.

უბრალოდ უდანაშაულოდ, უმიზეზოდ.

ერგასი ორმოცდაათი.

არაკობა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი,
არაკით თქმა.

არგანი ჯოხი.

უკრავს დაურტყამს.

ძედ ისვი ძედ დაისვი.

მრავალი ეგევითარი საუბარი წართქვა

ბევრი იღაპარაკა ამგვარად, ბევრი რამ
ამნაირი თქვა.

რა დროს დაიცემს როგორც კი დროს
იხელთებს.

რომე აქ: ისე რომ.

მიჰრიდებდა აქ: ჩამოუვარდებოდა, ნაკ-
ლები იყო.

ცეცხლისა ალი მისის ჯავრისა კვამლსა

მიჰრიდებდა მისი ჯავრის კვამლი (მეტა-
ფორა: რისხვა) ცეცხლის ალს მეტობდა;

ბრაზით გაცეცხლებული იყო.

ცეცხლის გზებას უმატებდა ცეცხლს
უკეთებდა, ცეცხლს უნთებდა (მეტაფო-
რა: რისხვას მატებდა).

გააძო გააძევა, გააგდო.

კაცი გაუძახა კაცი გაუგზავნა დასაძახებ-
ლად, მოსახმობად.

თრევით მოილეს მოათრიეს.

ლამოდა ლამობდა, ძლიერ სურდა, ჩქა-
რობდა.

კადრა შეჰკადრა, უთხრა (უმცროსმა უფ-
როსს).

მე ეს წინ მედვა ეს მომელოდა.



მომკლავ უსამართლოდ!

მოეხსენა მეფესა ფიცი და უთხრა რისხვით:

— მოვედ და ვისამართლოთ!

ლეონ მოახსენა:

— არა, ჯერეთ მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღველფი განაპირობებს და სიტყვისა წყლითა მისი ალი დაშრიტე, და მერმე მეტყოდე!

სიტყვასა მასა ზედა მოვიდა მეფე ცნობასა, დაწყნარდა და დამშვიდდა.

ლეონ მყოვარუამ დადუმებითა იდგა. მერმე აუბნა თავისი ბულ-ბულის უტკებესი ენა. ყოველსა კაცსა ასე ეგონა, პირსა იადონი უბუდებსო, ან მერცხალი ჭიკიკებსო. თუ რამ იცოდა, რაღას დღისთვის დაეჭირებოდა?

მოახსენა:

— მეფეო, დიდად ვმადლობ გულისა შენისა სიმდოვრესა და შენსა ეგზომსა სულგრძელობასა. რაზომ ალგაშვილთა კაცობისა მარცხვენელმან და გაუკითხავად არ მამვალ! ან ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ესე შენი სამეფოდ გინდა, თუცა მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ყოს, სამწყსო შეუმცირდეს, ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე,

უსამართლოდ გაუსამართლებლად.
მოეხსენა გაახსენდა.

ვისამართლოთ განვსაჯოთ, გავსამართლდეთ.

მრისხანების ღველფი და მრისხანების ალი, მოწყალების ქარი, სიტყვისა წყალი. მეტაფორებია. მთლიანად ფრაზა ნიშნავს: დამშვიდდი, მრისხანება გაინელე. მერმე მეტყოდი მერე მითხარი.

სიტყვასა მას ზედა მოვიდა მეფე ცნობასა ამ სიტყვებზე (ამ ნათქვამზე) გონს მოეგო მეფე.

მყოვარუამ დიდხანს.

აუბნა ენა ალაპარაკდა, ამეტყველდა.

პირსა იადონი უბუდებსო (თითქოს) პირში ბულბული ჰყავსო დაბუდებული.

რაღას დღისთვის დაეჭირებოდა სხვა რომელი დღისთვის დასჭირდებოდა, ამაზე უარესი რა დღე დაუდგებოდა.

გულისა სიმდოვრე სიდინჯე, სიმშვიდე, აუჩქარებლობა.

გაუკითხავად გაუსამართლებლად, გამოუძიებლად.

თუცა თუ.

მწყემსი ხამს მწყემსი (ისეთი) უნდა იყოს.

იჭირვოდეს გაისარჯოს, თავი განსაცდელში ჩაიგდოს.

კეთილთა ბალახთა აძოოს კარგი ბალახი მოაძოვოს.

ამოდ აქ: უსაფრთხოდ, მშვიდობით.

დაკოდილი აქ: ჭრილობა.

მპარავი ქურდი.

სამწყსო ფარა.

წესი „წესი უწოდიან ჩუეულებასა განმტკიცებულსა“ (საბა).

რიგი „განწესებასავით“ (საბა).

ჭირი გასაჭირი.

მუშაკობა გარჯა, ჯაფა.



ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს — აღდგება, უნებს — დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მიიჭირვებიან მისთვის? დღე-ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მოიმშევს. არაკად თქმულა: მაძლარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჲყვედრიდა: რად ღორულად სჭამო! თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშველობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა, — იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს?

არგნის სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის — მეტი და სხვათათვის — ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. ან ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამის შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?

ნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი.

მიცემა გაცემა, ბოძება.

თუცა აქ: რომ.

რამცა იცოდა რა ეცოდინებოდა?

ზედგომასა რა გარჯა აქვს ფეხზე დგომა რა ძნელია.

უნებს უნდა, სურს.

მათი სამსახური ვითა სცნას, რას მოიჭირვებენ მისთვის? როგორც გაიგოს მათი ჯაფა, რა გასაჭირის ატანა უხდებათ მისთვის (მეფისთვის).

დღე ყოველ სულ, მუდამ, დღენიადაგ.

ზე დგანან ფეხზე დგანან.

თუცა შიმშილით არ მომყმარიყო რომ არ დამშეულიყო.

რამცა იცის რა ეცოდინება.

უღონო დავრდომილი, სნეული.

აკლს აკლია.

ყველას კეთილსა ჭამს ყველაფერ კარგსა ჭამს.

არ მოიმშევს საჭმელს არ მოიკლებს, არ დაიმშევა.

არაკად თქმულა ნათქვამია.

მომყმარი დამშეული.

უფშვნეტდა უფშვნიდა, ნამცეც-ნამცეც აძლევდა.

რად აქ: რატომ.

ბაზიერი ქორ-შევარდენთა დამგეშავი (მწვრთნელი) და სანადიროდ მიმტევებელი.

შიკრიკი „მხედართ წინამავალი“ (საბა), მალემსრბოლი.

მკვირცხლი „ეს არს ქვეითი ფერხივ მავალი“ (საბა).

რომელითა სიბრალულითა შეიბრალებდა? როგორდა შეიბრალებდა?

მერანი „კეთილმოარული ცხენი“ (საბა).

იგო... ცხენთა ჯდეს, გინდა ეტლითა ვიდოდეს (თუ) ის ცხენზე იჯდება ან ეტლით ივლის.

არგნისა სიმწარე არ ენახა ჯოხის სიმწარე (რომ) არ გამოეცადა.

მდაბალნი აქ: მდაბიონი, უბრალო ხალხი.

ჭირნი მისწავებია გასაჭირი მინახვებია.

რა არის სასწავლოდ მისსა? (კიდევ) რა აქვს სასწავლი?

სიტყვა საქმიანი სიტყვა, რომელსაც საქმე ახლავს, საქმით მტკიცდება.

საქმე სიტყვიანი საქმე, რომელიც სიტყვისაგან გაუთიშველია.

სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი საქმე და სიტყვა ერთია.



დიდად მოეწონა და შეინანა, რაცა ლეონისათვის ავი ექმნა. მოეხვია ყელსა:

— რა ვყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან და შვილისა სიმნარემან აღმაშფოთა.

დავუიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რისი თქმა უნდა რუქას იგავით „მოძღვარი მელი“? ემთხვევა თუ არა იგავის შეგონება რუქას სათქმელს, ანუ რაზე ამახვილებს ყურადღებას რუქა ამ იგავში?
2. რატომ სთხოვა ლეონმა განრისხებულ მეფეს, დამშვიდებულიყო და ისე მოესმინა მისთვის?
3. ლეონის აზრით, რით ჰგავს მეფობა და მწყემსობა ერთმანეთს?
4. დააკვირდით, როგორ ააგო თავისი სიტყვა სამსჯავროზე წარმდგარმა ლეონმა: დასაწყისში რისთვის გადაუხადა მეფეს მადლობა? რა პასუხი გასცა თავის მიერვე დასმულ კითხვას? რის მტკიცებას მიუძღვნა თავისი სიტყვის ძირითადი ნაწილი? რით დაასრულა სიტყვა?
5. როგორ ზრდიდა ლეონი ჯუმბერს: უსისტემოდ თუ წინასწარ მოფიქრებული გეგმით, გარკვეული პრინციპების დაცვით?
6. ლეონის ნათქვამი რომელი ფრაზა მიგვანიშნებს სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე?
7. რა უსწავლებია ლეონს უფლისწულისთვის?

შეინანა ინანა.

რა ვყო რა ვენა.

სიმნარე აქ: გასაჭირი, ტანჯვა.



თქვა ლეონ არაკი:



შირვან-შაჰ იჯდა, ერთი უსამართლო, კაცთა უწყალო და მაობარი ქვეყანათა. სადაცა მოჩივარი, ანუ გლახაკი ნახის, წამსვე მოჰკლის. აოხრდა ყოველი სამეფო მისი.

დღესა ერთსა ნახა მოჩივარი ვინმე. მოკლვა მისი ბრძანა. მან კაცმან თქვა:

— მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, ამად რომე ყოველთა მფრინველთა და მხეცთა ენა ვიციო.

იამა მეფესა და ალარ მოკლა, მართალი ეგონა, ვაზირსა მიაბარა, ეგრე უბრძანა:

— ამისგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო!

წაიყვანა ვაზირმან. იცოდა, რომ სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა. კაცი იგი განუტევა.

გამოხდენ დღენი მრავალნი და ღამესა ერთსა სმად ჯდა შირვან-შაჰ და გალმართ ორნი წოტნი იძახდენ. მოეგონა კაცი იგი მოენე მეფესა და ჰკითხა ვაზირსა:

— ისწავლე მფრინველთა ენა მის კაცისაგანაო?

მან მოახსენა:

— ვისწავლეო.

შირვან-შაჰ შირვანის შაჰი, განმგებელი.
კაცთა უწყალო ადამიანთა მიმართ უმოწყალო, სასტიკი.
მაოხარი მაოხრებელი, ამკლები.
ნახის ნახავდა ხოლმე.
მოჰკლის მოკლავდა ხოლმე.
სიცოცხლისათვის მოიგონა თავის გადასარჩენად მოიგონა.

განუტევა გაუშვა.
სმად იჯდა (ღვინის) სასმელად იჯდა, ნადიმობდა.
გალმართ გალმა, იქითა მხარეს.
წოტი „პატარა ბუ“ (საბა).
მოეგონა მოაგონდა, გაახსენდა.
კაცი იგი მოენე (ფრინველთა და მხეცთა) ენის მცოდნე.



უბრძანა:

— იგი წოტნი რას უბნობენო?

ვაზირმან მოახსენა:

— ერთსა ქალი ჰყავს და მეორე ვაჟისთვის სთხოვს. ქალის პატ-რონი ეუბნება: თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო.

ვაჟის მამა ასე ეუბნება:

— შენს ქალს რომ შვიდასი ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი სხვა მყავსო, მათ საცოლეებს რაღა ვუყო?

ქალის მამამ ეგრე უთხრა:

— რას ზარობ და დალონებულხარ? თუ შირვან-შაჰს დღე გა-უგრძელდა, ბევრს სხვას ააოხრებსო!

ეწყინა შაჰს და თქვა:

— მე აგრე უსამართლო ვარო?

ვაზირმან მოახსენა:

— წოტნი ეგრე იტყვიანო.

მას სიტყვის უკან ის შაჰი მოწყალე შეიქმნა.

— მათ მსგავსად, თუ ეგ თქვენი საჭურისი ცოცხალია, ბევრი ამისთანა დღე გარდამხდება.

ბრძანა მეფემან:

— საჭურისისა გული უსუსურია და ნუ დაიხსოვნებო!

თქვა ლეონ არაკი:



პირის სანახავად (საპატარძლოს) საჩვე-
ნებლად.

რას ზარობ რად გეშინია.

თუ დღე გაუგრძელდა თუ დღეგრძელი
იქნა, დიდხანს თუ იცოცხლა.
მას სიტყვის უკან ამ ნათქვამის შემდეგ.



ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა. მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის.

მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა:

— პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო!

წავიდა დათვი. და მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო, მოის შეშას დავკოდ და წამოვიდებო!

მოვიდა დათვი და, რაც მათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუუჯინა:

— თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაპკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა:

— ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.

— ეჰა, მეფეო, ენით მოკვდება კაცი, სხვით — არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს.

უბრძანა მეფემან:

— შეცდენით ერთი საქმე იქმნა, ნულარ გახსოვსო!

მოახსენა ლეონ:

— მეფეო, კაცი არ გაიკითხო, ვით იქმნების.

მეფეთგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

აწვია მიიწვია.

ლხინი აჩვენა მოალხენინა.

დაეთხოვა გამოეთხოვა.

განერწყვა გადააფურთხა.

მოის წამოსვლისას, აქეთბისას.

შეშას დავკოდ ხეს მოვჭრი, შეშას დავჩეხ.

რაც მათ ეფერებოდა როგორც შეეფერებოდათ.

იალერსეს მოესიყვარულნენ ერთმანეთს. დამკოდეო დამჭერიო.

უდღეოდ უდროოდ, დროზე ადრე.

აღარც ენით წყლულს ელხინოს აღარც ენით დაჭრილს ეშველება.

შეცდენა შეცდომა.

არ გაიკითხო აქ: არ შეიბრალო.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი მეფებს სამ რამეს დაუმადლებს (მოუწონებს) უფალი.

დანახვანამსახურისა დაფასება გაწეული სამსახურისა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკი მეფეთაგან სამ რამეს მიიჩნევენ ღვაწლად ღატაენი.

თხოვისა ბოძება სათხოვარის მიცემა.

სიხარულით წარვლენა გახარებულის გასტუმრება.



მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზლრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს.

რქვა რუქამ საჭურისმან ლეონს:

— თუ ეგოდენი კეთილი იცოდი და სამეფონი ქცევანი, გვემასა და შიმშილსა ეგ უმჯობე არ იყო, ჯუმბერისათვის გესწავებინა?

ბრძანა მეფემან არაკი:



დაუფერებლობა ლიქნის, პირფერობის შეუწინარებლობა, მოუკერძოებლობა. **შესმენილი** დაბეზლებული. **მობეზლრისა წაყენება** დამბეზლებელთან პირისპირ წაყენება. **ურისხველად ბრძანება** მშვიდად, წყნარად თქმა. **ხილვა პირისა მისისა მისისა** მისი (მეფის) ნახვა. **ესე არს წესი მეფეთა** ასეთია მეფობის წესი. **გოდოლი კოშკი, ბურჯი.** აქ: სიმტკიცე.

ესე არს გოდოლი სპათა ეს არის ძლიერება ლაშქრისა. **ზღუდე გალავანი** აქ: სიმტკიცე. **რომელმან ჰყოს**, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს ვინც ასე იღვაწებს (მოიცევა), ის მეფე და მისი ქვეყანა ძლევამოსილნი იქნებიან. **კეთილი** აქ: კარგი რამ, სიკეთე. **გვემასა და შიმშილსა ეგ უმჯობე არ იყო?** ცემასა და შიმშილს ეგ არ სჯობდა?



მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალენა. უთხრა შვილთა თვისთა:

— თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე: თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლენოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა.

— ანე, თქვენი საქმე მას ჰყავს. თქვენი სიტყვა თუცა ერთი იყოს, დაემყაროს მეფობა ჩემი.

ლეონ მოახსენა:

— მართალს მიპრძანებს მეფობა თქვენი, მაგრამ მე მაგ საჭურისმან დამანანა შენი ხლება.

თქვა ლეონ არაკი:



ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ლამოდა. ვირმა უთხრა:

— ვიცი, შემჭამ, ეს ანდერძი ამისრულე: — ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამოილეო!

მგელმან პირი მიჰყო, უნდა ამოელო. ვირმა წიხლი ჰყრა, კბილები ჩამტვრია მგელსა. ვირი ვეღარ შეჭამა.

მოაღებინა მოატანინა.

დაგლენოსთ დაგლენავთ.

დაემყაროს აქ: განმტკიცდება.

დამანანა მანანებინა.

შენი ხლება შენთან ყოფნა.

ნალბანდი ნალის დამჭედებელი.

მოუხდა მიუვარდა, მიეჭრა.

ლამოდა ლამობდა.

ანდერძი აქ: თხოვნა.

ქაჩაჩი „ცხენის, ვირისა და მისთანათა გაუბობელი ჩლიქი“ (საბა).

დამრჩა ჩამრჩა.

პირი მიჰყო პირი წაატანა.



მგელმან თქვა:

— მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?

თქვა რუქამ არაკი:



თავრიზის ქვეყანას იყო ერთი ქურდი. რომ სხვა ველარა დაეხე-ლებინა რა, მკვდარს მოსთხოვდის, სუდარს გაჰვდიდის, შეღებავდის და გაყიდდის.

შენუხდა თემი იგი კაცისა მისგან. ნატრობდის სიკვდილსა მისსა.

მოკვდა კაცი იგი და დარჩა შვილი, ერთი ვაჟი. ესრეთი ქურდობა დაიწყო, რომ არა ეგებოდა: მკვდარი მოსთხარის, სუდარი გახადის და მკვდარი ანძაზე ჩამოაცვის.

მის ქვეყნისა კაცთა მამასა მისსა ლოცვა დაუწყეს:


— იგი სუდარს გახდიდის, გაყიდის, მკვდარს ანძაზე მაინც არ ააგებდაო!

— თავმან მეფისამან შენისამან, მას კაცსავით შენ მამაშენს დაგვალოცვინებ და კიდეცა სჯობხარ სიავითა.

თქვა ლეონ არაკი:

ხარაზი ფეხსაცმელების მკერავი.
ნალბანდობას რა მრჯიდა? ნალბანდობა
რა ჩემი საქმე იყო?

დაეხელებინა ჩაეგდო ხელში.
არა ეგებოდა მეტი არ შეიძლებოდა.
ანძა მარგილი, სარი.



კლარჯეთის თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის. შეაწუხა იგი სოფელი და სრულიად ააოხრა. მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვეცხლი წაართმევინის.

მოვიდა დღე გზირისა სიკვდილისა. მოიხმო სოფლის კაცნი და ეგრე უთხრა:

— მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია და, რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელზე მომაბით, გამათრიეთ და ხეზე ჩამომკიდეთ!

რა მოკვდა, სცონენ კაცნი იგი და, რაც უთხრა, ყველა ჰყვეს.

ნახა ვინმე კაცმან გზირი ხეზე კიდებული, წავიდა, ყადს უთხრა:

— ჩვენი გზირი დაურჩივიათო.

გამოუსივეს კაცი სოფელსა მას. ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა:

— ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო!

— მასავით შენ ცოცხალიც წახდენას მიპირობ და მკვდარი უარესს მიზამ. ვიცი, ვერ გადაგირჩებიო.

უბრძანა მეფემან ლეონს:

გზირი სოფლის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი.

მოიგონის მიზეზი საპაპს მოიგონებდა ხოლმე.

უთხრის ეტყოდა ხოლმე.

წაართმევინის წაართმევინებდა ხოლმე. მაწყინეთ ვნება მომაყენეთ.

სცონენ შეცდნენ.

ყველა ყველაფერი.

კიდებული ჩამოკიდებული.

დაურჩივიათ ჩამოუხრჩიათ.

გამოუსივეს კაცი ხალხი შეუსიეს.

მარჩილი ვერცხლის ფული „სამი აბაზი“ (საპა).



— ვიცი, სიტყვაგრძელი და ლაპარაკტკბილი ხართ და შეექცევით სიამესა. ესოდენი ხანია, ძე ჩემი, არ ვიცი, ვითარის სწავლის პატრონია, მაჩვენეო!

მოახსენა ლეონ:

— მეფეო, კაცი უბოძე, მოიყვანე და მისგან კითხვით სცანო!

გაგზავნა ხელარგნოსანი, აწვია ძე თვისი ჯუმბერ და არა მოვიდა მით.

გაგზავნა დარბაზთუხუცესი და არა მოვიდა მით.

გაგზავნა მესტუმრეთუხუცესი და არა მოვიდა მით.

გაგზავნა ვაზირი და არც მით მოვიდა.

მერმე მოლარე გაგზავნა. დაჯდა სპილოსა ზედა და მოვიდა. ჩამოხდა სპილოდამ, სარტყელი შემოიხსნა, სპილოსა ზედა დააგდო და ცალის ხელით მიწა აიღო და ცალის ხელით ქვა და მამას მიართვა, თაყვანი სცა და ხელს აკოცა.

უბრძანა მეფემან შვილსა:

— სიცოცხლეო გულისა ჩემისაო და ნათელო თვალთა ჩემთაო, ხელარგნოსანი გაახელ, რად არ მოხველ?

ჯუმბერ მოახსენა:

— შეცოდება არა მქონდა.

რქვა მეფემან:

— დარბაზთუხუცესი გამოგიგზავნე, რად არ მოხველ?

ჯუმბერ მოახსენა:

— არა მონათგანი ვიყავ, ჩემზე ხელი არა უცს.

რქვა მეფემან:

— მესტუმრეთუხუცესს რად არ მოჰყევ? ჩემი უდიდესი თავადი არის.

ჯუმბერ მოახსენა:

— მასპინძელი ვინდა იყო, თუცა მე მესტუმრეს შევდგომოდი?

სიტყვაგრძელი სიტყვამრავალი.

ლაპარაკტკბილი ტკბილმოუბარი.

შეექცევით სიამესა სიამოვნებით შეიქცევთ თავს.

ვითარის სწავლის პატრონია რა ცოდნის მქონეა.

კაცი უბოძე აქ: კაცი გაუგზავნე.

მისგან კითხვით სცანო გამოკითხვით შეიტყობომ მისგან.

ხელარგნოსანი ხელჯოხიანი (მეფის მოხელე).

მით იგულისხმება: ხელარგნოსანის მიგზავნით.

დარბაზთუხუცესი სამეფო სახლის განმეობელი.

მესტუმრეთუხუცესი მეფის მოხელე,

სტუმრების მიღება-დახვედრის გამგე.

მოლარე მეფის საუნჯის განმგებელი, მეჭურჭლე.

გაახელ გაახლე, გამოგიგზავნე.

შეცოდება არა მქონდა დანაშაული არ ჩამიდენია, ცოდვა არ მიმიძლოდა.

არა მონათაგანი ვიყავ მსახურთაგანი არ ვყოფილვარ.

ჩემზე ხელი არა უცს ჩემზე ხელი არა აქვს, ჩემზე არაა უფლებამოსილი.

უდიდესი თავადი დიდებულთაგან უმთავრესი.

მასპინძელი ვიღა იყო, თუცა მე მესტუმრეს შევდგომოდი? მასპინძელი ვინდა უნდა ყოფილიყო, მე თუ მესტუმრეს გავყებოდი (დავემორჩილებოდი)?



რქვა მეფემან:

— ჩემს ვაზირს რად არ მოჰყევ?

ჯუმბერ მოახსენა:

— ნუთუ მეფობას ვსცდილობდე?! ღმერთმან ნუ ჰყოს! ვაზირი მეფესთან ხამს.

რქვა მეფემან:

— მოლარეს რაღად მოჰყევ, უგვანსა მოხელესა და ცუდსა ჭაბუკსა?

ჯუმბერ მოახსენა:

— სხვათა თანა ეგე უგვანია და არც მიივლინება, თვარამ ჩემთან მოლარის მოგზავნა ხამს: მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი, შენი ლარი.

მოეწონა მეფესა სიტყვა ესე.

ჰკითხა ვაზირმან ჯუმბერსა:

— რად შესჯეგ სპილოსა ზედა და მოხვედ მით?

ჯუმბერ უთხრა:

— დიდებისათვის, რომე მეფეთა გვარი და დიდი კაცი დიდსა რასამე ზედა უნდა ჯდეს.

უთხრა ვაზირმან:

— სარტყელი რად შემოიხსენ და სპილოსა ზედა მიაგდე?

ჯუმბერ თქვა:

— რაფამს მეფე, ანუ დიდი ვინმე საჯდომით თვისით სიჩქარით აღდგეს, ესრეთ ხამს, თავისი ძლიერება თვისსავე საჯდომსა დაუტევოს და თვითან თავი იცნას, რომე იგი საჯდომი არს დიდი ჰუბუტი, თვარამ უმისოდ ყოველივე გარე შემოეძარცვება. არაკად თქმულა: ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილას იდვას, და რა ადგილით დაიღვრის, გასუბუქდესო.

რქვა მამამან:

— ქვა და მიწა რად მიძღვენ?

ნუთუ მეფობასა ვსცდილობდე? განა მეფეობას ვცდილობ? განა მეფობას ვლამობ? ვაზირი მეფესთან ხამს ვეზირი მეფესთან უნდა იყოს, მეფეს უნდა ახლდეს.

ჭაბუკი აქ: მსახური, მონა.

სხვათა თანა სხვებთან.

არც მიივლინება არც მიიგზავნება.

ლარი განძი, საუნჯე.

მეფეთა გვარი მეფეთა მოდგმა.

საჯდომით თვისით სიჩქარით აღდგეს

თავისი ტახტიდან სწრაფად წამოდგეს.

ძლიერება აქ: სარტყელი, სამეფო დიდების ერთ-ერთი ნიშანი.

დაუტეოს დატოვოს.

ჰუბუტი „ვარსკვლავთ ადგილსა რასამე

ეწოდების არაბთა ენითა“ (საბა). აქ მეტაფორაა: დიდება, ძლიერება, სამეფო ბრწყინვალება.

თავი აქ: მთავარი.

თვითან თავი იცნას, რომე იგი საჯდომი არს დიდი ჰუბუტი თვითონ შეიტყოს, რომეს ტახტია მისი ძლიერება.

უმისოდ ყოველივე გარე შემოეძარცვება უმისოდ (უტახტოდ) ყველაფერი შემოეცლება.

რა ადგილას იდვას როცა ადგილზე დევს.

რა ადგილით დაიძვრის როცა ადგილიდან დაიძვრება.

გასუბუქდეს გამსუბუქდება.



მოახსენა ძემან:

— მიწა ეს არის: რაგინდ დიდებული და ძლიერი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა. და ქვა ეს არის: რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის.

თქვა ჯუმბერ არაკი:



ერთმან კაცმან დიდძალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე-ყოველ მი-
ვიდის და ადგილი იგი ნახის. შეამცნივა ერთმან სხვა კაცმან და თქვა:

— მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად
ნახავს, და ვნახო — რა უცანო?

მივიდა და ლამე მოთხარა ოქრო, წაილო, მის წილ ლოდი დამარხა.

მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი. მოთხარა, ნახა: ოქროსა ნაც-
ვლად ლოდი იდვა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა კაცი იგი
მომპარავი, ჰკითხა:

— რას სტირიო?

მან უთხრა: ოქრო დავფალ, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპა-
რავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთო.

მიწა ეს არის აქ: მიწა ამას ნიშნავს.

მიწად მიიქცევი მიწად გადაიქცევი.

მიწა ხარ და მიწად მიიქცევი, ეს აზრი
ბიბლიიდან მომდინარეობს (დაბადება
3,19).

ღვთის სათნო ღვთის მოსაწონი.

კაცთა სათნო კაცთა მოსაწონი.

ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა

ღვთის მოსაწონი გერჩიოს კაცთა მოსა-
წონის.

ქვა ეს არის აქ: ქვა ამას ნიშნავს.
იხმარებ მოიხმარ.

სწორია ერთია, ერთნაირია.

შეამცნივა შეამჩნია.

ნახის ნახულობდა ხოლმე.

რა უცან რა უძევს.



უთხრა მან კაცმან:

— ვაი შენ! რად სტირ? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯევდიო!

— მეფეო, სალაროცა ეგრეა, რაც უნდა იდვას, თუცა არ ისმარებ კეთილად, ანუ არ დახარჯავო!

მამამან უბრძანა:

— მაშა, შენ რომ იტყვი, სრულობით არ ვარგა ქონების შენახვა? ჯუმბერ მოახსენა:

— არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია... საქონელი ბევრი სჯობს, თუ კაცი კარგა იხმარებს, თვარა გლახაკი ავს მდიდარს სჯობს.

ჰკითხა მეფემან:

— რადგან სიბრძნის სწავლას სჩემობ, რა უფრო საამოა კაცის და რა საწყენი და დასამძიმებელი?

მოახსენა ჯუმბერ:

— ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის რა, და ბოლოს სამსალა არის და საწყენი, პირველ უხაროდეს და ბოლოს ინანებდეს. მადლისაგან და კარგის საქმისაგან უფრო ძნელად შესამართავი არა არის რა და რა ხელთა აიღოს, ადვილად ქმნას, პირველ ზარობდეს და ბოლოს უხაროდეს, დიდად სიამე შეექმნას. ავსა და ცუდსა საქმესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა — დაულევნელი საუკუნომდის.

თქვა ჯუმბერ არაკი:

თუნდა გინდ.

თუცა არ დახარჯევდიო თუკი არ დახარ-
ჯავდიო.

თუცა არ იხმარებ კეთილად კარგად თუ
არ მოიხმარ.

შენ რომ იტყვი შენ როგორც ამბობ.

სრულობით სულ.

საქონელი ბევრი სჯობს ბევრის ქონება
კარგია.

ავი აქ: ცუდი, უღირსი.

სჩემობ იჩემებ.

საამოა კაცის კაცის მაამებელია, სასია-
მოვნოა კაცისათვის.

საწყენი აქ: მაწყინარი, მავნე.

სამსალა „წამალი მაკუდინებელი“ (საბა),

საწამლავი.

პირველ ჯერ, თავდაპირველად.

უხაროდეს გაუხარდება.

მადლისაგან და კარგის საქმისაგან უფ-
რო ძნელად შესამართავი არა არის რა
მადლზე და კარგ საქმეზე უფრო ძნელად
შესაბედი (წამოსაწყები) არაფერია.

რა ხელთა აიღოს როცა ხელს მიჰყოფს,
დაიწყებს.

პირველ ზარობდეს ჯერ შეეშინდება.

დიდად სიამე შეექმნას დიდ სიამოვნებად
ექცევა.

სამადლო სასიკეთო, მადლიანი.

დაულევნელი დაუსრულებელი, უსასრუ-
ლო.



ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლ-შვილი ჰყვა და მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ველარ დადგნენ. ყოველივე განიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმო კალოს აქათ იყო და მეორისა — იქით.

უხუცესი მოიპარევდის თავის ორმოდამა პურსა და ძმისაში ჩაყრიდის და იტყოდის:

— მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებელნი მყვანან. მას ძმას არარა ჰყავს. ესე მისი იყოს და მან ჭამოს.

და იგი უმრწემესი ძმა მოიპარევდის თავისის ორმოდამ და უხუცესისაში ჩაჰყრიდის:

— მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილ არს; იგი, ძმა წვრილშვილ არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოს.

ეგრე დაჲყვეს ყოველნი დღენი და ღმერთმან ორთავ განუმრავლა ყოველი და არა მოაკლდა საზრდო მათ.

— მადლისა და კეთილის საქმე ღვთისგან განმრავლდებისო. უბრძანა მეფემან:

— მალვით არ მოეპარათ და ორმოში არ ჩაეყარათ, ცხადად მიეცათ, ვინ დაუშლიდაო?

გაეცინა ჯუმბერსა და ეგრე მოახსენა:

— სამადლო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად

უხუცესი უფროსი.
მრწემი უმცროსი.
ერთად ველარ დადგნენ ერთად ველარ იც-
ხოვრეს.
პური ხორბალი.

მოიპარევდის მოიპარავდა ხოლმე.
მომგებელი შემომტანი, მშოვნელი, შემმა-
ტებელი.
ადვილ არს ადვილი საშოვნელია (სარჩო).
უფროსი უნდება მეტი სჭირდება.



შეუწირავს: კაცმან შენზე სამსახური ქმნას, იკვეხდეს და ზვაობდეს — გენერალი!

თქვა ჯუმბერ არაკი:



ორნი მეფენი შეიძნენ. ერთმან მეფემან მეორესა სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგდო.

გამოხდა ხანი. მოვიდა ერთი მეცნიერი კაცი და ენება აღმოყვანება და გაპარება მისი.

ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა:

— კარგად არა ვიქმ, რომ გაგაპაროო?

მან მეფემან მადლი უბრძანა.

თოკით ამოზიდა და ამოიყვანა.

კიდევ უთხრა:

— კარგად არა ვქმენ, რომ ამოგიყვანეო?

მეფემან კიდევ მადლი უბრძანა.

მესამედ კიდევ უთხრა:

— კარგადა ვქმენო?

ენეინა მეფესა და დაიძახა:

— ვინა ხართ, ამ კაცმან გამაპარაო!

მოვიდნენ მცველნი, შეიპყრნეს ორნივე.

ჰკითხეს მეფესა:

— რად გაამუდავნე და რად არ გაიპარეო?

მან თქვა:

უფროსად შეუწირავს უფრო მიიღებს.
შენზე სამსახური ქმნას სამსახური გა-
გინიოს, შენთვის გაისარჯოს.

ზვაობდეს ამპარტავნობდეს.
სძლო სძლია, დაამარცხა.
მეცნიერი კაცი ნაცნობი.



— ვირემ ამომიყვანდა, საყვედურით ამავსო, თუ შინ მიმენია, კიდეც დამარჩობდა, აქავ ყოფნა ვირჩივეო.

— ანე კარგი საქმე ასე უნდა ქმნას, ან ღმერთმან დაუმადლოს, და ან კაცმან მოუწონოს.

უბრძანა მეფემან:

— მომწონან ეგრე შენი სიკეთე. რად იცი ესოდენი?

მოახსენა ჯუმბერ:

— ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან. პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ; მეორედ: ხელოვანის მებალის შეწვრთილი, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებული.

უბრძანა მეფემან:

— ეგენი ვინ არიან?

შვილმან მოახსენა:

— ნერგი — თქვენა, რომელმან მშევით; მებადე — სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა, და შემნახავი — ლეონ, რომელი მასწავლის.

წამოდგა რუქა და უთხრა ჯუმბერს:

— ორი ეგე მართალი სთქვი და მესამე იმტყუვნე.

თქვა ჯუმბერ არაკი:



ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიალ დალლეტილნი, დაძმობილდენ და თავის პატრონს გაეპარნენ. წავიდნენ აგარათა ადგილთა. დიდად

ვირემ ვიდრე, სანამ.

თუ შინ მიმენია შინ რომ მიმეღნია.

დამარჩობდა დამახრჩობდა.

სამის საქმით მჭირიან აქ: სამი მიზეზი აქეს ჩემს სიკეთეს.

კარგის ნერგის ხილი კარგი ხის ნაყოფი.

შეწვრთილი აღზრდილი, მოვლილი.

ფრთხილის შემნახავის ბარებული ფაქიზ

მომვლელს მიბარებული.

მშევით მშობეთ.

იმტყუვნე იცრუე.

დიალ აქ: დიდად, ძალიან.

დალლეტილი ზურგგადაყვლეფილი.

აგარათა ადგილი იალაღი, საზაფხულო საძოვარი მთაში.



გასუქდენ მთასა მას ზედა. დაავიწყდათ სიმჭლე და ზურგის სიმპლე მათი.

ვირმან უთხრა აქლემსა:

— ძმაო, სიმღერა მინდა ვთქვაო.

აქლემმან დაუშალა:

— ნუ, ძმაო! ალარ გახსოვს, რას ჭირში ვიყავითო? არამც ახლოს კაცნი იყვნეს, ხმა ესმათ, წაგვიყვანონ და უარესი გვიყონო.

არ დაიჯერა ვირმან და დაიყროყინა. მეტად მაღალი სიმღერა მოუვიდა. თურე ახლოს მოგზაურნი იდგნენ. აქლემები და კარაულები დასცვივნოდენ. ესმათ მათ ხმა ესე. გაეხარდათ დიდად და თქვეს:

— მივიდეთ, ვნახოთ, ანუ შენობა იქმნება, ანუ ქარავანი, ეგების ულაყი გვიმიზდონ.

მივიდნენ, ნახეს, ერთი აქლემი და ერთი ვირი მსუქნები და უპატ-რონონი იყვნენ.

წაიყვანეს და ორსავ მძიმედ აჰკიდეს.

რა გზა გაგრძელდა, ვირი დამძიმდა და დადგა. კაცთა მათ აიღეს ვირი და მისი ტვირთი, ორივ მას აქლემს დაადვეს.

წაიარეს, ერთი ვინრო გზა დახვდათ, დიდი კლდე გადასავარდნელი იყო. აქლემმან უთხრა ვირს:

— ძმაო, მინდა დავროკდე და სამაია და ცეკო ვქმნაო.

ვირმან უთხრა:

— რას ალაგის სამაია და ცეკო არისო?

აქლემმან უთხრა:

— იმისთანა სიმღერას ამისთანა ადგილის სამაია და ცეკო უნდაო!

ჯავრით აემართა აქლემი, ვირი კლდეს გარდააგდო და დაჩეხა.

— მის მსგავსად, მაგ შენს სიტყვას ამისთანა პასუხი უნდა, თვარა ყველამ იცის, ჩემი ცოდნა სრულ ლეონის ნასწავლები მაქვს.

მოახსენა ვაზირმან მეფეს:

— ავი კაცია ლეონ, ნუ გინებს სიცოცხლე მისი და მოკალ! შენი ძე უმეცარი გაუზრდია. მამამან შვილი შვას ესეთი და მზრდელმან ალზარდოს მსგავსი ამისი: სიმდაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი

სიმპლე სიდამპლე. აქ: წყლულება.

არამც აქ: ვაითუ, ღმერთმა ნუ ქნას.

დასცვივნოდენ დავარდნოდათ.

შენობა აქ: გაშენებული ადგილი, სოფელი.

ულაყი „საკიდარი ცხენი, ჯორი და მისთანანი“ (საბა).

გვიმიზდონ მოგვაქირაონ.

დამძიმდა აქ: დაიღალა.

წაიარეს ცოტა იარეს.

მინდა დავროკდე მინდა ავცეკვდე.

ცეკო ცეკვა, როკვა.

რას ალაგის... არის? რა (ცეკვის) ადგილია?

აემართა აიმართა, ყალყზე შედგა.

დაჩეხა დალენა.

სრულ სულ.

გინებს გინდა.

სიმდაბლით თხოვილი მოწინებით ნათხოვნი.

წყალობით შოვილი ძე აქ: (ღვთის) წყალობით შეძენილი ძე.



ძე და ჩვენებით ნახული, სიბრძნით დასახული ლეონ. არცა ჯუმბერ
— ულეონოდ და არც ლეონ — უჯუმბეროდ!
თქვა მეფემან არაკი:



ერთი კუ და მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გასა-
ვალი წყალი დახვდათ.

მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა:
— ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვან!

შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან
ზურგზე კბენა დაუწყო.

კუმ ჰქოთხა:
— ძმაო, რას იქმო?
მორიელმან უთხრა:
— რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ,
მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა ვუკბინოთო.
კუმ დაიყურყუმალავა და მორიელი წყალს მისცა და უთხრა:
— ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი, თუ გესლიანს
ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო.

— რუქავ, შენი მსგავსნი ყოველნი მტრისა და მოყვრის მკბე-
ნარნი არიან; მაგრამ შენ ეს მაშინც დამიჯერე, ასეთს საკბენს უკ-
ბინე, ან კბილი მოჰკიდო და ან წყალში არ დაირჩო.

მოახსენა რუქამ:
— კართა შენთა ავსა კაცსა ნუ დაადგენ და მე არ გავუმტერდები.

ჩვენებით ნახული სიზმრად ნანახი.
სიბრძნით დასახული (განგებისაგან) სიბ-
რძნით მოვლენილი.
არ ეძლო არ შეეძლო.

გვარი აქ: ჯიში.
მაშინც აქ: მაინც.
კბილი მოჰკიდო კბილი ჩაასო.
ნუ დაადგენ ნუ დააყენებ.



უბრძანა მეფემან:

— თუცა ავი კაცი არ დავაყენო, პირველ შენ უნდა გაგაძო! ეს იცოდე, მეფენი საჭურისთა და სხვათაცა საქმესა სცნობენ და მეფეთა საქმესა ვერავინა სცნობენ. მათი საჯდომი მაღალია და დაბლიდამ არ ინახება.

შვილს უბრძანა მეფემ:

— შვილო ჩემო, შენთვის ღმერთსაც მოუნდომებია და მეც მომიცია ადგილი და სამეფო ჩემი და დღეის წალმა უფლებდე ყოველსა ზედა და ნუმცა ვინ არს ურჩი შენი.

~~ ჯუმბერის შეგონება ~~

ყოველი მტერი ამის ცდაშია, რომ დრო შემოიგდოს და წაახ-დინოს.

დიდს მტერს კაცი შეეხვეწება და ან გარდახვეწება.

სწორს მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება.

ცოტასა და ცუდასა მტერსა უნდა უფრთხილდეს კაცი:

ცოტა მტერი ცეცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულსა, არა ჩანს და რა გაჰქიქ, ხელს დაგწვავს.

ცოტა მტერი სიკვდილსა ჰგავს უჩინარსა, მოვა, ვერცა ქრთა-მით, ვერცა ძალით, ვერცა ხევწით ვერ მორჩება.

ცოტა მტერი ორმოსა ჰგავს, თივას ქვეშე დაფარულსა: რა შეს-დგე, ჩაიჭრები. ამისათვის უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხოდეს, საფათერაკო იგია.

კაცისა დიდი სიკეთე იგია, რომე სიავე არ იმახსოვროს და სი-კეთით დაფაროს.

~~ სედრაქის შეგონება ~~

კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

სცნობენ განჭვრეტენ.

დღეის წალმა დღეიდან, დღეის აქეთ. უფლებდე ყოველსა ზედა ყოველივეს განაგებდე.

ნუმცა ვინ არს ნურავინ იქნება.

დრო შემოიგდოს დრო იხელთოს.

შეეხვეწება შეეგუება.

გარდახვეწება გაეცლება.

სწორი თანასწორი, ტოლი.

პასუხს უზამს პასუხს გასცემს.

მოუფრთხილდება გაერიდება, გაფრთხილდება.

ცოტა მტერი აქ: ფარული, შენილბული მტერი.

ვერ მორჩება ვერ გადარჩება.

რა კაცზე დროს იშოვნის კაცს რომ დროს უპოვის.

არ გაუშვებს არ შეეშვება.

შესდგე ზედ დაადგე.

ჩაიჭრები ჩავარდები.

სიავით არ იმახსოვროს და სიკეთით დაფაროს სიავე არ დაიმახსოვროს და სიკეთით დაძლიოს, დაჩრდილოს.

ცუდად აქ: იოლად, გაურჯელად.



ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვე-
ველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფ-
რათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და
ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმე-
დოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახუ-
რეა.

ამხანაგი ჭირში მომხმარია, სნეულებაში მკურნალია, სიკვ-
დილში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესასა რას იშოვნი? მე მრავალი კაცი მინახავს,
მამაშვილობასა და ძმობას გაჰყუროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს.

ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქიშპარი არა არის რა.

დავიქტრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ლეონის მიერ თავის მართლებისას ნათქვამ რომელ მოსაზ-
რებას ეხმიანება იგავი „უსამართლო შირვან-შაჳ“?
2. გაიხსენეთ ლეონის შეგონება მეფეთა შესახებ. ვისი საზრუნავი
ყოფილა ყველა და ყოველივე?
3. როგორ იქცევა გამოსაცდელად დაბარებული ჯუმბერი: მე-
ფის შეკითხვებს ელოდება, თუ თავისი საქციელით თავად
წარმართავს მეფის კითხვებს?
4. იგავ-არაკია ცნობილ წიგნში „ქილილასა და დამანაში“ ვკი-
თხულობთ: „იგი, ვისაც აქვს ქონება და სამართლიანად არ
ხარჯავს მას, ჰგავს იმას, ვინაც, მდიდარიც რომ იყოს, და-
ტაკად მიიჩნევა“. „სიბრძნე სიცრუისას“ რომელ არაკშია გა-
მოთქმული მსგავსი აზრი?
5. როგორ განმარტავს ჯუმბერი სიავისა და სიკეთისადმი ადა-
მიანის დამოკიდებულებას?
6. სახარების მიხედვით, იესო გვმოძღვრავს: „რაჟამს ჰყოფდე
ქველის-საქმესა შენსა, ნუ სცნობნ მარცხენად შენი, რასა იქ-
მოდის მარჯუენად შენი“ (მათე, 6,3). ჯუმბერის მიერ ნათქვამი
რომელი იგავ-არაკი ეხმიანება ამ სიტყვებს?
7. როგორ დახასიათებდით ჯუმბერსა და სედრაქს მათი შეგო-
ნებების მიხედვით?

**ციხე წყლიანი წყლით უზრუნველყოფილი
ციხე, აუღებელი ციხე.**

**ზურგთა მომბმელი დამხმარე, ხელის შემ-
წყობი.**

მაზიანებელი ზიანის მომტანი.

საიმედოვნე საიმედო.

**მეცნიერსა თანა მოსამსახურეა ნაცნობ-
თან მომხმარეა.**

**სიკვდილში თავის წამგდები სიკვდილის
დროს (როცამოყვასს სიკვდილი ემუქრება)**
თავის დამდები.



— ლეონი და რუქა —

თქვა რუქამ:

— არა ახალია ეს საქმე. ძველთაგან თქმულა: „არა კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია და მის მაგიერ ავი მიუგია.“

თქვა რუქამ არაკი:



— იყო ერთი გლახაკი ყრმა. წავიდა სხვაგან სამნიროდ. დაჲყო ერთი წელი, ცხრა ფლური მოიღვანა. წლის გასრულებაზე წამოვიდა თვისსა თემსა.

რა ქალაქს მოახლოვდა, მდინარე იყო და გაშიშვლდა, დაიბანა და ტანს ჩაიცვა, წამოვიდა. ფლურები თურე მუნვე დარჩა.

მოაგონდა ფლურები და აღარ აქვნდა. ღმერთსა აღთქმა დაუდვა:

— თუ ჩემი ფლურები ვიპოვნე, ერთი შენს სახელზე გლახაკს მიგსცეო.

მივიდა, სადაც ტანი ებანა, მუნვე პოვა. წამოვიდა ქალაქად. ერთი უსინათლო გლახა პოვა, უთხრა თავისი ამბავი:

— ასე აღთქმა დამიც და, აპა, ფლურიო!

იგი გლახა ორისავე თვალით ბრმა იყო. ასე უთხრა:

— რადგან ღვთისათვის შეგვინირავს, ცხრავე მომეც, მე რომელიც მნებავს, გამოვარჩევო.

დაენდო კაცი იგი და ცხრავ მისცა. ბრმამ ცხრავ ჯიბეში ჩაიდგა. ამ კაცმან თხოვა დაუწყო. გლახამ ზახილი შექმნა:



— მიშველეთ, ეს კაცი რას მიპირობსო!

მოწამე არა ჰყვანდა. წაართვა მან ბრმამან ფლურები. დაღონდა ის საბრალო კაცი, თან გაჰყვა — ამ ჩემს ფლურებს რას უზამსო?

შევიდა ის გლახა თავის სახლში. ერთი ქილა ამოილო, სულ ფლური ედვა, ისიც ზედ დააყარა და უთხრა:

— ჩემო ხუთასო ფლურო, ეს ცხრაც შემოგმატეო!

სამჯერ შეაგდო ქილა და დაიჭირა. მეოთხედ რა შეაგდო, მან კაცმან ჰაერში ხელი მოჰკრა და დაუმალა. ეძება ბევრი, მაგრამ სადლა ჰპოვებდა? გამოვიდა და დაიწყო ტირილი.

მოვიდა სხვა უსინათლო გლახაკი და უთხრა:

— რა გატირებსო?

უამბო მისი ამბავი:

— ასე, ხუთასი ფლური დავკარგეო!

მან მეორე ბრმამ უთხრა:

— აგრე უნდა ფლურის შენახვაო: ამ ჩემს მრუდს ჯოხში შვიდასი ფლური ძეს, სადაც დავაგდებ, ვინც აიღებს, მევე მომიტანსო.

უნინდელმა ბრმამ სთხოვა:

— მაჩვენეო!

რო მიაძლია, ეს საბრალო კაცი იქივ იდგა, მან გამოართვა. რა დაგვიანდა, თხოვა დაუწყო. მან უთხრა:

— არ მოგიციო.

ამაში შუღლი გამოერიათ ორთავ ბრმათა. ამ ჩხუბზე ერთი სხვა უსინათლო ბრმა მოვიდა. ჰკითხა:

— რა გაშუღლებსთო?

მან მისი ქილისა უთხრა და მან — მისი ჯოხისა ამბავი, მან მესამემ ბრმამ უთხრა:

— ვაი თქვენ ჭკუასა, რა კარგა შეგინახავსთ ფლურებიო! ამ ჩემს ძველს ჩოხაში ათასი ფლური ძეს, სადაც დავაგდებ, მევე მომცემენო.

საბრალო იგი კაცი მუნვე დგა, ესმოდა. წავიდა, თაფლი იყიდა და ჩოხაზე შესცხო, ფუტკარი დაეხვია. ბრმამ ჩოხა გაიხადა. ისიც მან საბრალო კაცმან წაილო. შექმნეს ამ სამთავ ბრმათ ყვირილი, ტირილი.

ეს საქმე სამეფოდ გახდა. მეფემ კაცი დააძახა:

— ვინ ჰქმენით, მოდით, მე მიამბეთ, თვარა სულ ამოგწყვეტო!

იგი საბრალო კაცი შეშინდა. მივიდა და ყველაყა მოახსენა:

— ესრეთ კარგი ვუყავ და სიკეთის პასუხი ეს მიყოო.

მას საბრალო კაცს მეფემ ასრე უბრძანა:

— რადგან კარგისათვის კარგი არავის უქმნია, ას-ასი ფლური შენს სამლოცველოდ მიეც და სხვა შენი იყოსო.

მოწამე მოწმე.



— ეგ კარგისთვის ავი პასუხი არ არის. მას საბრალოს კაცსა ღვთის აღთქმა გარდაუხდია, ბრმა დაჲხარბებია, სამთავ უსამართლოებით ნაშოვნი ჰქონიათ და ლმერთს სულ იმ საბრალოსთვის მიუცია.



ერთი კაცი მიდიოდა გზაზედა. ნახა, ერთს ძეძვს ცეცხლი შემოჰებია და ზედ გველი გასულა. წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და წივის. ნახა მან კაცმან, შეეწყალა და თქვა:

— ამ გველს მოვარჩენ, მადლია ჩემთვისაო.

მივიდა, შუბის წვერი მიუშვირა. გველი ზედ შემოეხვია, მხარზე შეახლტა და ყელს შემოელვლარჭნა, მაგრა მოუჭირა.

ჰკითხა მან კაცმან:

— რა გაწყინე, რატომ მიზამ? სიკვდილს მოგარჩინეო!

გველმან უთხრა:

— კარგისთვის კარგი არავის უქმნია და მეც ასრე გიყავო.

კაცი შეეხვენა:

— ამდენი მაცალე, იგი ჭანდარი რომ დგას, მუნამდის მივიდეთ და მას ვჰქითხოთ. თუ ჩემის ცოდვით ხემაც ხმა ამოილოს და დაგიშალოს, გამიშვი, თუ არა და, რაც გინდა მიყავო.

ცოტა მოუფორნა გველმან და მივიდნენ ჭანდართან.

ჰკითხა მან კაცმან:

— ეს გველი სიკვდილს მოვარჩინე, ან ასე მიზამსო.

მან ჭანდარმან ეგრე უთხრა:

— ამ ცხელს მინდორში მარტო ერთი ხე ვდგავარ; მგზავრი, თუ არ ჩემს ჩრდილში, ვერ განისვენებს. მოვლენ, მოიგრილებენ,

ღონობს ცდილობს, წვალობს.
მოვარჩენ გადავარჩენ, ვისნი.
შეახლტა შეახტა.
შემოელვლარჭნა შემოეჭდო.

რა გაწყინე? რა გაწყენინე?
მოგარჩინე გადაგარჩინე.
მოუფონა მოუშვა.
მოიგრილებენ გაგრილდებიან.



დავაჩრდილებ, მერმე შტოებს დამამტვრევენ, ზოგს დასწვავენ,
ზოგს კოლოფებად აკეთებენ: რა კარგი ხეაო! კარგისათვის კარგი
არავის უქმნია, მოუჭირე გველოო!

მოუჭირა ყელსა გველმან.

კიდევ შეეხვენა კაცი გველსა:

— ცოტა მოუშვიო, აგერ ხარი სძოვს, მას ვჰკითხოთო!

ნავიდნენ, ხარს ჰკითხეს.

ხარმან უთხრა:

— მოვხნავ, დავფარცხავ, გავლენ და ზაფხულ-ზამთარ სულ
კაცთათვის ვმუშაობ, დამანვენენ და დამკვლენ: რაო და, სტუმარი
მომივიდაო! კარგისთვის კარგი არავის უქმნია, მოუჭირე, გველოო!

მოუჭირა კიდევ ყელსა.

შეეხვენა კაცი:

— ცოტა კიდევ მაცალე, აგერ მელი არის და მასაც ვჰკითხოთო!

მივიდნენ, მელსა ჰკითხეს. კაცმან — თავისი საჩივარი და გველ-
მან ხისა და ხარის მონაბეჭდის მოახსენა.

მელმან უთხრა თავის ხერხიანის სიტყვითა გველს:

— ლომ-ნადირთ-ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო.
ყელზე შემოჰვევიხარ და ისე მესამართლები, როგორ იქმნებაო?
შემოეშვი და შენც დაიჩოქე და ამ კაცმანცაო!

რა გველი შემოეშვა და დაბლა ჩამოვიდა, დაჰკრა მელმან ტოტი
თავში. გველი მოკლა და თქვა:

— გველის სამართალი ეს არისო!

მერმე მან კაცმან ის მელა აღარ დაინდო და შუბის ცემა მო-
ინდომა: კარგი რამ ბეწვი აქვსო.

შეუტყო მელმან, გაექცა და თავს აბრალა: დავაშავე, მოვარ-
ჩინეო!

თქვა ლეონ არაკი:





ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა. ნახა ორი გველი — ერთი შავი და ერთი წითელი — იბრძვის და შავი ერეოდა.

და თქვა მან კაცმან:

— ამ წითელს ეჭირვება მოხმარება და მოვეხმარებიო.

მივიდა, შავს გველს ჯოხი დაჲკურა და მოკლა.

მოვიდა წითელი გველი, თავი ადგილზედ დაუკურა და კალთას კბილით მოეკიდა და გაზიდა. გაჲყვა ეს კაცი. ერთი კლდის ქვაბში მიიყვანა. ეგზომი განძი აჩვენა, მეფეს არა ჰქონდა იმდენი. და გამდიდრდა კაცი იგი.

— რუქა! როგორიც კაცი შენა ხარ, ის გველიც, შენი ნათქვამი, შენისთანა ყოფილა, თვარა კარგისთვის ავს ვინ უზამს კაცსაო.

თქვა რუქამ არაკი:



ერთი გლახა კაცი თავის სახლში იჯდა და ინატრა:

— ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცო და თუ ან ერთი აკლია, არ ვინდომებო.

ერთი მდიდარი კაცი თურე ბანზე იარებოდა, მან გაიგონა და თქვა:

— მოვიტანო და გამოვცადო კაცი ესე, თუ რასა იქმსო?

წავიდა, ხუთასი მარჩილი დათვალა და ათი დააკლო, დაბეჭდა და ბანიდამ ჩაუგდო.

დათვალა კაცმან მან და ათი აკლდა. თქვა:

— ღმერთო, შენმც კურთხეულ ხარო! ერთი მარჩილიც გებოძა, იმასაც დავიმადლებდი, არამც თუ ეს დაგამნებო.

თავი ადგილზედ დაუკურა თავი მიწამდე
დაუკურა, თაყვანი სკა.
გაზიდა გასწია, გაქაჩა.
შენი ნათქვამი შენი ნახსენები.

შენმც კურთხეულ ხარ! კურთხეულ იყავ
შენ!
დაგამნებო წყრომით მოგიბრუნო
უკან.



ჩამოვიდა იგი მდიდარი კაცი და უთხრა:

— ჩემია, გამოგცადე. მომეც, წავიღოო!

მან შორს დაუჭირა:

— შენთვის არ მითხოვია, ღმერთსა ვსთხოვე და მომცაო.

შეიცილნენ და ყადთან საჩივლელად წავიდნენ.

მან გლახამან უთხრა:

— მე არა მაცვია რა და შენ კარგად მორთულხარ, ეგ შენი ტყავკაბა მათხოვე და წამოვალო.

მან კაცმან ამდენს სიკეთეზე ისიც დაამატა, ათხოვა. ჩაიცვა და წავიდნენ ყადთან, იჩივლეს.

მერმე მან გლახაკმან თქვა:

— ეგ ისეთი მაცილობელი კაცია, თუ ამ ტყავკაბასაც არ შემომეცილება, ნახავთო!

მან კაცმან უთხრა:

— ახლა არ გათხოვეო?

ამაზე ყადი გაწყრა, მრავალი ჯოხი ჰქონდა, მდიდარი კაცი გააძეს. ასრე კარგი პასუხი უყო, კიდევ გაძარცვა და ათრევინა.

— კარგისთვის კარგი არავის უქმნია, ნუ ამბობ!

თქვა ლეონ არაკი:



შორს დაუჭირა შორს დაიჭირა, იუარა.
შეიცილნენ ცილობა იწყეს, ერთმანეთს
შეედავნენ.

ტყავკაბა მამაკაცის ბეწვიანი ჩასაცმელი.
მაცილობელი ცილისმწამებელი, მოცი-
ლე.



ბალდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო და კაის ცხენს ძვირფასად იყიდდა. დავარდა ამისი ხმა. ერთმან არაბმან ერთი ცხენი მოიყვანა, ორი ათას მარჩილად დააფასა. ხალიფამ მაშინვე მოუტანინა.

მან არაბმან უთხრა:

— ერთს ძაძაში ჩამიყარეთ, თვარა რით წავიღოო?

ჩაუყარეს და მისცეს. მოჰკრა არაბმან ვეცხლს ხელი, გარდაჲკიდა ცხენსა, შეჯდა, გააჭენა ცხენი. გამოუდგნენ სულ ხალიფას ჯარი კაის ცხენებითა. გზა და კვალი ვეღარ გაიგნეს. მობრუნდენ დალონებულნი.

მესამე დღეს არაბი მოვიდა, ცხენი მოიყვანა.

ჰკითხეს:

— რატომ ჰქმენო?

მან მოახსენა:

— შორს ვიდეგ, საკიდარი არა მყვანდა რა, ვეცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი, წავიღე და ახლა ცხენი მომიყვანიაო.

მერმე უთხრეს:

— ვინდა მოგდევდა, ცხენი რალად მოგყვანდაო?

მან გაიცინა და უპირობა უზრახა:

— კარგის პასუხად ეგ მექმნა, ღმერთი რას მიზემდაო?

— თუ არაბმან იცის კარგისათვის კარგი, სხვას კაცს ვის არ ეცოდინება. ან ავს ვინ იქმს, თუ არა ღვთის შემცოდე.

ან, ძმაო რუქავ, შენ რად იტყვი კარგისათვის ავსა და მაგიერის უქმნელობასა? ყოველსა კაცსა სიყვარულსა უნდა აჩვენებდე, თვარა, რა გაუმტერდე, დაძაბუნდები.

მიეპყრო ყური მეფესა: ხან იცინდის, ხან იამის და ხან გაწყრის და არ გამოიჩინის სიყვარულისა მათისათვის, დაეტყო ბოლოდ, რომ რუქაზედ ავგულად ქმნილიყო:

ჰე, სედრაქ ვაზირო, მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება, მაგრამ ასრე ვხედავ: ვერც შენ გადარჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინმე.

და კმა არს დღესა ამას თქმად მრავალი ესე მეტყველება.

დავარდა ამისი ხმა ხმა დაირხა ამის შესახებ.

მოუტანინა მოატანინა მისთვის.

ძაძა აქ: ტომარა.

მოჰკრა... ხელი დაავლო ხელი.

სულ ხალიფას ჯარი ხალიფას მთელი ჯარი.

იამის ეამებოდა ხოლმე.

არ გამოიჩინის არ იმჩნევდა.

ბოლოდ ბოლოს.

ავგულად ქმნილიყო გამწყრალიყო, გაავებულიყო.

გარდაკიდება გადამტერება.

კმა არს კმარა.



დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, გევაფასოთ:

1. რუქამ და ლეონმა „მეფესთან მყოფთა“ თვისებები და მოვალეობები ხუთ-ხუთ პუნქტად ჩამოაყალიბეს. რომელია უფრო ვრცელი? რომელს განმსჭვალავს მოსალოდნელი საფრთხის შიში?
2. ვის წინააღმდეგ დასჭირდა რუქას არაკები: „ქურდი მკერვალი“, „მოძღვარი მელი“ და „სოფლის მაშენებელნი“?
3. ერთი იგავ-არაკის პერსონაჟი თავისმა უმაღურობამ დალუპა, მეორე იგავ-არაკის პერსონაჟი უგუნურებას, ვითარების გაუთვალისწინებლობას ემსხვეპლა. რომელ იგავ-არაკებს ვგულისხმობთ?
4. რომელი იგავი ამხელს „გონების თვალით“ სიბრმავეს?

DON'T

მექანის ტექნიკის გეგმები

დაციქრული, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. დაალაგეთ ქრონოლოგიური რიგით სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიის ფაქტები: მოსკოვში ჩასვლა, ევროპაში მოგზაურობა, დავით გარეჯის მონასტერში ბერად აღკვეცა, სპარსეთში ყოფნა.
2. როგორ გვინიათ, სულხან-საბა ორბელიანის რომელი ნაწარმოებიდან არის ამოკრებილი შთაბეჭდილებათა ეს ფრაგმენტები?
 - ეკლესია მომცრო იყო, სულ ფერადი მარმარილოთი... ვახტანგის კარის ეკლესიად ვინატრე.
 - ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო. მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვპოვე, არსად ჩანდა.
 - ისეთი ღვინო იყო, ატენურის მსგავსი. იმ ადგილებში სულ კაი ღვინო იყო.რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ფრაგმენტებიდან?
3. თვალი გადაავლეთ სულხან-საბა ორბელიანის გალექსილ სტრიქონებს:
 - ტანზე თავს ვიღა მოაბამს, ფესვი არა აქვს სანერგო.
 - კაცი, სახელის მძებნელი, უკვდავად დამისახია.
 - მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია.
 - თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა.
 - ვინ ჭირსა თავი არ მისცეს, ლხინს როდის შეესწრებისა?
 - მოყვარე მინდა მოყვრული და ამჟყრობელი ხელისა,
 - შეჭირვებაში მლხენელი, გარდამწყვეტელი ძნელისა.
 - მევე უყავ თავსა ჩემსა, ჩემი ბრალი ვის ვაბრალო?თქვენი აზრით, სულხან-საბა ორბელიანის რომელ კრებულშია მოსაძიებელი ეს გალექსილი სტრიქონები?
 - ა. „ქილილა და დამანა“;
 - ბ. „სიტყვის კონა“;
 - გ. „სიბრძნე სიცრუისა“;
 - დ. „სწავლანი“.
4. ილია ჭავჭავაძე საბას იგავთა კრებულის სათაურს ასე განმარტავს: სიბრძნე გამონაგონისა. „სიბრძნე სიცრუისას“ დასაწყისის რომელი სიტყვა მიგვანიშნებს გამონაგონზე? რომელი ჟანრის ნაწარმოები იწყება ხოლმე, ჩვეულებრივ, ასე?
5. ნაწარმოების დასაწყისშივე როგორ გვიხასიათებს მწერალი ფინეზს, სედრაქს, რუქას? რა განსხვავებას ხედავთ?
6. ადრე შესწავლილი რომელი ნაწარმოების ეპიზოდი გაგახსენათ ნადირობის დროს წყაროს პირას ჭაბუკის ნახვამ?
7. ლეონის აზრით, როგორი მეფეა ქვეყნის სიმტკიცის საფუძველი?
8. თქვენი აზრით, რას ნიშნავს „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“?

9. რომელი იგავებიდან არის ამოღებული ეს მცირე ფრაგმენტები და დეტალები: პირში ჩაცემული მაკრატელი, სოლომონ ბრძენის ნაბოძები თომარ-ჯილა, კაკლის ხეზე შემომჯდარი ყვავი, 700 ნასოფლარი, ორმოდან ამოყვანილი მეფე, სამაის ცეკვა, ხეზე გასული კატა, „ცხონდა! წარწყმდა!“, „ხვავი — მე, ბზე — შენ“, დამმრალი გუბე.

მხატვრული ანალიზის ელემენტები

იგავ-არაკი

10. რა მიგაჩნიათ ლიმილის მომგვრელად იგავ-არაკებში: „ორმოში ჩაგდებული მეფე“ და „სოფლის მაშენებელნი“?

კითხვის სტრატეგია

ავტორის სათქმელის ამოცნობა, იგავ-არაკიდან დასკვნის გამოტანა

11. რა არის გაკილული იგავ-არაკებში „გლახა და მდიდარი“?
ა) სიძუნე;
ბ) უმადურობა;
გ) ფუჭი ოცნება.
12. რას ამხელენ იგავ-არაკები?
ა) „აქლემი და ვირი“;
ბ) „ნალბანდი მგელი“;
გ) „მაოხრებელი მკვდარი“.



დამატებითი ამოცანები

კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი იგავ-არაკებს. შეარჩიეთ ძირითადი აზრის გამომხატველი სხარტი შესიტყვებები, გვერდზე მიუწერეთ შესაძლო განმარტებები. მაგალითები განავრცეთ:

მოძღვარი მელისა არ იყოს. — თავს ინილბავს, ჩვენს მოტყუებას ცდილობს,
ნამდვილი მაოხრებელი მკვდარია. — ვიღაცის საქმიანობა სიკვდილის შემდეგაც ზიანის მომტანია,

ყივილითა და ყეფით აშენებული სოფელი. —

მიწაში ჩაფლული ოქრო. —

შენ რა ნალბანდობა აგიტყდა. —

კიდევ ერთხელ დაკვირდით ფაბულურ ჩარჩოს და გაარკვიეთ, რომელი იგავ-არაკი რა ფუნქციითაა ჩართული მასში:

არაკი იწყება მსჯელობით	არაკი უპასუხებს წინ დასმულ კითხვას	არაკი მსჯელობის ილუსტრაციაა

~~~~ გეპირი მეცყველეა

- ფინეზ მეფე იშვიათად ერთვება კამათში. დააკვირდით, როდის ხდება ეს და რას შეახსენებს მეფე მოკამათებს. გააანალიზეთ მისი არაკები და იმსჯელეთ, რატომ ათქმევინა ეს იგავ-არაკები სულხან-საბამ სწორედ მეფეს?
- სულხან-საბას ლამის ყველა არაკი სასაუბრო მეტყველებასთანაა და-ახლოებული. თუმცა ზოგჯერ კრებულის ავტორის სტილი მაღალფარ-დოვანი ხდება. დააკვირდით, როდის არის ავტორის სტილი ამგვარი და შეეცადეთ განმარტოთ, რა განაპირობებს სტილის ასეთ ცვლილებას?
- ერთი სწავლული წერდა: „იგავ-არაკი და ზლაპარი სხვადასხვა რამაა, მათ ბევრი რამ განასხვავებს. მთავარი კი ისაა, რომ კარგი იგავ-არაკის გმირები არ არიან ადამიანები, კარგი ზლაპრის გმირები კი სწორედ ადამიანები არიან.“
იზიარებთ თუ არა ამ შეხედულებას?
თქვენი თვალსაზრისის დასასაბუთებლად შეარჩიეთ სულხან-საბა ორ-ბელიანის ის იგავ-არაკები, რომელთა მოქმედი პირები ადამიანები არიან.
- „იგავ-არაკის გმირების შემწეობით ადამიანი ითავისებს უბრალო და მარტივ ჭეშმარიტებას; იგებს იმას, რომ მდინარის სათავე შუაწელიდან ვერ აიმღვრევა, და ვინც ამას ამტკიცებს, ის დესპოტია და მატყუარა; იგებს, რომ წრუნუნა ლომს ვერ მოერევა, მაგრამ ხლართებს მასზე უკეთ დააღწევს თავს; იგებს, რომ მგელი პირფართო ჭურჭლიდან საჭმელს შესანსლავს, დოქიდან კი — ვერა, ხოლო ყვავი ყველს როცა შეექცევა, „სიმღერას“ არ უნდა მოჰყვეს. ეს ჭეშმარიტებანი სამარადუამოდ ამოკვეთილია სავალი გზის ყოველ ქვაზე, რომლებზეც უკვე რახანია მიაბიჯებს ადამიანი“.

გილბერტ კიტ ჩესტერტონი
(ინგლისელი მწერალი და პუბლიცისტი (1874-1936))

შეარჩიეთ სულხან-საბა ორბელიანის ხუთი იგავ-არაკი. თითოეულის სათაურს გვერდით მიუწერეთ ის ჭეშმარიტება, რომელსაც ეს იგავ-არაკი შეგვაგონებს.



დავაკვირდეთ იგავ-არაკის აგებულებას

როგორც ითქვა, იგავ-არაკი შედგება ორი ნაწილისაგან, ესაა: ამბავი და შეგონება. შეგონებას **მორალსაც უწოდებენ**. იგი არის იგავ-არაკის დედააზრი, დარიგება, იგავ-არაკში გადმოცემული ამბიდან გამომდინარე დასკვნა.

ზოგი იგავ-არაკიდან ერთი შეგონება გამომდინარეობს, ზოგიდან — რამ-დენიმე. შეიძლება ერთი და იგივე შეგონება რამდენიმე არაკს შეეფერებოდეს. მაგალითად, გავიხსენოთ არაკი „სოფლის მაშენებელი“. იგავ-არაკის აზრობრივი აქცენტი პირველ სამ წინადადებაშია: „ერთი ძალლი და ერთი მამალი დაძმობილდნენ: — სოფელი ავაშენოთ! ძალლმან უთხრა: — როგორ ავაშენოთ? მამალმან უთხრა: — შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო“. თითქოს აქ ამოიწურა სათქმელი. ამაზე მეტი რაღა უნდა ითქვას „სოფლის აშენების“ შესახებ. ძალლის ყეფით და მამლის ყივილით რომ სოფელი აშენდება, — ეს სასაცილოა. მაგრამ იგავ-არაკი გრძელდება, იუმორი მძაფრდება. არაკში შემოდის ახალი პერსონაჟი: მამლის ყივილმა მელი მიიტყუა. „მელი მამლის ნდომითა სცდაო“, — გვეუბნება სულხან-საბა, ახლა ყურადღება ამ პერსონაჟზე გადაინაცვლებს. მელი მამლის რჩევით ძალლს მიადგა, ადგილი მომიზომეო. ძალლმა მელი დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. მელმა ჭკუა წააგო. სიხარბემ, სიმსუნაგემ გონება დაუკარგა, სასაცილო და თანაც სავალალო დღეში ჩააგდო, თუმცა იმასაც მიახვედრა, რომ სოფლის ცრუ მაშენებლებს გადაჰყიროდა: „მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობოთ!“

აქ ორი მოტივია ერთმანეთს გადაჯაჭვული: სოფლის ცრუ მაშენებლებისა და მსუნაგობით ჭკუის წაგებისა. ამ იგავს ჰყვება რუქა, რომლის მიზანი არ ყოფილა არც სოფლის ავად შენების და არც მსუნაგობის მხილება. არაკის მოყოლის შემდეგ რუქა დასძენს: „შენ და მას (სედრაქს და ლეონს) პირი შეგიყრავსთ, მე წაუხდენელს, ვიცი, არ გამიშვებთ“. ნათელია, მას საკუთარი თავი მელის ადგილას წარმოუდგენია და ამის თქმა უნდა, რომ სედრაქი და ლეონი მის სამტროდ გაერთიანებულან.

დავალება: გააანალიზეთ ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით არაკი „მელი მოძღვრად“:

- ვინ ჰყვება ამ არაკს?
- რამდენი პერსონაჟი მოქმედებს ამ არაკში და რა ნაკლი აქვს თითოეულ მათგანს?
- რა მიზანს ისახავს არაკის მთქმელი? არის თუ არა მისი მიზანი, ამ იგავის შეგონების მისაბად მაგალითად დასახვა?

ეს საინფორმაცია!

1964 წელს კომპოზიტორმა ნოდარ გაბუნიამ (1933-2000) სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი იგავ-არაკის, „სოფლის მაშენებელნის“ ტექსტის მიხედვით შექმნა ვოკალურ-კამერული ნაწარმოები, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუპოვა. ნოდარ გაბუნიას „იგავი“ არის მუსიკალური ილუსტრაციის ცდა და შინაარსობრივად ზუსტად მისდევს დიდი მეიგავის ტექსტს. „იგავს“ ასრულებენ: მთხოვობელი, სამი მომღერალი (კრინი — მელია, ბანი — ძალი, მეურიმანჭულე — მამალი) და შვიდი ინსტრუმენტალისტი.

მსმენელებმა და მუსიკისმცოდნებმა ერთხმად აღიარეს, რომ „იგავის“ მუსიკა ახლოს იდგა ხალხურთან (გურულ და მეგრულ სიმღერებთან) და, ამავე დროს, უაღრესად თანამედროვეც იყო. „ახალი სიტყვა“, „შედევრი“, „თვალმარგალიტი“ — ასე მოიხსენიებდნენ გაბუნიას ნოვატორულ ქმნილებას. 1987 წელს კომპოზიტორს „იგავისთვის“ იუნესკოს საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე პირველი პრემია მიენიჭა.

რეჟისორმა გელა კანდელაკმა ნოდარ გაბუნიას უბადლო „იგავი“ ჩრდილების თეატრში პლასტიკის ენაზე აამეტყველა. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში, თურქეთსა და ლიტვაში.



სცენები სპექტაკლიდან
„სოფლის მაშენებელი“



სიტყვის კონა

სულხან-საბას „ლექსიკონს“, რომელსაც ვახტანგ VI-მ სიყვარულით უწოდა „სიტყვის კონა“, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის, ქართული ენისათვის. „სიტყვის კონა“ განმარტებითი ლექსიკონია, ე.ი. ქართული სიტყვა განმარტებულია ქართულადვე. მაგრამ იგი სცილდება განმარტებითი ლექსიკონის ჩარჩოებს. ბევრია მასში ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები, რომლებშიც ვლინდება საბას დიდი ერუდიცია. მაგალითად,

ასეთია განმარტებები სიტყვებისა: ცა, ცომილი, ქარი, წვიმა, ნათესავი, არსება და სხვ.

საბა არა მხოლოდ განმარტავს სიტყვებს, მაგალითად „წვიმას“, არამედ გვაწვდის წვიმის ყოველნაირი სახეობის უმდიდრეს ლექსიკას: თქორი, თქეში, დელგმა, ქარიშხალი, ლეშხი, უვავი და სხვ. ასევე „ქვა“, „ქარი“ და სხვა მრავალი.

საბას ბევრი განმარტება სიტყვაში ჩატეული აზრის სიზუსტისა და პოეტური ელვარების ნიმუშია, მაგალითად, შური ყოფილა „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“; მოთმინება — „ესე არს რაჟც მოუნდეს, არა ქნას“; „ამპარტავნება — ესე არს თავის ნაქმარის მომწონებელი და უმსგავსის დიდების მოყუარე, გულმაღალი და სწავლის მოთაკილე“; „სმენა — ყურით შეტყობა“; „ცანცალი — აქა-იქ სლვა დაუდგრომელი“ და სხვა მრავალი.

ლექსიკონის შედგენა ყოველი ერის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. სულხან-საბა მარტოდმარტო შეეჭიდა საქმეს, რომელზეც ევროპის აკადემიები წლობით მუშაობდნენ მის ეპოქაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ საქმის წამოწყება დაშლილ-დანაწევრებულ, გარეშე მტერთა და შინაური აშლილობით დაძაბუნებულ საქართველოში.

უცხოთა ბატონობით წელშიგატეხილ ქვეყანაში გიორგი მერჩულემ შემოჰკრა ზარს, ერს შეუძახა, რომ „ფრიადი ქართლია“ მთელი მხარე, სადაც წირვა-ლოცვა „ქართულად აღესრულება. შემდეგ ექვთიმე მთაწმინდელმა „განანათლა ენად ქართული“. წინარე ეპოქათა უმდიდრესი ქართული შეისისხლხორცა რუსთაველმა და ჩვენი ენის ზღვარდაუდებელი შესაძლებლობანი გაცხადდა „ვეფხისტყაოსანში“. XIX საუკუნეში, ძნელბედობის უამს, „მამული, ენა, სარწმუნოება!“ — შეახსენა ერის მამამ ქართველებს. დიდ ილიამდე ქართულ ენას უჭირისუფლა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც, იმ ეპოქის უცხოელი მისიონერის ცნობით, აგრეთვე „მთელ საქართველოს მამად“ მიაჩნდა. მან სათუთად მოუარა ქართულ სიტყვას და ძეგლი დაუდგა თავისი „სიტყვის კონიტ“, თავისი ლიტერატურული ნაღვანით კი საფუძველი გაუმყარა სალიტერატურო ენის განვითარებას. დღევანდელი ქართული ენის ძალმოსილებაში სულხან-საბას სიტყვის მაღლიც არის.

„შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული, —
რომ იავარქემნილ სამშობლოს ნაცვლად
სიტყვები მაინც გადაგერჩინა.“

— გიორგი ლეონიძემ — დიდმა პოეტმა და დიდმა მოქართულემ, თავადაც ენის ჭირისუფალმა, — ასე შეაფასა სულხან-საბას ლვანლი.

დავალება: სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიტ“ ამონერილ რამდენიმე სიტყვას მარჯვენა სვეტში მოუძებნეთ თავისი განმარტება:

ახალი	კეთილის მიპყრობა სიტყვით და საქმით
კუშტი	ყრმა დაუწყნარებელი
ლოლნა	ერთი საცოხნელი

ლუკმა	შიში უბადოთა საქმეთა ზედა
ნიკაპი	ყელის ჩამონაშვები
პატივი	სიტყვის თქმა არა ენებოს და ზარობდეს
როყიო	ყბათ შესაყარი
სირცხვილი	უცბილოსაგან ცოხნა
ფლანგვა	მწყრალად მყოფი და არა მრისხანე
ფრიალო	ან ქმნილი
ღაბაბი	შიში უბადოთა საქმეთა ზედა
ყოყმანი	მაღალი და უშნო ხმა
შეგონება	მეტად ციცაბო
ცელქი	ცუდად გაბნევა

წერითი სამუშაო

დაწერეთ იგავ-არაკი მოცემული შეგონების საილუსტრაციოდ

საბას ბიოგრაფიიდან თქვენთვის ცნობილია, რომ მან გაასრულა ვახტანგ VI-ის წამოწყებული იგავ-არაკთა სპარსული კრებულის „ქილილა და დამანას“ თარგმნა, მან გალექსა ამ კრებულიდან მეფე ვახტანგის მიერ პროზად გადმოღებული ლექსები და ტექსტის საბოლოო რედაქტირებაც მისივეა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ „ქილილა და დამანა“ საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთ ძირითად ლიტერატურულ წყაროდ მიიჩნევა.

ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს „ქილილა და დამანას“ ვახტანგისა და საბასეული თარგმანიდან:

„თუმცა მახვილითა კაცი დაჲკოდო, მის ჭრილობისა ღონისძიება სალბუნითა იქმნება, მაგრამ სიტყვით დაკოდილსა აღარ ღონე არა დაედვება და არცლა რამე ეწამება. შაირი:

ენისა დანაკოდარი ხრმლისაგან უარესია:

ვერა მკურნალი ვერ არგებს, რაგინდ მჯობისა ზესია.

თუ შენი ენა სხვას ეცა, საკვდავად განაალესია,

ვით კოკას ქვისა ალერსი სალენად დასაკვნესია!..“

„სიბრძნე სიცრუისას“ რომელ იგავშია ეს შეგონება ხორციშესმული?

შეეცადეთ თავადაც შექმნათ იგავი-არაკი სულხან-საბას ერთ-ერთი ქვემოთ მოხმობილი შეგონების მიხედვით:

- თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა;
- კაცს კეთილ საქმეს ღმერთი არ დაუკარგავს;
- კაცი საქმით იცნობა;
- მოუხმარებელი ოქრო და ქვა ერთი და იგივეა;

- უნაღვლო კაცი არ არსებობს;
- ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამისათვის საჭიროა:

- გაიაზროთ საბას შეგონება;
- მოიფიქროთ თქვენი იგავის —
ფაბულა,
პერსონაჟები,
მორალი.

არ დაგავიწყდეთ ისე წარმართოთ თხრობა, რომ საბას ეს შეგონება თქვენი იგავიდან ბუნებრივად გამომდინარეობდეს, მის დასკვნით ნაწილად გამოდგეს.

კომპლექსური დავალება 1. იგავ-არაკის დაწერა მოცემული ფაბულის მიედვით.

არსებობს იგავ-არაკი, რომელსაც „გომბეშო და ხარი“ ეწოდება. ერთხელ გომბეშომ ხარად გადაქცევა ისურვა, გაიბერა, გაიბერა და გასკდა. განდიდებისკენ სწრაფვა სახითათოა, — გვასწავლის ეს ძველისძველი იგავ-არაკი.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გომბეშომ პატარა პეპლად გადაქცევა ისურვა. სცადეთ ამ იგავ-არაკის დაწერა. სათაურს იოლად შეურჩევთ: „გომბეშო და პეპლა“. ცხადია, გაიხსენებთ, იგავ-არაკს ბოლოს მორალიც რომ უნდა დაერთოს.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ მიერ შესრულებული ნამუშევარი იგავური უანრისაა და რამდენად დაგეხმარათ სულხან-საბას იგავებზე დაკვირვება უანრის მახასიათებლების გამოკვეთაში;
- რა კავშირია თქვენს იგავ-არაკსა და სათაურს, თხრობით ნაწილსა და შეგონებას შორის;
- რა ენობრივი საშუალებები გამოყენეთ ტექსტში თქვენი სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად; რომელს გამოარჩევთ და რატომ.

კომპლექსური დავალება 2. ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები სწავლა-აღზრდის შესახებ „სიბრძნე სიცრუ-ისას“ მიხედვით.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაზე“ დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე, რომელშიც იმსჯელებთ ავტორის შეხედულებებზე სწავლა-აღზრდის შესახებ, ასევე გამოხატავთ საკუთარ პოზიციას — ეთანხმებით თუ არა ავტორს და რამდენად აქტუალურია მისი მოსაზრებები თანამედროვეობის კონტექსტში.

ნაშრომში ნათლად გამოკვეთეთ სამნაწილიანი სტრუქტურა, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტიკული

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი ანალიტიკური ესეა, რა ნაწილებისაგან შედგება იგი;
- რამდენად დასაბუთებული და დამაჯერებელია თქვენი მოსაზრებები სამსჯელო საკითხის შესახებ ნაწარმოების მინიშნებების გათვალისწინებით;
- რითია საინტერესო და აქტუალური თანამედროვეობისათვის საბას შეხედულებები სწავლა-აღზრდაზე.

ჯგუფური გამოკვლევა



შევისწავლოთ სულხან-საბას ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა


თქვენს სახელმძღვანელოში სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფია მცირე ნარკვევითაა წარმოდგენილი. ეს ბუნებრივიცაა, სახელმძღვანელოს ფორმატი მეტს ვერ დაიტევდა. თუმცა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ის უფრო ვრცლად შეისწავლოთ.

დაიყავით ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა შესასწავლად აირჩიოს სულხან-საბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი რომელიმე პერიოდი ან მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო (მაგალითად, სულხან-საბას ცხოვრება და მოღვაწეობა ბერად აღკვეცამდე, სულხან-საბასა და ვახტანგ VI-ის პიროვნული და შემოქმედებითი ურთიერთობა, სულხან-საბა, როგორც დიპლომატი და სხვ.).

ერთ-ერთი გამოკვლევა, რომელიც დიდ დახმარებას გაგინევთ დიდი მეიგავის ბიოგრაფიის შესწავლაში, არის გიორგი ლეონიძის ვრცელი ნარკვევი (ის ცალკე წიგნადაც არის გამოცემული): „**სულხან-საბა ორბელიანი**“. მასწავლებლის დახმარებით, შეგიძლიათ სხვა წყაროებიც შეარჩიოთ.

ნაკვლევი მასალა თითოეულმა ჯგუფმა კლასში საინფორმაციო მოხსენების სახით უნდა წარმოადგინოს.

დასაწყისისათვის წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ჩანახატი:



ფიტარეთი

ტანდიოდან მდინარე ქციისკენ დაღმართს თუ დაუყვებით, მალე წყალგაღმა დაინახავთ ძველ ციხესიმაგრეს, რომელსაც, ისევე როგორც ქაჯთა ციხეს „ვეფხისტყაოსანში“, გზა გვირაბითა შეუვა. მერე ამ ციხეს უნდა გასცდეთ, ერთხანს ტყეში ბილიკით იაროთ და ფი-

ტარეთიც გამოჩინდება, ორბელიანთა საგვარეულო ძვალთშესალაგი.

ვინ იცის, ქართლის მდივანბეგის ვაჟს, სულხან ორბელიანს, ყმაწვილკაცობაში რამდენჯერ უვლია ამ გზით, რამდენჯერ დამტკბარა ფიტარეთის ტაძრის ფერადოვნებით, მისი არაჩვეულებრივი ჩუქურთმებით. იგი ალბათ ამ სარკმლის მორთულობითაც ბევრჯერ მოხიბლულა; იქნებ იმის ამოცნობაც უცდია, თუ

რატომ ჩართო ოსტატმა ფიტარეთული ჩუქურთმის ხვეულებში პატარა ჩიტების, ლომების, ცად ხელაპყრობილი მლოცველის, ფარმომარჯვებული წმინდა მხედრის ფიგურები. იქნებ მომავალი დიდი მეიგავე მათ ქვაში ნაკვეთი „იგავ-არაკთა კრებულის“ „პერსონაჟებად“ აღიქვამდა.

ამგვარი დამოკიდებულება, მწერლის ბიოგრაფიის ამგვარი განცდა მხოლოდ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ ჩნდება.

როცა სულხან-საბას ბიოგრაფიის შესწავლას დაასრულებთ, შეიძლება თქვენც გაგიჩნდეთ სურვილი, ამ სახით გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ.



ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ ჩაატაროთ ჩანახატების კონკურსი: „ფიქრები სულხან-საბაზე“ და საჯაროდ წაიკითხოთ თქვენი თხზულებები (გამოაქვეყნოთ თქვენი სკოლის გაზეთში ან ვებგვერდზე).

ფერსფის ენა

მთარღის ენის ანალიზი ერთი იგავის მიხედვით

სულხან-საბა ორბელიანი ქართული ენის განვითარების საკმაოდ რთულ სურათს წარმოგვიდენს. ეს არის გარდამავალი პერიოდი, რომელშიც, ერთი მხრივ, ძლიერია ძველი სალიტერატურო ქართულის ტრადიციები, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე გამოკვეთილია ენის ახალი ტენდენციები. საბას ენა, პირველ რიგში, მემკვიდრეა რუსთაველის ენისა, რადგანაც სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ მოასწავებდა ახალი ეტაპის დაწყებას სალიტერატურო ქართულის განვითარებაში.

თუ ამ კუთხით შევხედავთ „სიბრძნე სიცრუისას“ ნებისმიერ მონაკვეთს, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ძველი ქართული ჭარბობს, მაგრამ მთლიანობაში თხზულება ახალი ქართულით სუნთქვას.

ავილოთ ერთი იგავი:

მეფე და მხატვარი

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყავა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უპრძანა:

— მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აპა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს, — ვით მკადრეო, — და თუცა ორთვალი, — მომკლავს, — ოდეს არს მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

- ძველია: ა) მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა: **მეფე ლავდიკიისა**
ბ) მოთხოვითი ბრუნვის ფორმა: **თქვა... მხატვარმან.**
გ) თანდებული: **თქვა გულსა შინა.**
დ) ნაცვალსახელი: **ესე.**
ე) ზმნის ფორმები: **ჰყავა, ჰპოვა.**
ვ) მეშველი ზმნა: **ოდეს არს მსგავსი ჩემიო?**

ახალია (ან მოგვიანო ჰერიოდისა):

- ა) მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება: **ცალის თვალითა.**
ბ) ნაცვალსახელის ფორმა: **ეს.**
გ) მეშველი ზმნა: **არის.**

როგორც ვხედავთ, ერთად გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის ძველი და ახალი ფორმები: **ეს — ესე, არს — არის...**

დავალება: დააკვირდით ტექსტებს ახლისა და ძველის გამოსავლენად.

პირისა და რიცხვის ნიშნები ზონაში

პირის ნიშნებისა და ამ პირების მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში სულხან-საბას თხზულების მიხედვით გარკვეულ გარდამავალ სურათს გვიჩვენებს. კერძოდ:

ა) მეორესუბიექტურიდა მესამეობიექტური პირის ნიშნები-ჴ, -ს ძირითადად იმ ნესით არის წარმოდგენილი, რაც ძველ ქართულში გვაქვს:

„შენ ათს არ დასჯერდები“.

„მოსწყვიტა თავი და წინ დაიდვა“.

მაგრამ ძველი ფორმა „ჰრქვა“ სწორედ უნიშნოდ დასტურდება:

„სედრაქ რქვა: — მე ძე მეფისა არ დამიწყევლია“.

ბ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, რაც აუცილებლად გამოხატება ძველ ქართულში, უკვე იკარგება:

„მოასხეს სამნივე და ჰყვეს ეგრეთ“...

(მოსალოდნელი იყო: მოასხ-ეს სამნივე).

გ) მესამე პირის სუბიექტის მრავლობითის ნიშანი -ეს ხშირად შეცვლილია -ენ (-ნენ) დაბოლოებით:

„შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი“.
„იგინი დამორჩილდნენ“.
„მოვიდნენ ქალაქსა მეფისასა“.

დავალება: დაძებნეთ ტექსტში სათანადო მაგალითები.

რომელ → რომი → რომ

„რომ“ კავშირი წარმოშობით არის კითხვითი ნაცვალსახელი „რომელი“, რომელმაც დროთა განმავლობაში თანმიმდევრული ცვლილება განიცადა (მისი დაბოლოება თანდათანობით „გაცვდა“); კერძოდ, დასტურდება ამ ცვლილების ყველა საფეხური:

რომელ → რომე → რომ.

სულხან-საბა ორბელიანის ენა იმითაც გამოხატავს გარდამავალი პერიოდის თავისებურებას, რომ მასში ორი ან სამი ვარიანტი ერთი და იგივე სიტყვისა ერთდროულად არის წარმოდგენილი.

ასეთი ვითარებაა მითითებული კავშირის გამოყენებაშიც:

ძირითადია **რომე**, მაგრამ **რომ** ბოლო ვარიანტიც დასტურდება.

მაგალითად:

„შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ესეთი, **რომე** სინათლითა მზე მოშურნეობდა. ვერც ასეთს გასაცემს იქმს კაცი, **რომ** სხვას არ ექმნას“...

დავალება:

- მოძებნეთ სათანადო მაგალითები ტექსტში.
- შეადარეთ ეს მონაცემები „ვეფხისტყაოსნის“ ენის ვითარებას.

პველი ხოლომითი სულხან-საბას ენაში

სედრაქი ასეა დახასიათებული:

„ესეთი სიტყვის სიტყვბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად **მოაქცევდის**, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცებრ **აუბნებდის**.“

რას ნიმნავს ხაზგასმული ზმნები?

ამგვარი ფორმებით ძველი ქართველი გამოხატავდა მოქმედების მრავალგზისობას ანუ იმას, რასაც დღეს „ხოლმე“ ნაწილაკით გადმოვცემთ: „მოაქცევდა ხოლმე, დაადნობდა ხოლმე“...

სულხან-საბას დროისათვის „ხოლმე“ ნაწილაკი ენაში უკვე დამკვიდრებულია, ხოლო ხოლმეობითის ფორმები ზმნას აღარ მოეპოვება. ამიტომაც მათი გამოყენება ძველი სალიტერატურო ენის გავლენას უნდა მივაწეროთ.

დავალება:

იპოვეთ ტექსტში ხოლმეობითის მაგალითები.

ე რ ვ ე ა ჭ ა ლ თ ი მ ე ქ ს ტ ი ს ც ა ს ა პ ი თ ხ ა დ

ღ დ ღ ი თ ი ა ძ ი

დავით გურამიშვილი

ა ვ ტ ო რ ი

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს სოფელ გორისუბანში (საგურა-მოს თემი) შეძლებული და გავლენიანი თავადის, გიორგი გურამიშვილის, ოჯახში. გურამიშვილის წინაპრები ყოფილან ზედგინიძები, მეფის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ისინი დიდი პატივით სარგებლობდნენ სამეფო კარზე.* სიყრმის წლები დავითმა მამულში გაატარა. მართალია, პო-ეტი უჩივის თავის „ცოდნამცირობას“, განუსწავლელობას, მაგრამ მისი შე-მოქმედება იმის დასტურია, რომ იგი სიყმანვილეშივე დასწაფებია წიგნს. გურამიშვილების მამულის მახლობლად, სვეტიცხოვლის მძლავრ საგანმანათ-ლებლო კერაშიც შეეძლო ზიარებოდა სიბრძნეს. აქვე იყო ზედაზნისა და ში-ომლვიმის საგანმანათლებლო, მდიდარი ტრადიციებით ცნობილი სამონასტრო ცენტრები.

17-18 წლისა იქნებოდა დავითი, როცა ჩვენს ქვეყანას დიდი გასაჭირი და-ატყდა: ქართლი დაარბიეს ჯერ სპარსეთმა, მერე — ოსმალეთმა; ამას დაერთო ლეკთა თარეში და ქართველი ტყველებით ვაჭრობა; ფეოდალური აშლილობა და ძმათა შორის შუღლი ქვეყანას ხერხემალში ტეხდა. რუსეთში ვახტანგ VI-ის გადახვენის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მოსახლეობა მთებსა და ტყეებს აფარებდა თავს. ძალადობისაგან თავის დასაღწევად გურამიშვილების ოჯახი გახიზულა ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში. მაგრამ ლეკთა თარეშს მაინც ვერ გადაურჩა დავითი. იგი ყანის სამკალში დილით ადრე წასულა, წყაროს დასწაფებია. გაღმიდან თურმე ლეკები უთვალთვალებდნენ, მოულოდნელად თავს დასხმიან, შეუპყრიათ, დაღესტნის სოფელ ოსოქოლოში მიუყვანიათ და ხაროში ჩაუგდიათ. დავით გურამიშვილმა გაპარვა შეძლო. მან ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი. 1729 წლიდან იგი მოსკოვშია, ვახტანგ VI-ის კარზე. მას იქ ჯაბადარბაშობა უბოძეს, ანუ იარაღის საწყობი ჩააბარეს. მოსკოვში, ლტოლვილი მეფის კარზე, დავითს ლიტერატურულ პაექრობებში თავი გამოუჩინია პოეტური ნიჭით.

ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ ქართველობამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. შეიქმნა ქართველ ჰუსართა პოლკი, ისინი ჩადგნენ რუსეთის სამხედრო სამსახურში. მათ შორისაა დავით გურამიშვილიც, რო-

* ვახტანგი ბაგრატიონის საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოთხოვთ მობილია, რომ იოთამ ზედგინიძემ თავი განირა მეფის სიცოცხლის ხსნისთვის. იაკობ გოგებაშვილმა ამ ამბავს მიუძღვნა მოთხოვთ „იოთამ ზედგინიძე“.

მელსაც მამული ერგო უკრაინაში (ზუბოვკასა და მირგოროდში). მისი ბედი ამიერიდან დაუკავშირდა უკრაინას და ქართველ ჰუსართა პოლკს. დავითი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის ომებში ოსმალეთის, შვედეთის, პრუსიის წინააღმდეგ, პრუსიელებს ტყვედ ჩაუვარდა და მაგდებურგის ციხეში ჰყავდათ დატყვევებული. ტყვეობიდან დასწილი პოეტი დამკვიდრებულა უკრაინაში, თავის მამულში. მძიმე ქარტეხილებით აღსავსე თავისი ცხოვრების შესახებ თვითონ მოგვითხრობს პოეტი.

დავით გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წელს, დაკრძალულია მირგოროდში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში. პოეტი ზედაზნისა და შიომღვიმის სავანეთა შესახებ ამბობს:

„ამ ორს მონასტერს მაქვნდა ალაგი,
სასაფლაო და ძვალთ შასალაგი;
ორივ ქვიტკირით აღშენებული,
სახლ-გალავნებით დამშვენებული.“

და შემდეგ მკითხველს მიმართავს:

„ახლა მობძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფრქოდ სად დავიმარხე.“

დავით გურამიშვილმა, ისევე როგორც ამ ეპოქის ბევრმა ქართველმა მოლვანემ, მშობლიურ მხარეში ვერ პოვა საუკუნო განსასვენებელი.

ღრმად მოხუცებულმა, თვალისჩინდაკულებულმა პოეტმა ერთ კრებულად გააერთიანა მთელი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, გადაწერა და საქართველოში გამოატანა მირიან ბატონიშვილს, ერეკლე II-ის ძეს. დავით გურამიშვილმა სამშობლოს მიაწვდინა, მას დაუტოვა შვილივით ნალოლიავები „დავითიანი“. გადმოცემით, სამშობლოში დაბრუნებისას ქართველებს რუსეთის ერთ მდინარეში ნავი გადაბრუნებიათ, ყველაფერი წყალში გადაცვენილა და „დავითიანის“ ხელნაწერი მირიან ბატონიშვილს გადაურჩენია. და ქართველი ერიც ასე გადაურჩა დიდი პოეტის სამარადყამო დაკარგვას.

სამშობლოსგან მოწყვეტილმა პოეტმა ამგვარად მოიხადა ვალი ღვთისა და ერის წინაშე. მისმა პოეტურმა მემკვიდრეობამ სწორედ ამ ერთადერთი ავტოგრაფული ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე.

„დავითიანის“ კომპოზიცია


„დავითიანი“ უანრობრივად განსხვავებული ნაწარმოებებისაგან შედგება. მასში შედის პოემები („ქართლის ჭირი“ და „მხიარული ზაფხული“), გაბაასებები („სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“ და „კაცისა სანუთოროსაგან ცილობა და ბჭობა“) და ლირიკული ლექსები. ყოველ მათგანს თავისი მხატვრული ფუნქციაა აქვს. ამასთანავე, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ „დავითიანი“ თხზულებათა კრებული კი არ არის, არამედ ერთიანი პოეტური ხედვით შექმნილი და გამართული მხატვრული ნააზრევია. კრებულის ყოველი პოემა, ყოველი ლექსი ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთითაა განპირობებული.

„დავითიანი“ ოთხ ნაწილად დაყო პოეტმა. პირველი წიგნი ქვეყნისა და ადამიანის ხვედრს ეხება, მეორე წიგნი ღვთის სადიდებელ ლირიკულ ლექსებს

შეიცავს და პიროვნების გულწრფელ განცდებს გამოხატავს. მესამე წიგნი წუთისოფლის წარმავლობისა და სიკვდილის თემას ეძღვნება; მეოთხე წიგნი — „მხიარული ზაფხული“ სიყვარულის სადიდებლით აგვირგვინებს „დავითიანს“. შესავალი და დასასრული კრებულის ოთხივე ნაწილს ეკუთვნის. კრებულში ნანარმოებთა თანმიმდევრობა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

„დავითიანი“ ადამიანის სულიერი განვითარების გზას ასახავს. გურამიშვილისთვის სამყარო მთლიანობაა. სამყაროს სულიერი თუ ამქვეყნიური ისტორია ამ ერთიანობის გამოხატულებაა. ადამიანი, პიროვნება განუყოფელი ნაწილია ამ ერთობისა. ეს თვალსაზრისი ბიბლიას ემყარება.

სწორედ ამიტომაა, რომ სამყაროს დასაპამით იწყებს პოეტი თავის „დავითიანს“, ისევე როგორც რუსთაველი იწყებს „ვეფხისტყაოსანს“, დანტე ალიგიერი — „ლვთაებრივ კომედიას“ და სხვ. ასევე იწყებენ თხრობას ქართველი მემატიანები.



დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი,
„დავითიანის“ ავტოგრაფული ხელნაწერიდან

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების
ახალთან დაკავშირება

დავით გურამიშვილის პოეტურ კრებულს „დავითიანი“ ეწოდება. თუ გა-
იხსენებთ სხვა ნაწარმოებს (ან ნაწარმოებთა კრებულს), რომელსაც ასევე ავ-
ტორის სახელით მოიხსენიებენ?

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

მხატვრული მეთოდი. იმას, თუ როგორ აღიქვამს და ასახავს მწერალი
თავის ნაწარმოებში რეალურ ცხოვრებას, შემოქმედებით (მხატვრულ) მეთოდს
უწოდებენ.

დავით გურამიშვილის შემოქმედებით მეთოდს შუა საუკუნეების მსოფლმხედ-
ველობრივი, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპები უდევს საფუძვლად. მისთვის,
ისევე როგორც მისი წინამორბედი სხვა ქართველი მწერლებისთვის, სამყაროში
ყოველივე ღვთის ნების გამოხატულება, ყოველივე ერთმანეთთანაა დაკავშირე-
ბული და ერთმანეთთაა განპირობებული. ადამიანი კი ღვთაებრივი შემოქმედების
გვირგვინია. იგი მიწისაცარის და ზეცისაც. დავით გურამიშვილისთვის ყველაფერი,
რაც რეალურად ხდება, ღვთაებრივის გამოხატულებაა. პოეტი ცხოვრებისეულ
მოვლენებს გარდუგალობად მიიჩნევს, სიმბოლურ-ალეგორიულ დატვირთვას
ანიჭებს და კონკრეტულ ფაქტში სულიერ შინაარსს ხედავს: ლეკთაგან დატყვევება
პოეტისთვის არის არა მხოლოდ თავისი მიწა-წყლისგან დამორება, არამედ საქ-
რისტიანოსგან და თვით უზენაესისგან გაყრაც; ლეკთაგან თავის დახსნა და გზის
ძიება მისთვის „ჭეშმარიტი გზის“, სულიერი ამაღლების გზის ძიებაცაა; როცა
ტყვეობაში მოშივდა და ღმერთს პური შესთხოვა, — ეს სულიერი საზრდოს თხოვ-
ნაც იყო. ცხენიანად ტალახში რომ ჩაეფლო, „ცოდვის ლიას უკუვარდიო“, თქვა.
უშვილო პოეტი ბედს უჩივის, მაგრამ სულიერი უნაყოფობა უფრო საშიშად მიაჩნია
და უფალს შესთხოვს, იხსნას სულიერი მისგან.

გამოვიყენოთ კითხვის სტრატეგია

სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოცნობა

დავით გურამიშვილის შემოქმედებით მეთოდს თუ გავითვალისწინებთ,
„დავითიანის“ კითხვის სტრატეგია უმეტესწილად ნაწარმოების სიმბოლურ-
ალეგორიული სახეების ამოცნობას უნდა დაეფუძნოს, რასაც თვითონვე გვირ-
ჩევს პოეტი:

„სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!
ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეო;
ქერქი გაფრცვენ, განაგდე, შიგნით გულს კი სჭამდეო“.

ლადითიძე

ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება

„დავითიანი“ ვსთქვი დავით გურამისშვილმან გვარადო, ხილად ვსთქვი სიტყვა ღვთისა და ძე კაცთა — ნორჩის მგვანადო; ცხოვრების წყაროს უხსენე ხე ცხოვრებისა ღარადო, ამად ვსთქვი ჯვარზედ ვნებული, ცრემლნი იდინოთ ღვარადო.

ამისთვის მე არ შევსძეძვე, რაც დავრგე იგავთ ხე ველად, უფრო ადვილად აღვლიან ზედ ყრმანი დასარხეველად. სასმელად უძღვენ თერმონი, არ ცუდად დასანთხეველად, ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექნან დასახეველად.

ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და, ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა. ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა, ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და.

ხილად ვსთქვი ხილად, ნაყოფად ვახსენე (იგავურად, სიმბოლურ-ალეგორიულად). **სიტყვა ღვთისაქრისტე.** იოანემახარებელი გვაუწყებს, რომ „პირველითგან იყო სიტყუად და... ღმერთი იყო სიტყუად იგო“ და, რომ „სიტყუად იგი ჭორციელ იქმნა და დაემჟვიდრა ჩუენ შორის“ (იოანე 1, 1, 14).

ძე კაცთა ძე კაცისა. ასე მოიხსენიება ქრისტე ახალ აღთქმაში. „ძე კაცისა“ გამოხატავს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას და ღვთის სრულ შეერთებას კაცობრივ ბუნებასთან.

ძე კაცთა — ნორჩის მგვანადო ძე კაცისა (ვთქვი, ვახსენე) მორჩის, ნერგის მსგავსადო, მორჩის მივამგვანეო.

ცხოვრების წყარო აქ: შემოქმედი, მამა ღმერთი, დასაბამი ყოველივესი.

ცხოვრების წყაროსუხსენე ხე ცხოვრებისა ღარადო ცხოვრების წყაროს გამოსადენ ღარად ცხოვრების წყაროს გამოსადენ ღარად ვახსენე ხე ცხოვრებისა, ანუ: ქრისტეა მამა ღმერთთან კაცობრიობის დამაკავშირებელი.

ამისთვის მე არ შევსძეძვე, რაც დავრგე

იგავთ ხე ველად ძეძვით იმიტომ არ დავ-ფარე ჩემგან ველად დარგული იგავთა ხე (კ.ი. იგავურად ნათქვამი ლექსი არ გავართულე, არ გავაბუნდოვანე).

თერმონი „თბილი შაქარწყალი“ (საბა).

სასმელად უძღვენ თერმონი დავუტკებე.

არ ცუდად დასანთხეველად (სასმელად უძღვენ და) არა ტყუილუბრალოდ და-საღვრელად.

არ შექმნან დასახეველად დასახევად არ გახალონ.

რიტორი მჭევრმეტყველი.

შოთამ რგო იგავთ ხეო შოთა რუსთველმა დარგო იგავთა ხეო; იგავურად, შეფარვით თქვაო.

ფესვ ღრმა-ჰყო ფესვი ღრმად გაადგმევინა (ღვთისმეტყველური სილომე შესძინა).

შრტონი უჩინა რტოები გამოუჩინა.

ორგზითვე ნაყოფს მისცემდა ორმხრივ (პირდაპირი აზრით და იგავურად) გამოილებდა ნაყოფს.

მე რუსთველსა ლექსა არ უდრი, ვით მარგალიტს — ჩალის ძირსა;
მაგრამ მიმროთიც კეკლუცნი ტურფად მოიკაზმენ პირსა;
ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა,
დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად სჭამდენ პანტის ჩირსა.

ცხენი მარტო მორბენალი მუხლმოკლედიც გამალდების,
სად მაღალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამალლდების.
თვალად ნასსა ალამაზებს, ვის ლამაზი არ ახლდების,
ამ წიგნს წიგნად მოიხმარებს, ვინც სხვას წიგნსა ვერ მიხვდების.

მე, უშვილომ, ეს ობოლი მძლივ გავზარდე დიდის ჭირით:
რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით.
მოვკვდი, დამრჩა უნათლავი, ვერ შევიძელ მე სიმწირით,
ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით.

ბრძენსა კაცსა ვეხვენები, ეს ობოლი მამინათლოს;
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს,
ან თუ იყოს მატყუვარა, ეცადოს, რომ განმიმართლოს,
სხვასი ნურას მოინდომებს მაზედ მეტსა უსამართლოს.

ამად ვიხოტბე, შევკრიბე ცრუის საწუთროს ყბედობა,
მე ძე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა.
ყრმაო, შენ ძმობას გენუკვი, ასულო, მიყავ შენ დობა,
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიპრძანეთ ცოდვილს შენდობა.

უდრი ვუდარებ.

მიმრო თვალი იაფფასიან სამკაულთათ-
ვის.

მაშვრალი დალლილი, დაქანცული.

მძლივ ძლივს.

მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით მას ვას-
წავლე მცირე სიბრძნის მქონემ.

სიმწირე მწირობა, მწირად ყოფნა, უცხო
მხარეში ყოფნა.

მომიქციოს მომირჯულოს, მომიქრისტია-
ნოს.

გამიქართლოს გამიქართულოს.

მატყუვარა ნატყუარი, ნაყალბევი.

განმიმართლოს მართლად მიქციოს.

სხვასი სხვას.

მაზედ მასზე.

ვიხოტბე ხოტბა ვთქვი.

ბედობა ბედი.

გენუკვი გთხოვ, გევედრები, გემუდარები.

მიყავ შენ დობა დობა გამიწიე, დად გა-
მიხდი.

ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი

ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი,
რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი,
რიტორთა — ლექსი, გულისა სიღრმე, სიბრძნისა ზომანი,
შენ მიმახვდინე წადილსა, არ მაქვნდეს ცუდად ცდომანი.

საფუძველი არს ყოველთა დაუსაპამო პირველი,
მამა ყოვლისა მპყრობელი, ცათა და ქვეყნის მჭირველი;
მიუწდომელი, უზომო, გამოუთქმელი, მბრწყინველი,
ღმერთი, აპელის მსხვერპლისა კეთილად შემანირველი.

თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია.
ამა უფლისა საქებრად ბრძენიც ჭკუვაზედ მცდარია.
მე ვით შევმართო უცებმან, რადგან ის მიუმხვდარია?
მაგრამ დავით თქვა: „აქებდით გლახაკი და მდიდარია!“

დავითიანი ასე უწოდა დავით გურამიშვილი თავისი პოეტურ კრებულს. ეს ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებაა („თეიმურაზიანი“, „არჩილიანი“ ერქვა ქართველ მეფე-პოეტთა კრებულებს). დავით გურამიშვილი თავისი პოეტური შთაგონების წყაროდ მიიჩნევს დავით წინასწარმეტყველს. პოეტი ბიბლიურ დავითს ბაძავს, მას ეხმიანება და მის დარად ადიდებს ლმერთს. ამდენად, კრებულის სახელწოდებაში — „დავითიანი“ გურამიშვილიც იგულისხმება და პოეტის სეხნიაც — ბიბლიური დავითი.

მეგვარტომობა წათესაობა, შთამომავლობა, გერეალოგია.

ლმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი ლმერთო, რომელიც არსთა სამეუფო ტახტზე ზიხარ (გაქვს არსთა ხელმწიფება, არსთა გამრიგე ხარ).

ტრფიალთ სურვილის ნდომანისატრფოს მონატრების წადილი, სიყვარულის ძალა. მიმახვდინე წადილსა მიმაღწევინე წადილს; ამიხდინე, ამისრულე სურვილი.

არ მაქვნდეს ცუდად ცდომანი ამაოდ არ მოვცდე, ტყუილად არ გავცდე.

ყოვლისა მპყრობელი ყოველივეს მპყრობელი, ვისაც ყოველივე უპყრია.

მჭირველი ვისაც უჭირავს, უპყრია, მპყრობელი.

უზომო განუზომელი, ვისაც ვერ გაზომავ, ვისაც განზომილება არა აქვს.

გამოუთქმელი ვის არსაც ვერ გამოხატავ სიტყვით, ვისაც სიტყვა ვერ დაიტევს („უარყოფითი ატრიბუტებით“ ღვთის გამოხატვა. შდრ. რუსთაველის „უცნაურო და უთქმელო“ ავთანდილის ლოცვაში).

მბრწყინველი ბრწყინვალე.

აპელი ადამისა და ევას ძე, ძმა კაენისა, მის მიერვე მოკლული.

აპელის მსხვერპლი, ბიბლიის მიხედვით, აპელი მწყემსი იყო. მან თავისი სამწყსოდან ლმერთს შესწირა საუკეთესო ცხვარი. ლმერთმა მიიღო მისი მსხვერპლი. შემანირველი შემწირველი. აქ: მსხვერპლის მიმღები.

ამა უფლისა საქებრად ბრძენიც ჭკუვაზედ მცდარია ღვთის საქებრად ბრძენიც კი ჭკუამცდარივით, სულელივით უძლურია.

შევმართო შევბედო, შევკადრო.

უცები უცოდინარი, უვიცი, მიუმხვდარი.

რადგან აქ: როცა.

მიუმხვდარი გონებით მიუწვდომელი.

მე სიბრძნისაებრ ჩემთასა არ დავადუმებ ბრძნობასა,
რასაცა მომცემს მომცემი შეტყუბასა და გრძნობასა,
დიდად მიიჩნევს უფალი მწირთაგან მცირეს ძლვნობასა,
მით შევეცნევი უცნაურ, რასაც მივსწვდილვარ ცნობასა.

მომხსენებელი არ მრჩების, მაშტოთებს, ეს მაღონებსა.
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?
თუ არ შევკრებ და არ უძღვნი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინდა მამიგონებსა?!

სწავლა მოსწავლეთა

ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის

ისმინე, სწავლის მძებნელო, მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მნარე ჭამე, კვლავ – ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინაული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა;
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

**მე სიბრძნისაებრ ჩემთასა არ დავადუმებ
ბრძნობასა ჩემი სიბრძნის კვალიბაზე არ
დავდამდები; რისი შემძლეც ვარ, ისე ვიტ-
ყვი.**

მომცემი აქ: ღმერთი.

შეტყობა გაგების უნარი.

მნირი „უცხო ვინმე უცხოთა ადგილთა
იმყოფებოდეს და გამოზარდებოდეს“
(საბა).

ძლვნობა ძღვენის მირთმევა. აქ: ქება.

მივსწვდილვარ მივსწვდომივარ, ჩაესწ-
დომივარ.

მით შევეცნევი უცნაურ, რასაც მივსწვ-
დილვარ ცნობასა ასე შევიმეცნებ შეუც-
ნობელს (ღმერთს) იმ ცნობიერებით, რომ-
ლითაც მივსწვდომივარ, რაც მომიპოვე-
ბია.

მომხსენებელი მომგონებელი, მხსენებე-
ლი.

ცოდვის მუხრუჭით შეკრული ცოდვით
დაბორკილი.

მამიფონებსა მომიფონებს, შვებას

მომცემს.

ია-ვარდის კონები მეტაფორაა, დავითგუ-
რამიშვილი თავის პოეტურ შემოქმედებას
გულისხმობს.

სწავლა დარიგება, სწავლება.

სახმარი მოსახმარი, გამოსაყენებელი, სა-
ჭირო.

საქმე აქ: საქმიანობა, ხელობა.

სწავლის მძებნელი ცოდნის მაძიებელი,
ცოდნის მოყვარე.

მოყევ მისდივ.

დავითის მცნება დავითის მოძღვრება,
შეგონება (პოეტთან ერთად უნდა ვიგუ-
ლისხმოთ ბიბლიური დავითიც).

გემოვნება გემო, სიამოვნება.

თავს დასაწყისში.

მიითვლი მიიჩნევ.

სიკვდიმდე სიკვდილამდე.

არ არის გასაყოფელი არ გაიყოფა.

თავისა გასაყოფელი თავის შესაყოფი,
(მახეში) თავის გასაბმელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

ჩემის უცებით შევატყევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:
ავი და კარგი, გარჩევით ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია.

ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანტოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ლონობდეს, —
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

ვსძებნე და ვერა ვპოვე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი — თავის ხელითა,
ხუცესი — წირვით, ვაჭარი — შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა;
მოლაშქრე — სისხლის ქცევითა, მხვნელი — ოფლითა ცხელითა,
გლახა — კარის-კარ თხოვნითა, — შენა გწადს ან რომელითა?

რაზომსაც დაეტარების სადაც კი დადის.
ხელი არ შაეკარების ხელი ვერ გაეკარება,
ვერ შეეხება.
ჩემის უცებით ჩემი უცოდინარობით, უვი-
ცობით.
შევატყევ შევატყევ, შევამჩნიე.
სწავლის სიმოკლე ცოდნის უკმარობა.
ცალ-ცალკე ვერ გამიყვია ვერ გამირჩე-
ვია.
ჭკვიანი კაცი ბრიყვია ჭკუის მქონე, მაგ-
რამ უცოდინარი, უსწავლელი კაცი.
გულად ლომობდეს თავდაუზოგავად იბ-
რძოდეს, ლომგული იყოს.
გულ-ბრაზად განრისხებით.
ლონობდეს დაღონდეს.
უწვრთელი უწვრთნელი, უსწავლელი,
უცოდინარი.

ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს ვერ
აისრულოს, რაც ინდომოს.
სწავლა-მცნება დამოძღვრა-დარიგება.
ნებისა ნებისად, ნებისამებრ.
ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში
ყოფნა ნებისა ბრძენი უფალია საკუთარი
თავისა, თავისი ნებისამებრ შეუძლია
იყოს, იცხოვროს ამა სოფლად.
დარჩების თავს ირჩენს, თავს შეინახავს.
საუნჯე აქ: ცოდნა, „უხილავი საუნჯე“.
მოექნებისა (მოექნების) მოეხვევა, შემო-
ეხვევა.
ბრძენი სიტყვითა დარჩების ბრძენი თა-
ვისი სიბრძნით, ცოდნით ირჩენს თავს.
შენა გწადს ან რომელითა? შენ რომელი
ხელობით გინდა თავის რჩენა?

ზოგი ხომ ძოლან გაჩვენე შვიდიოდ სარჩოს ძირობა;
მერვე: ხელმწიფე დარჩების, ვისაც აქვს ქვეყნის მჭირობა.
მეცხრეა: არჩენთ მწყემსობა, უქნიათ მენახირობა;
მეათე: მიჯნურთ სურვილი, ტრფიალთა შენამზირობა.

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო;
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო;
ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო.

ძოლან წელან, ცოტა ხნის წინ.
სარჩოს ძირობა სარჩოს შოვნის გზა, საფუძველი, ძირი.
მჭირობა მპყრობელობა.
უქნიათ მენახირობა ეწევიან მენახირეობას.

შენამზირობა მზერა, ცქერა.
საცნობლად თავისადაო საკუთარი თავის შესაცნობად, საკუთარი არსის შესამცნებლად. გურამიშვილის აზრით, ცოდნის შეძენა საკუთარი თავის შესაცნობად არის საჭირო. თვითშემეცნება მოითხოვს პასუხს მარადიულ კითხვებზე: ვინ არის ადამიანი, რა აზრი აქვს მის არსებობას, რა გზა აქვს ადამიანს სავალი. ეს ის კითხვებია, რომლებსაც წამოჭრის ადამიანის წინაშე ქრისტიანული რელიგია და პასუხიც ამ კითხვებისა ქრისტიანობისავე წიაღშია. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამიანი ღვთაებრივი საუფლოს (სამოთხის) მკვიდრიიყო. მან შეიძინა დამოუკიდებელი ცნობიერება, მაგრამ დაკარგა ღვთაებრივი ხატი, ადამი დაეცა და დაემკვიდრა ამა სოფლად (გამოძევებულ იქნა სამოთხიდან). წუთისოფელი ადამიანის დროებითი სამკვიდროა. ადამიანმა საკუთარ თავში უნდა აღადგინოს დაცემული ადამი და ამაღლებული, განლმრთობილი ცნობიერებით კვლავ დაემკვიდროს ზეცის სასუფეველში, მიაღწიოს საღვთო ქორწინებას (შუშანიკი, გრიგოლი). ადამიანი ღვთაებრივი განვითარების გზაზე მდგომ არსებად მიაჩნია ქრისტიანულ რელიგიასა და მწერლობას. ამ გზას გადიან ქრისტიანული მწერლობის გმირები. „სლვა გზათა ღმრთისათა“ ადამიანის მისიად ესახე-

ბოდათ ჩვენ მიერ შესწავლილი ლიტერატურული ძეგლების ავტორებს. ადამიანმა უნდა „სრბად აღასრულოს“. ამ გზაზე მას ქრისტე მიუძღვის. ადამიანმა მას უნდა მიბაძოს, „მეათერთმეტე ჟამის მუშაკად“ იქცეს და „განთიადზე აღმსთობილთ“ გაუტოლდეს (შუშანიკი, აბო, გრიგოლი), „ტალანტი გაამრავლოს“ (იხ. გრიგოლი, ექვთიმე), „ზეთი წარუპარველი“ დააგროვოს (აბო, გრიგოლი), სულიერი საზრდოს-თვის იზრუნოს. დავით გურამიშვილის ამ სტროფში თავს იყრის ყველა ის კითხვა, რომლებიც იდგა ქართული მწერლობის წინაშე მისი დასაბამიდანვე. საკუთარი თავის შეცნობა უმთავრესი საკითხი იყო ადრინდელი სხვა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებებისაც. „შეიცან თავი შენი“ — დევიზად ჰქონდათ ძველ აღმოსავლურ და ძველ ბერძნულ რელიგიურ-ფილოსოფიურ კერებს. მიაჩნდათ, რომ ადამიანი თუ საკუთარ თავს შეიცნობდა, — ეს სამყაროს შეცნობაც იყო. ძველ ქართულ მწერლობაში, „შუშანიკის წამებიდან“ მოკიდებული დავით გურამიშვილის ჩათვლით, თვითშემეცნების ქრისტიანული გზა და ქრისტეს მიერ დასახულ ამ გზაზე ადამიანის სვლა არის ასახული.

ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო იგულისხმება: შემოქმედი, რომელმაც ადამიანის სხეული შექმნა სულის ჭურჭლად, რა საზღაურს, რა წყალობას მიაგებს თავისი მისიის აღმსრულებელ ადამიანს.

რემა ცხენთა ჯოგი.

ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო ლაგამისა და სადავის უქონელი გაუხედნელი ცხენივით ორმოში რომ არ ჩავარდეს.

დავშიძეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. როგორ გამოხატა პოეტმა აზრი, რომ ყმაწვილის განსწავლა იმავდროულად თვითშემეცნება ყოფილა? რომელ ოთხ მარადიულ კითხვას უნდა უპასუხოს ყმაწვილმა?
2. რას მიიჩნევს გურამიშვილი „უხილავ საუნჯედ“?
3. პოეტის აზრით, ყველაზე მეტად ვის ძალუძს საზოგადოებაზე სასიკეთო ზეგავლენა?
4. „ათთა სახმართა საქმეთა“ ჩამოთვლისას რატომ მოიხსენებიან ერთმანეთის გვერდიგვერდ მწყემსი და ხელმწიფე? გაიხსენეთ, რა კითხვა დაუსვა ლეონმა ფინეზ მეფეს?
5. რას ადარებს საკუთარი თავის ვერშემცნობელ ადამიანს მწერალი?

უკავდავების წყაროს იგავი

რომელმან ცანი, ვითარცა კარავნი, შეგვიმზადისა,
ზედ მიადგინა მნათობნი, — ნიუთთა ყოველთა მზარდ ის ა,
მას ქვეშ ქმნა ვით ბალ-ნალკოტნი, რაშიგაც დავით ხადისა,
იგ არს მიზეზი ყოველთა, ფარულისა და ცხადისა.

წინასწარმეტყველთ ქადაგეს ბრძანება ღვთის მაგიერი,
გამოგვიცხადეს, გვასწავეს, გვაცნობეს სიტყვა ძლიერი.
ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰკმია დღე ნათლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი დავითზე — ნაყოფიერი.

რომელმან რომელმაც. ამ ნაცვალსახე-
ლით მოიხსენიებდნენ ხოლმე ღმერთს,
რაც კრძალვის ერთგვარი გამოხატულება
იყო.

ცანი ქრისტიანობის თანახმად, ანგელოზ-
თა იერარქია, ანგელოზთა კიბე, 9 საფე-
ხურისაგან შედგება და 3 ნაწილად იყოფა:
1. სერაბინი, ქერობინი, საყდარნი;
2. უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი;
3. მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგე-
ლოზნი. ანგელოზთა თითოეულ გუნდს
თავისი „ცა“ აქვს. ამიტომ ანგელოზთა
დასა აგრეთვე ენოდება „ძალნი ცათანი“.
ცხრა ცა არის მათი სავანე.

რომელმან ცანი, ვითარცა კარავნი, შეგ-
ვიმზადისა ვინც (შემოქმედმა) ცანი კარა-
ვივით, საფარველივით შეგვიქმნა.

მიადგინა დაადგინა, განაწესა.

ნივთნი ოთხი კავშირი, ოთხი ელემენტი:

მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი.

მზარდ ის ა მზრდელი ის არის.

**ნივთთა ყოველთა მზარდ ის ა იგია ყოვე-
ლივეს მზრდელი, გამრიგე.**

რაშიგაც რაშიც, რომელშიც.

**დავით ხადისა დავით წინასწარმეტყველი
ხმობს.**

ფარული დაფარული, საიდუმლო.

სიტყვა ქრისტე. პოეტი შეგვახსენებს, რომ
ებრაელმა წინასწარმეტყველებმა ადრევე
გვაუწყეს სიტყვის განსხეულება, ქვეყნად
მესიის მოსვლა.

ვით ღამე ბნელსა როგორც ბნელ ღამეს.

მოჰკმია ებმის, აქ: ენაცვლება, მოჰკვება.

დღე ნათლიერი ნათელი, მზიანი დღე.

**ეგრეთ აბრამის ყვავილი დავითზე — ნა-
ყოფიერი ასევე აბრამის ყვავილი (ქრისტე,
მესია) დავით წინასწარმეტყველის ძირზე
არის ნაყოფად გამოღებული.**

ვერ იცნეს, იყო მოსილი ღმერთი კაცობრივ ცმულითა;
კაციც ძნელია საცნობლად, ღმერთს ვინ იცნობდა გულითა!
მაგრამ ნათლად ჩნდა ნათელი, მისის დავითის თქმულითა,
ნახეს და ვერ დაინახეს იმ ბრმითა თვალახმულითა.

ჯვარცმის ამბავი

... გმეს და უარყვეს უფალი ტკბილი იესო,
მათ მისი სწავლა-მოძღვრება არარად მიიჩნიესო;
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეაჩნიესო;
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდა: ხორციელს და სულიერსო.

აწ ნახეთ, მისად სანუფქოდ რაც მათ მას შეამთხვიესო:
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
ღვთის საიდუმლო გატეხეს, გულში ვერ დაიტიესო,
თავიანთ მაცხოვნებელი წამწყმენდლად მიიჩნიესო.

ოცდაათ ვეცხლად გაყიდეს, ისიც კი დანაბნიესო;
შეიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოახვიესო,
მაგრა შეუკრეს ხელები, უფალსა არა სთნიესო,
ურიგო სიტყვა შეკადრეს, გალანძლეს, გაათრიესო.

ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო,
შოლტით სცეს ხელდაბანილთა, მსხვერპლს სისხლი შეურიესო;

ვერ იცნეს, იყო მოსილი ღმერთი კაცობრივ ცმულითა
ადამიანივით ხორცით იყო შემოსილი.

მისის დავითის თქმულითა იმ დავითის
(წინასწარმეტყველის) ნათქვამით.

ვერდაინახესიმბრმითათვალახმულითა
ვერ დაინახეს, ვერ შეიცნეს იმ გახელილი,
მაგრამ სულიერად ბრმა თვალით.

ურია ებრაელი, მოსეს სჯულის აღმსარებელი.

უგბილი „თვის ჭკუაზე დაჟინებული“
(საბა), განუსწავლელი, უმეცარი.

წრფელი სწორი, ჭეშმარიტი.

წინ უდებდა აქ: წინ გადაუშლიდა.

ღვთის საიდუმლო აქ: ქრისტე.

გატეხეს ვერ დაიცვეს.

გულში ვერ დაიტიესო ვერ ირწმუნეს
(ქრისტე).

სანუფქოდ სამუფქოდ, სამაგიეროდ,
სანაცვლოდ.

მაცხოვნებელი მხსნელი.

წამწყმენდელი დამღუპველი.

ოცდაათ ვეცხლად გაყიდეს სახარების
თანახმად, იუდამ იესოს გაცემისათვის 30
ვერცხლი მიიღო მღვდელმთავართაგან.

დანაბნიეს დააბნიეს. სახარების მიხედვით, იუდამ შეიგნო თავისი დანაშაული და
30 ვერცხლი ებრაელ მღვდელმთავრებს დაუყარა ტაძარში, თვითონ კი ხეზე თავი
ჩამოიხრჩო.

დამხსნელი მხსნელი, გადამრჩენელი.

საბელი თოკი.

უფალსა არა სთნიეს ღმერთი არ დაინდეს,
არ მოერიდნენ.

გაათრიეს შეურაცხყვეს, აიგდეს.

ხელდაბანილი სახარების მიხედვით,
ჯვარცმის წინ პილატემ ხელი დაიბანა და
თქვა: „უბრალო ვარ სისხლისაგან მაგი-
სისა“ (მათე 27, 24). მას აქეთ ხელის დაბანა
პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას,
მოვალეობისაგან განზე განდგომას ნიშ-
ნავს.

დაადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიიწვიესო,
შესამოსელი გახადეს, ქლამინდი მოახვიესო;

ჯვარზედ განაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაუწიესო;
წყალი ითხოვა, მიართვეს, ძმარში ნაღველი რიესო;
უგმირეს გვერდსა ლახვარი, — ვაიმე, ვითა ვსთქვი ესო!
მოკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;

მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდე შუა ხიესო!
ჯვარით გარდმოხსნეს, წაგრაგნეს, ტილოში წაახვიესო;
დამარხეს, მკვდარსაც არ ენდვნენ, გარს მცველი შემოხვიესო.

ქმნა სულგრძელობა მათზედა და დასთმო მან ჩვენთვი ესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ტირილი ლვთისმშობლისა

მოდით, ყოველნო შვილმკვდარნო დედანო, შეიყარენით!
შემწყნარებელი ან თქვენი მარიამ შეიწყნარენით,
ისმინეთ მისი ტირილი, თქვენც ცრემლი გარდმოყარენით,
სულს ეცით მისგან ნუგეში, გულს ჭირნი უკუყარენით.

გოლგოთა ამაღლებული ადგილი იერუსა-
ლიმის მახლობლად, სადაც, გადმოცემის
თანახმად, ჯვარს აცვეს ქრისტე, ებრაუ-
ლად წიშნავს თხემს, თავის ქალას. ასე ეწო-
და, რადგან, გადმოცემით, ადამი იყო აქ
დამარცული. ქრისტიანული ტრადიციის
თანახმად, ჯვარცმული მაცხოვრის სისხ-
ლი მინაში ჩაიღვარა და ადამთან ერთად
ცოდვათაგან განძანა მთელი მისი მოდგმა.
ქლამინდი წითელი ფერის სამეფო სამოსი.
გადმოცემის თანახმად, მაცხოვარს, სული-
ერ მეუფეს, ბრალად სდებდნენ, რომ ებ-
რაელთა ამქვეყნიურ მეუფედ მიიჩნევდა
თავს. ქლამინდი მიას დასაცინად შემოსეს
და თავზეც გვირგვინი დაადგეს, ოლონდ
— გვირგვინი ეკლისა. ჯვარცმულის თავს
ზემოთ წააწერეს: „ესე არს იესო ნაზა-
რეველი, მეუფე ჰერიათა“.

რიესო შეურიესო.

უგმირეს აძგერეს, ჩასცეს.

ვაიმე, ვითა ვსთქვი ესო? დიდი სული-

ერი ტკივილის გამომხატველი ამ ფრა-
ზით პირეტი ჩაერთვება მის მიერვე თან-
მიმდევრულად მოთხოვბილ მაცხოვრის
ვნების სახარებისეულ ამბებში.

უბრალო უცოდველი.

ბრალითა ქვეყანა შეარყიესო ცოდვით
შეძრეს ქვეყანა.

კრეტსაბმელი კარის ფარდა. როცა ჯვარც-
მულმა ქრისტემ სული განუტევა, იერუსა-
ლიმის ტაძრის კრეტსაბმელი თავიდან ბო-
ლომდე ჩაიხა.

წაგრაგნეს შეახვიეს, გაახვიეს.

ქმნა სულგრძელობა მათზედა

სულგრძელად მოექცა მათ.

დასთმო დაითმინა, აიტანა.

ჩვენთვი ესო ჩვენთვის ეს (იგულისხმება
ტანჯვა, ჯვარზე ვნება).

შემწყნარებელი შემწყალებელი.

შეიწყნარენით შეიფარეთ, შეიბრალეთ.

გულს ჭირნი უკუყარენით ნაღველი,

სევდა გადაიგდეთ გულიდან.

ოდეს იხილა მშობელმან ძე თვისი, ღვთისა ცხებული,
ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხებული,
ჯვარზედა ხელ-ფეხ მიკრული, გვერდსა ლახვარიც ხებული,
ათრთოლდა, ზარი დაეცა, გახდა ვით დამარცხებული.

იცემდა მკერდსა და გულსა, იტყებდა, ესრეთ ტიროდა:
ვით შტოზედ მორჩი ახალო, ფესვ-არსოანო ძირო და!
ვირემ შენს ჩრდილთა ქვეშ ვიჯექ, მე თავი არ მემწიროდა,
ახლაც გვედრივარ, უშენოდ არ შემქნა, არ გამწირო და.

ვაიმე, თვალთა ნათელო, სხიო მის მზეთა მზისაო!
სახით ვით ნორჩი, ნაყოფით — ძირკეთილ შრტოვ ვაზისაო.
გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის გზისაო,
შენ იყავ ჩემი გამდები სამოთხის კართ რაზისაო.

ვაიმე, ლახვარ-სობილსა და გულსა დანა-ვლებულსა,
შენის წყლურების ცეცხლითა დაგულსა, დანავლებულსა,
შენს უკან წუთის სოფლითგან გულკვნესით ხან-ზარებულსა!
ძეო, მეტკბობის სიკვდილი სიცოცხლე გამწარებულსა.

მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ღვთისა ცხებული ღვთისაგან კურთხეული.
გაკიცხებული გაკიცხული, დაძრახული,
დაგმობილი.
ხებული შეხებული, ძგერებული.
ზარი დაეცა შეძრნუნდა.
იტყებდა იგლოვდა, თავში იცემდა.
ვით შტოზედ მორო ახალო რტოზე ახალი
ამონაყარის მსგავსო. იგულისხმება დავით
წინასწარმეტყველის გენეალოგიური შტო.
ფესვ-არსოანოძიროლომა(არსებითი, არ-
სიანი) ფესვის მქონე ძირო (საფუძველო).
ვირემ ვიდრე.
მე თავი არ მემწიროდა მწირად, უთვისტომოდ არ მიმაჩნდა თავი.
უშენოდ არ შემქმნა უშენოდ არ დამტოვო.
სხიო მის მზეთა მზისაო მზეთა მზის სხივო.
„მზეთა მზე“ მამა ღმერთის სიმბოლოა.
მზეთა მზის სხივი ქრისტეა.
ნორჩი ნერგი.
ვაზი აქ მამა ღმერთის სიმბოლოა, მისი

რტოა ქრისტე.
გამარკვეველო... გზისაო გზის გამგნებელო.
მნათობო ბნელის გზისაო ბნელი გზის
გამნათებელო.
რაზა საკეტი, ურდული.
შენ იყავ ჩემი გამდები სამოთხის კართ
რაზისაო შენ გამიღე სამოთხის კარი.
დანავლებული დანით გასერილი, დანაგატარებული.
დაგული დადაგული, დამწვარი.
დანავლებული ფერფლად ქცეული, ჩა-
ფერფლილი, დანაცრებული.
შენს უკან შენ მერე.
ხან-ზარებული ხანგატარებული, ხანგა-
მოვლილი.
მეტკბობის ტკბილად მიმაჩნია, სასიამოვნოდ მიჩანს.
მოთქმა ხმითა ხმამაღალი მოთქმა.
თავ-ბოლო ერთი ერთნაირი დასაწყისითა
და დასასრულით(ყოველი სტროფი ერთნაირად იწყება და ერთნაირად მთავრდება).

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვეცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოგახვიესო,
მაგრა შეგიკრეს ხელები, უფალსა არა გთნიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძლეს, გაგათრიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ფჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები აგატკიესო,
ყვრიმალს გცეს თვალებაკრულსა, გკითხეს:
„ვინ გცემა, თქვი ესო?!”
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ გპოვეს, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო,
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ხელდაბანილთა შოლტით გცეს, მსხვერპლს სისხლი შეურიესო,
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო,
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
წყალი ითხოე, მოგართვეს, ძმარში ნალველი რიესო,
წმინდასა შენსა საღმრთოსა გვერდსა ლახვარი მიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
მოკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო,

არა გთნიესო პატივი არ მოგაგეს.
საჩინო გამორჩეული.
ბრალი ვერ გპოეს დანაშაული ვერ გიპოვეს.

ხელდაბანილნი იგულისხმებიან პილატე
და მისნაირნი (ანუ ისინი, ვინც პასუხის-
მგებლობა აირიდა).

მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო,
თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდე შუა ხიესო;

ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგვრაგნეს, ტილოში წაგახვიესო,
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდვნენ, გარს მცველი შემოგვიესო.
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეგამჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნევდი კეთროანს, წყალმანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.

უტყვეს ენას ძლვნიდი, ყრუს — სმენას, საპყართა — სლვას შვენიერსო,
პურს მცირეს — დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდი, — ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი: „ესევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო!

გაიკითხევდით გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო!“
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!

ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა გვაუწყეს წინასწარმეტყველებმა, ავტორის თქმით?
2. იესოს რომელ სახარებისეულ სასწაულებზე მიგვანიშნებს ავტორი?
3. ვის უხმობს თანაგრძნობისთვის ღვთისმშობელი?
4. ღვთისმშობლის რა ადამიანურ ემოციაზე საუბრობს გურამიშვილი?
5. სახარების რომელ პასაჟს უკავშირდება სიტყვები: „ხელდაბანილთა შოლ-ტით გცეს?“? რომელ იდიომას დაუდონ სათავე ამ ქმედებამ?
6. რას ითხოვდა ღმერთი, გურამიშვილის მიხედვით, ადამიანთაგან იმ სიკე-თის სანაცვლოდ, რასაც იგი თესავდა?

დასთმე აქ: დაითმინე.

უგბილი უვიცი, უცოდინარი, უსწავლელი.
წყალმანკიერი წყალმანკით დაავადებუ-
ლი.

ცისცისად.... ეშმაკიერი მთვარეული.
ძლვნიდი უძლვნიდი, ანიჭებდი.
პურს მცირეს — დიდად ცოტა პურს
ბევრად გადაუქცევდი (ნაგულისხმევია

სახარებაში მოთხოვობილი ამბავი 5 პურით
ხალხის დაპურება მაცხოვრის მიერ.

წყალს ღვინოდ უქცევდი სახარების მი-
ხედვით, გალილეაში, კანაში, ქორნილის
დროს ღვინო რომ შემოაკლდათ, იესომ
წყალი აქცია ღვინოდ (იოანე 2,1-10).

ესევდით ესავდეთ, იმედი გქონდეთ.

ქართლის ჭირი

„დავითიანის“ პირველ წიგნში ქართლ-კახეთში შექმნილი უმძიმესი ვითარებაა გადმოცემული. ამ მონაკვეთს „ქართლის ჭირი“ უწოდა კორნელი კეკელიძემ. ამის საფუძველი მეცნიერს მისცა პოეტის ნათქვამა:

„ქართლის ჭირსა ვერავინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი!“

„ქართლის ჭირი“ არ არის კლასიკური პოემა. მასში არ იხატება ხასიათები, სიუჟეტი არ ვითარდება, როგორც სხვა პოემებში. ისტორიული სინამდვილის გადმოცემაში, ანუ ეპიკურ თხრობაში, ჩართულია ლოცვა-ვედრებანი, პოეტის ლირიკული აღსარება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, პოეტის თვალთახედვით, პიროვნების ბედი და მისი სულიერი განცდები გადაჯაჭვულია ქვეყნის ბედთან, ქვეყნის ბედი კი — მთელ სამყაროსთან.

„დავითიანი“ ახალგაზრდებისათვის დაწერილი წიგნია. პოეტი გვეუბნება, რომ ყრმათათვის მიუძღვნია თავისი ნალვანი, რათა მოიხმარონ და უპატრონონ: „ყრმათ შევავედრე ეს წიგნი“.

პოეტის მიზანია, ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად მოწიფულ ყრმას დაუსახოს მართებული გზა და ჭეშმარიტებისკენ გაუძღვეს:

„მე ეს ხიდი სავალად დიალ სწორედ გავდეო,

შენ თუ მრუდად გაივლი, მე რა წყალში ვვარდეო.“

დავით სწორედ მოგითხრობს, თუ შენ შეიგვანდეო!“

ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება

ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია.

თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია:

ერთი — დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,

მეორე — ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია.

მას მორჩილებდნენ ქართველი, ვით წესი იყო მონისა,

უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა:

მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა,

ჩაცვივდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა.

უფალთად უფალთა მიმართ, უფალთადმი. უხსენე გვარია ვუხსენე წარმომავლობა. თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია დაპადებით (ძირით) ერთმანეთს დაშორებული იყვნენ, მაგრამ საერთო შტო აქვთ (ნაგულისხმევია, რომ მაცხოვარი და ქართველი მეფეები დავით წინასწარმეტყველის გენეალოგიური შტოდან მომდინარეობენ). ვახტანგ მეხუთე პოეტი გულისხმობს ვახტანგ მეფეს, ქართლის განმგებელს

1703-1714 წლებში და ქართლის მეფეს

1716-1724 წლებში. იგი ქართული ისტორიოგრაფიაში ვახტანგ მეექვსედ იწოდება. ვახტანგ მეხუთე (მაჰნავაზი) კი 1658-75 წლებში მეფობდა ქართლში.

ცხოვრება სიამოვნისა სასიამოვნო ცხოვრება.

ცოდვის ბურმან მონისა ცოდვის ბურუს-მა მონისლა, დანისლა, დაფარა.

გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა მადლის გზა ვერ იცნეს, მადლით ვერ გაიგნეს გზა.

გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა,
ბაგით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუვანი ზაკვისა;
უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,
რაც თესეს, ბოლო მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა.

დაჯაბდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი,
ნებით შეიქნენ უბრძოლლად თავისა მტერთა მძლეველნი;
ციხე განუღეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი,
მტერნი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა წამართმეველნი.

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა.

საწყაულის მოწყვა ღვთისაგან

მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა:
ცარისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა,
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ღოდისა,
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა.

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდაერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა,
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა!

ბაგით პატივ-სცეს სიტყვით პატივი სცეს,
ეპირფერებოდნენ.
მტყუვანი ცრუ, მატყუარა, მტყუანი.
ისმინეს თქმა ეშმაკისა დაიჯერეს ეშმა-
კის ნათქვამი.
დაჯაბდნენ დალარდნენ, დაშინდნენ.
მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი ძლიერ
მტერთა დამძლეველნი, დამმარცხებელნი.
უბრძოლლად უბრძოლელად.
თავისა მტერთა მძლეველნი მტერთათ-
ვის თავის მიმცემი.
დამაძლეველი გამანადგურებელი,
მომსპობი.
სამკვიდროთ მომშლელი სამკვიდროთა,
საცხოვრებელთა დამანგრეველი.
ტრფიალი სატრფო, მიჯნური, საყვარელი.
ძვირი ბოროტი, ცუდი.

თქმა ერთმანეთის ძვირისა ერთმანეთის
შესახებ სიავის თქმა, ავსიტყვაობა.
მზირი მეთვალყურე, მსტოვარი.
მოწყვა წყვით მოცემა.
საწყაულის მოწყვა საზღაურის, სამაგი-
ეროს მიზღვა.
შუვა განიპის შუაში იპობოდა.
ქვეყანა შეიძროდისა მინა იძროდა.
მკალია დასცის ყანებსა კალიას უსევდა
ყანებს.
ქარი უქროლის ოდისა ოდის ქარს უქრო-
ლებდა (ოდის ქარი — ცხელი ქარი, ყანას
რომ გაახმობს და მარცვალი დასრულებას
ვეღარ მოასწრებს; ყანას რომ აოდავს, —
ის ქარი).
უმეტესად ესმა მრავლად ესმა, დიდად მი-
იჩნია.

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.
ერთმან მტერმან ათასსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენანევრი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი;
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი.

ვით მამალი სხვის მამალსა დაჲმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქორწოს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძალმან წახოს, პირი ჰკიდოს, —
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზე მერცხვინება,
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება.

ტყუილი ვთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?
მართალი ვთქვა, მეშინან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!
კაცს მის მეტი არა აქვს რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცო წაქნარი: ავსა — ავი, კარგსა — კარგი.

ღვარძლი ყანის სარეველა მცენარეა, რომ-
ლის თესლში შხამიანი ნივთიერება გროვ-
დება. თუ პურში შეერია, პური მანყინარი
გამოვა.

კევრი სალენი ფიცარი, რომელშიც კაუის
ნატეხებია ჩასობილი.

სცის დაარტყამდა ხოლმე.

წარიქცივის გააქცევდა ხოლმე.
ერთმან მტერმან ათასსა სცის, ორმან
წარიქცივის ბევრი ეს ადგილი მომდინა-
რეობს ძველი ალთქმიდან: „იოტოს ერთმან
ათასები და ორმან წარიქცივის ბევრი“ (II
შეჯულისა 32).

დარჩა ცოდვათაგან ცოდვას გადაურჩა.
შენაწევრი შექმნილი.

ღლიღვი კავკასიის მთიელთა ერთ-ერთი
ტომის, ინგუშების, სახელწოდებაა.

დიდო დიდოელი, დაღესტნის ერთ-ერთი

ტომი.

ქიშტი მუშტი, მჯილი. „უკუეთუ კაცსა...
თითებითა გოჯის კერძო წაჰკრა, ენო-
დების ქიშტი“ (საბა).

ყისტი მიზეზი.

მოუდვა... ყისტი შარი მოსდო.

იცეს მოიხვედრეს.

ხიშტი „პირგრძელი ლახვარი“ (საბა).

დაქორწოს ქორწორში ჩაუნისკარტოს.

პირი ჰკიდოს პირი წაავლოს.

გარჩევით გარკვევით, დაწვრილებით.

გულმან ამად არ მინება გულმა არ დამა-
ნება, გულმა არ გამინია.

სავარგი ვარგისი, გამოსადეგი.

დასაკარგი გადასაკარგი, გასაძევებელი.

სიკვდილს უკან თან საბარგი სიკვდილის
შემდეგ თან წასატანი.

ან რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო,
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო,
კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო,
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!

პირსფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.
სჯობს ტყუილით ქეე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო,
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
მაზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ხორცით დავიკარგო.

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების,
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების.

რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძლებს, რაც კაცს სენი გულსა უკოდს, სჩევლეტს და მსჭვალავს.
სხვის არმკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს,
თვით ვერ ხედავს, სხვის საჭვრეტლად, თუ არ უნდა, პირს რად ჰკალავს?

სიკარკაცე სიკარგკაცე, კაიკაცობა.
ორმოს ჩამსვა ორმოშიც რომ ჩამსვა.
თავს დამარქო თავზე დამახურო.
უკან ძრახვა ზურგს უკან ლანძღვა.
საფარსაგო სახეირო, გამოსაყენებელი,
ვარგისი.
არა თქმულა საფარსაგო არ მიჩნეულა
სასიკეთოდ.
ქვე ქვევით.
ქვე ყოფნა სოფელში ყოფნა, ამქვეყნად
ცხოვრება.
ზე... ავიბარგო სასუფეველში გადავბარ-
გდე, ზეცისენ გავეშურო.
მაზე მასზედ, მის გამო.
ხორცით დავიკარგო ხორციელად გავქრე,
მოვკვდე.
საძაგელი საძაგებელი, ძაგების ღირსი.
უფერული შეუფერებელი, უღირსი.
პირსაფერად საპირფეროდ.
კახაბერი ლეგნდარული ქართველი გმი-

რი, განსახიერება გმირობის, ძლიერების,
მამულიშვილობისა და პატიოსნებისა.
ძრახველი დამძრახავი, გამკიცხავი,
დამგმობი, გამკილავი.
ძრახვა კიცხვა, გმობა, კილვა.
ავად მოუხდების ცუდად მოუბრუნდება,
ავნებს.
არ მოუხდების არ წაადგება.
წამხდენელი და მბაძველი სიავის მოქ-
მედნი და მათი მიმბაძველება.
ძრახვავე სჯობს საძრახავთა დასაგმობის
დაგმობა უმჯობესია.
მოუფრთხვების დაფრთხება, იფრთხი-
ლებს, მოერიდება.
სხვის არმკრძალავი სხვისი არგამფრთ-
ხილებელი, ვინც სხვას არ ერიდება, არ ეკ-
რძალება.
ჰკრძალავს უფრთხილდება.
პირს რად ჰკალავს სახეზე ფერუმარილს
რატომ ისვამს, პირს რატომ ილამაზებს.

მე კი ვჰქონავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰქონავს,
მეტად მწარედ გული მტკივა, მაურულებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

ერთი კაცი უკულმართად ვნახე ერქვანთ ასხამს ფთებსა,
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის კაბდოს აკეთებსა.
მხვნელსა ვკითხე: „რად ეგრეთ იქ?“ თქვა: „ძალა ხნავს აღმართებსა“,
მფარცხველმა თქვა: „დაღმა ვფარცხავ, აღმა ხნულსა ეს მართებსა“.

ვინც რომ ისრე უკულმართად, მრუდათ ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.
ვინ ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს,
მისი სული სატანამა, თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?

ან დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელნო, შემოკრებით!
ზოგნი შინა აქ ბძანდებით, ზოგნი — გარეთ, შემოკრებით.
მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო თავში ხელის შემოკრებით,
ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენდა გარეშემო მტრებით.

კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
უნინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!

უკულმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!

ამამთხრელი ამომთხრელი, ამომ-
გდებელი.
ამამბზარავი ამომბზარავი, დამღუპველი.
ერქვანი სახვნელი იარალი, გუთანი.
ფთა ფრთა, გუთნის ნანილი, რკინის
ფირფიტა, რომელიც ბელტებს აბრუნებს
და ფშვნის.
კაბდო ფარცხის წინ დაამაგრებული ფი-
ცარი, რომელიც ბელტებს ამტვრევს და
ხნულს ასწორებს.
აღმა ხნულსა ეს მართებსა აღმა ხნულის-
თვის ასევა (ფარცხვა) საჭირო.
ფარცხოს ფარცხით (იარალია) მინა გააფ-
ხვიეროს, თესლს მიაყაროს.
გამოიცხოს წაიცხოს.
გამოაცხოს წასცხოს.
გარცხოს გარეცხოს, ამოავლოს.
ჩვეულებრივ, ჯოჯოხეთური ტანჯვა

ნარმოიდგინებოდა ადულებულ კუპრში
ადამიანის ჩაგდებად.
მომსმენელნო, შემოკრებით მსმენელნო,
შემოიკრიბეთ, მოგროვდით, თავი მოიყა-
რეთ.
თავში ხელის შემოკრებით თავში ხელის
შემოკვრით, შემორტყმით, ცემით.
ჩვენდა გარეშემო მტრებით ჩვენ ირგვ-
ლივ მყოფი მტრების გამო.
ქართველები აქ პოეტი გულისხმობს ქარ-
თლელებს.
გათხუნვილი გასვრილი, გათხუპნილი,
გათხვრილი, გათითხნილი.
გარცხეს გარეცხეს.
მტერთ კობალი თავში დასცხეს მტრებმა
კომბალი დაუშინეს თავში.
შეხრინკულნი შეჭიდებულნი, შებმულნი.

რუსთ ხელმწიფისაგან ქართველთ მეფის ვახტანგის თავისთან მიპატიჯება

აქ ცხადად ითქმის ყველაი დასაბამ-დასასრულისა,
მეფის ვახტანგის ამბავი, მოწყალის, სიბრძნით სრულისა,
მაზედან — ქართლის არაკი, მტერთაგან გაბასრულისა,
მერმე — თვით ჩემის თავისა, დაკარგულ-დაბაწრულისა.

იყო ჩრდილეთის ხელმწიფე, თეთრის რუსეთის მჭირველი,
თვითმპყრობელობის მიმღები, პეტრე ცხებული პირველი,
პირველუშმურ ხრმალრბილ, პირბლაგვთა მნთობელი გამომპირველი.
ადიდოს ღმერთმან სულითა, ბევრი ყავს მლოცველ-მნირველი.

ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: „მოდი, მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო;
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებრ მამადო“.

ვით სითბოთ ვარდმან — ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა,
დაბუხებულმან, ნაზამთრმა მხარი აღისხას ჭიამა,
დიდის სიცხითა მაშვრალსა აამოს სიო-ნიავმა, —
ეგრეთ ხელმწიფის ბძანება მეფეს რა ესმა, იამა.

მაზედან მასზე, მასთან ერთად.
ქართლის არაკი ქართლის ამბავი.
გაბასრული შეგინებული, დამცირებული,
განბილებული.
დაკარგულ-დაბაწრული გადაკარგული
და გათოკილი, დატყვევებული.
ჩრდილეთი ჩრდილოეთი.
თეთრი რუსეთი თოვლიანი რუსეთი.
მჭირველი მპყრობელი.
პეტრე ცხებული პირველი პეტრე
დიდი (1672-1725), რუსეთის მეფე და
იმპერატორი.
პირველუშმურ ძველებურად, ადრინდე-
ლივით.
ხმალრბილ, პირბლაგვთა მნთობელი
რბილ (დრეკად) და პირბასრ ხმალთა
მწრთობელი.
გამომპირველი ვინც გამოპირავს,

ნრთობით გალესავს.
ნუ მოგატყუებს მამადო ნუ გაცთუნებს
მაჰმადი (იგულისხმება: ნუ მიენდობი
სპარსეთსა და ოსმალეთს).
ზურგი მომყუდო ზურგით მომეყრდნო,
მომეყუდო.
გული მამადო გული მომადო, მენდო.
ვით თივას ცეცხლებრ მამადო (შენს
მტერს) ისე წამკიდო, როგორც თივას —
ცეცხლი.
სითბოთ სითბოთი, სითბოში.
დაბუხებული დაბერილი, გასივებული.
ნაზამთრმა მხარი აღისხას ჭიამა ზამ-
თარგამოვლილმა ჭუპრმა ფრთა შეისხას,
პეპლად იქცეს.
დიდის სიცხითა მაშვრალი დიდი სიცხით
ფაოსებული, გათანგული.

რჩევა ქართველის ბატონისა

შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მაიყარეს,
დასხდენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს.
ვინც ხედევდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს,
თქვეს თუ: „უფრო წავხდებითო“, მაგრამ ზოგთ კი განიკმარეს.

ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა;
ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა.
ვინც არ ემოწმის მაზედა, ერთგულად არ უყუროდა.

მეფეს სძრახევდენ, იტყოდენ ეგევითარსა გმობასა:
სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა,
ყენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა,
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!
შემოყარა ლაშქარი, თვალს ვერვინ გარდაწვდინებდა,
წავიდა, განჯის მიდამოს სისხლის ღვართ მოადინებდა.

დასხდენ რიგით დასხდნენ უფროს-უმცროსობით.
ივეზირეს ითათბირეს.
ვინც ხედევდა ბოლოს საქმეს ვინც საქმის ბოლოს, შედეგს ხედავდა,
ჭვრეტდა.
არად განიხარეს არ გაიხარეს, არ დარჩნენ კმაყოფილნი.
უფრო წავხდებითო უარეს დღეში ჩავ-ცვივდებითო.
განიკმარეს არ მოიწონეს (უარესის მომლოდინეთა აზრი).
ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა ეს არის გარდათქმა
დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა
ერთ-ერთი მუხლისა: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა,
ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი,
ღმერთო“ (ფსალმ. 41, 2).
არ მიეშუროდა არ მიეშურებოდა, არ მიეჩარებოდა.
არ ემოწმის მაზედა არ ემოწმებოდა იმაზე.

ერთგულად არ უყუროდა ერთგულად არ მიიჩნევდა.
სძრახევდენ ძრახავდნენ,
ამტყუნებდნენ.
პირს აძლევს პირობას აძლევს.
სამგან იკეთებს ყმობასა სამს უდგება ყმალ.
ყენი ყაენი. აქ: სპასეთის მეფე, შაჰი.
ირჭვამს ირჭობს.
რაყმობა იგივეა, რაც რაყამი – წერილი ზემდგომისაგან ქვეშევრდომისადმი,
ბრძანება.
თავს ირჭვამს მის რაყმობასა მის ბრძანებას ემორჩილება.
მამაობს მამობს, მამობას იჩენს.
ხვანთქარი ხონთქარი, ოსმალეთის სულთანი.
ჩემობს იჩემებს.
მოუსმინებდა მოუსმენდა, უსმენდა.
შემოყარა ლაშქარი შემოიკრიბა ლაშქარი.
გარდაწვდინებდა გადაუწვდენდა.

მტერთაგან მეფის ვახტანგის ყევენთან შესმენა და ყევენისაგან ქართლის წართმევა და კახის ბატონის მიცემა

ყევენის კარს მეფე ვახტანგს ბევრნი მტერნი უდგნენ მზირსა,
რასაც ავსა უნახევდნენ, აძახებდენ მისთვის გზირსა.
ყევენს ჰერიკე: გაგიარმებს ვახტანგ აზშამს და აზირსა,
პირი მისცა საღალატოდ ეთმანდოლეს, თქვენს ვაზირსა.

ესმა ყევენს რა ღალატი, იქმნა გულში შენამერთალი,
გამოძებნა და შეიტყო, ყოველივე სცნა მართალი;
დაიჭირა ეთმანდოლე, განუწესა სამართალი,
უსიკვდილოდ დანასაღა, აღმოსთხარა ორივ თვალი.

ან მეორედ მეფე ვახტანგ რა რომ ყევენს შეასმინეს,
თითქმის ასე განარისხეს, ჭკუვისაგან შეაცდინეს.
ვახტანგ ქართლში ბრძანდებოდა, სხვაფრივ ხელი ვერ აწვდინეს,
ჩამოართვეს ქართლი, მისცეს ერეკლეს ძეს, კონსტანტინეს.

ოსმალოსაგან ქართლის დაჭერა და ქართველის ბატონის რუსეთს წაბრანება

კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთ დაერთო ქართველთა ქარი ალზედა:
რა იგი ორნი შეშუღლდენ, ვით ქორნი გარიალზედა,
გამოეღვიძა არწივსა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,
გარიელს კლანჭი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიალზედა.

შესმენა დაბეზღება, დასმენა.
კახის ბატონის მიცემა კახეთის ბატონისთვის მიცემა.
კახის ბატონი კონსტანტინე II, მაჰმად ყული-ხანი. კახეთის მეფე 1722-1732 წლებში.
უდგნენ მზირსა ჩასაფრებული ჰყავდა.
ავსა უნახევდენ სიავეს, სიგლახეს დაინახავდნენ, შენიშნავდნენ, შეამჩნევდნენ.
აძახებდნენ აყვირებდნენ.
გზირი მოხელე, შიკრიკი.
ჰერიკე უთხრეს (ქვემდგომებმა ზემდგომს).
გაგიარმებს არმად გაგიხდის, ჩაგაშხა-მებს, წაგამნარებს.
ახშამი საღამო; საღამოს ჯერი, საღამოს პურის ჭამა, ვახშამი.
აზირი ნაშუადლევი, ნაშუადლევის პურის ჭამა, ნაშუადლევის ჯერი.
ეთმანდოლე სახელია.
გამოძებნა გამოიძია.

დანასაღა დასაჯა.
სხვაფრივ ხელი ვერ აწვდინეს სხვა
მხრივ ხელი ვერ მიაწვდიხეს.
დაჭერა დაკავება, დაპყრობა.
ქართველი ბატონი ვახტანგ მეექვსე.
კახნი კახელნი.
ნაჩინჩხლი წინწკალი მუგუზღლების
ჩხრეკით გაჩერილი ნაპერწკალი.
კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთ დაერთო
ქართველთა ქარი ალზედა კახელთა
გაჩხრეკილი ცეცხლის ალი გააღვივა
ქართლელთაგან დაქროლილმა ქარმა
(მტრობამ).
შეშუღლდენ შუღლი ჩამოაგდეს, დაემ-
ტერნენ ერთმანეთს.
გარიალი გარიელი (ფრინველია).
ყრიალი მტაცებელ ფრინველთა
ხმიანობა.
კლანჭი... უკრა კლანჭი გაჰკრა.
სხდენ ორნივ ცარიალზედა ორივე დარჩა
ცარიელი.

მოტყუფდენ ხუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ხურონი:
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი, საქართლო-საკახურონი
მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვებურონი,
ყმა და მამული მტრებს მისცეს, თვით დარჩინენ უმსახურონი.

ოსმალო თიფლის შევიდა, კარები დახვდათ ღია რა,
იესე მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა;
ვახტანგ რუსეთსა წაპანდა, რაჭაზედ გარდაიარა.
სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა.

კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლ-შვილით თვალივსა მძლივ ფეხი მოიკიდესა,
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკიდესა,
რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ლვინოზე ყიდესა.

ვაი, იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ,
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა-მწირსა თავსა სჭრიდენ;
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ!

იხმარეს ავნი ხურონი ცუდი
კალატოზები დაიხმარეს, გამოიყენეს.
საქართლო-საკახურონი ქართლისა
და კახეთის შესაფერი, ქართლისა და
კახეთისათვის განკუთვნილი.
ვეღარ იშენეს ვეღარ აიშენეს.
სრა სახლი, სასახლე.
ვანი სადგომი.
სრა-ვანი სახლ-სადგომი.
საკვებურო საკვებური, საკვეხარი,
თავმოსაწონებელი.
თიფლისი თბილისი.
იესე ქართლის მეფე 1714-1716 წლებში,
ვახტანგ VI-ის ძმა.
როცა ვახტანგ მეფებმ უარი თქვა ისლა-
მის მიღებაზე, იესემ შეიცვალა რჯუ-
ლი, ალიყული-ხანად იწოდა. იგი ჯერ
სპარსეთის, შემდეგ კი ოსმალეთის

მხარდაჭერით უპირისპირდებოდა
ვახტანგ VI-ს.
მათს მოძღვარს მან აღიარა მათი
მოძღვარი აღიარა.
თვალივი სოფელია ფშავში.
რაც ხანი იყვნენ რაც ხანი დაყვეს.
შეხვდისთ შეხვდებოდათ ხოლმე.
გლახა-მწირი მოხეტიალე, ღატაკი.
გოდორს თავი აკლიაო გოდორი სავსე
არააო (ე.ი. ბევრს ითხოვდნენ).
ზარი აქ: ძარი, წნელისგან მოწნული სა-
სიმინდე.
ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდნენ ცხრა
ურმის დამტევ სასიმინდეში ყრიდნენ (ე.
ი. ხარკს იხვეჭდნენ).
ტანთ მარხველი არა ყვანდა გვამების
დამმარხველი აღარ ჰყავდათ.
გამოხვრიდენ ხრავდნენ.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. შინაურმა აშლილობამ და ზნეობრივმა გადაგვარებამ რა განსაცდელი მოუვლინა საქართველოს?
2. გურამიშვილის აზრით, უპირველეს ყოვლისა, სად არის საძიებელი „ქვეყნის ნახდენის მიზეზი“, საკუთარ თავში თუ სხვაგან?
3. როგორ გესმით ამ სიტყვების აზრი: „მაგრა ფარვა სივისა ქვეყანას არ მოუხდების“. რა მიზანი ჰქონია მხილებას?
4. „სირცხვილ მიჩნს კადრებად და კუალად ვერ მიძლავს დუმილად“ (თქმისა მრცხვენია და დუმილი კი არ ძალმის), — წერდა უამთააღმნერელი, XIV საუკუნის მემატიანე. დავით გურამიშვილის რომელ სიტყვებს მოგაგონებთ ეს ფრაზა? რაზე მეტყველებს ეს მსგავსება?
5. „ან დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელნო, შემოკრებით“, — წერს დავით გურამიშვილი. როგორ გგონიათ, მსმენელად მხოლოდ პოეტის თანამედროვეები უნდა მივიჩნიოთ თუ „დავითიანის“ ყველა მკითხველი?
6. რატომ არის „დავითიანი“ სანდო ისტორიული წყარო?
7. რა მნიშვნელობით იყენებს გურამიშვილი სიტყვა არაკს — „ქართლის არაკი“?
8. რას დაპირებია პეტრე I ვახტანგს?
9. რის გამო კიცხავდნენ ქართველი თავადები მეფეს?

დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება

ვაი იმ დღისა დამსწრებსა! ან სათქმელადაც ძნელია,
კაცთაგან თვისი აუგი საზარლად საუბნელია!
ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია,
ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექნა საძებნელია.

მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორისუბანსა.
ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვემდენ არ ავს ჯუბანსა.
მუნით გამტყორცნა საწუთრომ, გარდამაცილვა ყუბანსა.
ვაი, რა კარგა მოვსთქვემდი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანსა!

დატყოება დატყვევება.
ქცევა წუთისა წუთისოფლის ბრუნვა.
დამსწრები შემსწრე.
საუბნელი საამბობი, სათქმელი.
ხელში ნაჭერი კეთილი ხელთ რომ
სიკეთე გვქონდა.
გორისუბანი სოფელია საგურამოსთან.
ჯვარობა ხატობა, დღეობა,

დღესასწაული.
ჯუბა განიერი ზედა ტანისამოსი.
მუნით იქიდან.
გარდამაცილვა გადამაცილა,
გადამაშორა.
ყუბანი მდინარე და მხარე ჩრდილო
კავკასიაში.
მოვსთქვემდი მოთქმით ვიტირებდი.

მო, ყური მიგდე, მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა: ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრებდი სხვის ქვეყანასა, სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე, ლამისყანასა, მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებდით ყანასა.

დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა, ვსთქვი, მუშას სადილს უმზადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა; არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა, ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა ირტოზის გორითა.

მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო, იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდენ თხუთმეტი კაცი მზირადო. ავიხსენ თოფი და ხმალი, მივყუდე მუხის ძირადო, იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო.

შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდვეს გენია, გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია. მუდამად თვალთა ნაკადი მდუღარე ცრემლი მდენია. მაჭამეს დუმა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.

მე დუმის ჭამას არ ვჩივი, ნეტავი მაძლრივ მქონოდა; არ ვინაღვლიდი, ცხიმითა რომ ტუჩი გარდამქონოდა; მე ეს მიმძიმდა, მხარშეკვრით მოვყვანდი ოსოქოლოდა. ვაი, რად დარჩი ცოცხალი, შენ, თაო, ჩასაქოლოდა!

მამიყვანეს, არალირსთა ღირსეულად მიმსახურეს, არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს. უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს. გავეპარე, დამიჭირეს, რად წახველო, დამპალურეს.

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი, არცა მაქვნდა საიმედო საჭურველი სამხედრონი; ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი, ხელმეორედ გავიპარე, რაკი ჰვპოე უამი, დრონი.

მოყვარე მოკეთე, მახლობელი.
მოგვმართეს გამოეშურნენ, ჩვენკენ
წამოვიდნენ.
ირტოზის გორი მთა ქსნის ხეობაში.
მე მიველ თავის ჭირადო მივედი ჩემდა
ჭირად.
გენია გეენა, ჯოჯოხეთის ცეცხლი.
დუმა ცხვრის კუდის ქონი.
ხალი მოხალული მარცვლეული (ხორბალი,
ქერი), მოხალული მარცვლეულის ფქვილი.
გარდამქონდა გამქონიანებოდა.

ოსოქოლო უნცუქული (პატარა ქალაქი დაღესტნის ერთ-ერთ მხარეში — ხუნ-ძეთში).

ჩასაქოლოდა ჩასაქოლად.

არა ღირსი უღირსი.

ღირსეულად მიმსახურეს კარგად მომიმ-სახურეს.

გასასყიდლად დამაშურეს საჩქაროდ გა-ყიდვა დამიპირეს.

დამპალურეს პანღური ამომკრეს.

სავედრო სავედრებელი, თხოვნა, ხვენა.

ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან

სახით სიტყვა შვენიერო, სხიო, მზეთა მზის სახეო,
ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო;
გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო,
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო!

ვამე, ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო,
გავეყარე შენს სახესა, ვა თუ, ველარ შავეყარო!
ან შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინც გარდასთენ ცა-სამყარო,
მასაც გვედრებ, ვინც გამყარა, მისი ჯავრიც ამამყარო!

შენ იესო, წყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო!
ვით ცხოვარი ვარ წყმენდილი, ნუ დამკარგავ, მომნახეო;
ჩემზედ მხეცთა უხილავთა ნუ მოუშვებ, შერისხეო,
მარცხნივ თიკანთ განმარიდე, მარჯვნივ კრავთან შემრაცხეო!

ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩნდა, იმაზე თქმული

სჯობს ვეტრფიალო მზეთა მზეს, მზისათვინ თავი ვახელო,
ნათლისა გავხდე მიჯნური, რადგან თვალებსა ვახელო,
მის უკეთესი მოყვარე სად ვპოვო, სადა ვახელო?
მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ თინათინს ხელი ვახელო.

ურჯულოს ქვეყანას ქრისტიანულირწმენის არმქონე ქვეყანაში (იგულისხმება: ისლამის მიმდევართა მხარეში).

საყვარლის სახე და სურათი ქრისტეს ხატი.

**სახით სიმბოლურად, სახისმეტყველურად.
სიტყვა შვენიერი ქრისტე.**

**სხიო სხივო. პოეტი მზის სხივს მიიჩნევს
ქრისტეს სიმბოლოდ.**

**მზეთა მზის სახე მამა ღმერთის ხატი,
ქრისტე.**

ვერცადა ვერსადა.

შენ კერძ შენკენ, შენს მხარეს.

საესავი საიმედო, იმედის მომცემი.

**გავეყარე შენს სახესა დავცილდი შენს
ხატს (იგულისხმება პირველცოდვის გა-
მო ღვთაებრივი ხატისგან ადამიანის
დაშორებაც და საქრისტიანოდან შორს
ყოფნაც).**

**გარდასთენ გადაანათე, ნათელი
მოპფინე.**

**ვინც გამყარა ვინც დამაშორა
(იგულისხმება მაცდუნებელი ძალაც და**

საქართველოს მტერიც).

დამანთხეო დამანთხეველო.

**ცხოვარი წყმედილი დაკარგული ცხვარი.
მწყემსის მზრუნველობა „ნარწყმედული
ცხოვარზე“ იგავურად არის ასახული
სახარებაში (ლუკა, 15, 4 -7)**

მხეცი უხილავი ბოროტი ძალა.

**მარცხნივ თიკანთ განმარიდე, მარჯვი
კრავთან შემრაცხეო სახარების თა-
ნახმად, განკითხვის დღეს მაცხოვარი,
მწყემსი კეთლი, ერთმანეთისაგან განარ-
ჩევს კეთილსა და ბოროტ ადამიანებს:
„და დაადგინეს ცხოვარი მარჯუნით
მისა და თიკანი – მარცხენით“ (მათე
25, 23).**

**მზისათვინ თავი ვახელო მზისათვის
(ქრისტესათვის) თავი გავიხელო, გავხელ-
დე, გავშმაგდე.**

სადა ვახელო სად მოვიხელოთ.

**თინათინი არეკლილი მზის სხივი. პოეტის
თქმით, მზე, ანუ ქრისტე, უწყენს, თუ
ჭეშმარიტების ნაცვლად არაარსებითს
გაჰყვება.**

მზევ, მზისა მამზევებელო, მე შენსას ვერას ვაზრობა,
მიუწოდომელო ნათელო, სად პირად მთვარობ, სად მზობა,
შენის ვერ ხილვის სევდითა სულსა რასთვისა მაძრობა?
მზევ, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაძრობა.

განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა მზისა მთიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო?!
განმიადვილე გზა და სვლა, მეტად ნუ განმიძნელებო,
თინათინითაც განმათბე, ყინვით ნუ განმაციებო!

მზეთა მზის შესხმა და ჭეშმარიტის გზის თხოვნა დავითისაგან

დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა მზეო,
მიუწდომელო ნათელო, გრძელო ძეველო დღეო,
უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო!
უბერებელო, უკვდაო, მყოფო, შეურყეო,
შენ გაქებ და გეაჯები დაკარგული ტყვეო,
მომიხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო!
ვით მე გთხოვე, ჭეშმარიტი შენ გზა მაუწყეო!

სვინიდისის მხილება დავითისა, ოდეს დატყოებულმან გამოპარვა გაივლო გულშია

აადეო, ადეო! გულით მაინადეო!
შორს ახლიხარ საყვარელს, ახლოს განემზადეო:
სახე მისი, სურათი თვალწინ მაილანდეო,
მის წინ ასე სტიროდე, იქ მას შაებრალდეო!

მზისა მამზევებელი მზედ მქცევი, მზის
დამპადებელი.
მე შენსას ვერას ვაზრობა მე შენი არა-
ფერი მესმის.
მიუწოდომელი მიუწდომელი.
მზობ მზეობ, მზე ხარ, მზის მაგივრობას
სწევ.
მაძრობ მხდი.
დამაძრობ დამაზრობ, გამთოშავ.
მთიები ცისკრის ვარსკვლავი (აქ ქრისტეს
სიმბოლო).
ვიკარგვი ვიკარგები.
ჭეშმარიტი გზა საღვთო გზა, სულიერი
სრულყოფის გზა.
გრძელი დღე დაუღამებელი დღე, მამა
ღმერთი.
ძველი დღე ბიბლიური სახისმეტყველე-
ბით, მამა ღმერთის სიმბოლო.

უფლებანი ანგელოზები, ზეცის ძალთა
მეორე ტრიადის არსნი.
უბერებელი ის, ვინც უამთა სვლას არ
ემორჩილება, ე.ი. უუამო, დროზე აღმატე-
ბული.
მყოფი მარადიული არსება, რომელიც მუ-
დამ არის, ღმერთი.
შეურყეო უცვალებელო.
დაკარგული ტყვე ლეკთა ტყვეობაში მყო-
ფი პოეტი თავს წუთისოფლის ტყვედაც
მიიჩნევს.
სვინიდისის მხილება სინდისის ქენჯნა.
აადეო ადექიო.
მაინადეო მოინდომეო, მოინადინეო.
შორს ახლიხარ შორს ჰყავხარ.
საყვარელი აქ: ქრისტე.
ახლოს განემზადეო მიუახლოვდიო.
სურათი ხატი.

თუ გწადს, შენსა საყვარელს გულით შეუყვარდეო,
შენთვის ლახვრით დაჭრილსა სისხლსა ცრემლით ბანდეო;
ეგ რაც დავით გასწავლა, ზედ წამალი ადეო!

აპხადეო ბადეო, თვალთა მიეც, ანდეო,
სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!
ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეო,
ქერქი გაფრცვენ, განაგდე, შიგნით გულს კი სჭამდეო!
მე ეს ხიდი სავლელად დიალ სწორედ გავდეო,
შენ თუ მრუდით გაივლი, მე რა წყალში ვარდეო!
დავით სწორეთ მოგითხრობს, თუ შენ შეიგვანდეო.

სიზმარი დავით გურამიშვილისა ტყვეობასა შინა

ხმა მესმა ძილსა შინაო: „რას ხვრინავ, რასა ფშვინაო,
აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ შინაო?!“
ფეხი წამოკრა წყნარადა, ჯოხითა დამაშინაო:
„რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?
ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო!
ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო!“

ტყვეობითგან გაპარვა დავითისა

გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ლარი,
ვიტირე და გარდვადინე მე იმაზე ცრემლთა ლვარი.
ღმერთსა ვსთხოვე: „მიწყალობე შენ ასეთი წინამძღვარი,
უვნებელად გარდმატარო ქრისტიანთა მტერთ სამძღვარი“.

ვახსენე ღმერთი, წამოველ, სითაც ხსნა მეგულებოდა,
გული ტიროდა, ცრემლითა თვალები მეგულებოდა,
აღარ მეგონა, მე თუდა გულილა მეგულებოდა,
ვიტყოდი: „ვაი, მოყვასნო, ჩემთვის დაკარგულებო, და!“

შენთვის ლახვრით დაჭრილი იგულის-
ხმება ჯვარზე ვნებული ქრისტე, რომელ-
საც ლახვრით გაუგმირეს გვერდი.
აპხადეო ბადეო ჩამოაცილე საბურველიო.
თვალთა მიეც თვალით იხილე.
ლექსთა იგავი ლექსთა შეფარული, იდუ-
მალი აზრი.
თარგმნე განმარტე.
ქრთილი „შემოდგომაზე ნათესი ქერი“
(საბა).
თათუხი თავთუხი, ხორბლის ჯიში.
გაფრცვენ გაფრცევე.
განაგდე გადააგდე.

მრუდით გაივლი მრუდედ გაივლი.
თუ შეიგვანდეო თუ შეიიფერებდიო, რომ
შეისმენდეო.
საძილოდ დასაძინებლად.
გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრე-
ბისა წყაროს ლარი ტაეპის აზრია: გულით
ვატარებდი ქრისტეს მცნებას.
თვალები მეგულებოდა თვალები მეხუ-
ჭებოდა.
აღარ მეგონა, მე თუდა გულილა მეგულე-
ბოდა აღარ მეგონა, გული თუ გულობას გა-
მიწევდა.

დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით უჭვრეტდი მთვარესა. მივენდევ შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა. ღამით შიშველს მთას მოვადექ შუა დაღისტნის არესა, მუნ ჟამსა რასმე შევესწარ სიცოცხლის დასამწარესა.

ასტყდა ქარი და დაიწყო სეტყვა, ელვა და ქუხილი, წამდაწუთ ელვის ზარითა თვალებმა შექნეს წუხილი, არცად ჩნდა თავის საფარი, მაზედ შემექნა წუხილი, თავს დავიხვიე სარტყელი, წავსწევ, ტანს არას უფთხილი.

სეტყვისა თავში დაცემის შიშითა პირქვე მხობილსა, გულმან მთქვა: „ადექ, იელვებს, იპოვნი გამოქობილსა“. ავდექ, იელა, მივადეგ კარს მთა-ხვრელს ლოდგაძრობილსა, მიველ და მაშიგ უკუვსძვერ, ვმადლობდი მხოლოდშობილსა.

სეტყვამ გარდილო, გამოველ, უფალსა მსხვერპლი შევსწირე. არ მყვანდა სამღთოდ ზვარაკი, მსურვალეს გულით შევსტირე. არც მაქვნდა სამღთო წერილი, ცოდნაცა მაქვნდა მე მცირე, „ლმერთო, დამიხსენ მტერთაგან!“ — ეს ლოცვა გავიზეპირე.

შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში

დაღამდა, სხვა დღე გათენდა, არვინ ჩნდა ჩემი მდევარი, დილაზე ადრე წამოვსდეგ უძილო, ღამის მთევარი. წამოველ, გზაზედ უფალმა მიბოძა საზდო მდლევარი, ორი კიტრი და საზამთროს ნაჭერი მე ნახევარი.

საზამთრო სიცხით დამჭვნარი ხელში მეჩვენა მე ცხლადა, წყალი ახლოს მხვდა მდინარე, ვიკაკვე გასარეცხლადა; კიტრი უბიდან გამცვიდა, გულზე მამედვა ცეცხლადა, რომ მომეყიდა, მილირდა ას ოქროდ, ათას ვერცხლადა.

შვიდი ვარსკვლავი დიდი დათვის თანა-
ვარსკვლავედი.

მუნ ჟამსა რასმე შევესწარ სიცოცხლის
დასამწარესა იქ დამიდგა სიცოცხლის გა-
მამწარებელი დრო.

თვალებმა შექმნეს წუხილი თვალები მე-
ხუჭებოდა.

გულმა მთქვა გულმა მითხრა.

გამოქობილი გამოქვაბული.

იელა იელვა.

მთახვრელი გამოქვაბული.
ლოდგაძრობილი ლოდგამოლებული.

მაშიგ უკუვსძვერ შიგ შევძვერი უკან-
უკან ფოფხვით.

მხოლოდშობილი ქრისტე.

სამღთოდ საღვთოდ, შესაწირავად.

ზვარაკი მსხვერპლად შესაწირავი საქო-
ნელი (ზვეულებრივ, მოზვერი).

მდლევარი დღიური.

საზრდო მდლევარი დღიური სარჩო.

მხვდა შემხვდა, წავანწყდი.

ვიკაკვე მოვიკაკვე, დავიხარე.

მომეყიდა მეყიდა, საყიდლად რომ მქო-
ნოდა.

წყალმან წაიღო, მივდივე, ვეცადე, ვერ დავიჭირე.
ბეწვი მწყდა მისის დევნითა, მეც წყალში არ დავიძირე,
ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე ვიტირე:
„თუ მომეც, რაღათ წამართვი, ან ასე რად გავიწირე?“

მოვიდოდი და ვსტიროდი, მოვსთქვემდი ჩემსა ზიანსა,
ღვთის საბოდიშოს სიტყვებსა ვიტყოდი თავაზიანსა;
უეცრად ალაგს მოვადექ ტურფასა, ლამაზიანსა,
მსხმოვიარესა ბალნარსა, ატმიანს და ვაზიანსა.

დავლუნე თავი, უკუვსძვერ ვაზნარსა შინა ბურვილსა,
აღმოვირეხვე ყურძნითა, მოვრჩი შიმშილსა, მწყურვილსა.
მაგრამ ღვთისა კი მრცხვენოდა მე, ცოდვით პირშემურვილსა,
ვეტყოდი: „რად არ მივენდევ შენის საყვარლის სურვილსა?“

მას ბალში ხილი დავკრიფე, საგზალი მოვიმზადეო;
ზოგი უბეში ჩავიწყევ, ზოგი კალთაში ჩავდეო.
კვლავ სვინიდისმან მამხილა: „ბინდამდის მოიცადეო,
დღისით ნუ წახვალ, არამცა მოგიდგას ვინმე ბადეო.“

წაველ, უკუვსწევ ჩალასა, სად უფრო იყო ხშირია,
ღმერთმან თქვენს მტერთა შეყაროს, რაც მე ამიტყდა ჭირია,
წამოდგა კოლოს ლაშქარი, რა შევსძარ ჩალის ძირია,
მე დამარჩობდენ უცილოდ, თუ არ დამეცო პირია.

რა შემანუხეს მეტადრე, ვიტყოდი გაჯავრებული:
„ვინც უნდა იყოს, მივიდე სიცოცხლე-გამწარებული.“
აღარ დავდივე, წამოვხტი, წამოველ გაჩქარებული.
მუნ ახლოს კალოს ლენევდენ, მიველ ვით დაბარებული.

მიუცხოეს და შემოკრბენ მუნ ჩემი გამშინჯვარები,
შემომეხვივნენ გარშამო კაცთა და ქალთა ჯარები,
მარტო პერანგით მოსილთა ყელზედ ეკიდათ ჯვარები.
მიველ და ჯვარსა ვემთხვივე, ვიწერე ზედ პირჯვარები.

ბეწვი მწყდა ცოტა დამაკლდა, კინალამ.
ღვთისაგან გულსა შემაკლდა ღმერთზე
გულს დამაკლდა, მეწყინა.
ზიანი აქ: დანაკლისი.
ვაზნარსა შინა ვენახში.
ბურვილი მოფარებული, გადმობურული.
აღმოვირეხვე ამოვიყორე, უზომოდ გავ-
ძეხი.
ცოდვით პირშემურვილი ცოდვით წაბილ-
ნული.
არამცა მოგიდგას ვინმე ბადე მახეში არ
გაგაბას ვინმემ, მახე არ დაგიგოს ვინმემ.

უკუვსწევ ჩალასა ისევ დავწექი ჩალაში.
ამიტყდა ჭირია თავს დამატყდა გასაჭირი.
წამოდგა აქ: წამოშალა.
შევსძარ შევარხიე, შევანძრიე.
თუ არ დამეცო პირია სახე რომ არ და-
მეფარა.
მივიდე მივალ.
აღარ დავდივე აღარ დავდიე, აღარ ვეძიე.
გამშინჯვარი გამსინჯველი, დამთვალი-
ერებელი.
ჯარები აქ: სიმრავლე.

ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო, ლაზარი!“ „ხლება“ რა მესმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი; მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექნა ზანზარი, ვეღარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაზარი.

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უნინვე გამეგონაო; სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო, რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო, ამ სიხარულმან დამშალა ჯავრით შეკრული კონაო.

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო, როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო. შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ლვარაო. სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლელი იანვარაო.

წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო, დამანერინეს პირჯვარი, ხატებსა მათაყვანესო; კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს, მაყაყანესო, მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?“

შევამოკლო, ან რა მერგო, რაც ვიუბენ ამდენს ხანსა? თერგიდამე სოლალს ნაველ, სოლალიდამ — აშტარხანსა; მუნით მოსკოს მეფე ვახტანგს, ბაქარს — შანაოზსა ხანსა — ვიახელ და თაყვანსა ვეც. ბრძანეს: „სჭვრიტე ჯაბახანსა“.

მიუთხრა უთხრა.

ვეღარ დაიგნეს სვეტებმა ვერ დაიჭირეს სვეტებმა (ფეხებმა).

გარდაიქცა ტაზარი წაიქცა, დაიქცა ტაძარი (სხეული).

მომიფონა შვება მომცა, დარდი შემიმსუბუქა.

ჯავრით შეკრული კონა მეტაფორაა.

მის გასაგებად გასათვალისწინებელია, რომ ამბავი ხდება კალოზე, სადაც მღენავები ულოს შეხსნიან ხოლმე სამკალიდან მოზიდულ ძნებს და ასე ჩაშლიან გასალენად.

კალოს მღენავებთან შეხვედრით გამოწვეულმა სიხარულმა ჯავრი შეუმსუბუქა პოეტს და ათქმევნა: კონასავით (ძნასავით) დავიშალეო.

ყაზახი ყაზახ-რუსი, კაზაკი.

მიმიქვა მიმიკრა, მიმიკონა.

მოენე თარჯიმანი, მთარგმნელი.

ფხოვლელი ფხოველი, ფხოვის მკვიდრი, ფშაველი.

იანვარა მამაკაცის სახელია.

სამდივნო აქ: სოფლის სამმართველო.

რა მერგო რაში წამადგა, რა სარგებლობა მომიტანა.

თერგიდამე თერგიდან.

სოლალი სოლაკი, ციხესიმაგრე ჩრდილოეთ კავკასიაში.

აშტრახანი ასტრახანი, ქალაქი კასპიის ზღვის პირას, მდ. ვოლგის შესართავთან.

მუნით მოსკოს იქიდან მოსკოვს.

ბაქარი-შანაოზ ხანი ვახტანგ VI-ის ვაჟი (1699-1750 წწ). 1716-19 წლებში, როცა ვახტანგ VI ირანში იმყოფებოდა, ქართლს ბაქარი (იგივე შაპანავაზ III) განაგებდა. იგი 1724 წელს მამასთან ერთად გადასახლდა რუსეთში, სადაც მონანილეობა მიიღო ქართული სტამბის ალდგენაში. მისი თაოსნობით დაიბეჭდა ბიბლია, რომელიც „ბაქარის ბიბლიის“ სახელით არის ცნობილი.

სჭვრიტე უყურე, აქ: ყური უგდე, მიხედე, უპატრონე. **ჯაბახანი** ჯაბახანა, იარაღის საწყობი, არსენალი.

მიწყალობეს მათ სახელო, მომცეს ჯაბადარბაშობა,
ღმერთან ბევრჯელ გაგითენოსთ ხარებობა, ქრისტეს შობა!
კარგი იყვის აღდგომასა მეფეთაგან მეჯლიშობა:
ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა.

ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მჭლესა, ტანად ხმელსა ვით ნუჟრიანს ხესა მრუდსა,
რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა.
ბევრჯელ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა.

დაფიქრდეთ, გავაანალიზოთ, პევაზასოთ:

1. როგორ უცხოვრია გორისუბანში გურამიშვილის ოჯახს? (რომელი სტრიქონით გექმნებათ ეს შთაბეჭდილება?)
2. ვინ „პატრონობს“ ტყვეობაში დავით გურამიშვილს?
3. „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე... ვეღარა ნახა“ — ამ ლექსში, როგორ გონიათ, ვინ არის პოეტის „საყვარელი“?
4. რას პეირდებოდა სიზმარში „ხმა“ დავითს?
5. რამ შეუცვალა სამსხვერპლო ზვარაკი ტყვეობიდან გაპარულ პოეტს? როგორ შეიძლება ამ ფაქტის განზოგადება?
6. დატყვევებამდე დავითი ყანის მკას ეპირება, გათავისუფლებულიც ყანის მომკელებთან ხვდება. ხომ არ შეიძლება ამ ფაქტის ალეგორიულად გააზრებაც?
7. რა სახელო (თანამდებობა) მიუციათ მოსკოვში გადახვეწილი მეფის კარზე პოეტისთვის?
8. როგორ უცხოვრიათ ემიგრანტ ქართველებს რუსეთში, რას იგონებს გურამიშვილი?

სახელო თანამდებობა.

ჯაბადარი იარაღის მეთვალყურე.
ჯაბადარბაში მათი უფროსი.
ხარება ხარება, ქრისტიანული დღე-
სასწაული. სახარების მიხედვით, ამ დღეს
გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ქალ-
წულ მარიამს, რომ იგი შობს ძეს, მესიას.
იყვის იყო ხოლმე.
მეჯლიშობა მეჯლისი, ლხენა, წვეულება.
ზმა ორი სიტყვის ნაწილების შეერთებით
ახალი სიტყვის მიღება; ამგვარი სტრი-
ქონების შემცველი ლექსი.

ჯავახიშვილი ვახტანგ VI-ის კარის პოეტი.
პირად მჭლე გამხდარი სახის.

უთხრი ვეტყოდი ხოლმე.

ვით ნარცეცხლა უკან კუდსა (ჩემი ნათ-
ქვამი) ნარცეცხლასავით (ეკლიანი ბალა-
ხი) უწვავდა კუდს.

იმწვიტინის იმწვიტინებდა ხოლმე, ძა-
ლიან იწყენდა ხოლმე, გამნარებით დაიყ-
ვირებდა.

კოტვა ფორიაქი, ბორგვა.

ძირს დასცემდის ძირს დააგდებდა, დაა-
ნარცხებდა ხოლმე.

დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი

ნუ მიენდობი, საწუთო მტყუვანი არს და უპირო,
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო,
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს, ხორცი უვარჲყო, სულსა ულოცო, უწირო.

ორგემაგე არს საწუთო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი მალავს.
მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთოს გზას გაჰკვალავს.

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიპავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთოსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!

მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?
რად უყვედრე უშობელსა, ბერნობ, ვერა მოიგე-რა!
იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა,
ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.

მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომლერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა.

საწუთო სოფელი წუთისოფელი.
უპირო პირის გამტეხი, არმისანდობი.
არ დაიჭირვის ხელშია ვერ მოიხელთებ,
ვერ დაიმაგრებ ხელში.
ბჭალი ბრჭყალი.
უჭირო მოუჭირო.
მოურჩე გადაურჩე.
უჭირო ჭირის უქონელი, ჭირის გარეშე.
უზირო ულოცო, ნირვა ალუსრულო.
ორგემაგე ორმაგი, ორსახოვანი, ცვალე-
ბადი, დაუდგრომელი.
ნოტიობს ნოტიოა, წვიმიანია.
გვალავს გვალვას მოავლენს.
წინ გიმძღვაროს წაგიმძღვაროს.
ვინცა სწორედ სვლად საწუთოს გზას
გაჰკვალავს ვინც საწუთოს გზას სწო-
რად გაჰკვალავს.
ნაქსელავი ნართი.
სთელავს საუბარია ნაქსოვის მოთელვაზე.
იგულისხმება: დრო მხარს უბამს სოფელს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს იგულის-
ხმება ჩინჩხი ცელით ხელში, სიკვდილის

სიმბოლო.
სულ ბნელია, რასაც ელავს რაც არ უნდა
ელავდეს, მაინც ბნელია.
მტერი აქ: ეშმაკი.
დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?
დავაში გამოწვევით რა მოიგე დავითისგან
(იგულისხმება პოეტი).
რად უყვედრე რატომ წამოაყვედრე.
უშობელი აქ: ვისაც არ უშვია, უშვილო.
ბერნობ უნაყოფო, უშვილო ხარ.
ვერა მოიგე-რა ვერ შობე.
მოიგერა გერად გაიხადა.
დავით ვინც ძედ მოიგერა დავითმა ვინც
ძის მაგიერად მიიჩნია.
ვინც გამოთქვა აქ: რაც შეთხზა.
მტერი იმით მოიგერა მტერი იმით მოი-
გერია.
შვილად ვსჯერვარ შვილად ვჯერდები,
ვკმარობ.
მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა ჩემი
სიმღერა ზარად (მოთქმად, გოდებად) თუ არ
მექცა.

თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,
მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა.

მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლა და ქართველთ თავადთა და აზნაურთ რუსთ ხელმწიფის სამსახურში განწესება

აქ ნახეთ წუთის სოფლისა, ცრუ, მატყუარა, ფლიდისა,
მისგან სიბნელე ნათლისა, ზედან გარდაკვრა ბინდისა!
ყმანი ვიყვენით კეთილნი მის ცხებულისა დიდისა,
გვწყალობდის, უხვად გვაძლევდის, სწავლით შვილურებ გვზრდიდისა.

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო.
ჩვენ, ყმანი, დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო,
გაფთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაცა, მაგრა დექ, ცაო!

მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრნყინვა და ჭყრტიალი;
მოგვწყდა წელ-გული, შევქენით, ვით უმხროდ ჩიტმან, ფრტიალი,
დავიწყეთ, ვითა წინილთა უკრუხობითა წკრტიალი.

მის დროს რუსთა თქვეს: „ქართველნო, ეს თქვენცა გაგეგონება,
თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია ორთა უფალთა მონება“.
იწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოსთ ცხოვნება,
ან წადით, ანუ დადექით, თავს ნუ მიეცით ღონება“.

სარეკელა წისქვილში კრიჭაზე მობმული
ჯოხი, რომელსაც თავი წისქვილის ქვაზე
უდევს და თანაბრად ამოძრავებს კრიჭას,
საიდანაც მარცვალი ჩამოდის.
ენა გასარეკლდა ენა სარეკელად იქცა,
ენა გაისარჯა.
გული... გამიზარდა გული ზარად მექცა,
გული ზარივით მირეკვეს.
საზრდელად გამიზარდა გაზრდას დამზარდა.
მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა იგულისხმება: მეფეთა სამსახურის
გამო მეტი ვერ დავწერე.
ამიერ სოფლით მიცვლა გარდაცვალება.
მისგან სიბნელე ნათლისა მისგან დაბნელება ნათლისა.
ცხებული კურთხეული.
აქ: ცხებული მეფე, ვახტანგ VI.

გვწყალობდის გვწყალობდა ხოლმე.
შვილურებ შვილივით.
პატრონი იგულისხმება ვახტანგ VI.
ღვთის მაცა ღვთის მადლსა. ფიცის ფორმულაა (მადლსა – მადლსა – მაცა).
წავიდა, შორს გაგვექცაო გაგვიშორდა,
გარდაიცვალაო.
ჭყრტიალი ელვარება, ბზინვა.
უმხროდ აქ: უფრთოდ.
ფრტიალი „ფრინველთ გაუფრენელად ფრენის ხმა“ (საბა), ფრთების ფათქუნი.
წკრტიალი წინილების წიოკობის ხმა.
თუმცა აქ: თუ, თუკი.
იწამეთ ერთი უფალი აქ: ალიარეთ ერთი მეფე.
ანუ დადექით ან დარჩით.
თავს ნუ მიეცით ღონება ნუ დალონდით.

ქართველნი სცდენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო:
ნინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო.
სწორეთ იმ გზაზედ წავიდნენ, საითაც იყო სნებაო.
არავინ უწყის, მუნითგან ცოცხალი ვინ იხსნებაო.

**ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა და,
თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა,
იმისთვის ტირილი**

ვითა ცხოვარი გზაშეცდომილი
მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე,
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

სიზმრად ვიხილე, კარსგარეთ ვრეკდი,
ქორნილში შესვლად შიგნით ვიწევდი,
ქრისტე, მიბოძე ასეთი ბედი,
შენსა მას ქორნილს მეცა მიწვევდი!

მტერმან განმძარცვა მე შესამკელი,
ტანთ საქორნინე შესამოსელი,
ვა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი,
ქორნილსა შინა ვეღარ შემსვლელი!

შენ ხარ, უფალო, ან ჩემი მშველი,
ქრისტევ, შემმოსე მადლით შიშველი,

სცდენ შეცდნენ.
მცნება აქ: დარიგება.
ნინ წაუარეს გვერდი აუარეს, ანგარიში
არ გაუწიეს.
საქმე ქნეს თავის ნებაო თვითნებურად
მოიქცეხო.
სხება სწეულება, სენი.
მუნითგან იქიდან.
ცოცხალი ვინ იხსნებაო ცოცხალი ვინ
გადარჩებაო.
დატყოვდა ტყვედ ჩავარდა.
ვითა ცხოვარი გზაშეცთომილი გზაბ-
ნეული ცხვარივით.
ფარეხი ცხვრის სადგომი.
თაო თავო, ჩემო თავო.
ხარ გახდომილი გამხდარხარ, ქცეულხარ.
ასეთი საქმე მე მოგიგვარე ასეთი საქმე
მე შეგამთხვიე.
ქორნილს მეცა მიწვევდი ქორნილში მეც
რომ მიმიწვიო.

მტერი აქ: ეშმაკი, მაცთუნებელი ძალა.
შესამკელი შესამკობელი, მოსაკაზმავი,
სამოსი.

საქორნინე შესამოსელი საქორნინე შესა-
მოსელი ისეთივე სიმბოლური დატვირთ-
ვის მქონე ხატია, როგორც „განუპარველი
ზეთის“ დაგროვება ათთა ქალწულთაგან,
როგორც „ტალანტის გამრავლება“, „დაცე-
მული ადამის ალდგენა“, „სრბის ალსრუ-
ლება“. მათეს სახარების იგავი (22, 11-13)
მოგვითხრობს, რომ ქორნილიდან გააძე-
ვეს მეინახე, რომელსაც საქორნინე სამო-
სელი არ ემოსა, ე.ი. სულიერად ვერ შე-
ემზადა უფალთან შეერთებისთვის, ღვთა-
ებრივი ქორნინებისთვის.

მშველი მშველელი, შემწე.
შემმოსე მადლით შიშველი შიშველი შემ-
მოსე მადლით; წყალობა ქმენ, საქორნინო
სამოსლით შემმოსე, ღვთაებრივი ქორნი-
ნების ღირსი გამხადე.

პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი,
ნუ მექნებიან კართა დამხშველი!

ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე,
რომ არ შეიქნა ლამპარშრეტილი,
შუალამისას მოვიდეს სიძე,
გარეთ არ დარჩე კარდაკლეტილი.

ქრისტევ, განმკურნე ბრმა-ყრუ-საპყარი,
რომ მე აგინთო ბაზმა-ლამპარი,
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!

გოდება დავითისა, საწუთოს სოფლის გამო ტირილი

გული ღონდება, ვიწყო გოდება:
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება:
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!

სული მშორდება, ხორცი შმორდება:
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
რად მშვა დედამან, შავმან ბედამან,
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!

ამად შემძულდი, ყოფილხარ ცუდი,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
მტყუანი, მრუდი, მპარავი, ქურდი,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი
ქრისტიანული ტრადიციისამებრ, პოეტი
ერთად მოიხსენიებს პეტრე და პავლე
მოციქულებს — ქრისტიანული ეკლესიის
ორ ბურჯს. სამოთხის მცველად მიიჩნევა
პეტრემოციქული, რომელსაც მაცხოვარმა
გადასცა „ელიტენი სასუფეველისა ცათა-
მსა“ (მათე 16, 19).

ნუ მექნებიან კართა დამხშველი ნუ და

მიკეტავენ კარს (იგულისხმება სამოთხის
კარი).

ბაზმა ზეთის სანათი, ლამპარი.

წანწკარი „წყლის წვრილად დინება“
(საბა).

ბორგნა-ბოდება ბორგვა და ბოდვა.

რად მშვა დედამან, შავმან ბედამან რად
მშვა ბედშავმა დედამ.

ვისაც შენ უნდი, ყელს აძეს ხუნდი,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ზურგთა პკიდია ტვირთი დიდია,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
თუ ხარ სიმაძლე, რა არს შიმშილი?!
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

რაც ჩამოვსთვალე, შენ შემოგთვალე,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
დღესა თუ ხვალე ჩემი მოვალე,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

მომასწრობს მალე, ვერცად ვემალე,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
სიკვდილი ცელსა მკრავს გულ-მუცელსა.
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

დავით გავაანალიზოთ, მევაზასოთ:

1. რად ემდურება გურამიშვილი საწუთროს?
2. როგორ ახასიათებს პოეტი წუთისოფელს?
3. რა გზა უნდა აირჩიოს, პოეტის აზრით, ადამიანმა წუთისოფელში?
4. რას ადარებს უპატრონოდ დარჩენილ ქართველობას პოეტი?
5. როგორ გესმით სიტყვები: „სული შმორდება“?
6. რა ემუქრება მას, ვინც წუთისოფლის სიამოვნებებს ემორჩილება?

უნდი უნდოდი.
აძეს აძევს, ადევს.
ხუნდი ბორკილი.

შემოგთვალე მოგათვალე, მოგაწერე.
მოვალე მევალე (იგულისხმება სიკვდილი).
მომასწრობს მომისწრებს.

საფლავის ქვაზედ დასაწერი

წმინდა იონე კახეთს, ზედაძენს,
სასწაულობით ქვიტკირს ცრემლთ ადენს;
ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძვლებს ავლენს, —
ორნივ შვრებიან სასწაულს ამდენს.

ამ ორს მონასტერს მაქვნდა ალაგი,
სასაფლაო და ძვალთ შასალაგი;
ორივ ქვიტკირით აღშენებული,
სახლ-გალავნებით დამშვენებული.

ახლა მოპანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!
ხორცით აქ ვლპები, ან ჩემი სული,
არა ვიცი რა, სად არს მისული!

ვით მე არ მინდო ცრუვმან საწუთრომ,
ეგრეთვე, ვგონებ, არცა შენ გინდოს,
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!

ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება

ჰე, ღმერთო, აღმიხილე თვალი გონებისა,
დამანახვე, მაცნობე მე გზა ცხოვნებისა!
შენის ნების გზაზედ დაუცემლად მატარე,
და მას შენსა საყვარელს გულითა მაყვარე!

წმინდა იონე წმინდა იოანე ზედაზნელი, VI
საუკუნეში ასურეთიდან ქართლში ქრის-
ტიანობის განსამტკიცებლად ჩამოსული
ცამეტი წმინდა მამის წინამდლოლი.

კახეთს, ზედაძენს აღრე ზედაზნი კახე-

თის ნაწილად ითვლებოდა.

მცხეთის სიახლოვეს, საგურამოს ქედზე
მდებარე ზედაზნის მონასტერი VI საუკუ-
ნეში დაარსდა.

სასწაულობით ქვიტკირს ცრემლთ ადენს
იგულისხმება იოანე ზედაზნელის ერთ-
ერთი სასწაული — შვიდ მაისს კედლიდან
წყაროს გადმოდინება.

წმინდა შიო ცამეტ ასურელ მამათაგან
ერთ-ერთი.

ღვიმე მღვიმე. წმინდა შიოს სამყოფელი

მცხეთის სიახლოვეს.

ძვლებს ავლენს ძვლებს აჩენს.

გადმოცემით, შიომღვიმის მონასტერში
ყველიერის სუთშაბათს მღვიმიდან
თურმე წმინდანის შიშველი ძვლები
გამოჩენდებოდა.

ალაგი ადგილი.

ძვალთ შასალაგი საძვალე, სამარხი.

სანუფქოდ სამუფქოდ, სანაცვლოდ.

ცრუვი ცრუ, მატყუარა.

გინდოს დაგინდოს.

თვალი გონებისა სულიერი თვალი, სული-
ერი განჭვრეტის უზარი.

გზა ცხოვნებისა ხსნის გზა.

საყვარელი აქ: ქრისტე.

საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული,
სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული,
დაკარგული ცოდვით, არ მადლით მოძებული.

ეს წიგნი ლექსად თქმული არის სულ იმისი,
ღმერთმან იხსნას წარწყმენდისაგან სული მისი.
ღმერთო, ნუ გასტეს სიტყვას დავითის პირისას,
მიეც ლხენა, კურნება მას დღესა ჭირისას.

მომიხსენონ, სხვას არავის რასა ვთხოვ მეტსა,
ვსთქვი წელსა ათას შვიდას სამოცდათოთხმეტსა,
თვესა წოემბერსა ოცდაცხრასა გასულსა.
დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა!

დავით გავააღიზოთ, შევაფასოთ:

1. რომელი სტრიქონი მიგვანიშნებს, რომ პოეტმა ალეგორია გამოიყენა თავის პოემაში ერთ-ერთ მხატვრულ ხერხად?
2. დავით გურამიშვილი „ვეფხისტყაოსანსა“ და „დავითიანს“ ალეგორიული ხასიათის წანარმოებებად მიიჩნევს. როგორ გამოხატა მან ეს აზრი? გაიხსენეთ სათანადო ადგილები.
3. რა სიტყვებით მთავრდება დავით გურამიშვილის „საფლავის ქვაზე დასაწერი“? ამავე ეპიტაფიის ტექსტში რატომ არის ნახსენები ზე-დაზნისა და შიომღვიმის მონასტრები?
4. რა იწვევს განსაკუთრებულ გულისტკივილს ამ თავში?

დღე ჭირისა გასაჭირის დღე. აქ: გან-
კითხვის დღე.
გასულსა გასულ წელს.

თვესა წოემბერსა ოცდაცხრასა გასულ-
სა ჩავლილ ოცდაცხრა წოემბერს.

მექანის ტექნიკის გეგლები

დავით გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა საფიქრალი გაჰყვა საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილ პოეტს?
2. რომელმა ფაქტმა იქონია განსაკუთრებული ზეგავლენა რუსეთში მყოფი ქართველების, მათ შორის — დავით გურამიშვილის, ცხოვრებაზე?
3. ოსოქოლო, ირტოზის გორა, მოსკოვი, გორისუბანი, „აშტრახანი“, „მაღდებურხი“, ლამისყანა, სოლალი, კისტრინი... ეს გეოგრაფიული სახელები დაალაგეთ თანმიმდევრობით დავით გურამიშვილის ცხოვრების გზის გათვალისწინებით; გაიხსენეთ, რა უკავშირდება თითოეულ მათგანს?
4. თავისი დროის რომელი ცნობილი მოღვაწეები ჰყავს ნახსენები პოეტს „დავითიანში“? რატომ ახსენებს აგრეთვე ნაკლებად ცნობილ ადამიანებს: „ფხოვლელ“ იანგარასა და ჯავახიშვილს? სად შეხვდა მათ?
5. რაზე მეტყველებს ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც, რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი ქართველი ჰუსარები თავიანთ ჩაცმულობაში სხვათაგან განმასხვავებელი ნიშნების შენარჩუნებას ითხოვდნენ?
6. პოემის რომელ ნაწილში საუბრობს დავით გურამიშვილი სამყაროს შემოქმედზე, არსთა გამრიგეზე? რომელი ცნობილი ნაწარმოები გაგახსენათ ამან?
7. პოემის რომელ ნაწილში წარმოადგინა დავით გურამიშვილმა თავი ავტორად?
8. რას ნიშნავს „თქმა მართლისა“? გვხვდება თუ არა მხატვრული გამონაგონი „ქართლის ჭირში“?
9. მოიძიეთ აფორიზმები „სწავლა მოსწავლეთაში“.
10. ავტორის მიერ განცდილი ღრმა სულიერი ტკივილის გამომხატველი რომელი ფრაზაა ჩართული „ჯვარცმის ამბავში“?
11. რას ნიშნავს „დავითიანში“ ნახსენები „ყმანვილის ვალი“?
12. დავით გურამიშვილის უფროსი თანამედროვე არჩილ მეფე წერდა:
„სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არც ისე მოსახმარია.
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,
სად წახვალ, თან გამოგყვება, საგზლათაც, მგონ, სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის — არა, გვერდთ გახლავს ცათ კამარია“.
13. „დავითიანის“ რომელი ადგილები ეხმიანება არჩილ მეფის ამ თვალსაზრისს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მსგავსებიდან?
14. რა არის დამახასიათებელი გურამიშვილის პოეტური ენისათვის: მაღალ-ფარდოვნება თუ უბრალოება?

მხატვრული ანალიზის ელემენტები

მხატვრული გათოვა

15. გურამიშვილის აზრით, ვის ნებას ემორჩილება სამყაროში ყველა და ყოველივე?
16. პოემის მიხედვით, რა ადგილი უჭირავს ადამიანს ღვთისგან შექმნილ სამყაროში?
17. დაძებნეთ ადგილები პოემაში, სადაც ავტორი ცხოვრებისეულ ფაქტებს სიმბოლურ-ალეგორიულ დატვირთვას ანიჭებს.

კითხვის სტრატეგია

სიმბოლურ-ალეგორიული სახეობის ამოცნება

18. როგორი სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა აქვს „დავითიანში“ ხაროში ყოფნას, ლიაში ჩაფლობას, ავდრისას მღვიმეში თავის შეფარებას?

დამატებითი ამოცანები

== გეპირი მეცყველება

„ქართლის ჭირი“ და „თქმა მართლისა“

„დავითიანის“ პირველ წიგნში ქართლ-კახეთში შექმნილი უმძიმესი ვითარებაა გადმოცემული. ამ მონაკვეთს „ქართლის ჭირი“ უწოდა კორნელი კეკელიძემ.

- როგორ ფიქრობთ, რამ მისცა ამის საფუძველი მეცნიერს?
- რით განსხვავდება „ქართლის ჭირი“ კლასიკური პოემისგან?
- რის ფონზე გვიამბობს გურამიშვილი „ქართლის არაკას“?
- რა არის გურამიშვილის, როგორც მნერლის, შემოქმედებითი პრინციპი?
- რა მიაჩნია დავით გურამიშვილს ქვეყნის უბედურების მიზეზად?
- რაში ხედავს პოეტი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს?

ლირიკა

- რატომ უწოდა გურამიშვილმა თავის წიგნს „დავითიანი“, ვის მიიჩნევს იგი თავისი პოეტური შთაგონების წყაროდ?
- ვისი სადიდებლით იწყება პოემა?
- წმინდა წერილში ვკითხულობთ: „შეწირე ღმერთსა მსხუერპლი ქებისაა“; და-ძებნეთ „დავითიანში“ ადგილები, სადაც პოეტი უფალს მსხვერპლად ქებას სწირავს.
- რა მიაჩნია გურამიშვილს პიროვნების სულიერი ამაღლების აუცილებელ პირობად?

- გურამიშვილის აზრით, რა როლს ასრულებს განათლება ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაში?
- როგორ ფიქრობთ, რატომ დაუთმო გურამიშვილმა სწავლა-აღზრდას ასეთი დიდი ადგილი თავის პოემაში სწორედ იმ დროს, როცა ქვეყანა მტერთა სათარეშოდ იყო ქცეული?
- ბიბლიაში ვკითხულობთ: „ვინად მოხუალ, ანუ ვიდრე ხუალ?“ (მსაჯულთა, 19, 17) (საიდან მოდიხარ ან სად მიდიხარ) — ამის გარკვევას ვის უსახავს მიზნად გურამიშვილი? (დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილი)

პრიტიკული ანალიზი

კმაყოფილება და ტკივილი

„... შეიქნა სიმშვიდე და იეფობა“
„მეფეთა ცხოვრება“, XVIII ს.

„მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრუოლებს და ტანში მზარავს“
დავით გურამიშვილი

დღევანდელი გადასახედიდან XVII-XVIII საუკუნეები ძნელბედობის, უკიდურესი გაჭირვების ხანად აღიქმება. მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ ყველანი ასე როდი ფიქრობდნენ. იყვნენ ადამიანები, რომლებიც განსაცდელს ვერც კი ამჩნევდნენ.

გავეცნოთ XVIII საუკუნის ერთი ცნობილი მოხელე-ისტორიკოსის გამონათქვამებს და მათ პარალელურად დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირის“ ფრაგმენტებიც გადავიკითხოთ:

ისტორიკოსი	დავით გურამიშვილი
„ქართლსა და კახეთს მტერი არსით აუჩიდიან“.	„ქახელების აღმე ხნული ქართველებმა დალმა ფარცხეს... ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კომბალი თავში დასცხეს, ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს“.
„ბატონიშვილმა (ქაიხოსრომ) ისპაპანში აჯანყებულთაგან ზოგი დახივა მუცელზე და ზოგი ყურით მიაბა დარაბასა, ზოგი დაჭედა ნალ-ლურსმნითა; თქუენსა მზესა, მეორეს დღეს გენახათ, ქუჩა და ქუჩა ხვარბლით აივსო... შეიქნა სიმშვიდე და იეფობა“.	„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა... მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა“.

<p>ბრძოლისა შემდეგ გარდავხედით მოსვენებად, დავყავით ამას ღამესა იქი. რა გათენდა, მოართვეს მეფესა თავი ხუთასორმოც. აქაცა და იქაცა ააშენებინა თავების მინარა (მინარეთი) თითო ოც-ოცი წყრთა“.</p>	<p>„ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა“...</p>
<p>„ქართლისა მეფენი არიან ოთხთავე კიდეთა ქუეყანისათა ზარგანხდომით ხმაგანფენილნი, ყოველთა მებრძოლთა ზედან დიდად მძლეველნი და თვით არავისაგან dლეულნი, თვითმშეყრობელნი საქართველოსი“.</p>	<p>„დაჯაბნდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი, ნებით შეიქნენ უბრძოლად თავისა მტერთა მძლეველნი“.</p>
<p>.... თვესა მაისსა, პირველსა ღამესა ერთი საკვრველი და კაცთაგან ჭკუამიუნდომელი აჩნდა შუა ციდამ, მონენდილზე ნათელი დიდალი, რომ მთვარის შუქი აღარა ჩანდა ვიდრე დასავლეთამდე, განათლდა ყოველი ქვეყანა... მთა და ბარი სულ განათდა; ეპა, საკვირველმოქმედსა ღმერთსა!</p>	<p>„ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა, ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა...“</p>

რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ისტორიკოსი თავისი ეპოქის მოვლენათა
მიმართ? ამ ამონაწერთა მიხედვით, ამჩნევს თუ არა რაიმე სიავეს, ნაკლოვანე-
ბებს? თქვენი აზრით, ვის უფრო უნდა ვენდოთ, დავით გურამიშვილს თუ ხსე-
ნებულ ისტორიკოსს? (პასუხი დაასაბუთეთ).

როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწია ამ ორი წყაროს ასეთი განსხვავებული და-
მოკიდებულება სინამდვილის მიმართ?

(ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას დიდად გაგიადვილებთ დავით
გურამიშვილის შემოქმედებითი პრინციპის გათვალისწინება).



ლიტერატურული პარალელი

სულხან-საბა და დავით გურამიშვილი

როგორც თქვენთვის ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის ქა-
დაგებების კრებული „სწავლანი“, რომელშიც მარიამ ლვთისმშობლის შესახებ
ვკითხულობთ: „....მტკიცნეულ იყო გული მისი, შეიწვებოდეს ნაწლევნი მისნი,
კვნესოდეს ძუძუნი მისნი, ელმოდა (სტკიოდა) მწარედ და დაბნელდებოდეს
ნათელნი მზისანი, მიჰების ცნობასა და დაეცის ზედასა ზედა დაბნედად, და
აღადგინიან დედათა მათ და ენიოს ძესა თვისსა სრბითა ნაღვლიანითა..“

პოდ ძეო ჩემო საყვარელო, ვითარ გხედავ შენ?

შვილო, შვილო, მხიარულებაო ჩემო, რა-მე ვყო?

ნათელო თვალთა დედისათაო.

დამიბრმო თვალთა ნათელი გვირგვინმან ეკლისამან,

რომელი გწერტს (გერჭობა) თავთა შენთა.

შვილო ჩემო, შვილო ჩემო, ყოველთა შესავედრებელო,
ვისა-მე მივიღოფოდე მეხვაიშნესა (მშველელი) თანა?“
(„სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლოვისათვის სულისა“)

ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი

ვახტანგ VI წერდა:

შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჟამისა,
ურჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირაცს ამისა,
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღვდელთ-მოძღვრის პალატს მივიდენ, გასატანჯველად, ვა, მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდენ წამდანამისა,
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

დავალება:

- დაძებნეთ მოყვანილი ფრაგმენტების პარალელები გურამიშვილის „დავითიანში“.
- იმსჯელეთ: თემატიკის გარდა, რა ანათესავებს მათ „დავითიანთან“?

ხალხური პოეზია და დავით გურამიშვილი

ხალხური პოეზიის კრებულებში არის ასეთი ლექსი:

ლეკებმა რო დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა,
ათი მთა გადამატარეს,
მეთერთმეტე — ალგეთისა.
გავხედე ჩერქეზთ მინდორსა —
ნისლი იწვა შავი ზღვისა,
შვიდი ქალი ყანას მკიდა,
შვიდივ ჩერქეზ ბატონისა;
ხელში ეჭირათ ცელები,
პირები აქვთ ალმასისა,
მარმარილოს სალესავით
აუწყობდნენ ცელებს პირსა.
ასეთ სიმღერას ამბობდნენ,
ვით ბულბულნი ბალებისა,
არ მენახა, გამიკვირდა,
მუშაობა ქალებისა.

დავალება:

ერთხელ კიდევ წაიკითხეთ „დავით გურამიშვილის ლექტაგან დატყოება“.

დააკვირდით:

- რა გზით უტარებიათ ტყვეები (გურამიშვილი და ხალხური ლექსის მთქმელი)?
- რომელ სტრიქონებში ჩანს გურამიშვილის თვითირონია?
- რა გაჰკვირვებია ხალხურ მელექსეს?
- რით ჰგავს ამ ტყვეთა განცდა ერთმანეთს?

დავით გურამიშვილი და გრიგორი სკოვოროდა

დავით გურამიშვილი 1760 წელს საბოლოოდ დასახლებულა უკრაინაში და ქართველი თავადიშვილი სიცოცხლის დასასრულამდე აქ ენეოდა მეურნეობას.

ამ დროს უკრაინაში მოღვაწეობდა პოეტი და ფილოსოფოსი გრიგორი სკოვოროდა (1722-1794), რომელიც, მისი ბიოგრაფის თქმით, როგორც ეული მთა, ისე იყო აღმართული უკრაინის უკიდეგანო სივრცეში. ამ უაღრესად საინტერესო პიროვნებას თავისებური შეხედულებები ჰქონდა სამყაროზე, ადამიანზე, მის მოვალეობაზე. იგი მიიჩნევდა, რომ წუთისოფელი თეატრს წააგავს. სცენაზე წარმატებით რომ გამოხვიდე, შესაფერისი როლი უნდა შეარჩიო. „დიდხანს ვფიქრობდი ამის შესახებ და მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი ვერანაირი როლის შესრულებას; მხოლოდ მდაბიო, უბრალო, ამქვეყნიური საზრუნავისაგან თავისუფალი და განმარტოებული ადამიანის როლს თუ განვასახიერებდი. სწორედ ასეთი ადამიანის როლი ავირჩიე და კმაყოფილიც დავრჩი“, — წერდა იგი. სკოვოროდამ ხელი მიჰყო მსხემობას, მოგზაურობას. დადიოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში... ხალხმაც იგი მიიღო, როგორც მოგზაური ფილოსოფოსი, მოხეტიალე მოძღვარი, სახალხო მომღერალი-პოეტი და მუსიკოსი. სწორედ ამ პერიოდში შექმნა გრიგორი სკოვოროდამ მრავალი საინტერესო თხზულება, რომელთაც აერთიანებდა ერთი იდეა — ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება და დანიშნულება. ლევ ტოლსტოის შეფასებით, „სკოვოროდას ბიოგრაფია იქნება კიდეც სჯობს მის ნაწერებს, მაგრამ რა მშვენიერია ეს ნაწერებიც.“

საგულისხმოა, რომ სკოვოროდას საფლავზე მისივე თხოვნით გაუკეთებიათ დიდი მოაზროვნის მრნამსის გამომხატველი წარწერა: „წუთისოფელიც დიდილობდა ჩემს მოხელთებას, მაგრამ ვერ მომიხელთა“.

იცნობდა დავით გურამიშვილი სკოვოროდას? შეხვედრიან ისინი ერთმანეთს? — დარწმუნებით არაფერი ვიცით. უკრაინელი პოეტი პავლო ტიჩინა არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას და წერს ლექსს სათაურით: „გურამიშვილი სკოვოროდას უკითხავს „ვეფხისტყაოსანს“ (ლექსი ქართულადაც არის ნათარგმნი).

ერთი რამ აშკარად იგრძნობა: გურამიშვილისა და სკოვოროდას მხატვრულ შემოქმედებაში იკვეთება განსაცვიფრებლად თანმხვედრი ტენდენციები. მაგალითად:

1. სკოვოროდამ განსაკუთრებული შინაარსით დატვირთა ალეგორიზმის პრინციპი. სკოვოროდას თქმით, „ვარდს, შროშანსა თუ ნარგისს ერთმანეთისაგან



გრიგორი სკოვოროდას ქანდაკება

ლი მძღვანელი გავზიარდე დიდის ჭირით“... გრიგორი სკოვოროდაც, როგორც მისი ერთი ბიოგრაფი გვამცნობს, მთელი თავისი შემოქმედებას სულიერ შვილად რომ მიიჩნევდა: „მე უშვილომ ეს ობოლი მძღვანელი გავზიარდე დიდის ჭირით“... გრიგორი სკოვოროდაც, როგორც მისი ერთი ბიოგრაფი გვამცნობს, მთელი თავისი შემოქმედების შესახებ მსჯელობდა მშობლის გადასახედიდან. პოეტი გვაუწყებდა, რომ დაქორწინებულა ადამიანურ ქმნილებათაგან უმშვენიერესზე — ბიბლიაზე და ამ კავშირის წყალობით დაბადებულა მისი სულის ყველა ნაყოფი, მისი ყველა მხატვრული და არამხატვრული ნააზრევი. სკოვოროდას თავის ერთ-ერთ ნაშრომზე კიდეც მიუწერია: ეს არის ჩემი პირველშობილი ძე, დაბადებული ამ საუკუნის სამოცდამეათე წელს.

3. გრიგორი სკოვოროდა და დავით გურამიშვილი თავიანთ შემოქმედებით ნაღვანს წარმოიდგენენ როგორც ბალს, წალკოტს, სულიერ სამოთხეს. „ლვთაებრივ წყალობათა ბალი“ — ასე უწოდებს სკოვოროდა თავის ლირიკულ ლექსთა კრებულს. გურამიშვილიც დავით წინასწარმეტყველის ბალს ახსენებს და მიიჩნევს, რომ თავისი ლექსებით თვითონაც იმ ხეს მოსავს, რომელიც დავითის ბალშია დარგული.

4. გურამიშვილისა და სკოვოროდას ლექსები გამოირჩევიან განსაკუთრებული სასიმღერო ინტონაციებით. უკრაინელი პოეტის ლექსები საერთოდ სასიმღეროდ იყო გამიზნული. მელოდიებს თვით სკოვოროდა თხზავდა. სხვათა შორის, სკოვოროდა უკრავდა ფლეიტაზე, ვიოლინოზე, ბანდურაზე, ბარბითზე. ეს სიმღერები თურმე სადა, ამაღლებული მელოდიურობით ხასიათდებოდნენ.

დავით გურამიშვილის ლირიკული ლექსები გამოირჩევიან ინტონაციური ულერადობით, ხშირად მითითებულიც არის, რომელ სასიმღერო ხმაზეა შეწყობილი.

დავით გურამიშვილისა და გრიგორი სკოვოროდას მხატვრულ ნააზრევში სხვაც ბევრია მსგავსი, ნათესაური, რაც ერთი ეპოქის სულისკვეთებით უნდა იყოს განსაზღვრული.

ფერზე უფრო მეტად განასხვავებს მათში მფეთქავი გამოუთქმელი და მოუხელთებელი ლვთაებრივი ჭეშმარიტება, ზეციურ და ამქვეყნიურ ხატებათა ათინათი. ასე იბადება სიმბოლო, იგავი, ალეგორია“. სკოვოროდა მოიხოვდა, რომ ბიბლია და ბიბლიაზე დაფუძნებული ლიტერატურა ეკითხათ ალეგორიულად, გაერჩიათ გარეგნული მხარე შინაგანისაგან და ისინი ერთმანეთისათვის დაეკავშირებინათ როგორც სიმბოლო და შინაარსი. გავიხსენოთ გურამიშვილის თხოვნა:

„ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეო, ქერქი გაფრცვენ, განაგდე, შიგნით გულს კი ჭამდეო“.

2. ყველას გვახსოვს, დავით გურამიშვილი თავის მხატვრულ შემოქმედებას სულიერ შვილად რომ მიიჩნევდა: „მე უშვილომ ეს ობოლი მძღვანელი გავზიარდე დიდის ჭირით“... გრიგორი სკოვოროდაც, როგორც მისი ერთი ბიოგრაფი გვამცნობს, მთელი თავისი შემოქმედების შესახებ მსჯელობდა მშობლის გადასახედიდან. პოეტი გვაუწყებდა, რომ დაქორწინებულა ადამიანურ ქმნილებათაგან უმშვენიერესზე — ბიბლიაზე და ამ კავშირის წყალობით დაბადებულა მისი სულის ყველა ნაყოფი, მისი ყველა მხატვრული და არამხატვრული ნააზრევი. სკოვოროდას თავის ერთ-ერთ ნაშრომზე კიდეც მიუწერია: ეს არის ჩემი პირველშობილი ძე, დაბადებული ამ საუკუნის სამოცდამეათე წელს.



წერითი სამუშაო

კომპლექსური დავალება. ისტორიული ქრონიკის დაწერა დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირზე“ დაყრდნობით.

წარმოიდგინეთ, რომ დაგევალათ XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის მოკლე ისტორიის დაწერა, წყაროდ კი მხოლოდ დავით გურამიშვილის „დავითიანი“ მოგეცათ. შეეცადეთ დაწეროთ ქართლ-კახეთის ისტორიული ქრონიკა „ქართლის ჭირზე“ დაყრდნობით. ამისათვის:

- ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ ნაწარმოებში გადმოცემული ფაქტები და მოვლენები;
- წარმოაჩინეთ თხზულებაში მოხსენიებული ყველა ისტორიული პირი;
- წერისას დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნაშრომი ისტორიული ქრონიკაა;
- რით არის საინტერესო ეს ნაწარმოები თანამედროვე მკითხველისათვის.

ცენტრის ენა

ლიტერატურა

ერთი სიტყვის ისტორია

(დავით გურამიშვილის ლექსიკიდან)

ცნობილია, რომ დავით გურამიშვილის ლექსიკური საგანძური განსაკუთრებით მდიდარია და ეს ლექსიკა ნასაზრდოებია როგორც ძველი წერილობითი წყაროებიდან, ისე ცოცხალი დიალექტური მეტყველებიდან. მაგალითად, კილოებიდან აქვს მას შემოტანილი არაერთი სიტყვა: კაბდო, გალი, ხალი, წინწკალი, ტორუა, კოტვა, ფერხისული და სხვ.

ამ სიტყვების წარმომავლობისა და დამკვიდრებისათვის თვალის მიღევნება მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ენის ისტორიის შესახებ. მაგალითად, აი, როგორ წარმოგვიდგება მუხრუჭი სიტყვის ისტორია დავით გურამიშვილის შემოქმედების გათვალისწინებით:

მუხრუჭი დღეს საყოველთაოდ ცნობილი სიტყვაა თავისი დანიშნულების გამო — მის გარეშე ტრანსპორტის მოძრაობა წარმოუდგენელია.

დავით გურამიშვილის დროს, ცხადია, მანქანა არ არსებობდა, მაგრამ არც ამ სიტყვის მნიშვნელობა ჩანს დღევანდელის მსგავსი. დააკვირდით ამ მეტაფორას:

„ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?“

მუხრუჭი, საბას განმარტებით, „ცხენთ ცხვირთ მოსაგრეხია“; ხოლო მისი

ფონეტიკური ვარიანტი ფუხრუჭი ჯოხზე დამაგრებულ თოვს აღნიშნავს, ესეც ცხენის ტუჩზე მოსაგრეხად.

ამდენად, მუხრუჭი პირვანდელი გაგებით რაიმეზე მოსაჭერი თოვია (მარყუჟია) და მას ახლანდელი ტერმინის მნიშვნელობა მხოლოდ შემდეგ მიუღია.

დავალება: „დავითიანში“ განსაკუთრებით მრავალი მეტაფორა დასტურდება ლმრთის აღსანიშნავად: „მზე“, „მზეთა მზე“... სცადეთ ერთად გამოკრიბოთ ისინი ლექსიკონიდან თუ ტექსტიდან და დააკვირდით თითოეულის მხატვრულ შინაარსს.

გრამატიკა

ძველი (არჩაული) დავით გურამიშვილის ენაში

დავით გურამიშვილი სრულიად ახალგაზრდა მოსწყდა სამშობლოს და მშობლიურ ენობრივ გარემოს და თან წაიღო, ერთი მხრივ, ძველი ქართული მნიგნობრული ცოდნა, ხოლო მეორე მხრივ — იმდროინდელი ცოცხალი ენობრივი ჩვევები, შესისხლხორცებული არაგვის ხეობის ქართლურის წიაღში. ამიტომაც დავით გურამიშვილის პოეტური ენა უცნაური შეხამებაა არქაული ენობრივი ნორმებისა და ხალხური ენის (ნორმებისაგან თავისუფალი) ნიმუშებისა. ზოგჯერ ერთსა და იმავე სტროფსა და ტაეპშიც კი შეიძლება შეგვხვდეს ძველიც და ახალიც. მაგალითად, ტაეპში „ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ“ — **მარხველი** ფონეტიკურად გამარტივებული **მმარხველი** ფორმა, **ყვანდა** ფუძით ძველია, მაგრამ პირის ჰ-ნიშნის კლება ხალხური მეტყველების გავლენით ჩანს, **გამოხვრიდენ** ფუძე ძველი **გამოხრვიდა** ფორმის ვარიანტია, ოღონდ -ენ მრავლობითის ნიშანი ახალია (უნდა ყოფილიყო -ეს).

ძველი გრამატიკული მოვლენებიდან აღსანიშნავია:

1. უპირატესად გამოყენება მოთხრობითის ნიშანი -**მან**:
„რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი“;
„ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი“.
ახალი ფორმები იშვიათად გვხვდება:
„კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა“.
2. საკუთარი სახელების გამოყენება ფუძის სახით სახელობითსა და მოთხრობითში:
„ვახტანგ რუსეთსა წაპრძანდა, რაჭაზედ გარდაიარა“.
3. ხოლმეობითის არქაული ფორმების გამოყენება:
„ცა რისხვით შუა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა,
ვენახო უწვიმის სეტყვანი, მსგავსი წახეთქი ლოდისა,
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა“;
„რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის ვით წარცეცხლა უკან კუდსა“;

4. „ვეფხისტყაოსნისეული“ ტმესის ფორმა უცვლელად ჩანს გადმოღებული:

„მისმან ეშხმან **დაცამლენა**, შემიმუსრა ძვალი“.
5. დავით გურამიშვილს ასევე აშკარად მწიგნობრული ენიდან აქვს შესისხლხორცებული ძველი ლექსიკური ერთეულები თუ ფორმები:

„მე ვით შევმართო უცებმან, რადგან ის მიუმხვდარია!“

(**შევმართო**, „შევბედო“, **უცები** „უვიცი“);

„ჩემის **უცებით** შევატყევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია“ (ეს მაგალითი **უცები** სიტყვის თავისებური გამოყენებაა).

ახალი დავით გურამიშვილის ენაში

დავით გურამიშვილის პოეტური ენა გაჯერებულია იმ ცოცხალი კილოს სურნელით, რომელიც მან სიჭაბუკისას წაიღო თან და სამუდამოდ მასთან დარჩა, ვინაიდან იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ეს ძირითადად არის არაგვის ხეობის ქართლური, ანუ ცოცხალი ქართული ენის ის მდგომარეობა, რომელიც მე-17-18 საუკუნეებისათვის საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში იჩენდა თავს.

ცოცხალი მეტყველების არაერთი ნიმუში ვლინდება დავით გურამიშვილის პოეზიაში, ასეთი ფორმები განსაკუთრებით მძლავრობს არარელიგიურ, ხალხური ყოფის გადმომცემ ლექსებში, მაგალითად:

1. დავით გურამიშვილის ენაში გარკვეულ პოზიციაში ვლინდება დიალექტური **მა-** (ამა-) და **შა-** ზმინინები:

ბრძენსა კაცსა ვეხვენები, ეს ობოლი **მამინათლოს**.

აადეო, ადეო! გულით **მაინადეო!**

ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინდა **მამიგონებსა?**

ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს **ამამთხრელს, ამამბზარავს**.

გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული **მამადო.**

ამ ორს მონასტერს **მაქვნდა ალაგი**, სასაფლაო და ძვალთ **შასალაგი.**
2. თანდებულიანი ნაცვალსახელების ნაირგვრობა:

ამის ქვეშ ქმნა ვით ბალ-წალკოტნი, **რაშიგაც** დავით ხადისა;

მაზე სული არ წავსწყმიდო, რაგინდ ხორცით დავიკარგო;

სხვასი ნურას მოინდომებს **მაზედ** მეტსა უსამართლოს;

ვინც არ ემოწმოს **მაზედა**, ერთგულად არ უყუროდა;

მაზედან — ქართლის არაკი, მტერთაგან გაბასრულისა.

მიველ და **მაშიგ უკუვსძვერ**, ვმადლობდი მხოლოდშობილსა.
3. ვ ბერის ფონეტიკური დაკარგვა:

ვაი, რად დარჩი ცოცხალი, შენ, **თაო**, ჩასაქოლოდა!

სახით სიტყვა შვენიერო, **სხიო**, მზეთა მზის სახეო.

უბერებელო, უკვდაო, მყოფო, **შეურყეო!**
4. ფონეტიკურად შეცვლილი სხვა ფორმები:

ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ **ვერცადა** ვნახეო.

ერთი კაცი უკულმართად ვნახე, **ერქვანთ** ასხამს ფთებსა.

მხენელსა ვეითხე: „რად ეგრე იქ?
გაფთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაცა, მაგრა დექ, ცაო!

პროსოდიული ხორცები ტავების ჟოლოს

დავით გურამიშვილის პოეზიის სიახლოვეს ხალხურ ლექსთან და ხალხურ ენასთან განსაკუთრებით ხელშესახებად წარმოაჩენს ე.წ. პროსოდიული ხმოვნების გამოყენება ტაეპების მარცვალთრაოდენობის შესავსებად ისევე, როგორც ეს ხალხური პოეზიისათვის არის დამახასიათებელი.

პროსოდიულად მიიჩნევა ისეთი ხმოვნები (ჩვეულებისამებრ, ადამ), რომლებიც ტაეპის ბოლოს „ჭარბად“ დაერთვის რომელიმე დასრულებულ გრამატიკულ ფორმას და მას სხვა რაიმე ფუნქცია არ მოეპოვება, გარდა ტაეპის განსაზღვრული მარცვალთრაოდენობის შექმნისა (ძირითადად ერთი სარითმო მარცვლის დამატებისა). მაგალითად, ხალხური „მზე შინა“:

„მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო,
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო“ და ა.შ.

შევადაროთ ამას დავით გურამიშვილის მზისადმი მიმართვა:

„მზევ, მზისა მამზევებელო, მე შენსას ვერსა ვაზრობა,
მიუწვდომელო ნათელო, სად პირად მთვარობ, სად მზობა,
შენის ვერ ხილვის სევდითა სულსა რისთვისა მაძრობა?
მზევ, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაძრობა“.

ამავე პროსოდიულ ხმოვანს ხალხური დატირების ინტონაცია შემოაქვს ვახტანგ მეფის გამოსაგლოვ სიტყვებში:

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო,
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო“ და სხვ.

ასევე ხალხური ინტონაცია იგრძნობა შემდეგ სტროფში:

„წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო,
დამაწერინეს პირჯვარი, ხატებსა მათაყვანესო;
კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს, მაყაყანესო,
მკითხეს: ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?“

დავალება: ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა იესოსადმი მიძღვნილი ლექსი: „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“. დააკვირდით, რა შემთხვევაშია ტაეპების ბოლოს პროსოდიული ხმოვნები და რა შემთხვევაში — გრამატიკული ფორმის ორგანული ნაწილი.

პოეტის ენობრივი თავისუფლება („პოეტი ლიცენცია“)

„უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ პოეტური ლიცენცია ამგვარად არის განმარტებული: „პოეტური თავისუფლება; მკაფიო პოეტური გამოსახვის მიზნით გრამატიკის, სტილისტიკის ან ლექსინიკის საყოველთაოდ მიღებული წესებისგან გადახვევა“.

ლექსის საჭიროებისათვის ზოგჯერ პოეტები ისე ცვლიან სიტყვის ფორმას, ან ფორმანარმოების ისეთ ხერხს მიმართავენ, რომელიც ენის მიღებული კანონების თვალსაზრისით უჩვეულოა, უცხოა. მაგალითად, დავით გურამიშვილის ზემომოყვანილ სტროფში უკვე კარგად ცნობილი სოფლის სახელი ლამისყანა რითმის საჭიროებისთვის ლამისყანე ფორმით არის წარმოდგენილი: „მკითხეს: ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?“

ცხადია, ეს პოეტური ლიცენციის ნიმუშია.

არაერთი ასეთი ნიმუში გვხვდება დავით გურამიშვილის ენაში, როგორც სიტყვანარმოებაში, ისე გრამატიკულ ფორმებში:

ა) სიტყვანარმოების (კომპოზიციისა და აფიქსური წარმოქმნის) მაგალითები:

მეგვარტომობა: „ქართველ უფალთა მეგვარტომობის იგავი“;

გულბრაზად: „გაცოფებული გულბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს“;

სიკარკაცე: „კარგს კაცს ვითარ დავუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო?“

პირველური: „პირველურ ხმალრბილ, პირბლაგვთა მწთობელი, გამომპირველი“;

არმკრძალავი: „სხვის არმკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს?“

სხვა მაგალითები:

„ვაიმე ლახვარსობილსა და გულსა დანავლებულსა,

შენს უკან წუთის სოფლითგან გულკვნესით ხანჩარებულსა!“

„ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი საქართლო-საკახურონი

მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი“.

სულხან-საბას ლექსიკონში არ დასტურდება „პირში ეფერება“ შესიტყვებისაგან ნაწარმოები რთული სიტყვები: პირ(ს)ფერი, პირფერობა... უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თავისებური წარმოები დავით გურამიშვილს ეკუთვნის (ან ხალხის მეტყველებიდან აუღია ისინი) დააკვირდით:

„ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად“;

„პირსფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო“.

ბ) გრამატიკული ფორმები:

„ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა, ვინც არ ემოწმის მაზედა, ერთგულად არ უყუროდა“.

„მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!

შემოიყარა ლაშქარი, თვალს ვერვინ გარდაწვდინებდა“.

„იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა“.

(მოიგერა ნიშნავს „იშვილა, გერად აიყვანა“).

„იყო ჩრდილეთის ხელმწიფე, თეთრის რუსეთის მჭირველი“.

„მერვე: ხელმწიფე დარჩების, ვისაც აქვს ქვეყნის მჭირობა“.

დავალება: დავით გურამიშვილი ხშირად არ მიმართავს მაჯამურ გარითმვას, თუმცა მისი დიდოსტატობა ამაშიც ჩანს. ერთ-ერთ ასეთ სტროფში მაჯამის შესაქმნელად („გამიზარდა“) პოეტს თავისებური სარითმო წარმოებებისთვისაც მიუმართავს. გამოიყენეთ ლექსიკონი და დაადგინეთ, რომელი „გამიზარდა“ (ან სხვა ფორმა) შეიძლება მივიჩნიოთ „პოეტურ თავისუფლებად“, პოეტურ ლიცენციად:

„მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა.
თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,
მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა“.

DON'T COPY